

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს
გადაწყვეტილებათა კრებული
საქართველოს წინააღმდეგ საქმეებზე
2021-2022 წლები**

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2022

**JUDGMENTS AGAINST GEORGIA
DELIVERED BY
THE EUROPEAN COURT OF
HUMAN RIGHTS IN
2021-2022 YEARS**

THE SUPREME COURT OF GEORGIA

ANALYTICAL DEPARTMENT

Human Rights Centre

Tbilisi

2022



კრეზულის რედაქტორი

მარინე კვაჭაქე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრეზული შეადგინეს და დაამუშავეს:

გულიკო მჭედლიშვილა

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის

მთავარი კონსულტანტი

გიორგი გამტაკიძულაშვილა

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის

კონსულტანტი



EDITOR

The Head of Analytical Department

Prof. Dr. Marina Kvachadze

THE COLLECTION WAS TRANSLATED AND ELABORATED BY:

Chief Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Guliko Mchedlishvili

Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Giorgi Gamtkitsulashvili

სარჩევი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები

მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	7
შრადე საქართველოს წინააღმდეგ	11
თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ	18
ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	26
კალანდია საქართველოს წინააღმდეგ	30
ამაღლოძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	33
შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ	41
თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ	45
გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ	54
კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ	58
ეკა მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	68
ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი საქართველოს წინააღმდეგ	84

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2022 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები

პერტაია საქართველოს წინააღმდეგ	108
ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ	112
ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ	116
გლოველი საქართველოს წინააღმდეგ	122
კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	136
რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	141
მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	157
ჩაკვეტაძე საქართველოს წინააღმდეგ	176

წინათქმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ფარგლებში მომზადდა კრებული, სადაც თავმოყრილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021-2022 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების თარგმანი, 22 სექტემბრის მონაცემებით.

კრებულში მოცემული საქმეებისა და მათი სამართლებრივი შეჯამებების თარგმანი მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რაც შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს საქართველოსთვის აქტუალური სამართლებრივი საკითხები ადამიანის უფლებების კუთხით. კრებული საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისთვის, ასევე ადამიანის უფლებებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

მარინა კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

PREFACE

The Human Rights Centre of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia has prepared the collection of the European Court of Human Rights Judgments against Georgia, which includes judgments delivered by the Strasbourg Court in the years 2021-2022, as of 22 September.

The judgments as well as their legal summaries included in the collection are translated by the Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia. The aforementioned compilation aims to introduce the latest practice of the European Court of Human Rights, which enables the establishment of relevant human rights issues in Georgia. The compilation will be of particular interest to judges and representatives of the judiciary, as well as academics and all other persons interested in human rights issues.

MARINA KVACHADZE

Head of Analytical Department

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წელს
საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები**

მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Mtchedlishvili v. Georgia

საჩივარი №894/12

გადაწყვეტილება

25 თებერვალი, 2021 წელი

ფაქტები

მომჩივანი ვერა მჭედლიშვილი, 1959 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა.

2010 წლის 18 მარტს, პოლიციამ იგი დააკავა ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვის გამო, ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, რომ მომჩივანს საქართველოში უკანონოდ შემოჰქონდა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები. 2010 წლის 19 მარტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღმოჩენილი აბები არ შეიცავდა ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ ნივთიერებებს (პირველი ეპიზოდი).

2010 წლის 31 ივლისს, მომჩივანი თანამონაწილე ა.მ-სთან ერთად დააკავეს (მეორე ეპიზოდი) 30 ივლისს მიღებული ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, რომ მომჩივანს თურქეთიდან საქართველოში კვლავ უკანონოდ შემოჰქონდა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები.

2010 წლის 27 აგვისტოს მომჩივანს ბრალი წარედგინა საბაჟო წესების დარღვევის ორ ფაქტზე იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად.

2011 წლის 14 თებერვალს მომჩივანი რაიონული სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი საბაჟო წესების დარღვევით დიდი ოდენობით ფარმაცევტული საშუალებების უკანონო შემოტანის გამო და ჯამში მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს წინაშე მომჩივანი პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით აღიარებდა, რომ მან შემოიტანა ფარმაცევტული საშუალებები, თუმცა, არ ეთანხმებოდა მათი ღირებულების გამოთვლის მეთოდს. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა აღნიშნულ ეპიზოდთან.

2011 წლის 31 მარტს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე დატოვა ძალაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2011 წლის 22 ივნისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნის საკასაციო საჩივარი.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს არ ჩატარებინა ზეპირი მოსმენა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

30. სასამართლო იმეორებს, რომ სააპელაციო სასამართლოების წინაშე კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების ფორმა დამოკიდებულია სამართალწარმოების კონკრეტულ მახასიათებლებზე; გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ სამართლებრივ წესრიგში სამართალწარმოება მთლიანობაში და აგრეთვე, აღნიშნულ წესრიგში სააპელაციო სასამართლოების როლი (იხ.: *Hermi v. Italy* [GC], no. 18114/02, § 60, ECHR 2006-XII, and *Popovici v. Moldova*, nos. 289/04 and 41194/04, § 66, 27 November 2007).
31. სტრასბურგის სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის სფეროში სასამართლოს წინაშე განსახილველ საკითხთა ბუნება შესაძლოა არ საჭიროებდეს ზეპირ მოსმენას (იხ.: *Jussila v. Finland* [GC], no. 73053/01, § 43, ECHR 2006-XIV, and *Talaber v. Hungary*, no. 37376/05, § 24, 29 September 2009). როდესაც საჯარო მოსმენა ჩატარდა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე, სააპელაციო ეტაპზე მისი არარსებობა შესაძლოა, გამართლებული იყოს სამართალწარმოების კონკრეტული მახასიათებლებით, ეროვნული სააპელაციო სისტემის, სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქნა მომჩივნის ინტერესები წარმოდგენილი და დაცული სააპელაციო სასამართლოს წინაშე, განსაკუთრებით მის [სააპელაციო სასამართლოს] მიერ გადასაწყვეტი საკითხების ბუნების ფონზე (იხ.: სხვა საკითხებს შორის, *Hermi*, ციტირებული ზემოთ, § 62, and *Popovici*, cited above, §66). სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სააპელაციო სამართალწარმოება და საკასაციო სამართალწარმოება, განსხვავებით ფაქტებისგან, შესაძლოა აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნებს, მაშინაც კი, როდესაც მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა პირადად წარედგინა მტკიცებულებები სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს წინაშე (იხ.: *Ekbatani v. Sweden*, 26 May 1988, §31, Series A no. 134, and *Fejde v. Sweden*, 29 October 1991, § 31, Series A no. 212-C).
32. მაშინაც კი, როდესაც სააპელაციო სასამართლოს აქვს ფაქტებისა და სამართლის საკითხების განხილვის იურისდიქცია, სტრასბურგის სასამართლო ვერ დაადგენს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ყოველთვის მოითხოვს საჯარო განხილვას, განსახილველი საკითხების ბუნების მიუხედავად (იხ.: *Mutttilainen v. Finland*, no. 18358/02, §23, 22 May 2007). საჯაროობის მოთხოვნა ნამდვილად არის ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა ნარჩუნდება. თუმცა, არსებობს სხვა საკითხებიც მათ შორის, საქმის განხილვის უფლება გონივრულ ვადაში და ეროვნული სასამართლოების დატვირთულობასთან დროულად გამკლავების საჭიროება, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საჯარო სხდომის გამართვის საჭიროების განხილვისას, სამართალწარმოების სააპელაციო და საკასაციო ეტაპებზე.
33. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს როგორც ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე სამართლის საკითხები და შეაფასოს პირის დამნაშავეობა, ის ვერ შეძლებს სათანადოდ დაადგინოს აღნიშნული საკითხები უშუალოდ ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების პირდაპირი შეფასების გარეშე, როდესაც ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული (იხ.:

Ekbatani, cited above, §32; Dondarini v. San Marino, no. 50545/99, § 27, 6 July 2004; and Popovici, cited above, §68). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალის განსაზღვრისას, ბრალდებულის პირადად მოსმენა ზოგადი წესი უნდა იყოს. ამ პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს და შეზღუდულად უნდა განიმარტებოდეს (იხ.: Popa and Tănăsescu v. Romania, no. 19946/04, §46, 10 April 2012; see also Talaber, cited above, §§ 25-26, with further references).

ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

34. მოცემული საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, იმისათვის, რომ დადგინდეს დაირღვა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლი, სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა შეფასდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს როლი და იმ საკითხების ბუნება, რომლებიც სასამართლოს მომჩივნის საქმეზე უნდა შეესწავლა.
35. იმ დროს მოქმედი პროცედურული კანონმდებლობის თანახმად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო ხელახლა განეხილა საქმე როგორც სამართლის საკითხებთან, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მთავრობას სადავოდ არ გაუხდია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილობითი პროცედურის მეშვეობით მოხდა.
36. რაც შეეხება მომჩივნის საქმის ბუნებას და აგრეთვე, იმ საკითხებს, რომლებიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა, სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი დანაშაულში, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით „ნაკლებად მძიმე“ კატეგორიის იყო და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გადაეხვია ზეპირი მოსმენისგან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად. თუმცა, ვინაიდან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით ავტონომიური ხასიათისაა, სტრასბურგის სასამართლომ უნდა შეაფასოს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებები ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით.
37. რაც შეეხება პირველ ეპიზოდს, სადავოდ არ იყო, რომ მომჩივანმა ფარმაცევტული საშუალებები თურქეთიდან საქართველოში პირადად შემოიტანა. მაშინაც კი, თუ ბრალდება და სანქცია – თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლისა და ექვსი თვის ვადით – შეიცავს გარკვეულ სტიგმას, სტრასბურგის სასამართლო მხედველობის მიღმა ვერ დატოვებს ფაქტს, რომ მომჩივნის მიერ წამოჭრილი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტის შეფასებას ჩამორთმეული მედიკამენტების ღირებულების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ პირველ ეპიზოდთან მიმართებით ფაქტობრივი გარემოებები არ იყო სადავოდ და ექსპერტმა ღირებულება შეაფასა სტანდარტული პროცედურის საფუძველზე. ამის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, რომ პირველ ეპიზოდთან მიმართებით მომჩივნის საჩივარი არ წარმოშობდა შეკითხვებს ფაქტებთან ან სამართალთან დაკავშირებით, რომლებიც ადეკვატურად ვერ გადაწყდებოდა საქმის მასალებისა და მხარეთა წერილობითი წარდგინებების საფუძველზე (იხ.: *mutatis mutandis*, Fejde, cited above, §§ 33-34, and Jussila, cited above, §47, ECHR 2006-XIV). ამდენად, ამასთან

კავშირში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განსახილველი საკითხი არ წარმოიშობოდა.

38. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ არსებული ბრალდება მიეკუთვნებოდა სისხლის სამართლის ძირითად ნაწილს და აგრეთვე სანქცია ითვალისწინებდა ოთხი წლისა და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთას. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ეხებოდა დანაშაულის ორ ეპიზოდს, მეორე ეპიზოდში მსჯავრის დადების შემთხვევაში, მომჩივნის სასჯელის საერთო ხანგრძლივობა გადააჭარბებდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტს. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ზეპირი მოსმენიდან გადახვევა დასაშვებია იყო იმ შემთხვევაში, თუ სასჯელი არ აჭარბებდა ხუთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას. დამატებით, მომჩივნის საჩივარი ეფუძნებოდა ფაქტობრივ გარემოებებს, უფრო კონკრეტულად კი გადამწყვეტ საკითხს, იყო თუ არა ის ნამდვილად ჩართული მეორე ეპიზოდში განვითარებულ მოვლენებთან. ვინაიდან მომჩივანი დავობდა, რომ მეორე ბრალდებული მის დანაშაულებზე მიუთითებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, საქმეში წამოიჭრა მომჩივნისა და მეორე ბრალდებულის სანდოობის მნიშვნელოვანი საკითხი. შესაბამისად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორცაა მომჩივნისა და საქმეზე მეორე ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები და პიროვნულობა, მომჩივანი უშუალოდ უნდა დაკითხულიყო (see, Talaber, § 28, and Muttillainen, § 26, both cited above).
39. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო პირველ ყოვლისა, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანაშაულის მეორე ეპიზოდთან მიმართებით განსახილველი საკითხები სათანადოდ ვერ დადგინდებოდა ბრალდებულების მხრიდან ჩვენებების პირდაპირი შეფასების გარეშე. მიუხედავად ამისა, როდესაც სააპელაციო სასამართლომ წერილობითი პროცედურის მეშვეობით დაადასტურა ქვედა ინსტანციის დასკვნები, მან უპასუხოდ დატოვა მომჩივნის მოთხოვნა, უშუალოდ ყოფილიყო მოსმენილი და საკითხი შეაფასა საქმეში არსებული მასალების საფუძველზე. გარდა ამისა, მე-6 მუხლის თანახმად, სამართლიანი სასამართლო განხილვა მოითხოვს, რომ სააპელაციო სასამართლომ წარმოადგინოს ნათელი მიზეზები, თუ რატომ უთხრა უარი მომჩივანს ზეპირი მოსმენის გამართვაზე, სულ მცირე, იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები, როგორც წესი, მომჩივნის მსგავს საქმეებზე მოითხოვდა სხდომის გამართვას. იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ ჩაატარა ზეპირი მოსმენა, სტრასბურგის სასამართლო არ იმყოფება იმ პოზიციაში, რომ დაადგინოს გამონაკლისი გარემოების არსებობა, რომელიც გაამართლებდა ზეპირი მოსმენისგან გადახვევას.
40. შესაბამისად, სააპელაციო სამართალწარმოების დროს ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

დასკვნა: დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი მუხლი.

41-ე მუხლი: სასამართლომ დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარის სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია.

შრადე საქართველოს წინააღმდეგ

Schrade v. Georgia

საჩივარი №15016/07

გადაწყვეტილება

11 მარტი, 2021 წელი

ფაქტები

წინამდებარე საქმეში მომჩივანი არის 1934 წელს დაბადებული პირი, რომელიც ცხოვრობს ბერლინში.

2005 წელს, შპს-მ Global Access Georgia საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისთვის გამოაქვეყნა ინგლისურენოვანი ბუკლეტი სათაურით, „თქვენი პირადი კავშირი საქართველოსა და კავკასიის რეგიონში უკეთესის ბიზნესის კეთებისთვის.“ ბუკლეტი შეიცავდა მომჩივნის მიერ გადაღებულ ფოტოს სათაურით, „გურჯაანის ეკლესია“, რომელიც გადმოტანილი იყო 1986 წლის გერმანული პუბლიკაციიდან – *Georgien Wehrbauten und Kirchen*.

2005 წლის 7 სექტემბერს, მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის გამო. 2005 წლის 9 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ შეეძლო ზემოხსენებულ უფლებაზე დავა. მომჩივანმა გადასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2005 წლის 15 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა მომჩივნის საჩივრის განხილვაზე სასამართლო ხარჯების გადაუხდელობის გამო. 2006 წლის 12 იანვარს, მომჩივანმა ხელახლა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და განაცხადა, რომ სასამართლოს ხარჯები არ ვრცელდებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავებზე იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. 2006 წლის 22 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო მომჩივნის საჩივარი. იმავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ საქმე განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი საქმე მას შემდეგ განხილვის ეტაპზეა. თავის მხრივ, მთავრობამ წარმოადგინა 2006 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების ასლი, რომლის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლომ უარყო მომჩივნის სარჩელი, ვინაიდან ის წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

2004 წელს მომჩივანმა აღმოაჩინა, რომ ქართული კომპანია „არტანუჯის საგამომცემლო სახლი“ (შემდგომში „არტანუჯი“), უკანონოდ ფლობდა საავტორო უფლებებს მის ორმოცდაჩვიდმეტ სურათზე, რომელიც არტანუჯის გამომცემლობის მიერ ისტორიის სასკოლო წიგნებში იყო დაბეჭდილი. 2005 წლის 24 იანვარს, მომჩივანმა არტანუჯის და მისი აღმასრულებელი დირექტორის, ბ. კ-ს წინააღმდეგ თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა. მომჩივანი საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის 171.680 ლარს (დაახლოებით, 85 000 ევრო) ითხოვდა. 2005 წლის 24 თებერვალს, არტანუჯმა სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა და აცხადებდა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ფლობდა არა მომჩივანი, არამედ გერმანიის საგამომცემლო სახლი. სასამართლო პროცესები გაიმართა 2005 წლის 25 მარტს, 4 და 19 მაისს, 2, 23 და 29 ივნისს. 29 ივნისის პროცესზე სასამართლომ ექსპერტიზის ეროვნულ

ბიუროში ფოტოების შეფასების ბრძანება გასცა.

2005 წლის ივლისში მომჩივანს ეცნობა, რომ საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სასამართლოების იურისდიქციის ცვლილების გამო. მომჩივნის წარმომადგენელმა ექსპერტიზის ბიუროს მიმართა ექსპერტიზის პროგრესის თაობაზე, თუმცა მას პასუხი არ მიუღია. 2006 წლის 21 თებერვალს მან წერილი წარადგინა საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა სამართალწარმოების შესახებ განახლებული ინფორმაცია. მომჩივნის წარმომადგენლებმა აღნიშნა სამართალწარმოებაში 8-თვიანი შეფერხების თაობაზე და სასამართლოს სთხოვა, მიეთითებინა შემდეგი სხდომის თარიღი, თუმცა წერილი უპასუხოდ დარჩა. 2006 წლის 1-ელ მარტს, მომჩივნის წარმომადგენლებმა კიდევ ერთი წერილი გაგზავნეს, ამჯერად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2006 წლის 9 მარტს, პასუხად მათ ეცნობათ, რომ მომჩივნის საქმის მასალები ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში იყო. 2006 წლის 14 მარტს, მომჩივანმა კიდევ ერთხელ მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, თუმცა, კვლავ უშედეგოდ. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე არსებული საქმის მასალები შეიცავს 2005 წლის 18 აგვისტოთი დათარიღებულ წერილს, რომლის თანახმად, ექსპერტიზის ბიუროში არ მუშაობდა ხელოვნების ექსპერტი, რომელსაც შეეძლო სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ექსპერტიზის ჩატარება, ხოლო ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, მათ არ შეეძლოთ სხვა ექსპერტის დაქირავება. შესაბამისად, ექსპერტიზის ბიურომ თბილისის საქალაქო სასამართლოს აცნობა, რომ ვერ შეძლებდა მოთხოვნილი ექსპერტიზის ჩატარებას და საქმის მასალები სასამართლოს უკან დაუბრუნა. წერილზე გაკეთებული შენიშვნის მიხედვით, საქმის მასალები თბილისის საქალაქო სასამართლოს უკან დაუბრუნდა 2007 წლის 14 მარტს.

2007 წლის 14 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ განაახლა სამართალწარმოება. ორი სასამართლო პროცესის ჩატარების შემდეგ, 2007 წლის 31 ივლისს, საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი, როგორც დაუსაბუთებელი. 2007 წლის 14 სექტემბერს მომჩივანმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. მომჩივნის განცხადებით, 2008 წელს ჩატარდა სულ მცირე, 5 სასამართლო პროცესი, 2009 წელს კიდევ 5, ხოლო 2010 წელს 10 სასამართლო სხდომა. მომჩივანმა ვერ მიუთითა სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა, თუმცა როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სხდომები გადადო რამდენიმე საფუძველზე დაყრდნობით. 2008 წლის 5 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ფოტოსურათების ტექნიკური შესწავლის ბრძანება გასცა. შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, 2009 წლის 29 დეკემბერს, მომჩივნის წარმომადგენლებმა შუამდგომლობა წარადგინეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვეს 2-თვიანი შესვენება, რათა უზრუნველყოთ ფოტოების დამატებითი ტექნიკური გამოკვლევა გერმანიაში. 2009 წლის 22 იანვრის სხდომაზე, მათ გაიმეორეს თავიანთი მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ გადადო სასამართლო პროცესი 2009 წლის 30 იანვრამდე და მხარეებს მორიგებისკენ მოუწოდა. 2009 წლის 12 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა საქმის განხილვა და მომჩივანს ორი თვე მისცა, რათა უზრუნველყოთ გერმანიაში ექსპერტიზის ჩატარება. 2010 წელს სააპელაციო სასამართლომ კიდევ დააკმაყოფილა სხდომის გადადების თაობაზე მოთხოვნები. კერძოდ, 2010 წლის 21 იანვარს მომჩივნის მოთხოვნით სხდომა გადაიდო 2010 წლის 25 თებერვლამდე; 2010 წლის 10 და 22 ივნისის სხდომები გადაიდო მოპასუხე მხარის მოთხოვნით, რასაც დაეთანხმა მომჩივნის წარმომადგენლებიც.

მთავრობამ არ განაცხადა, რომ მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი იყო საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალება. შესაბამისად, ერთადერთი საკითხი, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უნდა შეისწავლოს არის, ნამდვილად იყო თუ არა მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი დისციპლინური სამართალწარმოება და იყო თუ არა ის ეფექტიანი თეორიულად და პრაქტიკულად მიმდინარე სამართალწარმოების დაჩქარების მიზნებისთვის.

41. პირველ ყოვლისა, სასამართლომ უკვე განიხილა ინდივიდუალური მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების ეფექტიანობა სხვა წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით და დაადგინა, რომ როდესაც დისციპლინური სანქცია ეხება მოსამართლის პირად პოზიციას, „სამართალწარმოების შედეგისკენ პირდაპირი და დაუყოვნებელი შედეგების არარსებობის პირობებში“ ის არ არის ეფექტიანი სამართალწარმოების დაჩქარების მიზნებისთვის (იხ.: *Kormacheva v. Russia*, no. 53084/99, §62, 29 იანვარი 2004; *Efimenko v. Ukraine*, no. 55870/00, §49, 18 July 2006, და *Moroz and Others v. Ukraine*, no. 36545/02, §47, 21 დეკემბერი 2006; იხ.: აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Constantin Oprea v. Romania*, no. 24724/03, §41, 8 November 2007). მოცემულ საქმეში სასამართლოს არ აქვს განსხვავებული დასკვნის გაკეთების საფუძველი. მთავრობამ ვერ წარმოადგინა ერთი მაგალითი, როდესაც პირმა ამ პროცედურის მეშვეობით შეძლო სამართალწარმოების დაჩქარება. მთავრობის მიერ წარდგენილი საქმის მასალებიდან არ იკვეთება, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგს ჰქონდა თუ არა რაიმე გავლენა თავდაპირველი სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე (იხ.: მაგალითისთვის, *Surmeli v. Germany [GC]*, no. 75529/01, §106, ECHR 2006 VII). ნებისმიერ შემთხვევაში, რელევანტური კანონმდებლობა მიუთითებს, რომ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება არ არის ხელისუფლების ორგანოს დისკრეციული ქმედებისგან დამოუკიდებელი, ვინაიდან დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების გადაწყვეტილებას შესაბამისი სასამართლოს ორგანო იღებს; პირისთვის ხელმისაწვდომი არ არის გასაჩივრების მექანიზმი, რომლითაც გაასაჩივრებს ზემოხსენებული ორგანოს გადაწყვეტილებას, რომ არ დაიწყოს მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება (იხ.: *mutatis mutandis*, *Veiss v. Latvia*, no. 15152/12, §68, 28 იანვარი 2014, and *Lukenda v. Slovenia*, no. 23032/02, § 63, ECHR 2005 X; იხილეთ აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Horvat v. Croatia*, no. 51585/99, § 41, ECHR 2001 VIII). მთავრობა სადავოდ არ ხდის, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების დადგენა შესაძლოა, გამხდარიყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

42. შეჯამებისთვის, დისციპლინური საჩივარი ვერ ჩაითვლება ეფექტიანად კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით. შესაბამისად, მთავრობამ მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, ვერ აჩვენა, რომ ეროვნულ დონეზე არსებობდა პროცედურა, რომელიც მომჩივანს შესაძლებლობას მისცემდა გაესაჩივრებინა სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობა. მთავრობამ ასევე ვერ აჩვენა, რომ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალება ეფექტიანი იყო როგორც სამართლებრივად, ასევე პრაქტიკულად. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

46. სტრასბურგის სასამართლოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამის პრეცედენ-

- ტულ სამართალზე დაყრდნობით, საქმის წარმოების ვადის გონივრული შეფასება უნდა მოხდეს საქმის გარემოებებისა და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის სირთულე, მომჩივნისა და შესაბამისი ორგანოების ქცევა და აგრეთვე, აღნიშნულ დავაში რა დგას სასწორზე მომჩივნისთვის (იხ.: სხვა საქმეებთან ერთად, *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [didi palata], no. 76943/11, §143, 29 ნოემბერი 2016; *Frydlender v. France* [დიდი პალატა], no. 30979/96, § 43, ECHR 2000-VII; და *Comingersoll S.A. v. Portugal* [დიდი პალატა], no. 35382/97, §19, ECHR 2000 IV).
47. რაც შეეხება მოცემული საქმის გარემოებებს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალწარმოება, რომელიც დაიწყო 2005 წლის 24 იანვარს და დასრულდა 2011 წლის თებერვალში, მიმდინარეობდა ექვს წელზე მეტი დროით, სასამართლოს სამ დონეზე. შემდგომში მან აღნიშნა, რომ სადავო სამართალწარმოება არ შეიძლება მიჩნეული იყოს განსაკუთრებულად რთულად. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე საკუთარი ბუნებით არ მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიას, რომელიც მოითხოვს დაჩქარებას (იხ.: *Surmeli*, ციტირებული ზემოთ, §133, ECHR 2006 VII) მომჩივნის ასაკის გათვალისწინებით, იგი მაინც მოითხოვდა გონივრულად დაჩქარებული გადაწყვეტილების მიღებას (შედარებისთვის, *Pantaleon v. Greece*, no. 6571/05, §25, 10 მაისი 2007).
48. რაც შეეხება მხარეთა ქმედებას, როგორც საქმის მასალებიდან და მხარეების ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობას ორმა ძირითადმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: პირველი ინსტანციის სასამართლოში 2005 წლის ივნისიდან 2007 წლის ივნისამდე, ორნლიანმა უმოქმედობის პერიოდმა; და გაჭიანურებულმა სააპელაციო საქმის წარმოებამ 2007 წლის სექტემბრიდან 2010 წლის ივლისამდე, როდესაც სხდომა მრავალჯერ გადაიდო.
49. ევროპული სასამართლო მოკვლევას დაიწყო სააპელაციო სამართალწარმოებიდან. საქმის მასალების თანახმად, მისი გაჭიანურება, სხვა საკითხებთან ერთად, მოხდა გადადებასთან დაკავშირებით მომჩივნის განცხადებების გამო, რომლებიც არაერთი იყო. მომჩივანი ერთ-ერთი განცხადების საფუძველზე ითხოვდა გერმანიაში ექსპერტიზის ჩატარებას. მომჩივანს არ მიუთითებია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უმოქმედობის რაიმე მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ. რაც შეეხება მოპასუხე მხარეების მიერ შეტანილ განცხადებებს სხდომის გადადების შესახებ, ისინი სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის ცალსახა თანხმობის გათვალისწინებით, მათ შორის, მორიგების ხელშესაწყობად. ასეთ გარემოებებში, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების ეტაპზე გაჭიანურება არ შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ მომჩივნის ქმედებას, იგი ასევე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მთავრობის წინააღმდეგ (შედარებისთვის *Johanna Frohlich v. Germany*, no. 16741/16, §41, 24 იანვარი 2019). ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლოს ვერ მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობის თუ ეროვნული ხელისუფლების საერთო ქმედების შესახებ. ზემოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა საკმარისად ვერ დაასაბუთა მისი განცხადებები, რომ სააპელაციო სამართალწარმოების გაუმართლებელი ხანგრძლივობა მოპასუხე სახელმწიფოს ქმედებებით იყო განპირობებული.
50. რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების შეფერხება არ იყო მომჩივნისა და მისი წარ-

მომადგენლების ბრალეულობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაკვირვების შედეგად ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო განემარტა ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მარცხი, ჩაეტარებინა მოთხოვნილი ექსპერტიზა და თუ რა გავლენა მოახდინა ამან პროცესის შეფერხებაზე, ამკარაა, რომ საქმის წარმოების ამ ეტაპზე თითქმის ორი წლის განმავლობაში შეჩერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთავრობას, რა როლიც არ უნდა ჰქონოდა ამაში ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მაშინაც კი როდესაც სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თავისუფალი საქმის გადაწყვეტის პრინციპის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მხარეთა პასუხისმგებლობას საქმის წარმოებაზე, სახელმწიფოს ეკისრება სასამართლო სისტემის მონყობა ისე, რომ დაცული იყოს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნა (იხ.: *Erfar Avet v. Greece*, no. 31150/09, §58, 27 მარტი 2014, სხვა მითითებებთან ერთად; ასევე იხ. *Gisela Muller v. Germany*, no. 69584/01, §86, 6 ოქტომბერი, 2005). ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც აუცილებელია ექსპერტთა თანამშრომლობა ან/და ჩართულობა, ეროვნული სასამართლოების პასუხისმგებლობაა უზრუნველყონ, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა არ იყოს გადაჭარბებული (იხ. *Johanna Frohlich*, ციტირებული ზემოთ, §42 სხვა მითითებებთან ერთად; იხ.: ასევე, *Stojanov v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 34215/02, §60, 31 მაისი 2007 და *Ziaja v. Poland* (განჩინება) [კომიტეტი], no. 45751/10, § 44, 16 მაისი 2019)).

51. წინამდებარე საქმეში, პირველი ინსტანციის სასამართლოს ქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც გულმოდგინე, მას შემდეგ, რაც ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს გადაეგზავნა მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. მთავრობისგან ახსნა-განმარტების არარსებობის გამო, გაუგებარია პირველი ინსტანციის სასამართლომ ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსგან მიიღო თუ არა წერილი, რომლითაც იგი აცნობებდა მას, რომ ჩაატარებდნენ მოთხოვნილ ექსპერტიზას და თუ მიიღო როდის. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ორწლიანმა უმოქმედობამ ან ექსპერტიზის სხვა დაწესებულებაში ჩატარების მოთხოვნის ორწლიანმა შეუსრულებლობამ გამოიწვია სამართალწარმოების ორი წლით შეჩერება.
52. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საქმე შესაბამის პერიოდში თბილისის საოლქო სასამართლოდან გადაეცა ახალ შექმნილ თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამ თვალსაზრისით, მას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს სასამართლო სისტემის სტრუქტურული რეფორმა, რომელიც იმ დროისთვის საქართველოში მიმდინარეობდა (იხ.: *Kvantaliani*, ციტირებული ზემოთ; § 29; შედარებისთვის *O’Leary v. Ireland* (განჩინება) [კომიტეტი], no. 45580/16, §41, 14 თებერვალი 2019). მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ვერ იქნება ორწლიანი სრული უმოქმედობის საპატიო მიზეზი, რადგან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყოველთვის ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ეროვნული სასამართლოების მონყობა ისე, რომ დაცული იქნეს ყველას უფლება „გონივრულ ვადაში“ გადაწყდეს მისი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (იხ. *Kharitonashvili v. Georgia*, no. 41957/04, § 44, 10 თებერვალი 2009, and *G.H. v. Austria*, no. 31266/96, § 20, 3 ოქტომბერი 2000). ამ ფონზე, პირველი ინსტანციის სასამართლოში სრული უმოქმედობა რომელიც საერთო ჯამში ორ წელიწად-ნახევარი გაგრძელდა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.
53. მთავრობამ მიუთითა მომჩივნის მიერ შეტანილ წინა ორ საჩივართან დაკავშირე-

ბით სტრასბურგის სასამართლოს დაუშვებლობის შესახებ გადანყვეტილებებზე (იხ. *Schrade v. Georgia*, no. 9289/08, 2 თებერვალი 2016, და *Schrade v. Georgia*, no. 52240/07, 26 აპრილი 2016). ამ შემთხვევებზე, სამართალწარმოება გაგრძელდა შედარებით ნაკლები დრო (პირველ შემთხვევაში ოთხ წელიწადზე ნაკლები და მეორე შემთხვევაში ოთხი წელი და ოთხი თვე) განმეორებითი განხილვის რამდენიმე ეტაპით, სადაც მომჩივანმა ასევე ხელი შეუწყო მათ საერთო ხანგრძლივობას. უფრო მეტიც, რაც შეეხება მეორე საქმეს, იგი განსხვავდებოდა ასევე იმით, თუ რა იდგა სასწორზე მომჩივნისთვის (მაშინ როცა ის შეეხებოდა ერთი ფოტოსურათის უკანონო რეპროდუქციას, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა 57 ფოტოსურათის 152 რეპროდუქციას). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე არსებითად განსხვავებულია.

54. დაბოლოს, 46-ე პარაგრაფში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო გადაჭარბებული და ვერ დააკმაყოფილა „გონივრული ვადის“ მოთხოვნა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

41-ე მუხლი

სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 600 ევრო მიაკუთვნა.

თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ

Tortladze v. Georgia

საჩივარი №42371/08

გადაწყვეტილება

18 მარტი, 2021 წელი

ფაქტები

მომჩივანი ერმილე თორთლაძე, 1964 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში. ის საქართველოში კოტ დ'იუვარის საპატიო კონსული იყო.

საქმის მასალების თანახმად, 2005 წელს დააპატიმრეს კოტ დ'იუვარის საკონსულოს უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელმაც დაკითხვისას მომჩივანი (კოტ-დ'იუვარის იმჟამინდელი საპატიო კონსული საქართველოში) დაასახელა, როგორც ნარკორეალიზატორი და დაადასტურა, რომ იმავე დღეს საკონსულოს შენობაში თორთლაძისგან თორმეტ-ნახევარი აბი სუბუტექსი შეიძინა. იმავე დღეს პოლიციამ საკონსულოში ჩხრეკა ჩაატარა. ჩხრეკის ორდერში არ იყო მითითებული თუ რა ნივთები უნდა მოეძებნა პოლიციას და აგრეთვე, ის არ შეიცავდა არც რაიმე სხვა ინფორმაციას საგამოძიებო ღონისძიებასთან მიმართებით. ოქმის თანახმად, თორთლაძის სეიფიდან და მაგიდიდან ამოღებულ იქნა 227 აბი სუბუტექსი, შვიდი ამჟღავნებელი მორფინის ჰიდროქლორიდი და იარაღის რამდენიმე ვაზნა. იმავე დღეს პოლიციამ მისი მანქანა და ბინა გაჩხრიკა. ბინიდან იარაღი და რამდენიმე ვაზნა ამოიღეს. მომჩივანი იმავე დღესვე დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერად ცნო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. მომჩივანს ბრალი წარედგინა ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულის გამო. 2006 წელს მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მას 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეს ვადა 17 წლამდე შეამცირა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის მსგავსად ძალაში დატოვა მომჩივნის მსჯავრდება და უარყო მომჩივნის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ის იმუნიტეტით სარგებლობდა.

2008 წლის 18 თებერვალს, უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად ცნო. სასამართლომ მიუთითა სისხლის საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებაზე და აღნიშნა, რომ „საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; გადაწყვეტილება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ იყო განხილული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.“

სასამართლოს შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანმა საჩივარი წარადგინა კონვენციის მე-3, მე-6 და მე-8 მუხლზე დაყრდნობით. ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან მომჩივანმა არ დაიცვა სასამართლოსათვის მიმართვისთვის დადგენილი 6-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.

რაც შეეხება მომჩივნის საჩივრებს კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების საფუძველ-

ზე. მომჩივანი ასაჩივრებდა საკონსულოს შენობაში ჩატარებული ჩხრეკის კანონიერებას და იმ ფაქტს, რომ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ ამ ჩხრეკის დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს. დამატებით, ის დავობდა, რომ უზრუნველყოფილი არ იქნა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო სამართლის საკითხებთან დაკავშირებული მისი საჩივარი.

კონვენციის მე-8 მუხლი

(i) ზოგადი პრინციპები

55. იმისათვის, რომ მომჩივნის „ოჯახურ“ ან „პირად ცხოვრებაში“ ჩარევა მიჩნეულ იქნეს მე-8 მუხლის შესაბამისად, ის „გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით,“ უნდა ემსახურებოდეს „ლეგიტიმურ მიზანს“ და „აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ.: მაგალითისთვის, *Paradiso and Campanelli v. Italy* [GC], no. 25358/12, §167, 24 იანვარი, 2017; *Roman Zakharov v. Russia* [GC], no. 47143/06, §227, ECHR 2015; *Saint-Paul Luxembourg S.A. v. Luxembourg*, no. 26419/10, § 40, 18 აპრილი, 2013; და *Kennedy v. the United Kingdom*, no. 26839/05, §130, 18 მაისი, 2010).
56. სიტყვები „გათვალისწინებული იყოს კანონით“ მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიებას საფუძველი ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობაში და შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას, რაც ცალსახად არის მოხსენიებული კონვენციის პრეამბულაში და კონვენციის მე-8 მუხლის მიზნის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, კანონმა უნდა დააკმაყოფილოს ხარისხის მოთხოვნები: ის უნდა იყოს პირისთვის ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი შედეგებთან მიმართებით (იხ.: *Roman Zakharov*, cited above, §§ 228-230).
57. რაც შეეხება „ლეგიტიმური მიზნის“ მოთხოვნას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ „ლეგიტიმურ მიზნად“ არის მიჩნეული „ფიზიკური მტკიცებულების აღმოჩენა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სერიოზული დანაშაულის გამოძიებას,“ ვინაიდან ის ემსახურება საზოგადოების უსაფრთხოების, დანაშაულის პრევენციისა და სხვათა უფლებების დაცვის ინტერესებს (იხ.: მაგალითისთვის, *K.S. and M.S. v. Germany*, no. 33696/11, § 43, 6 ოქტომბერი, 2016, და *Smirnov v. Russia*, no. 71362/01, §40, 7 ივნისი, 2007).
58. „აუცილებლობის“ ცნება გულისხმობს, რომ ჩარევა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს (იხ.: *Camenzind v. Switzerland*, 16 დეკემბერი 1997, §44, Reports 1997-VIII). რაც შეეხება ჩხრეკას, ამოღებას და მსგავს ღონისძიებებს (ძირითადად, გარკვეული დანაშაულების მტკიცებულების მოპოვების კონტექსტში), სასამართლო შეაფასებს, ამგვარი ღონისძიების გამოყენებისთვის წარმოდგენილი მიზეზები, იყო თუ არა რელევანტური და საკმარისი და დაცული იქნა თუ არა პროპორციულობის პრინციპი (იხ.: მაგალითისთვის, *Camenzind*, § 45, იხ., აგრეთვე *K.S. and M.S., v. Germany*, §43). რაც შეეხება ამ უკანასკნელ საკითხს, პირველ ყოვლისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა ინდივიდებს აღჭურავს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიებით უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ; მიუხედავად ამ სფეროში სახელმწიფოთათვის მიკუთვნებული შეფასების ფართო ფარგლებისა, [აღნიშნული ფარგლები] განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ხელისუფლების ორგანოები ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილი არიან ჩხრეკა სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარონ (იხ.: *Gutsanovi v. Bulgaria*, no. 34529/10, § 220, ECHR 2013 (extracts)). მეორე, სასამართლომ უნდა

განხილოს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებები, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, დანაშაულის სიმძიმე, ჩხრეკის ორდერის გამოცემის ფორმა და გარემოებები, იმ დროისთვის სხვა მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა, ორდერის შინაარსი, ჩხრეკის შედეგად პირის რეპუტაციაზე სავარაუდო უარყოფითი გავლენის მოცულობა (იხ.: Smirnov, § 44; Camenzind, §§ 45-46; და K.S. and M.S. v. Germany, § 44; იხ. აგრეთვე, Misan v Russia, no. 4261/04, § 55, 2 ოქტომბერი 2014, Buck v. Germany, no. 41604/98, §45, ECHR 2005-IV).

(ii) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

1) ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას?

59. მხარეთა შორის დადგენილია, რომ საკონსულოს შენობაში ჩხრეკის ჩატარება წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მომჩივნის უფლებებში ჩარევას. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რათა სხვა რამ დაადგინოს (იხ.: odestou v. Greece, no. 51693/13, § 29, 16 მარტი 2017; Saint-Paul Luxembourg S.A., §§ 37 and 39; Wieser and Bicos Beteiligungen GmbH v. Austria, no. 74336/01, § 43, ECHR 2007-IV; Panteleyenko v Ukraine, no. 11901/02, §47, 29 ივნისი 2006). შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს ჩარევა, იყო თუ არა გამართლებული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

2) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული?

60. რაც შეეხება საკითხს, იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული, სასამართლო აცხადებს, რომ ჩხრეკა განხორციელდა სისხლის სამართლის გამოძიების კონტექსტში, რომელიც დაიწყო უკანონო ნარკოტიკული საშუალებების შენახვისა და გასაღების ბრალდებასთან დაკავშირებით. „გადაუდებელ შემთხვევაში“ ჩხრეკა რეგულირებული იყო იმ დროს ძალაში მყოფი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლით და 290-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით. ამრიგად, ჩხრეკა გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით. რაც შეეხება მომჩივნის არგუმენტს, რომ ჩხრეკა არღვევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლს, რადგან ის განხორციელდა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ დებულებაში ნათლად იყო მითითებული, რომ ის აწესრიგებდა ჩხრეკის პროცედურას დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, შესაბამისად, ის არ გამოიყენებოდა მომჩივნის საქმეზე.

61. რაც შეეხება ჩხრეკის შესაბამისობას საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მოთხოვნებთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღებით შეისწავლეს კონსულის იმუნიტეტთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის რელევანტური პრინციპები და მომჩივნის არგუმენტებს დასაბუთებული პასუხები გასცეს. სასამართლო ამასთან კავშირში უთითებს ვენის კონვენციის მოსამზადებელ სამუშაოებზე, რომლის თანახმად არსებობს საკონსულოს თანამდებობის პირთა ორი კატეგორია, კერძოდ, შტატის საკონსულო თანამდებობის პირები და საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები. პრივილეგიებსა და იმუნიტეტებთან მიმართებით მათ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი აქვთ. საპატიო კონსულები, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, არ სარგებლობენ რაიმე სხვა იმუნიტეტით, გარდა მათი ფუნქციის შესრულების დროს განხორციელებულ ოფიციალურ ქმედებებთან მიმართებით. რაც შეეხება საკონსულოს ტერიტორიას, რომელსაც ხელ-

- მძღვანელობს საპატიო კონსული, უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის პირველადი პროექტის ტექსტი უზრუნველყოფდა აღნიშნული ტერიტორიის ხელშეუხებლობას, თუკი ისინი გამოყენებული იყო საკონსულო ფუნქციების განსახორციელებლად, აღნიშნული ჩანაწერი საბოლოოდ ამოღებულ იქნა.
62. ზემოხსენებული ამონარიდებისა და ვენის კონვენციის შესაბამისი მუხლების, კერძოდ 31-ე, 58-ე, 59-ე და 71-ე მუხლების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნები კონსულის იმუნიტეტის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან დაკავშირებით დასაბუთებული და გონივრული იყო.
63. ეჭვგარეშეა, რომ ჩხრეკა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ დანაშაულის პრევენციასა და სხვათა უფლებების დაცვას (იხ.: *Modestou*, § 39, *K.S. and M.S. v. Germany*, § 36, *Gerashchenko*, § 128, და *Smirnov*, § 40). ამრიგად, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ ამასთან კავშირში სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მომჩივნის მტკიცებაზე, რომ არ არსებობდა ადეკვატური გარანტიები და უზრუნველყოფილი არ იყო საკმარისი დაცვა თვითნებობის წინააღმდეგ.
64. სასამართლო განხილვას იწყებს ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილებიდან. მოცემულ საქმეში ჩხრეკა განხორციელდა მოსამართლის ბრძანების გარეშე, 2005 წლის 25 აგვისტოს შესაბამისი პოლიციის განყოფილების უფროსის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი არ მიუთითებდა შესაბამის ფაქტებზე და არ იყო შედგენილი განსაზღვრული პირობებით. არ იყო მითითებული თუ რა ნივთები უნდა მოეძებნა პოლიციელებს, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებები; არ იყო მოცემული ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასა და საკონსულოს შენობას შორის შესაძლო კავშირზე (შეადარეთ *Modestou*, §46). გარდა ამისა, ორდერი არ მიუთითებდა გადაუდებელ აუცილებლობაზე, რაც სასამართლოს ბრძანების გარეშე ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელი იყო. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეში მოსამართლის განჩინების (სასამართლოს წინასწარი ნებართვის) არარსებობა განსაკუთრებით პრობლემურია. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოები სათანადოდ მიიჩნევდნენ, გაერკვიათ საკონსულოს შენობის სტატუსი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჩხრეკის დღეს, ჩხრეკის ჩატარებამდე. თუმცა, იმავე პერიოდში, მათ, გაურკვეველი მიზეზებით, ვერ უზრუნველყვეს ჩხრეკის ჩასატარებლად სასამართლოს განჩინების მოპოვება. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მთავრობამ ვერ შეძლო გაემართლებინა, თუ რატომ იქნა მოცემული საქმის გარემოებებში გამოყენებული გადაუდებელი აუცილებლობის პროცედურა (შეადარეთ, *Dragos Ioan Rusu v. Romania*, no. 22767/08, §41, 31 ოქტომბერი 2017).
65. ამავდროულად, სასამართლო ვერ უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ ჩხრეკას თანახლდა არაერთი პროცედურული გარანტია. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ჩხრეკის დროს იმყოფებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელსაც საგამოძიებო ღონისძიებაზე სრულად დასწრების ნებართვა მიეცა. ჩხრეკა ჩაწერილ იქნა ვიდეოზე, რომელიც სასამართლოს წინაშე აჩვენეს; და ჩხრეკას ესწრებოდა მომჩივანი. ასევე, მომჩივანი არცერთ ეტაპზე არ დავობდა, რომ ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა რაიმე ნივთი, განსაკუთრებით რომელიც დაკავშირებული იყო მის სამსახურთან (შეადარებისთვის, *Smirnov*, §48).
66. რაც შეეხება სასამართლო განხილვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩხრეკის ჩა-

ტარების თაობაზე მოსამართლის განჩინების (წინასწარი ნებართვის) არარსებობა შესაძლოა დაბალანსდეს *ex post factum* სასამართლო განხილვის ხელმისაწვდომობით (იხ., *Heino v. Finland*, no. 56720/09, § 45, 15 თებერვალი 2011). თუმცა, სასამართლო განხილვა ეფექტიანი უნდა იყოს (იხ., *Smirnov*, § 45 *in fine*). მოცემულ საქმეში, ეს *post factum* სასამართლო განხილვა ჩატარდა დროულად, 2005 წლის 26 აგვისტოს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მან კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების სამართლიანობის განხილვის კონტექსტში, საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში დაადგინა, რომ ჩხრეკის შემდგომი სასამართლო განხილვა არ იყო ადეკვატური და საკმარისი ჩხრეკის გარემოებების დადგენისთვის (იხ.: *Kobiashvili v. Georgia*, no. 36416/06, §§ 67-69, 14 მარტი 2019, და *Megrelishvili v. Georgia [Committee]*, no. 30364/09, §§ 35, 7 მაისი 2020). სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე იმავე დასკვნა უნდა გაკეთდეს. ამრიგად, ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ შეაფასა ჩხრეკის გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა (იხ.: *Stoyanov and Others v. Bulgaria*, no. 55388/10, § 130, 31 მარტი 2016). ეროვნულ სასამართლოს აგრეთვე არ შეუფასებია, იყო თუ არა ჩხრეკა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და იყო თუ არა ის პროპორციული (შეღებებისთვის *Doroż v. Poland*, no. 71205/11, § 28, 29 ოქტომბერი 2020; იხ.: აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Hambardzumyan v. Armenia*, no. 43478/11, § 46, 5 დეკემბერი 2019, და *Zubkov and Others v. Russia*, nos. 29431/05 and 2 others, §§ 97-98, 7 ნოემბერი 2017). თუმცა, ეროვნულ სასამართლოს მოეთხოვებოდა ზემოხსენებულის განხილვა, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი ცალსახად ადგენდა, რომ უნდა შეფასებულიყო მოსამართლის ბრძანების გარეშე განხორციელებული ჩხრეკის და ამოღების კანონიერება და დასაბუთებულობა (შეღებებისთვის *Ivashchenko v. Russia*, no. 61064/10, § 89, 13 თებერვალი 2018).

67. მომჩივანმა მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში გაასაჩივრა ჩხრეკის კანონიერება. სასამართლო აცხადებს, რომ მართალია, ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს ჩხრეკის კანონიერება, თუმცა მათ არ უმსჯელიათ ასეთი ჩარევის პროპორციულობაზე.
68. ყოველივე ზემოხსენებულის, კერძოდ, „გადაუდებელი აუცილებლობის პროცედურის“ ხარვეზებისა და ადეკვატური და ეფექტური სასამართლო განხილვის არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონსულოს შენობის ჩხრეკას თან არ ახლდა სათანადო და საკმარისი გარანტიები. შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონვენციის მე-6 მუხლი

(i) ზოგადი პრინციპები

69. სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Bykov v. Russia [GC]*), no. 4378/02, §§ 88-93, 10 March 2009) შეაჯამა ზოგადი პრინციპები, რომლებიც ეხება სამართალწარმოების სამართლიანობას, როდესაც საკითხი უკავშირდება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას. კერძოდ, იმის განსასაზღვრად, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, ასევე გასათვალისწინებელია, დაცული იქნა თუ არა დაცვის მხარის უფლებები. უფრო კონკრეტულად, უნდა დადგინდეს, მიეცა თუ არა მომჩივანს მტკიცებულების ნამდვილობისა და მისი გამოყენების გასაჩივრების შესაძლებლობა. დამატებით, გასათვალისწინებელია მტკიცებულების ხარის-

ნი, მათ შორის, მისი მოპოვების გარემოებები და რამდენად წარმოშობს ეჭვებს ეს გარემოებები მის სანდობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობასთან დაკავშირებული პრობლემა აუცილებლად არ ნამოიჭრება, როდესაც მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება მყარია და მის სანდობასთან მიმართებით არ არსებობს რისკები, დამატებითი მტკიცებულების საჭიროება, შესაბამისად, მცირეა (იხ.: *ibid.* § 90; იხ.: აგრეთვე, *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, § 49, 25 February 2010; *Gäfgen v. Germany* ([GC], no. 22978/05, § 162-165, ECHR 2010; *Prade v. Germany*, no. 7215/10, § 33-34, 3 მარტი, 2016 და *Kobiashvili*, §§ 56-58).

70. სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები სასამართლომ ახლახანს შეაჯამა საქმეზე ზუბაჩი ხორვატიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Zubac v. Croatia* ([GC]), no. 40160/12, §§ 76-99, 5 April 2018; see also *Chong Coronado v. Andorra*, no. 37368/15, § 32, 23 July 2020).

(ii) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი ორ საკითხს უკავშირდებოდა: პირველი, რომ მომჩივნის მსჯავრდება არასამართლიანი იყო, ვინაიდან ის ეფუძნებოდა უკანონო ჩხრეკის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას და მეორე, რომ უზენაესმა სასამართლომ თვითნებურად შეზღუდა საკასაციო ინსტანციაზე მისი ხელმისაწვდომობა. სასამართლო საჩივრის ორივე ასპექტს ცალ-ცალკე განიხილავს.

1) სამართალწარმოების არასამართლიანობასთან დაკავშირებული საჩივარი იმ საფუძველით, რომ დასაშვებად იქნა ცნობილი და გამოყენებული საკონსულოს შენობის ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება

72. სასამართლომ სხვადასხვა საქმეზე უკვე დაადგინა, ის ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ მტკიცებულებას, რომლებიც მიიჩნეოდა, რომ უკანონოდ იყო მოპოვებული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის, წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში უზრუნველყოფილ სამართლიანობის მოთხოვნებთან (იხ.: *Bykov*, cited above, §§ 94-98; იხ.: აგრეთვე, *Khan v. the United Kingdom*, no. 35394/97, §§ 34-40, ECHR 2000-V; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. 44787/98, §§ 76-81, ECHR 2001-IX; *Valentino Acatrinei v. Romania*, no. 18540/04, §§ 73-77, 25 June 2013; და *Hambardzumyan*, §§ 78-81). რაც შეეხება მოცემულ საქმეს, სასამართლო ბიკოვის საქმეში დადგენილი რელევანტური პრინციპების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ მომჩივანს მიეცა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების კანონიერებისა და ნამდვილობის გასაჩივრების შესაძლებლობა შეჯიბრებით სამართალწარმოებაში პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე. მართალია, ჩხრეკის შემდეგი სასამართლო განხილვა არასაკმარისი და არაადეკვატური იყო (იხ.: მე-8 მუხლთან დაკავშირებული მსჯელობა 66-ე პარაგრაფში), თუმცა, მტკიცებულების სანდობასა და მისი მოპოვების გარემოებებთან დაკავშირებით, მომჩივნის არგუმენტები სასამართლოებმა განიხილეს და არ გაითვალისწინეს დასაბუთებული გადაწყვეტილებით მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მიმდინარეობის ფარგლებში. ამასთან კავშირში სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ დაერღვა დაცვის მხარის უფლებები.

73. რაც შეეხება მტკიცებულების ხარისხს, ჩხრეკის გარემოებებთან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საკონსულოს შენობის ჩხრეკა მოცემულ საქმეში გამოიწვია ა.ი.-ს მიერ მიცემულმა მამხილებელმა ჩვენებამ. აღნიშნული პირი დაიკითხა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს წინაშე, დაცვის მხარის მონაწილეობით. ამ თვალსაზრისით მოცემული საქმე განსხვავდება საქართველოს წინააღმდეგ არსებული სხვა საქმეებისგან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა, რომელიც არ იქნა გამოკვლევითი ეროვნული სასამართლოების მიერ, თვითნებობით ხასიათდებოდა (იხ.: Kobiashvili, §§ 61-65 and Megrelishvili, § 33; da Bakradze v. Georgia [Committee], no. 21074/09, § 26, 10 დეკემბერი, 2020). გარდა ამისა, საკონსულოს შენობის ჩხრეკის გარემოებები დასტურდებოდა ვიდეოჩანაწერით და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებებით. სასამართლო პრობლემურად მიიჩნევს, რომ ჩხრეკა ჩატარდა იმ ფორმით, რაც გამორიცხავდა ამოღებული მტკიცებულების შემდგომ დაქტილოსკოპურ გამოკვლევას. ის მიიჩნევს, რომ პოლიციას უნდა გამოეჩინა ადეკვატური სიფრთხილე, რათა თავიდან აერიდებინა მტკიცებულების სავარაუდო დაზიანება.

უფრო მეტიც, ნარკოტიკული ნივთიერებები ამოღებული იქნა სეიფიდან და მომჩივნის სამუშაო მაგიდიდან.

74. და ბოლოს, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ამოღებული ნივთიერება არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რასაც დაეფუძნა მსჯავრდება. მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინეს ა.ი.-ს მიერ მიცემული მამხილებელი ჩვენება. ამ უკანასკნელმა მომჩივნის წინააღმდეგ წინასასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება გაიმეორა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე. მომჩივნის მსჯავრდება ეფუძნებოდა კიდევ რამდენიმე მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა გამოკვლევითი, კერძოდ, ჩხრეკის ვიდეოჩანაწერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას და ჩხრეკის განმარტაციული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს.

75. ამ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ეჭვქვეშ არ აყენებს მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოების სამართლიანობას მთლიანობაში.

76. შესაბამისად, ამ კუთხით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

2) უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობა

77. რაც შეეხება მომჩივნის საჩივარს, რომ მას უარი ეთქვა უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, სასამართლო იმეორებს, რომ იმავე საკითხი საქართველოს პროცედურული კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონტექსტში უკვე განიხილა და დაადგინა, რომ ის შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (იხ.: Kadagishvili v. Georgia, no. 12391/06, § 175, 14 მაისი, 2020; Kobiashvili, § 76; Kuparadze v. Georgia, no. 30742/09, §§ 75-77, 21 სექტემბერი, 2017; და Tchaghiashvili v. Georgia (dec.), no. 19312/07, § 34, 2 სექტემბერი, 2014). წინამდებარე საქმეში, მომჩივნის განცხადებით, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც უზენაესი სასამართლო მიეცა შესაძლებლობა განეხილა კონსულის იმუნიტეტთან დაკავშირებული საკითხი და ამდენად, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის, მნიშვნელო-

ვანი იყო საკასაციო სასამართლოს დასაშვებად ეცნო საჩივარი და განეხილა საქმის არსებითი მხარე. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საქმის არსებითი მხარე განხილულ იქნა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ სრულად შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის რელევანტური არგუმენტები განხილულ იქნა ქვედა და ორი ინსტანციის სასამართლოების მიერ, სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივნის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა ვერ იქნება მიჩნეული დაუსაბუთებლად და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე დანესებულ არაპროპორციულ შეზღუდვად. სადავო საკითხს აგრეთვე, არ წამოჭრის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინებაში უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი შეზღუდული დასაბუთება, რომლითაც მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი (იხ.: სხვა საქმეებს შორის, *Nersesyan v. Armenia* (dec.), no. 15371/07, §§ 23-24, 19 იანვარი, 2010; *Kukkonen v. Finland* (no. 2), no. 47628/06, § 24, 13 January 2009; *Wnuk v. Poland* (dec.), no. 38308/05, 1 სექტემბერი, 2009; *Marini v. Albania*, no. 3738/02, § 106, ECHR 2007-XIV (extracts), და *Jaczkó v. Hungary*, no. 40109/03, § 29, 18 July 2006).

78. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მომჩივნის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს.

41-ე მუხლი

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის გარემოებებში, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მომჩივანმა დარღვევის შედეგად განიცადა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების თვალსაზრისით განეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მიზნით, სასამართლომ მომჩივანს 2000 ევრო მიაკუთვნა.

ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Tlashadze and Kakashvili v. Georgia

საჩივარი №41674/10

გადაწყვეტილება

25 მარტი, 2021 წელი

ფაქტები

წინამდებარე საქმეში პირველი მომჩივანი არის 1962 წელს დაბადებული, გორში მცხოვრები, საქართველოს მოქალაქე. მეორე მომჩივანი დაბადებულია 1959 წელს და ცხოვრობს სოფელ რუისში.

2009 წლის 15 ივნისს, გორის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა განყოფილების უფროსის მოადგილის სახელზე მოამზადა წერილობითი მოხსენება, სადაც უთითებდა, რომ მიღებული „ოპერატიული ინფორმაციის“ თანახმად, პირველი მომჩივანი „გორკის ქუჩაზე სეირნობდა და ფიზიკურად ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა.“ პირველი მომჩივანის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, 2009 წლის 15 ივნისის საღამოს, პირველი მომჩივანი გააჩერა სამმა პოლიციელმა (G.N., G.V., D.S.). ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მომჩივანმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია. ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი იქნა ვერცხლისფერი პატარა პაკეტი, რომელშიც მოთავსებული იყო ნახევარი ტაბლეტი (შემდგომში დადასტურდა, რომ ის შეიცავდა ნამალს სახელმწოდებით ბუპრენორფინი). ჩხრეკის ოქმს ხელს აწერდნენ G.V. და D.S. და აღნიშნული იყო, რომ პირველმა მომჩივანმა დაუდგენელი მიზეზებით უარი განაცხადა ხელმოწერაზე. პირველ მომჩივანს ბრალი დაედო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შექმნასა და შენახვაში სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ბრალდება და მოგვიანებით გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა ა) ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს; ბ) იმ პოლიციელთა ჩვენებებს, რომლებიც ჩხრეკისა და დაკავების ოპერაციებს ასრულებდნენ; და გ) ექსპერტის მოსაზრებას, რომელიც ადასტურებდა, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერება ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინი იყო.

რაც შეეხება მეორე მომჩივანს, 2009 წლის 17 ივნისს, ქარელის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილემ განყოფილების უფროსის სახელზე მოამზადა მოკლე მოხსენება, სადაც უთითებდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მეორე მომჩივანი ფლობდა მაკაროვის ტიპის იარაღს, რომელსაც ის „ხშირად თან ატარებდა.“ მეორე მომჩივანის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 მუხლების საფუძველზე იარაღის უკანონოდ შექმნა, შენახვა და ტარებისთვის.

მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, რომელიც ეფუძნება 2009 წლის 17 ივნისს, მომჩივანის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებს, მეორე მომჩივანი დააკავა სამმა პოლიციელმა, კერძოდ L.K., G.T. და N.M-მ. მეორე მომჩივანს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის საფუძველზე ბრალი დაედო და დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონო შექმნა, შენახვასა და ტარებაში.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ ჩატარებული ჩხრეკები არაკანონიერი იყო და რომ ნარკოტიკული საშუალება და იარაღი მათ პოლიციელებმა ჩაუდეს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გაითვალისწინეს მათი არგუმენტები, რომლებითაც სადავოდ ხდიდნენ მტკიცებულების სანდოობასა და გამოყენებას, რის გამოც სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. მომჩივნების საჩივარი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს.

სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

44. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეზე, ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], (№4378/02, §§ 88-90, 10 მარტი, 2009) და კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№36416/06, §§56-58, 14 მარტი, 2019).

ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

45. სასამართლომ უკვე განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობის საკითხს და დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების ფორმა წარმოშობდა ეწვებს მის სანდოობასა და სიზუსტესთან დაკავშირებით (იხ.: კობიაშვილი, ციტირებული ზემოთ, §§59-73). მტკიცებულების მნიშვნელობის, მომჩივნის პირადი ჩხრეკის დროს არსებული პროცედურული ხარვეზებისა და ჩხრეკის რეალურ გარემოებებთან დაკავშირებით არათანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოებამდე და სამართალწარმოების დროს არაადეკვატურმა სასამართლო შემოწმებამ, რაც მოიცავდა ეროვნული სასამართლოების მარცხს, საკმარისად შეესწავლა მომჩივნის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონო ნივთიერება მას არ ეკუთვნოდა, მომჩივნის სამართალწარმოება მთლიანობაში არასამართლიანად აქცია (იქვე, §73).

46. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში გარემოებები გარკვეულწილად განსხვავებულია, სასამართლოს ანალიზში არსებითი ელემენტები იგივე რჩება.

47. კერძოდ, ჩხრეკა განხორციელდა ე.წ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც როგორც საქმის მასალიდან ირკვევა, არ დაექვემდებარა ადეკვატურ სასამართლო შემოწმებას წინასასამართლო ან სასამართლო ეტაპზე და მისი სიზუსტე და სანდოობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. გარდა ამისა, ადეკვატურად არ ყოფილა ახსნილი, თუ რამ განაპირობა სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩხრეკის ჩატარების „გადაუდებელი აუცილებლობა.“ საკითხი, არსებობდა თუ არა „გადაუდებელი აუცილებლობა“ მომჩივნის საქმეზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილ მათ უფლებასთან, მოიწვიონ დამსწრე პირები, რომლებიც დაესწრებიან მათ ჩხრეკას. კერძოდ, მართალია, მოვლენათა ოფიციალური განვითარების ვერსია მიუთითებდა, რომ მომჩივნებმა უარი განაცხადეს დამსწრე პირის მონაწილეობაზე, ჩხრეკასთან დაკავშირებულ ოქმებში აღნიშნული იყო, რომ ჩხრეკა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ „გადაუდებელ შემთხვევაში.“ აღ-

ნიშნული დანაწესი ითვალისწინებდა დამსწრის გარეშე ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობას (იხ.: აგრეთვე, მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ [კომიტეტი], №30364/09, §23, 7 მაისი, 2020). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, პოლიციის თანამშრომლების ჩვენებისა და შესაბამისი ოქმების შინაარსის საფუძველზე, აღნიშნეს, რომ მომჩივნებს ეცნობა პროცედურული უფლებების შესახებ, სათანადოდ არ იქნა განხილული რეალურად არსებობდა თუ არა „გადაუდებელი აუცილებლობა“ და ამის შედეგად განპირობებული მომჩივანთა უფლებების შეზღუდვა. ამასთან კავშირში, სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც სადავოა მტკიცებულების სანდოობა, მტკიცებულების დასაშვებობის შემომხმებისთვის სამართლიანი პროცედურის არსებობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება (იხ.: ბიკოვი, ციტირებული ზემოთ, §95).

48. სასამართლო უთითებს მთავრობის არგუმენტზე, რომ ჩხრეკის გარემოებები და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობა დაექვემდებარა სასამართლო განხილვას ორი სამართალწარმოების ფარგლებში, კერძოდ, ჩხრეკის შემდგომი სასამართლო განხილვა და მომჩივანთა წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებები. ამ კონტექსტში და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნებმა არ გაასაჩივრეს სასამართლოს განჩინებები, რომლითაც ადასტურებდნენ ჩხრეკის კანონიერებას (იხ.: მეგრელიშვილი, ციტირებული ზემოთ, §35), სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მსგავსი განხილვები არ არის ადეკვატური და საკმარისი მტკიცებულების სანდოობისა და ავთენტურობის შეფასების მიზნებისთვის (იხ.: კობიაშვილი, ციტირებული ზემოთ, §§67-69).
49. რაც შეეხება სამართალწარმოებას, მომჩივნებმა ეროვნულ სასამართლოებს სთხოვეს ჩხრეკის ოქმები არ დაედასტურებინათ, როგორც უკანონო და არასანდო. ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა პირველ მომჩივანთან მიმართებით სხვა საფუძველებს შორის იმ მიზეზით, რომ ჩხრეკა, ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე დამტკიცებული იყო [სასამართლოს მიერ] (იხ.: აგრეთვე, მეგრელიშვილი, ციტირებული ზემოთ, §36). რაც შეეხება მეორე მომჩივანს, მისი განცხადება შემდგომი განხილვის გარეშე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული. სააპელაციო სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს მომჩივნებმა ხელახლა წარადგინეს ეს მოთხოვნა, თუმცა მათ უარი ეთქვათ ჩხრეკისა და დაკავების ოქმის და აგრეთვე, პოლიციის თანამშრომლების განცხადების საფუძველზე, რომლებიც ეროვნული სასამართლოების განცხადებით, ცხადყოფდა, რომ ჩხრეკის დროს ადგილი არ ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს.
50. აღსანიშნავია, რომ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შესახებ ცნობებს შეიცავდა საქმის მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ეროვნული სასამართლოებისთვის (შედარებისთვის, მეგრელიშვილი, ციტირებული ზემოთ, §36). თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია ზედაპირული და არაპირდაპირი იყო, ეროვნულმა სასამართლოები არ შეეცადნენ შეეფასებინათ, აღნიშნული დოკუმენტების ბუნება. საეჭვოა, შეძლებდნენ თუ არა სასამართლოები შეეფასებინათ შემდეგი საკითხები: გონივრული ეჭვის ხარისხი, რაც ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებს ჩხრეკის განხორციელებამდე მომჩივნების წინააღმდეგ ჰქონდათ; სამართალდამცავი ორგანოების წინასწარი ცოდნა უკანონო ნივთების ტიპთან დაკავშირებით, რასაც ისინი ეძებდნენ ან სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩხრეკის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და საჭიროება (იხ.: კობიაშვილი, ციტირებული ზემოთ, §68). უფრო მეტიც, ოპერატიული ინფორმაციის ბუნების, ნამდვილობისა და წყაროს არაადეკვატურად განხილვის გარდა, ეროვნულ

ნულმა სასამართლოებმა ვერ უპასუხეს მომჩივნების ბრალდებას, რომ მტკიცებულებები მათ ჩაუდეს.

51. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ჩხრეკის ჩატარების გარემოებები, რაც მოიცავდა მომჩივანთა დაცვის უფლებების უგულვებელყოფას, წარმოშობს ეჭვებს მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობასთან მიმართებით და რომ მომჩივნებს არ მიეცათ ეფექტიანი შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ ჩხრეკის გარემოებები და შენინააღმდეგებოდნენ აღნიშნული მტკიცებულებების გამოყენებას ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე მათ არსებით არგუმენტს არ გაეცა ადეკვატური პასუხი (შეადარეთ საქმე ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, §98).
52. შესაფასებელი რჩება – ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები იყო თუ არა გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ისინი იმ ხელისუფლების ორგანოს ნაწილი იყვნენ, რომელმაც დაიწყო მომჩივნის წინააღმდეგ საქმის წარმოება, მათ ჰქონდათ ინტერესი სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების მიმართ. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივანთა ბრალდებების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მტკიცებულებები ჩაუდეს. უფრო მეტიც, პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები არ იყო არაბუნდოვანი და მეორე მომჩივნის შემთხვევაში, სამი პოლიციის თანამშრომლიდან ორი დაიკითხა მომჩივნის საქმის წამყვანი გამომძიებლის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გამომძიებელი თავად მონაწილეობდა ჩხრეკაში. მიუხედავად ამისა, მათი ჩვენებები ავტომატურად მიღებულ იქნა როგორც ობიექტური და სანდო, მათ ჩვენებაში არსებული ბუნდოვანების ან ამასთან დაკავშირებით მომჩივანთა არგუმენტების (რაც მოიცავდა მათ არგუმენტს, რომ ისინი პოლიტიკური აქტიურობის გამო ისჯებოდნენ) შესწავლის მცდელობის გარეშე. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის ახსნა-განმარტებების საწინააღმდეგოდ, საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ იყო საკმარისად მყარი დამოუკიდებლად (შეადარეთ საქმეს ბიკოვი, ციტირებული ზემოთ, §98).
53. ყოველივე ზემოხსენებული საკმარისია სასამართლოსთვის, რათა დაადგინოს, რომ მომჩივანმა ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით.
- შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

41-ე მუხლი

სასამართლომ თითოეულ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 3 600 ევრო მიაკუთვნა.

კალანდია საქართველოს წინააღმდეგ

Kalandia v. Georgia

საჩივარი №57255/10

გადაწყვეტილება

22 აპრილი, 2021 წელი

ფაქტები

მომჩივანი, თენგიზ კალანდია ამტკიცებდა, რომ 2009 წელს მას ნარკოტიკული საშუალება მისი ოპოზიციურად განწყობილი მეგობრის აქტიური მხარდაჭერის გამო ჩაუდეს. კერძოდ, თ. კალანდია ვ. ვახანიასთან ერთად იყო პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი. 2009 წლის 15 მარტს, ვახანია დააკავეს მისსავე სახლში ადგილობრივი ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის ბრალდებით. ვახანიას დაკავების შემდეგ მომჩივანი აგრძელებდა მის აქტიურ დახმარებასა და მხარდაჭერას. 2009 წლის 25 მარტს კი, პოლიციამ კალანდია დააკავა. თენგიზ კალანდიას 2009 წელს 18-წლიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის 260 (3) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შექმნა და შენახვა).

მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლოს 2010 წელს მიმართა. 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის კანონის საფუძველზე კი, თენგიზ კალანდია 2013 წლის 18 იანვარს გათავისუფლდა. თენგიზ კალანდია 2017 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა, თუმცა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელების სურვილი მისმა შვილმა, კონსტანტინე კალანდიამ გამოხატა.

სამართალი

კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

32. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე მომჩივანი დავობდა, რომ მისი ჩხრეკა იყო უკანონო და ამ ჩხრეკის დროს სავარაუდოდ აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება მას სინამდვილეში ჩაუდეს. იგი დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის არგუმენტები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ სადავო მტკიცებულებების სანდოობასა და გამოყენებას, რის შედეგადაც მისი სასამართლო პროცესი იყო უსამართლო. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შესაბამისად, ადგენს: „სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამორკვევისას, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით...“

სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

36. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეებში Bykov v. Russia ([დიდი პალატა] no. 4378/02, §§88-90, 10 მარტი 2009) და Kobiashvili v. Georgia (no. 36416/06, §§56-58, 14 მარტი 2019).

(ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

37. სტრასბურგის სასამართლომ უკვე განიხილა საქმეები, წინასწარი სასამართლო

ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის სავარაუდო უკანონობასთან და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არასაიმედობასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულებების მოპოვების ფორმა ეჭვს ბადებდა მის სანდოობასა და სიზუსტეში (იხ.: Kobiashvili, ციტირებული ზემოთ, §§59-73, და Megrelishvili v. Georgia [კომიტეტი], no. 30364/09, §§32-39, 7 მაისი 2020). სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მტკიცებულებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კუმულაციურად, მომჩივნის ჩხრეკის დროს პროცედურული დარღვევები; არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი მტკიცებულებები ჩხრეკის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით; არასაკმარისი სასამართლო მოკვლევა როგორც სასამართლო პროცესამდე, ისე მისი მიმდინარეობისას (მათ შორის, ეროვნული სასამართლოების მარცხი, შესაბამისად შეესწავლათ მომჩივნის ბრალდებები იმის შესახებ, რომ აკრძალული ნივთიერებები მათ არ ეკუთვნოდათ); და გამამყარებელი მტკიცებულებების სისუსტე მომჩივნის სასამართლო პროცესს მთლიანობაში უსამართლოს ხდიდა (იხ.: Kobiashvili, §73, და Megrelishvili, §39, ორივე ციტირებული ზემოთ).

38. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები გარკვეულწილად, განსხვავებულია ევროპული სასამართლოს ანალიზის გადამწყვეტი ელემენტები იგივე რჩება.
39. კერძოდ, მომჩივნის დაპატიმრება და ჩხრეკა განხორციელდა სასამართლო ბრძანების გარეშე, იმ წყაროსგან მიღებული „ოპერაციული ინფორმაციის“ საფუძველზე, რომლის ვინაობის გამჟღავნებაც შეუძლებელია. ასეთი ინფორმაციის წყარო, ხასიათი და სანდოობა, რომლის საფუძველზეც დააკავეს და გაჩხრიკეს მომჩივანი, არ ყოფილა მაშინვე გამოკვლეული, არც როგორც ჩხრეკის შემდგომი განხილვის ნაწილი და არც მომჩივნის სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დროს (იხ.: Kobiashvili, ციტირებული ზემოთ, §§67-69).
40. რაც შეეხება დაკავებისა და ჩხრეკის გარემოებებს, დაკავების საფუძვლები არ იყო მითითებული შესაბამის ოქმში და პირადი ჩხრეკის შესახებ ოქმის ერთ-ერთი ნაწილი ვერ ამართლებდა უარს მომჩივნის მოთხოვნაზე მონშეების გამოძახებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პოლიციელებმა მისცეს ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები იმის შესახებ, გადმოვიდა თუ არა მომჩივანი მანქანიდან ნებაყოფლობით თუ ამისათვის პოლიციელებმა გამოიყენეს ძალა. ამის საპირისპიროდ, მომჩივანი მთელი პროცესის განმავლობაში ირწმუნებოდა, რომ ჩხრეკა ჩატარდა თანმხლები პროცედურული გარანტიების გარეშე და რომ მას ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდეს. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ როდესაც სადავოა მტკიცებულების სანდოობა, მტკიცებულების დასაშვებობის შესასწავლად სამართლიანი პროცედურების არსებობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს (იხ.: Bykov, ციტირებული ზემოთ, §95).
41. ამის საწინააღმდეგოდ და მომჩივნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გაასაჩივროს მტკიცებულების ნამდვილობა და შეენიწააღმდეგოს მის გამოყენებას, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მისი მოთხოვნები სადავო სამძებრო ღონისძიებების შედეგად მიღებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს, რაც სხვა საფუძვლებთან ერთად, აღნიშნავდა, რომ პირადი ჩხრეკის ღონისძიება უკვე გამართლებული იყო ჩხრეკის შემდგომი სასამართლო განხილვის გზით. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ასეთი განხილვები არ არის

ადეკვატური და საკმარისი მტკიცებულებების ნამდვილობის და სანდოობის გამოკვებისათვის (იხ.: Kobiashvili, §§ 67-69 და Megrelishvili, §35, ორივე ციტირებული ზემოთ). პირველმა და სააპელაციო სასამართლოებმა ასევე, შემდგომი დაზუსტების გარეშე აღნიშნეს, რომ ადგილი არ ჰქონია საპროცესო კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევას, რომლითაც დაკავება და ჩხრეკის ოქმი მიიჩნეოდა დაუშვებლად და რომ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები – სანდოობა, რომელიც მომჩივანმა სადავო გახადა – საკმარისი იყო მომჩივნის განცხადებების დაუსაბუთებლად ცნობისათვის. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მომჩივნის განმეორებითი ბრალდებები მტკიცებულებების ჩადებასთან დაკავშირებით არ ყოფილა სერიოზულად გათვალისწინებული მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე.

42. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ჩხრეკის ჩატარების გარემოებებმა, მათ შორის მომჩივნის დაცვის უფლებების სავარაუდო უგულებელყოფამ, ეჭვი დაბადა მომჩივნის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების სანდოობაში და რომ ამ უკანასკნელს არ მიეცა ეფექტური შესაძლებლობა გამოენვია ეს გარემოებები და შეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებულებების გამოყენებას ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ მის გადამწყვეტ არგუმენტს არ გაეცა შესაბამისი პასუხი (შედარებისთვის, Bykov, ციტირებული ზემოთ, §98).
43. განსახილველია, დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად მიღებული ფიზიკური მტკიცებულება სხვა წყაროებისგან მიღებული მტკიცებულებებით. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებში არსებული სხვა მტკიცებულებები, პირადი ჩხრეკის დასკვნის არარსებობის გამო, არ იყო საკმარისად მტკიცე. კერძოდ, შესაბამისი ოფიცრების განცხადებები საფუძვლად დაედო მომჩივნის წინააღმდეგ საქმისწარმოებას, რომლებიც გააკეთა სამართალწარმოების დაწყების ინიციატორმა ორგანომ და რომელიც დაინტერესებული იყო მისი შედეგებით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივნის იმ განცხადებასთან მიმართებით, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს. გარდა ამისა, მათი განცხადებები აღმოჩნდა წინააღმდეგობრივი. ამის მიუხედავად, მათი ჩვენებები ავტომატურად იქნა მიჩნეული ობიექტურად და საიმედოდ, არსებული წინააღმდეგობებისა და მომჩივნის შესაბამისი პრეტენზიების გაუთვალისწინებლად. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის განცხადებების საპირისპიროდ, საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ ყოფილა საკმარისად მტკიცე ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულების არარსებობის გამო (შედარებისთვის Bykov, ციტირებული ზემოთ, §98).
44. სტრასბურგის სასამართლოსთვის ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ დაადგინოს, რომ მომჩივანს არ უსარგებლია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

45. მომჩივანი დავობდა, რომ ჩხრეკა განხორციელდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით და რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს საჭირო ბალანსი მის უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

46. მთავრობამ განაცხადა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.
47. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სამართალწარმოების დროს მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია, რომ ჩხრეკის ღონისძიებით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მისი უფლებები. ამ უმოქმედობის გამო, ეროვნულ სასამართლოებს არ მიეცათ შესაძლებლობა, შეეფასებინათ საჩივრები. აქედან გამომდინარე, მომჩივნის საჩივარი აღნიშნულ დებულებასთან მიმართებით ამკარად დაუსაბუთებელია და საჩივრის ეს ნაწილი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, კონვენციის 35 §3 (ა) და 4 მუხლების საფუძველზე.

კონვენციის 41-ე მუხლი

48. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

49. მომჩივანმა მოითხოვა 5 000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.
50. მთავრობამ მოთხოვნა გადაჭარბებულად მიიჩნია.
51. სტრასბურგის სასამართლომ, სამართლიან საფუძველზე შეფასების გზით, მომჩივანს მიანიჭა 3 600 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის

სტრასბურგის სასამართლო ერთხმად,

1. ადგენს, რომ მომჩივნის ვაჟი, ბ-ნი კონსტანტინე კალანდია, აგრძელებს მიმდინარე სამართალწარმოებას მის ნაცვლად;
2. დასაშვებად ცნობს საჩივარს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტთან მიმართებით, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილში მას დაუშვებლად ცნობს;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი;
4. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის განმავლობაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს 3 600 ევრო მორალური ზიანისთვის.
5. უარყოფს მომჩივნის სხვა მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

ამაღლობელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

Amaghlobeli and Others v Georgia

საჩივარი №41192/11

გადაწყვეტილება

20 მაისი, 2021 წელი

ფაქტები

2. მომჩივნებს თავდაპირველად წარმოადგენდა ქ-ნი თ. აბაზაძე, ხოლო შემდგომში ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე, თბილისში პრაქტიკოსი ადვოკატები.
3. მთავრობას წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი ბ-ნი ბ. ძამაშვილი, იუსტიციის სამინისტროდან.
4. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.
5. პირველი და მეორე მომჩივნები არიან ჟურნალისტები, რომლებიც იმ დროისთვის, შესაბამისად, იყვნენ მესამე მომჩივნის მმართველი დირექტორი და ამ უკანასკნელის მიერ გამოცემული ყოველკვირეული გაზეთის მთავარი რედაქტორი.
6. 2009 წელს, მესამე მომჩივნის ოფისში ადგილობრივი მოსახლეობისგან დაიწყო შეტყობინებების შემოსვლა სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე (თურქეთ-სა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე) ქართველი სასაზღვრო პოლიციის მიერ თვითნებური განბაჟების პრაქტიკის შესახებ. პირველმა და მეორე მომჩივნებმა გადანყვიტეს, ჩაეტარებინათ ჟურნალისტური გამოძიება.
7. 2009 წლის 15 აგვისტოს, პირველმა და მეორე მომჩივნებმა გადაკვეთეს სახელმწიფო საზღვარი თურქეთის მიმართულებით და უკან. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, ისინი, ისე, რომ არ ჰქონდათ დასადეკლარირებელი რაიმე ნივთი, შევიდნენ სარფის გამშვები პუნქტის საკონტროლო ზონაზე, სადაც ახლადჩამოსული მგზავრები ავსებდნენ საბაჟო დეკლარაციებს და ხდებოდა იმპორტირებული საქონლის გადასახადების გადახდა. ზემოხსენებული ზონა შემოსაზღვრული იყო გალავნით, რომელზეც მრავალი გამაფრთხილებელი ნიშანი იყო წარწერით „საბაჟო საკონტროლო ზონა.“
8. მეორე მომჩივანმა დაიწყო იმ ხალხის გამოკითხვა, რომლებიც საბაჟო ოფიცრებთან იმ დროისთვის ადეკლარირებდნენ იმპორტირებულ საქონელს, ხოლო პირველმა მომჩივანმა გადაიღო ფოტოები. მათ უკვე ყველა ზემოაღნიშნული მგზავრისგან ინტერვიუ ჰქონდათ აღებული, როდესაც საბაჟო ოფიცრმა გააფრთხილა, რომ ისინი აფერხებდნენ საბაჟო საქმიანობას და რადგანაც არაფერი ჰქონდათ დასადეკლარირებელი, მათ უნდა დაეტოვებინათ საბაჟო კონტროლის აკრძალული ზონა. მომჩივნებმა უარი განაცხადეს ტერიტორიის დატოვებაზე და მიუთითეს, საჭიროებისამებრ, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების თავისუფლების შესახებ. მათ უარი განაცხადეს ტერიტორიის დატოვებაზე მას შემდეგაც, რაც მთავარმა მებაჟემ განმეორებით მოსთხოვა შენობის დატოვება. შედეგად თითოეული მომჩივანი დააჯარიმეს 1000 ქართული ლარით (დაახლოებით, 320 ევრო (EUR)), საბაჟო ოფიცრის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს საქარ-

თველოს საბაჟო კოდექსის 245-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად („საბაჟო კოდექსი“). ამის შემდეგ, ისინი აკრძალული ზონიდან გაიყვანეს. მათ არ ჩამორთმევიათ არც ჩამწერი მონყობილობა და არც ჩანერილი ინტერვიუები.

9. სარფის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე 2009 წლის 15 აგვისტოს ინციდენტიდან ერთ კვირაში, გაზეთმა „ბათუმელები“ გამოაქვეყნა ამომწურავი სტატია საბაჟო პროცედურების შესახებ, რომელშიც წარმოდგენილი იყო პირველი და მეორე მომჩივნის ჟურნალისტური გამოძიების ყველა დასკვნა, მათ შორის, ზემოაღნიშნული თარიღით საბაჟო კონტროლის ზონაში ჩანერილი ინტერვიუები.
10. 2009 წლის 3 ნოემბერს, პირველმა და მეორე მომჩივნმა, ინდივიდუალურად შეიტანეს სასამართლო სარჩელი 2009 წლის 15 აგვისტოს მათთვის დაწესებული ადმინისტრაციული სანქციის გაუქმების მოთხოვნით. ისინი აცხადებდნენ, რომ დაწესებულ სანქციას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა, რომ მათი ქცევა სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არ ყოფილა საბაჟო საქმიანობის შემაფერხებელი და ისინი მხოლოდ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას ასრულებდნენ. ასევე, ისინი დავობდნენ, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფი პირების გამოკითხვის გამო სანქცირებით, შეილახა მათი ჟურნალისტური თავისუფლება. მათი განცხადებით, პირთა გამოკითხვა აუცილებელი ნაბიჯი იყო მათი ჟურნალისტური გამოძიების მომზადების პროცესში (იხ.: მე-6 პარაგრაფი, ზემოთ).
11. 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ პირველი და მეორე მომჩივნის სარჩელი დაუშვებლად ცნო დაუსაბუთებლობის საფუძველზე. მხარეთა წარდგინებების მოსმენისა და საქმის მასალებში მონმეთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების შესწავლის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ სარფის საბაჟო კონტროლის ზონაში 2009 წლის 15 აგვისტოს მათმა ქმედებამ ხელი შეუშალა საბაჟო პროცედურების განხორციელებას. კერძოდ, დადგინდა, რომ მეორე მომჩივნის მიერ იმპორტირებული საქონლის დეკლარირების მსურველთათვის დასმულმა კითხვებმა უბიძგა იმპორტიორებს დაეწყეთ კამათი საბაჟო ოფიცრებთან, გადასახდელი თანხების სიზუსტესთან დაკავშირებით. სწორედ ამ სიმშვიდის დარღვევის გამო, საბაჟო ოფიცრებმა უბრძანეს მომჩივნებს აკრძალული ზონის დატოვება. საქალაქო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძანება კანონიერი იყო, რადგან მომჩივნები ზონაში წინასწარი ნებართვის გარეშე შევიდნენ და ამით მათ დაარღვიეს საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი და 2006 წლის 20 დეკემბრის ფინანსთა მინისტრის №1766 ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები. ვინაიდან მომჩივნები არ დაემორჩილნენ საბაჟო ოფიცრების განმეორებით ბრძანებას, დაწესებული ჯარიმები იყო კანონიერი და პროპორციული იმავე კოდექსის 245-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.
12. რაც შეეხება პირველი და მეორე მომჩივნის მითითებებს ჟურნალისტური თავისუფლების შესახებ, საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ისინი დააჯარიმეს არა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების, არამედ შესაბამისი საბაჟო წესების დარღვევის, კერძოდ, საბაჟო კონტროლის ზონაში უნებართვო შესვლის და საბაჟო ოფიცრების კანონიერი ბრძანებების შეუსრულებლობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტები იმუნიტეტით ვერ ისარგებლებენ ფართო საზოგადოებისთვის დაწესებული წესების მიმართ. თუ მომჩივნებს სურდათ ჟურნალისტის სტატუსით მონიტორინგი გაეწიათ სარფის სა-

კონტროლო-გამშვები პუნქტის აკრძალულ ზონაში საბაჟო პროცედურებზე, მათ შინაშე შესასვლელად მხოლოდ წინასწარი ნებართვა სჭირდებოდათ, ხოლო შიგნით ევალბოდათ სათანადოდ მოქცევა, რაიმე პრობლემის წარმოქმნის გარეშე. ასევე, მომჩივნებს საბაჟო პროცედურების შესახებ სასურველი ინფორმაციის მოგროვება შეეძლოთ ალტერნატიული და ნაკლებად აგრესიული საშუალებებით, მაგალითად, პირები დაეკითხათ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გასასვლელთან მას შემდეგ, რაც ისინი უკვე დაადეკლარირებდნენ იმპორტირებულ საქონელს და გადაიხდიდნენ შესაბამის გადასახადებს.

13. 2010 წლის 6 მარტს, პირველმა და მეორე მომჩივანმა შეიტანეს სააპელაციო საჩივარი 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ისინი დავობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით და აცხადებდნენ, რომ მათ არ გამოუწვევიათ რაიმე რეალური შეფერხება სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის საბაჟო-საკონტროლო ზონაში და ისინი მხოლოდ კითხავდნენ და ფოტოებს უღებდნენ იმპორტიორებს და საბაჟო ოფიცრებს. მომჩივნებმა ასევე, ეჭვქვეშ დააყენეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საბაჟო კოდექსის შესაბამისი დებულებების განმარტება და ამტკიცებდნენ, რომ მათი ქცევის შედეგებთან დაკავშირებით გამოყენებული დებულებები არ იყო საკმარისად განჭვრეტადი. დაბოლოს, მათ კიდევ ერთხელ გაასაჩივრეს დაკისრებული ჯარიმა და აღნიშნეს, რომ იგი წარმოადგენდა ყურნალისტურ თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.
14. 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მას შემდეგ რაც ხელახლა განიხილა საქმე როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, სრულად დატოვა ძალაში პირველი ინსტანციის 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან პირველი და მეორე მომჩივანი სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტში შემოვიდნენ თურქეთის მხრიდან, როგორც რიგითი მგზავრები, ისინი ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ ყველასათვის განკუთვნილი საბაჟო წესები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ ჰქონდათ აკრძალულ საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლის უფლება დასადეკლარირებელი საგნის და საბაჟო სამსახურის ნებართვის გარეშე. პირველი და მეორე მომჩივანი უნდა დამორჩილებოდნენ კანონიერ ბრძანებას შინობის დატოვების თაობაზე. ყურნალისტობა მათ არ ათავისუფლებთ კანონის პატივისცემის ვალდებულებისგან. სააპელაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბაჟო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებსაც დაემატა №1766 ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები, საკმარისად მკაფიოდ და ნათლად იყო ფორმულირებული და მომჩივნებს შეეძლოთ ადვილად გაეთვალისწინებინათ მათი არასათანადო ქცევის შედეგები, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაჯარიმებამდე ისინი საბაჟო ოფიცრებმა გააფრთხილეს. სააპელაციო სასამართლომ შემდგომში კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მომჩივნებისთვის შესაძლებელი იყო ახალჩამოსული მგზავრები დაეკითხათ არა საბაჟო საკონტროლო ზონის შიგნით, არამედ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გასასვლელთან. გარდა ამისა, თუ მათ სურდათ აღერიცხათ განბაჟების პროცედურები, მათ ამის უფლება უნდა აეღოთ საბაჟო სამსახურიდან, საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.
15. 2010 წლის 29 დეკემბერს, პირველი და მეორე მომჩივნის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა იმ სამართლებრივი დებულებების

განჭვრეტადობას, რომლებიც სანქციას ედო საფუძვლად, უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო, რითაც დასრულდა სამართალწარმოება.

სამართალი

კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სამივე მომჩივანი დავობდა, რომ ჟურნალისტებისთვის ჯარიმის დაკისრება წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუხილადობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

სასამართლოს შეფასება

ა) ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას?

31. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სანქცია აუცილებლად არ იყო მიმართული მომჩივნების, როგორც ჟურნალისტებისკენ, ის მაინც ერეოდა მათი გამოხატვის თავისუფლებაში, ვინაიდან მომჩივნებს პასუხისმგებლობა დაეკისრათ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც გამოსაქვეყნებელი სტატიისთვის ჩატარებული გამოძიების ნაწილი იყო (შედარებისთვის *Pentikainen v. Finland* [GC], no. 11882/10, §83, ECHR 2015; *Salihu and Others v. Sweden* (dec.), no. 33628/15, §49, 10 მაისი 2016; and *Erdtmann v. Germany* (dec.), no.56328/10, § 16, 5 იანვარი 2016).

ბ) იყო თუ არა ჩარევა გათვალისწინებული კანონით და ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს?

32. სასამართლო იმეორებს მის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვით, ფრაზა „გათვალისწინებული კანონით“ – არა მხოლოდ მოითხოვს, რომ გასაჩივრებულ ღონისძიებას საფუძველი ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ აგრეთვე მიემართება სადავო კანონის ხარისხს; კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი შედეგებთან მიმართებით. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება პირველ ყოვლისა, ეროვნული ხელისუფლების, კერძოდ, სასამართლოების, პრეროგატივაა (იხ.: *Pentikainen*, cited above, §§84-85).

33. წინამდებარე საქმეში, მომჩივნების არგუმენტი, რომ ეროვნული კანონმდებლო-

ბის დებულებები არ იყო განჭვრეტადი შედეგებთან მიმართებით, სათანადოდ განიხილა ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ საბაჟო კოდექსის 245-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-20 მუხლის მე-4 ნაწილი, ისევე როგორც №1766 ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები ნათლად ადგენდნენ სადავო ქმედებების ტიპს. ამდენად, მომჩივანთა არგუმენტი, რომლითაც ასაჩივრებდნენ შესაბამისი ეროვნული დებულებების განმარტებას და საქმის გარემოებებთან მიმართებით მათ გამოყენებას, სასამართლოს კომპეტენციის მიღმა რჩება, ვინაიდან ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები არ იყო თვითნებურად დასაბუთებული (შედარებისთვის, მაგალითად, *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], no. 931/13, §147, 27 June 2017; *Pentikainen*, ციტირებული ზემოთ, 85; *Haldimann and Others v. Switzerland*, no. 21830/09, §§ 37-39, ECHR 2015).

34. გარდა ამისა, სასამართლო აცხადებს, რომ გასაჩივრებული ჩარევა ემსახურებოდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საბაჟო ზონაში უნესრიგობის თავიდან არიდების პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს.

გ) იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში?

35. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მან საქმის გარემოებები უნდა შეაფასოს კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მისი პრევენციული სამართლით დადგენილი ორი ასპექტის გათვალისწინებით. ეს ასპექტებია: ინფორმაციის შემგროვებელი საქმიანობის მნიშვნელობა და „პასუხისმგებლიანი“ ჟურნალისტიკის კონცეფცია.

(i) შესაბამისი ზოგადი პრინციპები

36. სასამართლო იმეორებს, რომ ინფორმაციის შეგროვება ჟურნალისტიკაში არსებითი მოსამზადებელი ეტაპია და დაცულია პრესის თავისუფლებით. ჟურნალისტიკის კვლევით და საგამოძიებო საქმიანობაზე შეზღუდვის დაწესება სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან ყოველთვის მოითხოვს ყურადღებით შესწავლას იმ საფრთხის გათვალისწინებით, რაც თან ახლავს ჟურნალისტიკის მოსამზადებელი ნაბიჯების შეზღუდვას (იხ.: *Dammann v. Switzerland*, no. 77551/01, § 52, 25 აპრილი, 2006). ნამდვილად, დაბრკოლებების შექმნამ იმ მიზნით, რომ შეფერხდეს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, შესაძლოა მედიაში ან მომიჯნავე სფეროში მომუშავე პირებს ხელი შეუშალოს მსგავსი საკითხების განხილვაში. შედეგად, მათ შესაძლოა ვეღარ შეძლონ „საზოგადოებრივი დარაჯის“ არსებითი როლის შესრულება, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მათ შესაძლებლობაზე, წარმოადგინონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია (იხ.: *Shapovalov v. Ukraine*, no. 45835/05, §68, 31 July 2012).

37. პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის კონცეფცია, როგორც პროფესიული საქმიანობა, რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, არ არის შეზღუდული შესაგროვებელი ან გავრცელებული ინფორმაციის შინაარსით. ეს კონცეფცია აგრეთვე, მოიცავს სხვებს შორის, ჟურნალისტიკის ქმედების კანონიერებას, რაც მოიცავს ჟურნალისტიკური ფუნქციების განხორციელების დროს ხელისუფლებასთან მის საჯარო ურთიერთკავშირს. ამასთან კავშირში ფაქტი, რომ ჟურნალისტიკა დაარღვია კანონი ყველაზე რელევანტური, თუმცა არა გადამწყვეტი, გასათვალისწინებელი ფაქტორია, როდესაც განისაზღვრება, მოქმედებდა თუ არა ის პასუხისმგებლიანად. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი არ უზრუნველყოფს სრულად შეუზღუდავ გამოხატვის თავისუფლებას,

თუნდაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემის მედიის მხრიდან გაშუქებასთან მიმართებით. კერძოდ, და დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის მიერ შესრულებული მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, ჟურნალისტები, პრინციპში, არ არიან გათავისუფლებულნი ვალდებულებისგან, რომ დაიცვან სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმ საფუძვლით, რომ მათ, როგორც ჟურნალისტებს, კონვენციის მე-10 მუხლი სანდო დაცვით აღჭურავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალისტი ვერ იღავეს რომ სარგებლობს ექსკლუზიური იმუნიტეტით სისხლის სამართალთან მიმართებით იმ ერთადერთი მიზეზით, რომ განსხვავებით გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სხვა პირებისგან, სადავო დანაშაული ჩადენილ იქნა ჟურნალისტური ფუნქციების განხორციელების დროს (იხ.: Pentikainen, cited above, §§90-91).

(ii) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

38. თავდაპირველად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ დააბალანსეს მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლება, ჯეროვნად შეაფასეს მათი როგორც ჟურნალისტების სტატუსი და წარმოადგინეს გადანყვეტილების მყარი საფუძვლები (შედარებისთვის Szurovecz v. Hungary, no. 15428/16, §§ 63, 67, 69-70 and 75, 8 October 2019). ეროვნული სასამართლო განხილვის ადეკვატურობა მნიშვნელოვნად ზრდის მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ფარგლებს მოცემულ საქმეში, ვინაიდან სასამართლო მოითხოვს მყარ საფუძვლებს, რათა ეროვნული სასამართლოების დასკვნები საკუთარით ჩაანაცვლოს (compare, amongst many others, Palomo Sánchez and Others v. Spain [GC], nos. 28955/06 and 3 others, § 57, ECHR 2011; Rungainis v. Latvia, no. 40597/08, § 66, 14 ივნისი, 2018; MGN Limited v. the United Kingdom, no. 39401/04, §§150 and 155, 18 იანვარი, 2011). რაც შეეხება მსგავსი „მყარი საფუძვლების“ არსებობას, პირველ ყოვლისა, სასამართლო ეჭვობს, რომ პირველი და მეორე მომჩივნის მიერ სარფის გამშვებ პუნქტთან ჩატარებულ ინფორმაციის შემგროვებელ საქმიანობას შეეძლო მნიშვნელოვნად შეეტანა წვლილი საჯარო ინტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით საჯარო დებატებში (შედარებისთვის, იხ.: Haldimann and Others, cited above, §§ 56-58), რაც უკავშირდება სავარაუდოდ განბაჟების თვითნებურ პრაქტიკას. თუმცა, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მომჩივნებმა კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მიმართეს ყველა გზას, რათა დაკავშირებოდნენ რელევანტურ ხელისუფლების ორგანოს.

39. უფრო კონკრეტულად, თუ მომჩივნებს სურდათ მოგზაურებისა და გამყიდველების პრაქტიკული გამოცდილების მოსმენა, რომლებსაც ახლახანს ჰქონდათ ურთიერთობა ადგილობრივ საბაჟო სამსახურთან, ისინი, როგორც ეროვნულმა სასამართლომ აღნიშნა, სახელმწიფოს კონტროლირებად შეზღუდულ ტერიტორიაში შეჭრის ნაცვლად, გასასვლელთან დაელოდებოდნენ და გამოკითხავდნენ მგზავრებს. უფრო მეტიც, ეროვნული სასამართლოების წინაშე სამართალწარმოებისას, მომჩივნებმა ვერ დაამტკიცეს, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესვლის ნებართვის მოთხოვნის შემთხვევაში, რომ მათ უარს ეტყოდნენ. ალტერნატიულად, თუ ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ განბაჟების პროცედურაზე ინკოგნიტოდ დასწრებას, წინასწარი ავტორიზაციის მოპოვების გარეშე, მათ კვლავ ეკისრებოდათ სამართლებრივი ვალდებულება, გაეთავისუფლებინათ შეზღუდული სივრცე მას შემდეგ, რაც საბაჟო ოფიცრებმა ეს უბრძანეს. ამასთან კავშირში ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა ეროვნული სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ აჩვენეს, რომ მხოლოდ უშუალოდ მათ მიერ, პირადი გამოცდილებით,

მოპოვებული პირდაპირი ცოდნა იყო ღირებული და სანდო იმ მოცულობით, რაც საჭირო იყო ჟურნალისტური საქმიანობისთვის (შედარებისთვის *Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 67259/14, §84, 9 February 2017; and *Szurovecz*, cited above, §§ 71-74). პირველ და მეორე მომჩივანს, როგორც ჟურნალისტებს, სხვა გზა არ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ გაეკეთებინათ არჩევანი პროფესიულ ვალდებულებასა და ადმინისტრაციული სამართლის შესრულებას შორის, რომლისგანაც ისინი აშკარად არ იყვნენ გათავისუფლებულნი; მათ ეს არჩევანი გააკეთეს კანონმორჩილი მოქალაქის ვალდებულებების საზიანოდ. „პასუხისმგებელიანი ჟურნალისტიკის“ კონცეფციის შესაბამისად, სულ მცირე, რაც მათ მოეთხოვებოდათ იყო ის, რომ სცოდნოდით უკანონო საქმიანობის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, სამართლებრივი სანქციების დაქვემდებარების რისკი (შეადარეთ *Pentikäinen*, ციტირებული ზემოთ, § 110). სასამართლო იმეორებს, რომ ჟურნალისტები ვერ იქნებიან გათავისუფლებული კანონის შესრულების ვალდებულებისგან მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ კონვენციის მე-10 მუხლი მათ დაცვით უზრუნველყოფს (იხ.: ზოგადი პრინციპები, ციტირებული 37-ე პარაგრაფში ზემოთ და აგრეთვე, *Stoll v. Switzerland [GC]*, no. 69698/01, § 102, ECHR 2007 V).

40. არსებობს ორი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იმ დასკვნის სასარგებლოდ მოქმედებს, რომ პირველი და მეორე მომჩივანის უფლებებში ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ხელისუფლება არ შეენიანააღმდეგა მომჩივნებს, რათა სრულად გამოეყენებინათ საბაჟო კონტროლის ზონაში ჩანერილი ინტერვიუები, რამაც მათ საშუალება მისცა გამოექვეყნებინათ სტატია მათ ჟურნალისტურ გამოძიებაზე (შედარებისთვის, *Zarubin and Others v. Lithuania (dec.)*, no. 69111/17, § 57, 26 ნოემბერი, 2019, and *Mikkelsen and Christensen v. Denmark (dec.)*, no. 22918/08, 24 მაისი, 2011). მეორე, რაც შეეხება მომჩივანთათვის დაკისრებული სანქციის ბუნებასა და სიმძიმეს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მათთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა ვერ მიიჩნეოდა გადაჭარბებულად (იხ.: *Mikkelsen and Christensen, and Brambilla and Others v. Italy*, no. 22567/09, §§63-67, 23 ივნისი 2016).
41. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სადავო საკითხი ყურადღებით და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად განიხილეს; ამასთან, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ადეკვატური იყო. შესაბამისად, სასამართლო ვერ ხედავს მყარ საფუძველს, რათა ეროვნული სასამართლოს დასკვნები საკუთარით ჩაანაცვლოს (იხ.: *Mouvement raélien suisse v. Switzerland [GC]*, no. 16354/06, §76, ECHR 2012 (extracts); და *Palomo Sanchez*, ციტირებული ზემოთ, §74). ამრიგად, მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

ამ მიზეზების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო, ერთხმად,

1. დასაშვებად ცნობს პირველი და მეორე მომჩივნების საჩივარს, ხოლო საჩივრის დარჩენილ ნაწილს დაუშვებლად მიიჩნევს.
2. ადგენს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ

Shubitidze v Georgia

საჩივარი №43854/12

გადაწყვეტილება

12 ივნისი, 2021 წელი

ფაქტები

მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ 2011 წელს, მას ნარკოტიკული საშუალება (მარიხუანა) პოლიციელებმა ჩაუდეს. მომჩივანი პოლიციელებმა 2011 წლის 26 ივნისს დააკავეს, ეჭვის საფუძველზე, რომ იგი იყო ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშე. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მომჩივანი ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშე ტესტირების მომენტში არ იყო, თუმცა მის შარდში აღმოჩნდა კანაბისის კვალი. შემდგომ, პოლიციელებმა მომჩივანს „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე,“ რომ თითქოს მას უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება, სასამართლოს განჩინების გარეშე, ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის პროცესს მონაწილეები არ დასწრებიან. ჩხრეკის ოქმიდან ირკვევა, რომ მომჩივანის ფეხსაცმლიდან ამოიღეს ორი პაკეტი, რომელშიც მწვანე ფერის ნივთიერება იყო მოთავსებული. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ნივთიერება იყო 8 გრამი მარიხუანა. კაკო შუბითიძეს სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2000 ლარიანი ჯარიმა მიუსაჯა. ასევე, 5 წლით შეეზღუდა მანქანის მართვის უფლება და სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

26. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ ჩატარებული ჩხრეკა იყო უკანონო, რომელსაც არ ესწრებოდნენ ოქმის შედგენის მონაწილეები და სინამდვილეში მას ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნარკოტიკი ჩაუდეს. ამასთან დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს არგუმენტები სადავო მტკიცებულებების სანდოობასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც მისი სასამართლო პროცესი იყო უსამართლო.

სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

30. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეებში Bykov v. Russia ([GC] no. 4378/02, §§88-90, 10 March 2009) და Kobiashvili v. Georgia (no. 36416/06, §§56-58, 14 March 2019).

ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

31. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე შეისწავლა საქმეები ჩხრეკის სავარაუდო უკანონობასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩატარდა წინასწარი სასამართლო ბრძანების გარეშე და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არასანდოობის შესახებ, და დაადგინა, რომ მომჩივანების წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების წესი ეჭვს ბადებდა მის სანდოობასა და სი-

ზუსტეში (იხ.: *Kobiashvili*, ციტირებული ზემოთ, §§59-73 და *Megrelishvili v. Georgia* [კომიტეტი], no. 30364/09, §§32-39, 7 May 2020). სტრასბურგის სასამართლომ ამ მტკიცებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ მომჩივნის პირადი ჩხრეკის დროს პროცედურული დარღვევები; არათანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები ჩხრეკის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით; არასაკმარისი სასამართლო განხილვა როგორც სასამართლო პროცესამდე ასევე, მისი მიმდინარეობისას, მათ შორის ეროვნული სასამართლოების მარცხი – საკმარისად შეესწავლათ მომჩივნის ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ უკანონო საგნები მათ არ ეკუთვნოდათ; და მტკიცებულებების სისუსტემ მომჩივნის სასამართლო პროცესები მთლიანობაში გახადა უკანონო (იხ.: *Kobiashvili*, §73 და *Megrelishvili*, §39, ორივე ციტირებული ზემოთ).

32. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საქმის გარემოებები გარკვეულწილად განსხვავებულია, სტრასბურგის სასამართლოს ანალიზისთვის გადამწყვეტი ელემენტები იგივე რჩება.
33. კერძოდ, მომჩივნის დაკავება და ჩხრეკა განხორციელდა სასამართლო ბრძანების გარეშე. მომჩივანი დააკავეს იმ ვარაუდის გამო, რომ იგი იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. რაც შეეხება მის პირად ჩხრეკას, ზუსტი საფუძვლები გაურკვეველი რჩება: საგამოძიებო ეტაპთან დაკავშირებული დოკუმენტები ეხება „არსებულ ინფორმაციას;“ ევროპული სასამართლოს წინაშე მთავრობის წარდგინებაში აღნიშნულია ოპერატიული ინფორმაციის არსებობა (იგულისხმება ინფორმაცია წყაროდან, რომლის ვინაობის გამჟღავნებაც შეუძლებელია) იმის შესახებ, რომ მომჩივანი იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და მას თან უნდა ჰქონოდა უკანონო ნივთიერება, ასევე ნარკოლოგიური შემთხვევის შედეგები აჩვენებს, რომ მომჩივანმა წარსულში მოიხმარა კანაფი. თუმცა, სასამართლო საქმისწარმოების დროს, ნახსენები არ ყოფილა ოპერატიული ინფორმაცია.
34. გარდა ამისა, პირადი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებები სადავო იყო მთელი საქმისწარმოების განმავლობაში. სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის მოსაზრებას, რომ მომჩივანს ეროვნულ დონეზე არ გაუსაჩივრებია კონკრეტულად ის ფაქტი, რომ მის პირად ჩხრეკას არ ესწრებოდნენ მონმეები; ამის მიუხედავად, იგი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ შესაბამის ანგარიშში ჩანს, რომ ჩხრეკა ნებისმიერ შემთხვევაში ტარდებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც საგამოძიებო ორგანოებს ათავისუფლებდნენ მონმეთა დასწრების ვალდებულებისგან. ასეთ გარემოებებში, ეროვნული სასამართლოებისათვის მით უფრო მნიშვნელოვანი იყო პირადი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება, მომჩივნის ბრალდებებისა და არგუმენტების საპასუხოდ, რომელთა საფუძველზეც მას ეჭვი შეჰქონდა მის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების დასაშვებობაში. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ როდესაც სადავოა მტკიცებულების სანდოობა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მტკიცებულების დასაშვებობის შესასწავლად სამართლიანი საქმისწარმოების არსებობა (იხ.: *Bykov*, ციტირებული ზემოთ, §95).
35. ამის საპირისპიროდ, ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს დაკავების და პირადი ჩხრეკის და მის შედეგად აღმოჩენილი ნარკოტიკების შესახებ დასკვნის კანონიერება. კერძოდ, ჩხრეკის შემდგომი სასამართლო განხილვა განხორციელდა მომჩივნის მონაწილეობის გარეშე და არ ჩანს, რომ ჩხრეკის გარემოებები საერთოდ შეფასდა ამ სამართალწარმოების ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში,

ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ასეთი განხილვები არ არის ადეკვატური და საკმარისი მტკიცებულების ნამდვილობისა და სანდოობის გასაჩივრების მიზნით (იხ.: Kobiashvili, §§ 67-69 და Megrelishvili, §35, ორივე იხ.: ზევით).

36. რაც შეეხება მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოებას, მტკიცებულებათა დაუშვებლობა, მათ შორის, პირადი ჩხრეკის ოქმი, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მომჩივანს სადავო არ გაუხდია მისთვის სავარაუდოდ ჩამორთმეულ მასალაზე (პაკეტზე) არსებული ბეჭდის ნამდვილობა. სასამართლოს მხრიდან ასეთმა ფორმალურმა მიდგომამ, პირადი ჩხრეკის პროცედურის და საბოლოო ანგარიშის შესახებ მომჩივნის საჩივარი დატოვა არსებითად განუხილველად. ამ კონტექსტში, მომჩივნის მარცხი (ეროვნულ დონეზე სადავო გაეხადა, რომ მისი დაკავება დაკავშირებული იყო მის სავარაუდო პოლიტიკურ აქტივობასთან), მთავრობის განცხადებების საწინააღმდეგოდ, ვერ იქნება იმ ფაქტის საპირწონე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საერთოდ არ განიხილეს მისი არგუმენტების მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა მისი დაპატიმრებისა და ჩხრეკის კანონიერება, პირადი ჩხრეკის გარემოებები, ჩხრეკის ოქმის სადავო დასაშვებობა, განცხადებები იმის შესახებ რომ ნარკოტიკები არ ეკუთვნოდა მომჩივანს, და რომ არანაირი მტკიცებულება გარდა სადავო ოქმისა, არ ყოფილა საკმარისი, რათა იგი დამნაშავედ ეცნოთ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შექმნასა და შენახვისათვის.
37. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარების გარემოებები ეჭვს ბადებდა მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობაში და, რომ მომჩივანს არ მიეცა ეფექტური შესაძლებლობა გაესაჩივრებინა ეს გარემოებები და შეწინააღმდეგებოდა სადავო მტკიცებულების გამოყენებას.
38. დასაზუსტებელია, დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად მიღებული ფიზიკური მტკიცებულება სხვა წყაროსგან მიღებული მტკიცებულებებით. კერძოდ, რაც შეეხება ოფიცერი ი.ბ.-ს მიერ გაკეთებულ განცხადებას, ეს უკანასკნელი საქმისწარმოების დასაწყისშივე მომჩივნის წინააღმდეგი იყო და დაინტერესებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგით, განსაკუთრებით, მომჩივნის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკი მას ჩაუდეს. გარდა ამისა, სადავო ოფიცერი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ მომჩივნის დაკავებაში, მას არც განუხორციელებია და არც დასწრებია მის პირად ჩხრეკას და ვერც იმას ადასტურებდა თუ ვინ განახორციელა აღნიშნული. რაც შეეხება ექსპერტების დასკვნას, მათ დაადასტურეს, რომ მომჩივნის ბიოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, მას წარსულში მოხმარებული ჰქონდა ნარკოტიკი. მომჩივნის წინააღმდეგ წარსულში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობის გამო, მხოლოდ კანაფის მოხმარება შეიძლება შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული და არა სისხლის სამართლის დანაშაული. მომჩივანმა ეს უკანასკნელი არგუმენტი წარადგინა სააპელაციო სასამართლოს წინაშე, თუმცა, სასამართლომ იგი არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება (სადავო პირადი ჩხრეკის შესახებ დასკვნის არარსებობის გამო) არ იყო თავის მხრივ, საკმარისად მძლავრი (შედარებისთვის, Bykov, ციტირებული ზემოთ, §98).
39. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს, რომ მომჩივანს არ ჰქონია სამართლიანი სასამართლო განხილვა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

40. მომჩივანი დავობდა, რომ ჩხრეკის ღონისძიება განხორციელდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით, და რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს საჭირო ბალანსი მის უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.
41. მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.
42. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა, ეროვნული საემისწარმოების კონტექსტში, სადავო არ გახადა, რომ ჩხრეკის ღონისძიებით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მისი უფლებები; შედეგად, ეროვნულ სასამართლოებს და შემდგომში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა, სათანადოდ შეესწავლათ წინამდებარე საჩივარი (იხ.: *Tlashadze and Kakashvili v. Georgia* [კომიტეტი], no. 41674/10, §56, 25 მარტი 2021). ასეთ გარემოებებში, კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და საჩივრის ეს ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პარაგრაფის და მე-4 მუხლის საფუძველზე.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

44. მომჩივანი ითხოვდა 5 000 ევროს (EUR) მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.
45. მთავრობამ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია.
46. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, მომჩივანს მიანიჭა 3 600 ევრო (EUR) მორალური ზიანისთვის, დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს.

აქედან გამომდინარე სასამართლო ერთხმად:

1. აცხადებს, რომ საჩივარი დასაშვებია მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, ხოლო საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებელია;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი;
3. აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებას, მომჩივანს გადაუხადოს 3 600 ევრო (EUR) მორალური ზიანისთვის.

თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ

Tkheldidze v Georgia

საჩივარი №33056/17

გადაწყვეტილება

8 ივლისი, 2021 წელი

ფაქტები

მომჩივანი თალიკო თხელიძე, 1958 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში.

2013 წელს მომჩივნის ქალიშვილი, მ. თ. და მისი ექვსი წლის შვილი საცხოვრებლად გადავიდნენ მ. თ-ს პარტნიორის, ლ.მ-ს, სახლში, სადაც ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. 2014 წლის აპრილსა და სექტემბერში, ბინაში გამოძახებულ იქნა პოლიცია, ვინაიდან ლ. მ. თ-ს ემუქრებოდა და მის მიმართ ახორციელებდა აგრესიულ ქმედებებს. ზემოხსენებული არცერთი გამოძახების დროს არ დაწყებულა სისხლის სამართლის გამოძიება, აგრეთვე გამოცემული არ ყოფილა შემაკავებელი ორდერი, მიუხედავად იმისა, რომ მ. თ-ს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანება და აგრეთვე მ. თ. და ლ. მ-ს მშობლები ითხოვდნენ მისთვის შემაკავებელი ორდერის გამოწერას. პოლიციამ აცნობა მ.თ-ს, რომ მისი პარტნიორის დაკავება და აგრეთვე, სხვა შემზღვევლი ღონისძიების გატარება შესაძლებელი არ იყო, „უმნიშვნელო“ „ოჯახური ჩხუბის“ გამო.

მომდევნო დღეს, 2014 წლის 23 სექტემბერს, მ. თ-მ დატოვა ლ. მ-ს სახლი და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა თბილისში.

ლ. მ. აგრძელებდა მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნას როგორც მ. თ-სთვის, აგრეთვე, მისი ქალიშვილისთვის. 27 სექტემბერს, მ. თ-მ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა ლ. მ-ს წინააღმდეგ. სისხლისსამართლებრივი გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა მას მიეცა გაფრთხილება, არ ჩართულიყო მ. თ-სთან რაიმე სახის დავაში. მომდევნო დღეს, მას შემდეგ, რაც ლ. მ. თ-ს კვლავ აგრესიულად აედევნა, პოლიციამ განუმარტა მომჩივნის ქალიშვილს, რომ ისინი ვერ დააკავებდნენ ლ. მ-ს ფიზიკური დაზიანების არარსებობის გამო, თუმცა ურჩიეს, რომ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზა იქნებოდა, თუ მისი ძმები მას სცემდნენ.

2014 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში, მომჩივანი თბილისის პოლიციის განყოფილებაში სამჯერ მივიდა, რათა პოლიციისთვის მიეწოდებინა ცნობები იმის თაობაზე, რომ ლ. მ. მას უთვალთვალებდა, ხოლო მის ქალიშვილს ემუქრებოდა, რაც მოიცავდა სამსახურში ხელყუმბართ გამოცხადებას და მისი აფეთქების მუქარას. 2014 წლის 16 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ლ.მ. კინალამ დაეჯახა მ. თ-ს მანქანას, როდესაც მას ქალიშვილი სკოლაში მიჰყავდა, მომჩივანი წავიდა პოლიციაში და ითხოვა სახელმწიფოს მფარველობა. მან განაცხადა, რომ მისი და მისი ქალიშვილის ცხოვრება გაუსაძლიის იყო, ვინაიდან ლ. მ. მათ ყოველდღიურად ატერორებდა. მიუხედავად ამისა, შემაკავებელი ორდერი ან სხვა დამცავი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

2014 წლის 17 ოქტომბერს, ლ. მ. მივიდა მ. თ-ს სამსახურში და იარაღის გამოყენებით მოკლა, რის შემდეგ დაუყოვნებლივ თავი მოიკლა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო, თუმცა, შეწყდა 2014 წლის 31 დეკემ-

ბერს, ვინაიდან დანაშაულზე პასუხისმგებელი პირი გარდაცვლილი იყო.

პოლიციის მიერ შედგენილი სხვადასხვა დასკვნისა და ჩანაწერის თანახმად, არც მომჩივანს და არც მის ქალიშვილს არ მიენოდათ ინფორმაცია მათი პროცედურული უფლებების ან სისხლის სამართლის კოდექსისა და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით მათთვის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაცვის ღონისძიებების შესახებ.

2015 წლის 9 აპრილს მომჩივანმა პროკურატურაში შეიტანა საჩივარი და ითხოვდა გულგრილობის საფუძვლით გამოძიების დაწყებას პოლიციის იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მისი ქალიშვილის ოჯახში ძალადობის საქმის შესწავლაში. 2015 და 2016 წლებში მან აღნიშნული საჩივარი გაიმეორე სულ მცირე, ხუთჯერ და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიციის უმოქმედობა შეიძლება აღქმული ყოფილიყო გენდერზე დაფუძნებულ დისკრიმინაციად. მისი საჩივრები უპასუხოდ დარჩა, მომჩივანმა 2017 წლის აპრილში კითხვით მიმართა მთავარ პროკურატურას, იღებდნენ თუ არა მის წერილებსა და საჩივრებს და რატომ არ მისდიოდა მას რაიმე პასუხი. მომჩივანს დაუდასტურეს, რომ მისი ძველი ყველა კორესპონდენცია ადრესატმა მიიღო, თუმცა დამატებითი ინფორმაცია მას არ მიენოდა.

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე 2017 წლის 13 აპრილს შევიდა. კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მარცხს, დაეცვათ მისი ქალიშვილი ოჯახში ძალადობისგან და განეხორციელებინათ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი გამოძიება იმ გარემოებებთან მიმართებით, რამაც განაპირობა მისი სიკვდილი. მომჩივანმა განაცხადა, რომ პოლიციისთვის ცნობილი იყო მისი ქალიშვილის სიცოცხლის მიმართ არსებული რისკები, თუმცა, ვერ უზრუნველყო საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, მისი და მისი ქალიშვილის მიერ ლ. მ-ს ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით წარდგენილ არაერთ საჩივარზე პასუხი შეუსაბამო და დისკრიმინაციული იყო.

კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით დავობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მისი ქალიშვილი ოჯახში ძალადობისგან და ვერ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება იმ გარემოებებთან მიმართებით, რამაც წვლილი შეიტანა მის სიკვდილში. აღნიშნული მუხლების შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითხება:

მე-2 მუხლი

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...“

მე-14 მუხლი

„ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველ გვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის... თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.“

სასამართლოს შეფასება

47. ეროვნული ხელისუფლების ორმაგი წარუმატებლობის შესახებ მომჩივნის ბრალდებების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდებოდა მისი ქალიშვილის სიცოცხ-

ხლის დაცვის ნაკლებობასა და ეფექტიანი გამოძიების არარსებობას იმ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვია მისი სიკვდილი – სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ საქმის წარმოების ყველაზე შესაფერისი გზა იქნება საჩივრების ერთდროული ორმაგი შესწავლა მე-2 მუხლის მიხედვით, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (მე-3 მუხლთან დაკავშირებით, იმავე მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით, იხ.: *Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia*, no. 7224/11, § 36, 8 October 2020, სხვა მითითებებთან ერთად; და მე-2 მუხლთან დაკავშირებით იხ.: მაგ. *Lakatošová and Lakatoš v. Slovakia*, no.655/16, §78, 11 December 2018, სხვა მითითებებთან ერთად).

(ა) ზოგადი პრინციპები

48. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს სიცოცხლის „განზრახ“ მოსპობისგან, არამედ ასევე, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფთა სიცოცხლის დასაცავად (იხ.: *Calvelli and Ciglio v. Italy* [GC], no. 32967/96, §48, ECHR 2002 I). ეს არსებითი პოზიტიური ვალდებულება პირველ ყოვლისა, მოიცავს სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება, რისთვისაც უნდა შექმნას საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის უფლების საფრთხეების ეფექტურ აღკვეთას (იხ.: *Oneryyldyz v. Turkey*, [GC] no. 48939/99, §89, ECHR 2004-XII). მეორე, შესაბამის ვითარებაში, ხელისუფლებას ეკისრება პრევენციული ოპერატიული ზომების მიღება, რათა დაიცვას პირი, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებების მხრიდან (იხ.: *Kontrova v. Slovakia*, no. 7510/04, §49, 31 May 2007). ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მონყვლად პირთა კატეგორიას, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს დაცვით (იხ.: *Talpis v. Italy*, no. 41237/14, § 99, 2 March 2017). ყოველთვის, როდესაც საეჭვოა ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება და შემდგომი განსაკუთრებული გულმოდგინება ხელისუფლების მხრიდან, რათა გაუმკლავდნენ ძალადობის სპეციფიკურ ხასიათს ეროვნული საქმის წარმოების პროცესში (იხ.: *Kurt v. Austria* [GC], no. 62903/15, § 165-66, 15 June 2021, და *Volodina v. Russia*, no. 41261/17, § 92, 9 July 2019).

49. თანამედროვე საზოგადოების წესრიგის კონტროლის სირთულეების, პირის ქცევის არაპროგნოზირებადობისა და ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებსა და რესურსებთან მიმართებით, პრევენციული ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულება პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებების მხრიდან, უნდა განიმარტოს ისე, რომ ხელისუფლებას არ დაეკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი. შესაბამისად, სიცოცხლის საფრთხის შემცველი ყველა სადავო რისკი ხელისუფლებას არ აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ოპერატიული ზომები, რომ არ მოხდეს ამ რისკის მატერიალიზაცია. ამგვარი პოზიტიური ვალდებულების წარმოშობისთვის, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის მხრიდან მომდინარე სიცოცხლის რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის არსებობის შესახებ, და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მიიღეს ზომები, რომლებიც გონივრული შეფასებით, შეძლებდნენ რისკის თავიდან აცილებას. ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. უნდა შეფასდეს რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის რის-

კი, ოჯახში ძალადობის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ასეთ ვითარებაში, საქმე ეხება არა მხოლოდ საზოგადოების ზოგადი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას, არამედ უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ძალადობის განმეორებითი ეპიზოდების გათვალისწინებას (იხ.: თალპის, ციტირებული ზემოთ, §122). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმის უზრუნველყოფა, რომ პოლიციამ გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება დანაშაულის აღკვეთისა და კონტროლის მიზნით ისე, რომ სრულად დაიცვას სათანადო პროცესი და სხვა გარანტიები, რომლებიც ლეგიტიმურად ზღუდავს მათ ქმედებას დანაშაულის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად (იხ.: *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, §§ 129-30, ECHR 2009). ამასთან, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, მოძალადეების უფლებები ვერ გადაფარავს მსხვერპლის უფლებებს სიცოცხლისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის შესახებ (იხ.: *Talpis*, ციტირებული ზემოთ, §123).

50. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მოითხოვს, რომ უნდა მოხდეს რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც საქმე ეხება მკვლელობას სახელმწიფო მოხელეების ან კერძო პირების მხრიდან (იხ.: *Mazepa and Others v. Russia*, no. 15086/07, § 69, 17, July 2018). იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტიანი“ იყოს კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში, პირველ რიგში, იგი უნდა იყოს ადეკვატური, ან უნდა შეეძლოს ფაქტების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა, როდესაც ისინი არიან სახელმწიფოს წარმომადგენლები, თუმცა ასევე, როდესაც ისინი არიან კერძო პირები (იხ.: *Lakatosva and Lakatos*, ციტირებული ზემოთ, §73). ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც ეხება გასატარებელ საშუალებებს და არამისალწევ შედეგებს (იხ.: *Mizigárova v. Slovakia*, no. 74832/01, § 93, 14 December 2010), მაგრამ შემონმების ხასიათი და ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს ეფექტურობის მინიმალურ ზღვარს, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე და შეუძლებელია შემცირდეს სიტუაციების მრავალფეროვნება, რაც შეიძლება აღმოჩნდეს საგამოძიებო მოქმედებების ან სხვა გამარტივებული კრიტერიუმების ჩამონათვალში (იხ.: *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, §80, ECHR 2000 VI). ოპერატიულობისა და გონივრული ექსპედიციის მოთხოვნა გულისხმობს ეფექტური გამოძიების კონტექსტს, კონვენციის მე-2 მუხლის მნიშვნელობით (იხ.: სხვა დანარჩენთან ერთად, *Talpis*, ციტირებული ზემოთ, §106).

51. სტრასბურგის სასამართლო ასევე იმეორებს, რომ სახელმწიფოს მარცხი დაიცვას ქალი ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას კანონის წინაშე თანაბრად იყვნენ დაცულები და რომ ეს მარცხი არ არის აუცილებელი იყოს განზრახი. ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ „ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა [კლიმატის შექმნა], რომელიც ხელსაყრელია ოჯახში ძალადობისთვის,“ წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (იხ.: *Opuz*, ციტირებული ზემოთ, §§191 et seq.). ასეთი დისკრიმინაციული მოპყრობაა, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები არ იყო უბრალო მარცხი ან შეფერხება სადავო ძალადობის განხილვისას, არამედ წარმოადგენდა ასეთი ძალადობის არაერთგზის გამართლებას და ასახავდა მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას (იხ. *Talpis*, ციტირებული ზემოთ, §141). როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი ქმედება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ჩა-

ტარდეს კანონის დაცვით და მიუკერძოებლად, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა განუწყვეტლივ განმეორდეს საზოგადოების მხრიდან ამგვარი ქმედების დაგმობა და მხარი დაუჭიროს უმცირესობათა ჯგუფის ნდობას ხელისუფლების ორგანოების მიმართ, რომ ისინი დაიცავენ მათ დისკრიმინაციული ძალადობისგან. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სამართლებრივმა სისტემებმა გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები სისხლის სამართლის კანონის აღსრულებისათვის ამგვარი ძალადობრივი ქმედებების ჩამდენთა წინააღმდეგ (იხ.: *Sabalic v. Croatia*, no. 50231/13, §95, 14 January 2021). სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრი მიდგომის გარეშე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აუცილებლად განიხილებოდა როგორც რიგითი დანაშაული, ხოლო შედეგად მიღებული გულგრილობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებით ოფიციალური თანხმობის ან თუნდაც ნაქეზების ტოლფასია (იხ.: *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, §77, 12 May 2015, სხვა მითითებებთან ერთად).

ზემოსხნებული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

(i) მატერიალურსამართლებრივი პოზიტიური ვალდებულებები

52. თავდაპირველად, შესაბამისი სისხლის სამართლის დებულებების, ისევე როგორც ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით გათვალისწინებული დამატებითი შემაკავებელი მექანიზმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ზოგადად, ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას. საკითხი შეეხება სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღნიშნული შემაკავებელი მექანიზმის განხორციელების ფორმას, რაც გულისხმობს ვალდებულების შესრულებას, რომ განხორციელებულ იქნეს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რათა დაცული ყოფილიყო მომჩივნის სიცოცხლე. ეს საკითხი წინამდებარე საქმეში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ საკითხის შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ უნდა უპასუხოს შემდეგ სამ შეკითხვას: არსებობდა თუ არა რეალური და მყისიერი საფრთხე იდენტიფიცირებული პირის მხრიდან, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნათ თუ არა ამ საფრთხის შესახებ და ამ ორ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა გამოავლინეს თუ არა განსაკუთრებული გულისხმიერება საფრთხეზე პასუხის გაცემის დროს (იხ.: მაგალითისთვის, *Opuz*, §§130 და 137-49 და ასევე, შეადარეთ *Kurt*, §§161-79).

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დროის ძალიან მჭიდრო ვადაში დაახლოებით, ექვს თვეში, 2014 წლის 29 აპრილსა და 16 ოქტომბერს შორის, მ. თ-მ და მომჩივნამა დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს სულ მცირე, შვიდჯერ. მათ განცხადებებში, შესაბამისი დეტალების აღწერით, ისინი ყოველთვის ნათლად გადმოსცემდნენ ლ. მ-ს ძალადობის ხარისხს. ამ უკანასკნელმა ერთ შემთხვევაში თავად აღიარა, რომ ის მომჩივნის ქალიშვილს მოკვლით ემუქრებოდა. ლ. მ-ს მშობლებმა პოლიციას ასევე, დაუდასტურეს მათი შვილის ქმედებების ძალადობრივი ხასიათი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთვრალი იყო. გარდა ამისა, პოლიციამ იცოდა, რომ ლ. მ. პათოლოგიურად ეჭვიანი იყო და აწუხებდა ფსიქიკური არასტაბილურობა, უჭირდა ბრაზის მართვა და უფრი მეტიც, ის ნასამართლევ იყო და ჰქონდა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენების ისტორია. პოლიციამ აგრეთვე იცოდა, რომ მ. თ. მუდმივად თან ატარებდა

სხვადასხვა თავდაცვის იარაღს და განიცდიდა უკიდურეს შიშსა და შფოთვის, როდესაც ხედავდა, რომ მისი პარტნიორი უახლოვდებოდა მის სახლს ან სამსახურს. ყოველივე ზემოხსენებული ადასტურებდა იმ საფრთხეს, რასაც ლ. მ. მ. თ-სთვის წარმოადგენდა. გარდა ამისა, მათი ურთიერთობის შესწავლისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ძალადობა, რომელიც მომჩივნის ქალიშვილის მიმართ განხორციელდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ და ცალკეულ ეპიზოდებად, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც განგრძობითი ხასიათის მქონე ძალადობა. როდესაც ოჯახში ძალადობა განგრძობითი ხასიათისაა, რთულად თუ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მსხვერპლის მიმართ არსებული საფრთხე დაუყოვნებელი (შედარებისთვის, Opuz, ციტირებული ზემოთ, §134-135; Talpis, ციტირებული ზემოთ, §121; Branko Tomasic and Others v. Croatia, no. 46598/06, §§ 52-53, 15 იანვარი 2009; შეადარეთ Teršana v. Albania, no. 48756/14, §151, 4 აგვისტო 2020). ამრიგად, სასამართლო ასკვნის, რომ პოლიციამ იცოდა ან უეჭველად უნდა სცოდნოდა მომჩივნის ქალიშვილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების რეალური და დაუყოვნებელი ხასიათი.

54. რაც შეეხება განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნას, სასამართლო განიხილავს რამდენიმე მნიშვნელოვან მარცხს სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან. პირველ ყოვლისა, არსებობს მითითებები იმაზე, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ მტკიცებულებების შეგროვება არასრული ან არაზუსტი იყო. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის ინციდენტის საპასუხოდ მტკიცებულებების შეგროვებაში ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს რეალურად განხორციელებული ძალადობის ხარისხის არასათანადოდ შეფასება. აგრეთვე, მან შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს სისხლისსამართლებრივი გამოძიების დანყების პერსპექტივაზე და მომავალში ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს გული აუცრუოს ხელისუფლებისთვის მოძალადე ოჯახის წევრების თაობაზე ინფორმაციის მინოდებაზე, რომლებიც ხშირად საზოგადოების მხრიდან ისედაც წნეხის ქვეშ არიან. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინციდენტების ჩანერისას არ გამოჩნდეს, რომ პოლიციელებმა განახორციელეს „ლეტალობის რისკის შეფასება“ ავტონომიური, აქტიური და ყოვლისმომცველი მეთოდით (შეადარეთ Kurt, ციტირებული ზემოთ, §168). პოლიციელებმა საკმარისი მნიშვნელობა არ მიანიჭეს ძალადობის პოტენციურად მაპროვოცირებელ ფაქტორებს, მაგალითად, როგორებიცაა, ლ. მ-ს ალკოჰოლზე დამოკიდებულება, მის პათოლოგიურ ეჭვიანობას დამატებით კიდევ უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ის და მ. თ. ერთმანეთს დაშორდნენ და ა.შ. და აგრეთვე, არ გაითვალისწინეს მომჩივნის მიერ საფრთხის აღქმა, ანუ რეალურად რამდენად შეშინებული იყო მომჩივნის ქალიშვილი (შედარებისთვის, Talpis, §118). პოლიციამ ამჯობინა ინციდენტის კლასიფიკაცია „მცირე ოჯახურ შელაპარაკებად“ (შეადარეთ, Kontrova, ციტირებული ზემოთ, §54). ამასთან დაკავშირებით სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საქართველოს შესაბამის მოხსენებაში მიუთითა იმავე ნაკლოვანებებზე, რომლებიც ეხება პოლიციის პირველად რეაგირებას ოჯახში ძალადობის ბრალდებებზე და ეს ხარვეზი სისტემურად მიიჩნია.

55. გარდა ამისა, სასამართლო გაკვირვებით აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა მოძალადის მიმართ დროებით შემზღუდველ ღონისძიებებს, როგორცაა დამცავი და შემაკავებელი ორდერები, ამ უკანასკნელის გაცემა კი დაუყოვნებლივ შეესაძლებელი პოლიციის

ოფიცრის მიერ დანაშაულის ადგილზე, შესაბამისმა ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიყენეს ზემოხსენებული ღონისძიებები (შეადარეთ Talpis, ციტირებული ზემოთ, §§ 113-114). იმის შესაძლებლობაც კი არსებობდა, რომ მოძალადე იზოლირებული ყოფილიყო სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში, თუმცა პოლიციამ არც ეს შესაძლებლობა განიხილა. უფრო მეტიც, პოლიციელების მიერ შედგენილი სხვადასხვა ოქმებიდან არ ჩანს, რომ მომჩივანს ან მის შვილს პოლიციამ მიაწოდა ინფორმაცია პროცედურული უფლებების და მათ დასაცავად არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ. პირიქით, როგორც ჩანს ისინი პოლიციელებმა შეცდომაში შეიყვანეს, რადგან უთხრეს, რომ მათ არ შეეძლოთ მოძალადის დაკავება ან სხვა შემზღვეველი ღონისძიების გამოყენება. სტრასბურგის სასამართლოს ყურადღების მიღმა არ გამორჩა ის ფაქტი, რომ პოლიციელთა მხრიდან შემაკავებელი ორდერების გამოცემაზე თავის შეკავება გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ განსაზღვრული კიდევ ერთი სისტემური პრობლემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ვერ გამოვლინა ეფექტიანი ძალისხმევა, რათა სათანადოდ მოპყრობოდა ოჯახში ძალადობის ინციდენტებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. თ-სა და მომჩივნის მიერ შეტანილი განმეორებითი სისხლისსამართლებრივი საჩივრების გამო, არსებობდა არაერთი მტკიცებულება, რომელიც ამართლებდა ლ. მ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებას. კერძოდ, მომჩივნისა და მისი შვილის მიერ წარდგენილი საჩივრები ნათლად და დამაჯერებლად ცხადყოფდა ლ. მ-ს ქმედებების სიმძიმეს, რაც მოიცავდა ფიზიკური დაზიანებების მიყენებას, განუწყვეტელ სიტყვიერ მუქარას მოკვლის თაობაზე, საგზაო შემთხვევის გამოწვევის განზრახვას, ხელყუმბართ მსხვერპლის აფეთქების მუქარას და ა.შ. ლ. მ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება მის პატიმრობაში მოთავსებას შესაძლებელს გახდიდა. სამწუხაროა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ასე არ მოიქცნენ.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა კიდევ უფრო უპატიებელი ჩანს, როდესაც ფასდება იმ ფონზე, რომ ზოგადად, ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, მიჩნეულია მთავარ სისტემურ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ოჯახში ძალადობის შედეგად ძირითადად, დაზარალებულნი ქალები, რომლებიც მსხვერპლთა დაახლოებით, 87%-ს შეადგენენ. რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო მონიტორინგის ორგანიზმმა, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, დაადასტურა საზოგადოებაში არსებული ეს გამოწვევა და განაცხადეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები უკავშირდება მათ შორის, დისკრიმინაციულ გენდერულ სტერეოტიპებსა და პატრიარქალურ დამოკიდებულებებს, რასაც თან ახლავს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული გულმოდგინების ნაკლებობა. შესაბამისად, პასუხისმგებელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა სიტუაციის სიმძიმე, რომელიც ქვეყანაში ბევრ ქალს ეხებოდა და შესაბამისად, უნდა გამოემყლავნებინა განსაკუთრებული გულმოდგინება და გაეზარდა სახელმწიფო დაცვა ამ ჯგუფის მონყვლადი წევრებისთვის (შეადარეთ, Identoba and Others, §72, აგრეთვე Teršana, §157). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მხოლოდ დასკვნის გაკეთება შეუძლია, რომ ოჯახში ძალადობის ბრალდებების მიმართ ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა, რომლის ნათელი ილუსტრაციაა მოცემული საქმე, ქმნიდა ხელშემწყობ კლიმატს ქალთა მიმართ შემდგომი ძალადობის განხორციელებისთვის. ამრიგად, მოპასუხე სა-

ხელმწიფოს მიერ მომჩივნის შვილის დასაცავად პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების განუხორციელებლობამ, განუჩევლად იმისა, იყო თუ არა ეს განზრახი თუ დაუდევარი მიდგომის შედეგი, ძირი გამოუთხარა კანონის წინაშე თანაბარი დაცვის მომჩივნისა და მისი ქალიშვილის უფლებას (შეადარეთ Opuz, §§ 184-202 და Talpis, §§ 145 და 148).

57. სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა აჩვენა განმეორებითი მარცხი, გადაედგათ ნაბიჯები, რომელსაც ჰქონდა ტრაგიკული შედეგის შეცვლის ან შემსუბუქების რეალური პერსპექტივა. მათთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი სხვადასხვა დამცავი ღონისძიებების აშკარა უგულვებელყოფით, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გამოავლინეს განსაკუთრებული გულმოდგინება მომჩივნის ქალიშვილის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის აღსაკვეთად, რაც მისი გარდაცვალებით დასრულდა. სასამართლომ საკითხი შეაფასა საერთაშორისო და ეროვნული მონიტორინგის ორგანოების დასკვნების ფონზე და დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში პოლიციის უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს სისტემურ პრობლემად. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მატერიალურსამართლებრივი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

(ii) პროცედურული პოზიტიური ვალდებულებები

58. სასამართლომ აღნიშნა, რომ მკვლელობის ჩამდენი იყო კერძო პირი და მისი პასუხისმგებლობა არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. ლ.მ-მა მაშინვე მოიკლა თავი და შესაბამისად, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების ნებისმიერი შემდგომი გამოყენება უშედეგო გახდა.
59. რაც შეეხება საკითხს, მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში ეკისრებოდა თუ არა სახელმწიფოს შემდგომი პოზიტიური ვალდებულება, გამოეძიებინა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების უმოქმედობა და დაეკისრებინა მათთვის პასუხისმგებლობა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან შესაძლო გულგრილობის შედეგად დამდგარ გარდაცვალებასთან მიმართებით, მათ შესაძლო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება (შექმნილი იყოს ეფექტიანი სასამართლო სისტემა), აუცილებლად არ მოითხოვს სისხლის სამართლის სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფას ყველა შემთხვევაში (იხ.: სხვა ავტორიტეტებს შორის, *Kotilainen and Others v. Finland*, no. 62439/12, §91, 17 სექტემბერი 2020). თუმცა, შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც მხოლოდ ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიება შეძლებს დააკმაყოფილოს კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული პოზიტიური პროცედურული ვალდებულების მოთხოვნები. ასეთი გარემოებები შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, როდესაც სიცოცხლე დაიკარგა ან საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა საჯარო მოხელის იმ ქმედების შედეგად, რომელიც სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს. როდესაც დადგენილია, რომ სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოს გულგრილობა სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს, ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებმა ვერ მიიღეს საჭირო ზომები, რომლებიც საჭირო და საკმარისი იყო რისკის თავიდან ასაცილებლად, ის ფაქტი, რომ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაზე პასუხისმგებელ პირებს ბრალი არ წარედგინა ან მათ მიმართ არ დანყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა წარმოადგენდეს მე-2 მუხლის დარღვევას, მიუხედავად ნებისმიერი სხვა ზიანის ანაზღაურების საშუალებ-

ბისა, რომლებიც პირებმა შეიძლება საკუთარი ინიციატივით გამოიყენონ (იხ.: Zinatullin v. Russia, no. 10551/10, §33, 28 იანვარი 2020).

60. სასამართლომ ზემოთ უკვე დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლისთვის არსებული მაღალი რისკების თაობაზე, თუ ისინი ვერ შეასრულებდნენ საპოლიციო მოვალეობებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი გულგრილობა გასცდა უბრალო შეცდომას ან დაუდევრობას. ამასთან, პროკურატურამ უგულვებელყო მომჩივნის არაერთი სისხლის სამართლის საჩივარი და არ გამოავლინა ძალისხმევა, დაედგინა პოლიციელთა ვინაობა, დაეკითხა ისინი და დაედგინა მათი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ უპასუხეს გენდერული ნიშნით ძალადობის არაერთ ინიციატორს, რაც საბოლოოდ მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში პოლიციელთა ქმედებების მიმართ საჭირო გამოძიების მოთხოვნით არაერთი საჩივრის წარდგენით, მომჩივანმა არაერთხელ მოითხოვა, თუმცა ვერ შეძლო მიეღო ინფორმაცია მთავარი პროკურატურისგან. მართლაც, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს ორი წელი დასჭირდა კორესპონდენციის მიღების დასადასტურებლად და მაშინაც დამატებითი ინფორმაცია არ იყო მონოდებული. პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოებაც არ დანერგულა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა საჩივარი წარუდგინა პოლიციელთა დისციპლინური ზედამხედველობის ორგანოს (შეადარეთ Bljakaj and Others v. Croatia, no. 74448/12, § 123, 18 სექტემბერი 2014); ამასთან, არ გადადგმულა ნაბიჯები პოლიციელთა მოსამზადებლად, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ სამომავლოდ ოჯახში ძალადობის ბრალდებებში (იხ.: *mutatis mutandis*, Lovygin v. Ukraine, no. 22323/08, §99, 23 ივნისი, 2016). თუმცა, მოცემული საქმის შესაბამისი გარემოებების, კერძოდ, ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობასთან ასოცირებული დისკრიმინაციული მოტივების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა მწვავე საჭიროება, ჩატარებული ყოფილიყო საგულისხმო მოკვლევა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და წინასწარი განწყობის/მიკერძოების შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით, რაც ასევე, იყო პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის განმსაზღვრელი ფაქტორი (შეადარეთ, *mutatis mutandis*, Aghdgomelashvili and Japaridze, §40). ეს ნაკლოვანებები წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის პოზიტიური პროცედურული ვალდებულებების დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (შეადარეთ, *mutatis mutandis*, Zinatullin, §§40-41, 47).

კონვენციის 41-ე მუხლი

სასამართლომ მომჩივანს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, 35 000 ევრო მიაკუთვნა.

ამ მიზეზების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ერთხმად,

1. დასაშვებად ცნობს საჩივარს;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურსამართლებრივი და პროცედურული ნაწილები კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ

Gachechiladze v. Georgia

საჩივარი №2591/19

გადაწყვეტილება

22 ივლისი, 2021 წელი

ფაქტები

მომჩივანი აწარმოებს კონდომებს, შეფუთვაზე სხვადასხვა დიზაინით, რომელსაც ყიდის ინტერნეტით და სავაჭრო აპარატებით. მისი ოთხი დიზაინი გახდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის საგანი იმ საფუძველით, რომ ისინი წარმოადგენდნენ არაეთიკურ რეკლამას, რეკლამის შესახებ კანონის შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მომჩივანი წარუმატებლად დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ სხვადასხვა საქმეს, რომლითაც ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა საკმარისი დასაბუთება იმის თაობაზე, თუ რატომ დაირღვა შესაბამისი კანონი.

მომჩივანი დაჯარიმდა, აეკრძალა შესაბამისი დიზაინის გამოყენება და გავრცელება და დაევალა პროდუქციის გაყიდვიდან ამოღება. მან აღნიშნული გადაწყვეტილება წარუმატებლად გაასაჩივრა.

მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის გამოსატყვის თავისუფლებაში განხორციელდა გაუმართლებელი ჩარევა იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ ჩატარდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რაც დასრულდა მისთვის სანქციის დაკისრებით.

სასამართლოს შეფასება

54. მოცემული საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები ვერ თანხმდებოდნენ, მომჩივნის მიერ გამოყენებულ დიზაინს ჰქონდა თუ არა მხოლოდ კომერციული გამოხატვა, შედეგად, ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა შეფასების ფართო ფარგლები კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებაში ჩარევის საჭიროებასა და პროპორციულობასთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ოთხივე დიზაინი წარმოადგენდა „გამოხატვას“ მხოლოდ კომერციულ კონტექსტში, როგორც საქმეში Sekmadienis Ltd. მთავრობამ ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა.

55. თუმცა, სასამართლო აღიშნავს, რომ მომჩივნის ბრენდი როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა საჯარო დებატების დაწყებას და/ან ხელშეწყობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ბრენდის დეკლარირებული მიზანი, რომელიც გაცხადდა მისი დაფუძნების დროს, იყო სტერეოტიპების დამსხვრევა და „სექსისა და სექსუალობის სათანადო გაგების ხელშეწყობა.“ მომჩივნის მიერ გამოყენებული ზოგიერთი სურათი ეხებოდა ერთი და იმავე სექსის მქონე წყვილთა ურთიერთობას (რამდენადაც საკითხი ეხება ლგბტ თემის მიმართ ქართულ საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას, იხ.: საქმე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ). ზოგიერთი დიზაინი ასევე, იყო სოციალური, ისევე როგორც პოლიტიკური კომენტარი სხვადასხვა

მოვლენასა და საკითხთან დაკავშირებით. ასევე რელიგვანტურია იმის აღნიშვნა, რომ მომჩივნის ბრენდთან დაკავშირებით საჩივრის წარმდგენი ორგანიზაცია აქტიური იყო სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებში. შესაბამისად, ამრიგად, მთავრობის არგუმენტი, რომ მომჩივნის „გამოხატვა“ განხილულ უნდა იყოს მხოლოდ კომერციულ კონტექსტში, ფრთხილად უნდა იქნეს შესწავლილი, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე ხელისუფლებას შეფასების ფართო ფარგლები აქვს. იმ გარემოებებში, რომლებშიც ნაწილობრივ მაინც იკვეთება საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე მოსაზრების დაფიქსირება, ეროვნული სასამართლოებისთვის მიკუთვნებული შეფასების ფარგლები უფრო ვიწროა იმ შემთხვევებისგან განსხვავებით, რომლებიც ეხება მხოლოდ კომერციულ გამოხატვას.

56. რაც შეეხება ოთხ სადავო დიზაინს, ერთ-ერთი მათგანი იყო „სამეფო კარი თამარში“ და მიემართებოდა 1184-1213 წლებში, საქართველოს მეფეს, თამარს, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული. მომჩივნის პოზიცია ამ დიზაინთან დაკავშირებით იყო ის, რომ ისტორიული ფიგურა ვერ იქნებოდა გათავისუფლებული საჯარო დისკუსიისგან. ამასთან მიმართებით სასამართლო აცხადებს, რომ საჯარო პირის ან ნებისმიერი პირის წმინდანად შერაცხვა თავისთავად ვერ გამოორიციხავს საჯარო დებატებში დისკუსიას ამ პირის თაობაზე. აგრეთვე, განსხვავებით ეროვნული სასამართლოების დასაბუთებისგან, პრეზერვატივის წარმოება და გავრცელება თავისთავად შეუსაბამოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც ფასდება, გამოხატვას შეუძლია თუ არა ხელი შეუწყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დებატებს.
57. თუმცა, სასამართლოს ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ მომჩივანმა ეროვნულ დონეზე ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თამარ მეფის პრეზერვატივზე გამოხატვა თანმდევ ნიშანთან ერთად, თუ რატომ ან როგორ უწყობდა ხელს საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებს.
58. სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა წმინდანის ისტორიული, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა, მისი გამოსახვა ფრესკებზე და ქართული ეკლესიისადმი წვლილი. მიუთითა რა, რომ მან აგრეთვე გაითვალისწინა ადგილობრივი კონტექსტი, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თამარ მეფის წმინდანობა უპირატესი იყო მისი როგორც საჯარო პირის სტატუსზე და დაადგინა, რომ სადავო დიზაინის გამოყენების ფორმა, საზოგადოების საშუალო გონივრული წევრისთვის, წარმოადგენდა გაუმართლებელ თავდასხმას რელიგიურ ფიგურაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა რეკლამის შესახებ კანონს. ამასთან მიმართებით სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, სამწუხაროა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეაფასეს იმ ტექსტის მნიშვნელობა, რომელიც თან ახლდა სადავო გამოსახულებას. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მიერ ეროვნულ დონეზე არ ყოფილა წარმოდგენილი დამაჯერებელი არგუმენტები, სასამართლოს უჭირს იმის დადგენა, რომ ეროვნული სასამართლოები, რომლებიც როგორც წესი, საერთაშორისო სასამართლოსთან შედარებით უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან, რათა შეაფასონ მსგავსი ზომის გამოყენების საჭიროება მოცემულ დროს ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით – შეცდნენ, როდესაც მიიჩნიეს, რომ ეს კონკრეტული დიზაინი აღქმული უნდა ყოფილიყო, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი ქართველების პატივისცემის ობიექტის გაუმართლებელი შე-

ურაცხყოფა.

59. თუმცა, რაც შეეხება დარჩენილ დიზაინებს, მათთან დაკავშირებით გარემოებები განსხვავებულია. კერძოდ, რაც შეეხება პანდას ვიზუალს და ქრისტიანთათვის წმინდა დღის მოხსენიებას, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომ სურათი და თანმდევი ტექსტი გაუმართლებლად შეურაცხყოფდა მართლმადიდებელი ქრისტიანების ცხოვრების წესს და რელიგიურ სწავლებას, რომ მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული მარხვის დროს სექსუალური ურთიერთობები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ აღნიშნული საფუძვლები საკმარისი იყო იმის გასამართლებლად, რომ ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დიზაინი მხოლოდ იმეორებდა ანონიმური ჯგუფის სახელად „პანდას“ მიერ უკვე არსებულ არტისტულ გამოხატვას, რომელსაც იმ დროისთვის YouTube-ზე მილიონზე მეტი ნახვა და 15 000 „მონონება“ ჰქონდა. ზემოხსენებული მუსიკალური ვიდეოს პოპულარობა სადავო არ გამხდარა არც ეროვნულ დონეზე და არც სტრასბურგის სასამართლოს წინაშე. რაც შეეხება მის შინაარსს, ის წარმოადგენდა სატირას საქართველოში ხშირად გამოყენებულ სხვადასხვა ფრაზასთან მიმართებით და ძირითადად, სხვადასხვა იდეის კრიტიკას წარმოადგენდა, მათ შორის მათი, რომლებიც დაკავშირებული იყო რელიგიურ სწავლებასა და პრაქტიკასთან. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მომჩივნის ზემოხსენებულ ფაქტორებზე დაფუძნებული არგუმენტების უარყოფა, მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ზემოთ ხსენებულ არტისტულ გამოხატვასთან მიმართებით განსხვავებული რეგულაცია გამოიყენებოდა, პასუხგაუცემელს ტოვებდა გადამწყვეტ საკითხს, არსებობდა თუ არა სადავო დიზაინის გავრცელების შეზღუდვის „მწვავე სოციალური საჭიროება.“
60. დანარჩენ ორ დიზაინზე გამოსახული იყო ქალის მარცხენა ხელი, რომელსაც კონდომი ჰქონდა მოთავსებული ორ აღმართულ თითზე და გვირგვინის გამოსახულება, რომელიც გაკეთებული იყო კონდომით და ჰქონდა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული წარწერა.
61. რაც შეეხება ხელის შემცველ გამოსახულებას, უპასუხოდ დარჩა მომჩივნის არგუმენტი, რომლითაც ის დავობდა, რომ არ არსებობდა რელიგიური კონოტაცია, ვინაიდან დიზაინზე მოცემული იყოს ქალის მარცხენა და არა მარჯვენა ხელი, რომელიც გამოიყენებოდა რელიგიურ კონტექსტში, რაც მიუთითებდა [გამოხატვის თავისუფლებაში] ჩარევისთვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლის ნაკლებობას. ნაცვლად ამისა, გასაოცარია, რომ ეროვნული სასამართლოები დაჟინებით მიუთითებდნენ, რომ გამოსახულება უნდა მიჩნეულიყო ე.წ. „მაკურთხებელ მარჯვენად,“ როგორც ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდ. მართალია, არ იყო გამოირიცხული, რომ ყველაზე ტრივიალური გამოსახულებაც კი, შეიძლება მოიცავდეს რელიგიურ სიმბოლოსთან სპეციფიკური ასოციაციის გამომწვევ ელემენტებს, ეროვნულ სასამართლოებს უნდა ეჩვენებინათ, თუ რატომ იყო ქალის ხელის გამოსახულება ამის მანიშნებელი, თუმცა, აღნიშნული მათ ვერ შეძლეს. რაც შეეხება ისტორიულ მოვლენაზე მითითებით გვირგვინიან დიზაინს, ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს ამ მოვლენის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისთვის. თუმცა, მომჩივნის განცხადებების მიუხედავად, მის წინააღმდეგ სამართალწარმოების დროს გაუგებარი დარჩა, თუ რატომ მიიჩნიეს ეროვნულმა სასამართლოებმა, რომ ისტორიულ მოვლენაზე მითითება ან პრე-

ზერვატივზე გვირგვინის გამოსახვა რატომ შეიძლება განეკუთვნებოდეს არაეთიკური რეკლამის განმარტებას, რომელსაც ითვალისწინებდა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი. არც ის ყოფილა განმარტებული, არსებობდა თუ არა რაიმე „მწვავე სოციალური საჭიროება,“ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობით, რომ შეზღუდულიყო ამ ორი დიზაინის გავრცელება. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ დასახელებული არცერთი საფუძველი არ იყო რელევანტური მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობისა და პროპორციულობის გასამართლებლად, რამდენადაც დიზაინი ეხება ქალის ხელსა და გვირგვინს ისტორიულ მოვლენაზე მითითებით.

62. დაბოლოს, სტრასბურგის სასამართლო ეწინააღმდეგება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში აშკარა გავლენას, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სხვადასხვა ღირებულებას შორის ბალანსის დაცვისას, უპირატესობა მიენიჭა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრების შეხედულებებს ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი გავლენა ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებებს, რომლის თანახმადაც, „დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის [მიერ მქონე] ეთიკური ნორმების ან მსოფლმხედველობის დადგენა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს, მეშვეობით.“ ეს ასევე, ეწინააღმდეგება შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს (იხ.: *Sekmadienis Ltd.*, cited above, §80, with further references). სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ პლურალისტურ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისინი ვინც ირჩევენ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას, უნდა შეეგუონ და მიიღონ სხვების მიერ მათი რელიგიური მრწამსის უარყოფა და მათი რწმენისადმი მტრული მოძღვრების გავრცელება (იხ.: სხვა მითითებებთან ერთად *Otto Preminger-Institut*, §47, and *Y.A. v. Turkey*, §28.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ოთხი სადავო დიზაინიდან სულ მცირე, სამის შემთხვევაში, ეროვნული სასამართლოების მიერ დასახელებული მიზეზები არ იყო შესაბამისი და საკმარისი კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჩარევის გასამართლებლად.

შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ

KIKABIDZE v. GEORGIA

საჩივარი №57642/12

გადანყვეტილება

16 ნოემბერი, 2021 წელი

ფაქტები

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის სამართალწარმოების სავარაუდო არასამართლიანობას.

კონვენციის მე-6 მუხლის §§1 და მე-3 (ბ) და (დ) პუნქტების საფუძველზე, სავარაუდო არაადეკვატური დრო და რესურსი, რომელიც გამოყოფილი იყო მისი დაცვის მოსამზადებლად; მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით პროცედურების სავარაუდო არასამართლიანობა; და მისი საჩივრის დაუშვებლად უარყოფის გადანყვეტილებაში დასაბუთების არარსებობა.

2004 წლის 7 სექტემბერს, პატიმარი ნ. მ. გარდაცვლილი იპოვეს საკანში, სადაც სამოცდაათზე მეტი პატიმარი იყო. წინასწარი გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, მაგრამ შეწყდა 2004 წლის 1 ოქტომბერს, დადგინდა, რომ ნ. მ-მ თავი მოიკლა.

მომჩივანი დავობდა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე დაგვიანებული ხელმისაწვდომობის გამო, მას არ ჰქონდა საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად. ასევე, მან განაცხადა, რომ სხდომის თავმჯდომარემ მიიღო უკანონო გადანყვეტილებები მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით და, რომ სააპელაციო სასამართლოს უარი მისი საჩივრის დაშვებაზე იურიდიულ საკითხებზე დაუსაბუთებელი იყო. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის §§1 და მე-3 (ბ) და (დ) პუნქტებს.

სასამართლოს შეფასება

39. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივარი არსებითად წარმოშობს განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, (i) სავარაუდო არასაკმარისი დრო და საშუალებები თავდაცვის მოსამზადებლად, (ii) დაცვის მხარის მიერ გამოსაძახებელ მოწმეთა სიის დაუშვებლობის პრობლემა და (iii) სააპელაციო სასამართლოს მიერ მომჩივნის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისათვის საკმარისი საფუძვლების არარსებობა. ვინაიდან მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები განიხილება როგორც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეული ასპექტები, ევროპული სასამართლო განიხილავს თითოეულ ზემოაღნიშნულ საკითხს ორივე დებულების ქრილში (იხ.: სხვებთან ერთად Schatschaschwili v. Germany [GC], no. 9154/10, § 100, ECHR 2015, and Idalov v. Russia [GC], no. 5826/03, §169, 22 May 2012).

(ა) სავარაუდო არასაკმარისი დრო და საშუალებები თავდაცვის მოსამზადებლად

(i) ზოგადი პრინციპები

40. მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფრო ფართო კონცეფციის ერთ-ერთი მახასიათებელი, თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე

- იმ პირობებში, რომელიც მას არახელსაყრელ პირობებში არ აყენებს მონინააღმდეგე მხარესთან. ამ კონტექსტში, მნიშვნელობა ენიჭება როგორც გამოცხადებას ასევე, მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულებისადმი მომეტებულ მგრძობელობას (იხ.: სხვა საკითხებთან ერთად *Ocalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, §140, ECHR 2005 IV; see also *Bulut v. Austria*, 22 February 1996, Reports of Judgments and Decisions 1996-II, p. 359, §47, and *Moiseyev v. Russia*, no. 62936/00, § 203, 9 October 2008).
41. შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლება ნიშნავს, სისხლის სამართლის საქმეში, როგორც ბრალდების მხარეს ასევე, დაცვის მხარეს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, იცოდნენ და კომენტარი გააკეთონ მეორე მხარის მიერ წარდგენილ მასალებსა და მტკიცებულებებზე. არსებობს სხვადასხვა გზა, რომლითაც ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნას. თუმცა, რა მეთოდიც არ უნდა იყოს არჩეული, მან უნდა უზრუნველყოს, რომ მეორე მხარე ინფორმირებული იყოს, რომ მასალები წარდგენილია და მას რეალურად აქვს კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა (იხ.: *Murtazaliyeva v. Russia* [GC], no. 36658/05, § 91, 18 December 2018; იხ.: ასევე, *Zahirović v. Croatia*, no. 58590/11, §42, 25 April 2013).
42. სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უფლებას. სტრასბურგის სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ საქმის მასალებზე შეუზღუდავი წვდომა და ნებისმიერი შენიშვნის შეუზღუდავი გამოყენება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტების ასლების მოპოვების შესაძლებლობა, სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი გარანტიაა. ასეთი ხელმისაწვდომობის შეუძლებლობა, სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას (იხ.: *Beraru v. Romania*, no. 40107/04, § 70, 18 March 2014). ამ კონტექსტში, მნიშვნელობა ენიჭება როგორც გამოცხადებას ასევე, მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულებისადმი მომეტებულ მგრძობელობას. დაცვის მხარის უფლებების პატივისცემა მოითხოვს, რომ ბრალდებულის ან მისი ადვოკატის მიერ სასამართლოში არსებულ მასალებზე წვდომის შეზღუდვა ხელს არ უნდა უშლიდეს მტკიცებულებების ხელმისაწვდომობას ბრალდებულისთვის სასამართლო პროცესის დაწყებამდე და ბრალდებულს საშუალება უნდა მიეცეს, ზეპირი წარდგინებების დროს, გააკეთოს მათზე კომენტარები ადოკატის მეშვეობით (იხ.: *Ocalan*, §140).
43. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი გულისხმობს, რომ ბრალდებულის სახელით არსებითი დაცვის განორციელება შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც „აუცილებელია“ სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებლად. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი დაცვა მოამზადოს სათანადოდ და ყველა შესაბამისი დაცვის არგუმენტის სასამართლოს წინაშე წარდგენის შეზღუდვის გარეშე და ამით მოახდინოს ზეგავლება საქმისწარმოების შედეგზე (იხ.: *Connolly v. the United Kingdom* (dec.), no. 27245/95, 26 June 1996; *Mayzit v. Russia*, no. 63378/00, § 78, 20 January 2005, and *Moiseyev v. Russia*, no. 62936/00, § 220, 9 October 2008). იმის შეფასებისას, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ადეკვატური დრო დაცვის მოსამზადებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქმის ხასიათს ასევე, საქმის სირთულეს და პროცესის სტადიას (იხ.: *Albert and Le Compte v. Belgium*, 10 February 1983, § 41, Series A no. 58, and *Gregaćević v. Croatia*, no. 58331/09, § 51, 10 July 2012).
44. ბრალდებულისთვის მინიჭებული დროისა და საშუალებების ადეკვატურობის სა-

კითხი უნდა შეფასდეს თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (იხ.: *Iglin v. Ukraine*, no. 39908/05, § 65, 12 January 2012).

(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მიმდინარე საქმის გარემოებებზე

45. მომჩივანი დავობდა, რომ მას დაგვიანებით მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, რამაც განაპირობა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად. წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ ყოვლისა, უნდა განიმარტოს იურიდიული დახმარების ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებული გარემოებები და მისი როლი მომჩივნის კერძო ადვოკატებთან ერთად; ამის გაკეთებისას, იგი იხელმძღვანელებს სასამართლოს პრაქტიკით იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით „არჩევანზე უარი თქმის“ შესახებ (იხ.: *Dvorski v. Croatia [GC]*, no. 25703/11, §§81-82, ECHR 2015).

46. დასაწყისისთვის, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 11 ოქტომბერს, როგორც ბრალდებული იურიდიული დახმარების ადვოკატის თანდასწრებით ოფიციალურად დაკითხვისას, მომჩივანმა ხელი მოაწერა შესაბამის ექსპერტიზის დასკვნას და გააკეთა ჩანაწერი, სადაც მითითებულია მისი თანხმობა კონკრეტული ადვოკატის წარმომადგენლობაზე. იმ დროისთვის, მომჩივანი უკვე ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ უფლება ჰქონდა საკუთარი არჩევანით დაენიშნა ადვოკატი. 2011 წლის 12 ოქტომბერს, მომჩივნის იურიდიული დახმარების ადვოკატს გადაეცა მომჩივნის წინააღმდეგ მტკიცებულებათა სია და შესაბამისი მტკიცებულებების ასლები. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ იმავე დღეს, 13 საათზე, მომჩივანმა დანიშნა კერძო ადვოკატი გ. ჩ. 2011 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა წინასწარი პატიმრობის სხომა, რომელზეც მომჩივანს წარმოადგენდა იურიდიული დახმარების ადვოკატი კერძო ადვოკატთან ერთად. მოსმენის დროს მომჩივანს არცერთ მომენტში არ გამოუთქვამს სურვილი, შეეცვალა ან მოეხსნა იურიდიული დახმარების ადვოკატი. ის არც იმას ამტკიცებდა, რომ ეს უკანასკნელი ვერ წარმოადგენდა მის ინტერესებს ეფექტურად. ეს საკითხი გულდასმით შეაფასა მოსამართლემ მომჩივნის სისხლის სამართლის წინასასამართლო სხდომის დროს. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საკითხს, რომელიც წარმოიქმნება მომჩივნის იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების საწყის ეტაპთან მიმართებით (იხ.: *Almasi v. Serbia*, no. 21388/15, §§ 112-13, 8 October 2019; contrast *Lobzhanidze and Peradze v. Georgia*, nos. 21447/11 and 35839/11, §§85, 86, 27 February 2020). შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი იმ დასკვნისათვის, რომ იურიდიული დახმარების ადვოკატისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების და ბრალდების მხარის მტკიცებულებების სიის გადაცემით, ბრალდების მხარე ერთგვარად თვითნებურად მოქმედებდა ან მიზნად ისახავდა დაცვის მხარისათვის ხელის შეშლას.

47. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განცხადებით, მომჩივნის ადვოკატებმა ვერ დაასაბუთეს თავიანთი განცხადება, რომ პროკურატრამ ხელი შეუშალა მათ საქმის მასალებთან წვდომაზე.

სტრასბურგის სასამართლოს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და შესაბამისად, არ გააჩნია საფუძველი, რომ არ დაეთანხმოს მოსამართლის ზემოაღნიშნულ დასკვნას. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ამტკიცებ-

და, რომ იგი არ ენდობოდა იურიდიული დახმარების ადვოკატს, მას არასდროს გაუხმაურებია მსგავსი ბრალდებები ადგილობრივ დონეზე. შეაბამისად, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის ბრალდება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ უარყო მისი უფლება საქმის მასალებზე წვდომის შესახებ 2011 წლის 21 ოქტომბერი – 3 ნოემბრის პერიოდში, კვლად დაუმტკიცებელი რჩება.

48. რაც შეეხება 2011 წლის 3 ნოემბრიდან 8 ნოემბრამდე პერიოდს, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს იმის ახსნა, თუ რატომ არ იყო შესაძლებელი პროკურორისთვის, დაუყონებლივ ემოქმედა კერძო ადვოკატების 2011 წლის 3 და 4 ნოემბრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი, დაცვის მხარის მოთხოვნით, გარანტიას იძლევა „დაუყონებლივ“ ხელმისაწვდომობას ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე „სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.“ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შესაბამისი ადმინისტრაციული ნაბიჯების გადადგმას გარკვეული დრო მაინც დასჭირდეს, პროკურატურას, წინასასამართლო სხდომის მოახლოებასთან ერთად, ათი დღის განმავლობაში უნდა გამოეჩინა მეტი მონდომება, რათა ხელი არ შეეშალა მომჩივნის მიერ მისი დაცვის მომზადებაში. იურიდიული დახმარების ადვოკატის ხელმისაწვდომობა მტკიცებულებებზე გამოძიების საწყის ეტაპზე არანაირ გავლენას არ ახდენდა ბრალდების მხარის უწყვეტ ვალდებულებაზე – სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დაუშვას დაცვის მხარეს საქმის მასალებზე წვდომა. მართლაც, ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარემ მათი მოთხოვნით, საბოლოოდ გადასცა დაცვის მხარეს საქმის მასალის ასლები, გულისხმობდა, რომ ისინი არ აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ მათი ვალდებულების ბუნებას, რომ ემოქმედათ დაცვის მხარის მოთხოვნით.
49. ამ ფონზე, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ დააკონკრეტა ზემოაღნიშნული ეროვნული კანონმდებლობის დებულებით გათვალისწინებულ „დაუყოვნებლივობის“ მოთხოვნა და უპასუხოდ დატოვა მომჩივნის შესაბამისი არგუმენტი. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ საქმის მასალების ეფექტური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი შეფასებისას თუ როგორ იქნა გამოყენებული მხარეთა თანასწორობის პრინციპი. წინამდებარე საქმეში, პროკურატურას არ ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება სსსკ-ის 83-ე მუხლის მიხედვით, საკუთარი ინიციატივით გაეზიარებინა მტკიცებულებები დაცვის მხარისთვის, წინასასამართლო სხდომამდე ხუთი დღით ადრე. თუმცა, განსაზღვრული ხუთდღიანი ვადა საკმაოდ მოკლეა და დაცვის მხარის მიერ ამ ვადის გასვლის შემდეგ რაიმე მტკიცებულების წარდგენით, თუ სრულად არ იყო შეფერხებული, თავმჯდომარე მოსამართლეს ევალეზობდა დარწმუნებულიყო, რომ ბრალდების მხარე მოქმედებდა ოპერატიულად და გულმოდგინედ, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დაცვის მხარის მოთხოვნით, სსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. თავის მსჯელობაში, თავმჯდომარე მოსამართლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნის იურიდიული დახმარების ადვოკატს მიეცა საქმის მასალებზე წვდომის უფლება უკვე 2011 წლის 12 ოქტომბერს, ანუ წინასასამართლო სხდომამდე ერთი თვით ადრე, და რომ დაცვის მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ პროკურატურის ორგანოებმა 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე პერიოდში უარი უთხრეს საქმის მასალებზე წვდომის უფლებაზე. თუმცა, იურიდიული დახმარების ადვოკატი არ იყო ჩართული მომჩივნის წარმომადგენლობაში წინასასამართლო სხდომის შემდეგ. და, ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივნის იურიდიული დახ-

მარების ადვოკატსა და კერძო იურისტებს შორის თანამშრომლობის და გულმოდგინების ნაკლებობა თავისთავად ვერ ათავისუფლებს სახელმწიფოს და მის წარმომადგენლებს პასუხისმგებლობისგან, რომ იმოქმედონ გულმოდგინედ. ამ კუთხით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ თავმჯდომარე მოსამართლეს უნდა უზრუნველყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის მომზადების დროს, დაცვის მხარის სავარაუდო სირთულეები არ ყოფილიყო ისეთი, რომ გავლენა ჰქონოდა მომჩივნის უფლებების არსზე კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (იხ.: *Ocalan*, cited above, § 147; see also *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, no. 14902/04, §§ 540, 20 September 2011; see also the Joint Opinion of the ODIHR and the CoE, as cited in paragraph 25 above). მთლიანობაში, ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე დაგვიანებული ხელმისაწვდომობა სწორედ ის იყო, რაზეც მომჩივნის ადვოკატები ეყრდნობოდნენ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, 2010 წლის რეფორმების ერთ-ერთი დასახული მიზანი იყო თავდაცვის უფლებების გაძლიერება.

50. შეჯამებისას, კუმულაციურად, საქმისწარმოების ბუნებისა და ციხეში მკვლევლობის თითქმის ათწლეულის წინანდელი საქმის სირთულის გათვალისწინებით, და ასევე, მოვლენების თანმიმდევრობის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობები, რაც მას საშუალებას მისცემდა ეფექტურად მოემზადებინა საკუთარი დაცვა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.

ბ. სავარაუდო უკანონო და თვითნებური უარი დაცვის მტკიცებულების მიღებაზე

i. ზოგადი პრინციპები

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, მტკიცებულების დასაშვებობა არის უპირატესად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანი და სასამართლოს ამოცანა არ არის გადაწყვიტოს მონმეთა განხადებები სათანადოდ იყო თუ არა მიღებული მტკიცებულებად, არამედ მისი ამოცანაა დაადგინოს სამართალწარმოება მთლიანად მათ შორის, მტკიცებულების მიღების წესი იყო თუ არა სამართლიანი (იხ.: *სხვა ბევრ ავტორიტეტს შორის*, *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, 23 April 1997, § 50, Reports 1997-III, and *Perna v. Italy [GC]*, no. 48898/99, § 29, ECHR 2003-V). კონვენციის მუხლი 6 §3 (დ) არ ითხოვს ბრალდებულის სასარგებლოდ ყველა მონმის დასწრებასა და დაკითხვას. ამ დებულების არსებითი მიზანია, როგორც არის მითითებული სიტყვებით, „იმავე პირობების მიხედვით,“ უზრუნველყოს მხარეთა სრული თანასწორობა საკითხის განხილვისას (იხ.: *Engel and Others v. the Netherlands*, 8 June 1976, § 91, Series A no. 22; *Vidal v. Belgium*, 22 April 1992, §33, Series A no. 235-B; and *Murtazaliyeva*, იხ. ზემოთ, §139).

საქმეში, *Murtazaliyeva v. Russia [GC]* (მითითებულია ზემოთ §158) სასამართლომ მოახდინა სამსაფეხურიანი ტესტის ფორმულირება იმის შესაფასებლად დაცული იყო თუ არა მე-6 §3 (დ) მუხლით მოცემული დაცვისთვის მონმის გამოძახების უფლება: 1. იყო თუ არა მონმის დაკითხვის მოთხოვნა საკმარისად დასაბუთებული და ბრალდების საგნის რელევანტური; 2. ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს თუ არა ჩვენების რელევანტურობა და დასაბუთეს თუ არა თავიანთი გადაწყვეტილება პროცესზე მონმის დაკითხვის უართან დაკავშირებით და 3. სასამართლოთა უარმა ხელყო თუ არა სამართალწარმოების მთლიანი სასამართლიანობა.

პირველ ელემენტთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელია შემომხედეს მონმის ჩვენება, იყო თუ არა ისეთი რომ გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე ან მოსალოდნელი იყო თუ არა მისგან დაცვის პოზიციის გაძლიერება. მონმის დაკითხვასთან დაკავშირებული დაცვის მხარის მოტივების დასაბუთების საკმარისობა დამოკიდებული იქნება მოცემული საქმის გარემოებების შეფასებაზე, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებად დებულებებზე, სამართალწარმოების განვითარებაზე და ეტაპზე, მხარეთა დასაბუთების მიმართულებაზე და სტრატეგიაზე და მათ საპროცესო მოქმედებაზე (იქვე, § 160-61).

რაც შეეხება ტესტის მეორე ელემენტს, სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად, ჩვენების რელევანტურობა და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დასაბუთების საკმარისობა საქმის გარემოებებთან ერთად, განსაზღვრავს ეროვნული სასამართლოების მიერ მონმის დასწრების და დაკითხვის უზრუნველყოფის საჭიროების შეფასების ფარგლებსა და დეტალურობის ხარისხს. შესაბამისად, თუ არის დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტები ძლიერი და წონადი, უფრო დეტალური უნდა იყოს შემომხება და უფრო დამაჯერებელი ეროვნული სასამართლოების დასაბუთება თუ ისინი გადანყვეტენ უარი უთხრან დაცვის მხარეს მონმის დაკითხვაზე (იქვე, § 166).

რაც შეეხება მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებას, როგორც მესამე ელემენტს, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სამართლიანი პროცესის მოთხოვნებთან შესაბამისობა შემომხებულ უნდა იქნეს თითოეულ საქმეში მთლიანი პროცესის მსვლელობის განვითარების გათვალისწინებით და არა ცალკე ასპექტის ან შემთხვევის გათვალისწინების საფუძველზე. როცა ტესტის პირველი ორი საფეხურის მიხედვით გამოტანილი დასკვნები ძირითადად, იქნება ძლიერად მითითებითი სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ განსაზღვრულ, აღიარებულ გამონაკლის შემთხვევებში სამართლიანობასთან დაკავშირებულმა მოსაზრებებმა შეიძლება მოგვცეს საპირისპირო დასკვნები (იქვე, § 167-68).

ii. ზემოთნახსენები პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებთან

მოცემულ საქმეში მომჩივნის მოთხოვნა – მიეღო მტკიცებულებად დაცვის მხარის მონმეთა სია, უარყოფილ იქნა საპროცესო საფუძვლებით. თავმჯომარე მოსამართლემ დაასკვნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (CCP) მუხლი 83 §6-ის გამოყენებით, რომ სია წარმოდგენილ იქნა წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს, ხუთი დღის ვადის დარღვევით და არ მიიღო მომჩივნის არგუმენტი, რომ ეს იყო გამონწვეული იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყოვნეს მის მიერ საქმის მასალებზე წვდომა. თავისი დაკვნების გათვალისწინებით, ზემოთ, პარაგრაფებში 48-50, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლის ნახსენები გადანყვეტილება იყო ეროვნული სამართლის ზედმეტად ფორმალური და შეზღუდული გამოყენების შედეგი, მომჩივნის საზიანოდ.

მას არ შეუძლია ყურადღების მიღმა დატოვოს აღნიშნული გადანყვეტილების შედეგი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ნაფიცო მსაჯულების წინაშე წარმართულ საქმეში მომჩივნის წინააღმდეგ, დაცვის მხარის არც ერთი მონმე არ დაკითხულა. საქმის ამგვარი მდგომარეობა შემამფოთებლად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმის საგნის ხასიათის გათვალისწინებით, ციხეში 70 პატიმრის წინაშე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა, მტკიცებულებათა არარსებობა გარდა მონმეებისა, და იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გადანყდა ნაფიც მსაჯულთა მიერ. ამგვარად, კონვენციის სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების

თვალთახედვიდან და მომჩივნის უფლებიდან – „მიიღოს თავის მოწმეთა დასწრება და დაკითხვა იმავე პირობებში, რაც მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთათვის არის გათვალისწინებული,“ რაც გარანტირებულია მე-6 წმ 1 და 3 (დ) მუხლით, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის ყველა მოწმის გამორიცხვა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული უფრო წონადი არგუმენტებით, ვიდრე მომჩივნის მიერ საპროცესო ვადების მოთხოვნებთან შესაბამისობაა.

სასამართლო ამ მხრივ აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, განსაკუთრებით, 84-ე მუხლი – შესაბამის დროს მოქმედი – უზრუნველყოფდა დაცვის უფლების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების დაშვებას, მაშინაც კი, თუ ბრალდების მხარესთან მტკიცებულებების გაცვლა არ განხორციელებულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე წმ მუხლის მიხედვით (იხ.: ზემოთ, პარაგრაფი 23). სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით განსაზღვრული დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლების გამოყენება დამოკიდებული იყო დამაჯერებელ არგუმენტებზე, რომლებსაც შეეძლოთ გაემართლებინათ დაცვის მხარის მიერ დაყოვნება. წინასასამართლო სხდომის განმავლობაში, მოსამართლემ ამგვარად მიუთითა დამაჯერებელი მტკიცებულებების ნაკლებობაზე, რომელიც გაამართლებდა დაყოვნებას (იხ.: ზემოთ, პარაგრაფი 15). სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ წარმოადგინა ორი პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება მათი არგუმენტის მხარდასაჭერად. ამ გადაწყვეტილებების ყურადღებით წაკითხვამ (იხ.: ზემოთ, პარაგრაფი 37) და ასევე, თავად დებულების, სასამართლო არ მიიყვანა იგივე დასკვნებამდე. ერთადერთი წინაპირობა დაცვის საგამონაკლისო უფლების გამოყენებისთვის, სისხლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის ფორმულირების თანახმად, რომელიც მოქმედებდა შესაბამის დროს, იყო მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისთვის (შეადარე და განასხვავე საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლთან, მითითებულია 23 პარაგრაფში ზემოთ, რომელიც ეხებოდა არსებითი განხილვის შემდგომ მტკიცებულების წარდგენას და ითხოვდა შესაბამისი მხარის მიერ მტკიცებულებების ადრე წარდგენის შეუძლებლობის დასაბუთებას). სახელმწიფომ ვერ შეძლო სასამართლოსთვის წარედგინა უზენაესი სასამართლოს რელევანტური სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის გაკეთება მოსთხოვეს. როცა სასამართლოს დასადგენი არ არის ეროვნული სამართლის სწორი ინტერპრეტაცია, სახელმწიფომ ვერ შეძლო იმის დასაბუთება, რომ სამართლებრივად, მომჩივნის მიერ გამოძახებულ მოწმეთა დაკითხვა შეუძლებელი იყო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა ვერ შეძლეს საკმარისად გამოხატულად და დასაბუთებულად მოეთხოვათ საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით განსაზღვრული დაცვის საგამონაკლისო უფლების გამოყენება. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა მოსამართლემ დაასაბუთა, რომ აღნიშნული საგამონაკლისო უფლების, რომ წარადგინოს მტკიცებულება დაგვიანებით, გამოყენებისთვის საჭირო წინაპირობები არ არსებობდა (იხ.: პარაგრაფი 15 ზემოთ, *in fine*). ამ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ თავმჯდომარე მოსამართლემ, მიუხედავად ბრალდების ხასიათისა და იმ ფაქტისა, რომ საქმის შედეგი საკმაოდ დამოკიდებული იყო მოწმის ჩვენებაზე, აიჩიოა უფრო მკაცრი და შეზღუდული მიდგომა, რაც აისახა ბრალდების მხარის სასარგებლოდ ბალანსის დარღვევაში. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ეფექტი უნდა ჰქონოდა ამას მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობაზე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა მოწმის მტკიცებულების ეფექტურად დართვისა და შესაძლებლობა დაყრდნობოდა მას საქმის განხილვისას, თავმჯდომარე მოსამართლეს, რომელიც არის პროცესის სამართლიანო-

ბის საბოლოო გარანტი, ფრთხილად უნდა გაეთვალისწინებინა თავისი დაცვის მხარის უფლებებთან დაკავშირებული საპროცესო გადაწყვეტილებების შედეგები და უზრუნველყო დეტალური დასაბუთება ამ მიზნისთვის (იხ.: ამასთან დაკავშირებით ერთობლივი მოსაზრება ODIHR და CoE, მითითებულია 25-ე პარაგრაფში, ზემოთ). სასამართლოს შეხედულებით, საკმარისად დეტალური დასაბუთების ნაკლებობა ამ მნიშვნელოვან დაცვის საპროცესო უფლებასთან დაკავშირებით იყო განსაკუთრებით შემამოფოთებელი, რადგან სისხლის სამართლის პროცესის კარდინალური რეფორმა განხორციელდა მომჩივნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესამდე ცოტა ხნით ადრე და არ იყო დადგენილი სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხზე.

ეს მოსაზრებები საკმარისია სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 წმ 1 და 3 (დ) მუხლის დარღვევას, თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მთლიანად დაცვის მხარის მოწმეთა სიის უარყოფის ფორმის გამო.

(გ) სავარაუდო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მომჩივნის სამართლებრივ საკითხებზე სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობასთან დაკავშირებით

(i) ზოგადი პრინციპები

მე-6 წმ 1 მუხლის გამოყენების წესი აპელაციის შემდგომ სამართალწარმოების მიმართ, დამოკიდებულია პროცესის სპეციფიკურ მახასიათებლებზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საპროცესო სისტემის მთლიანობა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში და კონკრეტული სასამართლოს როლი მასში (იხ.: *inter alia*, *Botten v. Norway*, 19 February 1996, § 39, *Reports of Judgments and Decisions 1996-I*; and *Lazu v. the Republic of Moldova*, no. 46182/08, § 33, 5 July 2016).

თუმცა, მე-6 წმ 1 მუხლი ავალდებულებს სასამართლოებს დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები, ეს არ შეიძლება გაგებული იყოს ისე, თითქოს ის ითხოვს დეტალურ პასუხს ყველა არგუმენტზე. ამგვარად, სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია უბრალოდ დაადასტუროს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტები (იხ.: *Garcia Ruiz v. Spain [GC]*, no. 30544/96, § 26, *ECHR 1999-I*; *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, § 30, 27 September 2001; and *Stepanyan v. Armenia*, no. 45081/04, § 35, 27 October 2009).

(ი) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მიმდინარე საქმის გარემოებებზე

63. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნაფიც მსაჯულთა მიერ. ასეთ ვითარებაში, ახალი სსსკ, რომელიც ძალაში შევიდა წინამდებარე საქმეში მომხდარ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, ითვალისწინებდა გასაჩივრებას სსსკ-ის 266-ე მუხლით. გასაჩივრების პროცედურა, რომელიც გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, განსხვავდება სსსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო პროცედურისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ეხება საკმაოდ სტანდარტულ დასაშვებობის კრიტერიუმებს, 266-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს თავმჯდომარე მოსამართლის როლზე კონკრეტულად, ნაფიც მსაჯულთა მიმართებით და ზოგადად, სასამართლო პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის დაკავშირებით. ამრიგად, წმინდა პროცედურულ საკითხებთან ერთად, როგორცაა მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით თავმჯდომარე მოსამართლის გადაწყვეტილების უკანონობა, სსსკ-ის 266-ე მუხლის სააპელაციო საფუძვლები ასევე, მოიცავდა „თავმჯდომარე მოსამართლის არსებით შეცდომას ნაფიც მსაჯულთათვის მითითებების მიცემისას.“ გარდა ამისა, სტრასბურგის სა-

სამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 226-ე მუხლის საფუძველზე სამართლებრივი საკითხების გასაჩივრება იწვევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის თავიდან განხილვას, იმ ეტაპზე, როდესაც სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტს ამ დებულების მე-2 პუნქტის ა)-ე) პუნქტებში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლის არსებობას. შესაბამისად, სსსკ-ის 266-ე მუხლით გასაჩივრების ბუნების და როლის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია სცილდება საქმის ფარგლებს. შესაბამისად, წინამდებარე საქმე ამ მხრივ, განსხვავდება ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული წინა საქმეებისგან, რომლებიც ეხებოდა სტანდარტულ საკასაციო პროცედურას და არსებობდა 2010 წლის ოქტომბერში, ახალი სსსკ-ის ამოქმედებამდე (იხ.: *Tortladze v. Georgia*, no. 42371/08, § 77, 18 March 2021, with further references therein).

64. აღნიშნულს, სტრასბურგის სასამართლო შემდეგ პუნქტამდე მიჰყავს. წინამდებარე საქმეში, მომჩივანმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი მათ შორის, მისი დაცვის უფლებების დარღვევასა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე კონკრეტული ფაქტების საფუძველზე, როგორცაა თავმჯდომარე მოსამართლის გადაწყვეტილებები, საქმის მასალების ხელმისაწვდომობასა და დაცვის მხარის მონმეების დაკითხვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მომჩივნის მიერ საკუთარ საჩივარში წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები ეხებოდა კერძოდ, 266-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძველებს საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. ეროვნული კანონმდებლობის სწორ ინტერპეტაციაზე რაიმე პოზიციის გარეშე. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ სააპელაციო სასამართლოს წინაშე წამოჭრილი საკითხები სულ მცირე, სამართლებრივად რელევანტური იყო და მაშინვე არ ჩანდა, რომ მოკლებული იყო რაიმე არსებით საფუძველს. გარდა ამისა, მათ ნათლად წამოჭრეს ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები, მიმდინარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით (see, *mutatis mutandis*, *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, no. 4907/18, §§ 170-71, 7 May 2021). ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მოვალეობა იყო, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა გაექარწყლებინა მომჩივნის ბრალდებების მართებულობა და მათი ბუნების ნებისმიერი ეჭვი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბრალდებები ადეკვატურად არ იქნა განხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმდინარეობისას (იხ.: მაგ., *Timofeyev v. Russia [Committee]*, no. 16887/07, §§ 22-24, 14 November 2017; შედარებისთვის *Talmane v. Latvia*, no. 47938/07, §§ 31-32, 13 October 2016, სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის შესაბამისი საჩივრები სათანადოდ იქნა განხილული სრული იურისდიქციის მქონე ორი სასამართლო ინსტანციის მიერ და ქვედა სასამართლოებმა წარმოადგინეს სათანადო დასაბუთება; see also *Vyerentsov v. Ukraine*, no. 20372/11, §§ 87-88, 11 April 2013, and *Mrazovic and Others v. Croatia ((dec.) [Committee]*, no. 25149/19, § 42, 17 December 2019)). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, სააპელაციო სასამართლომ ჩაატარა ასეთი შემოწმება, მის გადაწყვეტილებაში არ იყო მოცემული, თუ რატომ მიიჩნია მომჩივნის ბრალდებები დაუსაბუთებლად და რატომ არ უნდა ყოფილიყო სააპელაციო საჩივარი დასაშვები. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს სიტუაცია განსაკუთრებით სამწუხაროა იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება გასაჩივრების გზების არსებობას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კონტექსტში (იხ.: *Taxquet v. Belgium [GC]*, no. 926/05, §§ 92 and 99, ECHR 2010; see also *Lhermitte v. Belgium [GC]*, no. 34238/09, § 68, 29 November 2016).

65. რომ შეევაჯამოთ, ის ფაქტი, რომ ეს მხოლოდ მეორე საქმე იყო, რომელიც საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ იქნა განხილული; აშკარად არ არსებობდა ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა მომჩივნების მიერ მოცემულ საქმეში წამოყენებულ მთელ რიგ პროცედურულ საკითგებზე და რომ თავმჯდომარემ არ განიხილა ეს პროცედურული საკითხები საკმარისად დეტალურად და დასაბუთებულად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმდინარეობისას; და იმის გათვალისწინებით, თუ რა ემუქრებოდა მომჩივანს, რომ მისი საქმე განიხილებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, არსებითად, დაცვის მტკიცებულებების გარეშე, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ მომჩივნის არგუმენტები, რომლებიც წამოჭრილი იყო მის საკასაციო საჩივარში, იმსახურებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებაში ამომწურავ და დეტალურ პასუხს. რაიმე მნიშვნელოვანი დასაბუთების წარუმატებლობას ევროპული სასამართლო მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ამ დებულების შესაბამისად, გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ეკა მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

Eka Mikeladze and Others v. Georgia

საჩივრები №29385/11 და 3 სხვა

გადაწყვეტილება

25 ნოემბერი, 2021 წელი

ფაქტები

2. მომჩივანთა სია მოცემულია თანდართულ ცხრილში.
3. მთავრობას წარმოადგენდა ბ. ძამაშვილი, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.
4. საქმესთან დაკავშირებული მხარეთა მიერ წარდგენილი ფაქტები, შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ა. მინის რეფორმა საქართველოში

5. 2007 წელს, საქართველოში განხორციელდა მინის პრივატიზაციასთან დაკავშირებული რეფორმები. იმავე წლის 11 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც აღიარა ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლება მათ საკუთრებაში არსებულ (გამოყენებულ) მინის ნაკვეთებზე („აღიარების აქტი“ – საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“). აღიარების აქტის მიზანი იყო მინასთან დაკავშირებული საკუთრების უფლების ფორმალური აღიარებისთვის პროცედურის დანერგვა. ის ითვალისწინებდა მინაზე საკუთრების უფლების ლეგალიზების სამ შესაძლებლობას, კერძოდ, მინის კანონიერი საკუთრება, მინის კანონიერი გამოყენება და მინის თვითნებური დაკავება. აღიარების აქტის იმპლემენტაციას ხელი შეუწო პრეზიდენტის №525 ბრძანებამ, რომლითაც გათვალისწინებული იყო ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში (გამოყენებაში) არსებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების წესი და თანხმობა საკუთრების უფლების სერტიფიცირებასთან (დამონმებასთან) დაკავშირებით, მიღებული 2007 წლის 15 სექტემბერს. პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში შეიქმნა საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებული რამდენიმე კომისია (შემდგომში მოხსენიებული როგორც „საკუთრების კომისიები“), რომლებსაც დაევალათ ფიზიკური და იურიდიული პირების მინის საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებული განცხადებების გამოკვლევა.

ბ. მომჩივანთა საკუთრების უფლებების აღიარება და შემდგომი გაუქმება

1. ქ-ნი ე. მიქელაძის საჩივარი №29385/11

6. დაუდგენელი თარიღით, მომჩივანმა ე. მიქელაძემ, მიმართა ხელვაჩაურის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას საკუთარ მინის ნაკვეთზე, რომელიც მოიცავდა 2 390 კვადრატულ მეტრს მწვანე კონცხის მიმდებარე ტერიტორიაზე (ხელვაჩაურის რაიონი), საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით. იგი ამტკიცებდა, რომ მას ეს მინა იჯარით ეკავა 1985 წლიდან. 2008 წლის 3 იანვარს, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და აღიარა მისი საკუთრების უფლება აღნიშნულ მინის ნაკვეთთან დაკავშირებით.

- 2008 წლის 15 იანვარს, მოსარჩელის მოთხოვნისა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მონუმობის საფუძველზე, საჯარო რეესტრმა მოსარჩელის სახელზე დაარეგისტრირა აღნიშნული მიწის ნაკვეთი.
7. 2009 წლის 24 დეკემბერს, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში, ზაკ) მე-60 (1) მუხლის § 1 და 3 საფუძველზე, გააუქმა თავისი 2008 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება. შეხვედრის ოქმის თანახმად, ადგილზე ინსპექტირებისა და მოსარჩელის საქმის ხელახალი შემოწმების შემდეგ, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაადგინა, რომ მოსარჩელისთვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი ფარავდა მიმდებარე გზასა და პარკს; იგი ასევე, ფარავდა სხვა პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც მას ფლობდა 2007 წლის 28 დეკემბერს გაცემული საკუთრების აქტის საფუძველზე. შემდგომი კავშირისას, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ სხვა პირის საკუთრების რეგისტრაციის თარიღი წინ უძღვოდა მომჩივნისთვის საკუთრების მონუმობის გაცემას. საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ შესაბამისად გადაწყვიტა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე მომჩივნის საკუთრების უფლების პირველადი აღიარება იყო უსაფუძვლო. კომისიამ მომჩივნისთვის 2008 წლის 3 იანვარს გაცემული საკუთრების მონუმობა ბათილად ცნო და მიმართა საჯარო რეესტრს მომჩივნის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.
 8. 2010 წლის 9 თებერვალს, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც იგი ითხოვდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას. მოსარჩელის თქმით, მისი მიწის ნაკვეთი არ ფარავდა გზებსა და პარკს, როგორც ეს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაასკვნა, და რომ საკადასტრო გეგმა, რომელსაც კომისია დაეყრდნო, იყო არაზუსტი. სხვა პირის საკუთრების გადაფარვასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი მოქმედებები შესაძლო თაღლითობაზე და სხვა პირის საკუთრების უფლება უკვე ბათილად იყო ცნობილი. მოსარჩელემ ითხოვა სადავო მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღდგენა.
 9. 2010 წლის 9 მარტს, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა კომისიის გადაწყვეტილება მოსარჩელის საკუთრების უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველადი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი უკანონოდ გაიცა, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი უფლების აღიარების მოთხოვნის მხარდაჭერა და გამყარება საჭირო დოკუმენტებით. სასამართლომ გამოტოვა და არ განიხილა მიწის ნაკვეთის მიერ გზებისა და პარკის გადაფარვის და სხვა პირის საკუთრების გადაფარვის საკითხი. თუმცა, მან აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი საკურორტო ზონის ნაწილი იყო.
 10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 6 ივლისს. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის დასაბუთება მისი საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, იმ დოკუმენტების საშუალებით, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ იგი მართლაც ფლობდა სადავო მიწის ნაკვეთს, თუმცა უკანონოდ.
 11. 2010 წლის 22 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი.

2. ბ-ნი ნ. ჯინჭარაძის საჩივარი №19372/12

12. 2007 წლის 15 დეკემბერს, მოსარჩელემ ნ. ჯინჭარაძემ, მიმართა ხელვაჩაურის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მწვანე კონცხის მიმდებარედ არსებულ 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. 2007 წლის 19 დეკემბერს, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, აღიარა მისი საკუთრების უფლება 3620 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, მოსარჩელეს გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზეც მან სადავო მიწის ნაკვეთი საკუთარ სახელზე დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, 2008 წლის 10 მარტს.
13. 2008 წლის 10 აპრილს, იმავე მიწის ნაკვეთის 1 300 კვ.მ ნაწილი დაარეგისტრირეს მესამე პირის, მ.ჯ-ს სახელზე. იმავდროულად, მ.ჯ-ს მოთხოვნის საფუძველზე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაიწყო მოსარჩელის საკუთრების უფლების გადასინჯვა. 2008 წლის 27 ივნისს, იმავე კომისიამ შეცვალა თავისი წინა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გააუქმა მოსარჩელის საკუთრების უფლება. საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ აღმოაჩინა, რომ მოსარჩელის ნაკვეთი მ.ჯ-ისა და სხვა მესამე პირების მიწის ნაკვეთს ფარავდა.
14. მოსარჩელემ საჩივრით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც ითხოვდა მ.ჯ-ს საკუთრების უფლებისა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას. სამართალწარმოების პირველი ტურის შემდეგ, საქმე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაუბრუნდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. მოსარჩელის საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ, 2010 წლის 10 სექტემბერს, კომისიამ დაასკვნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მოსარჩელის საკუთრების უფლების თავდაპირველი აღიარება იყო არასწორი და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო. კომისიამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო წარმოეჩინა, რომ იგი მართლაც ფლობდა ან იკავებდა სადავო მიწის ნაკვეთს, თუნდაც უკანონოდ. ეს გადაწყვეტილება დადასტურდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2010 წლის 17 დეკემბერს. სასამართლომ ასევე, აღნიშნა, რომ მოსარჩელემ საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის დასაბუთება საჭირო მტკიცებულებათა წარმოდგენით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი სარეკრეაციო ზონის ნაწილი იყო.
15. მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა, სადაც ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უგულვებელყო მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კერძოდ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და საჯარო არქივის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი ნამდვილად ფლობდა მიწის ნაკვეთს აღიარების აქტის ძალაში შესვლამდე. რაც შეეხება სარეკრეაციო ზონას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სარეკრეაციო ზონის სტატუსი არ ვრცელდებოდა მთლიანად მწვანე კონცხის ზონაზე და სადავო მიწის ნაკვეთის მიმდებარე მრავალი ნაკვეთი გადაცემული იყო კერძო საკუთრებაში.
16. 2011 წლის 2 მარტს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მოსარჩელის საკუთრების უფლების გაუქმება. სასამართლომ დაადასტურა მოსარჩელის მიერ საჭირო საკადასტრო გეგმის წარდგენა, თუმცა დაასკვნა, რომ დოკუმენტი იყო ნაკლოვანი და არ შეიცავდა ზოგიერთი ინფორმაციის ელემენტს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს თანახმად, მოსარჩელემ ვერ შეძლო სხვა დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც პრეზიდენტის 525-ე ბრძანებულებით იყო გათ-

ვალისწინებული. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველი საქმე არ ეხებოდა მოსარჩელის საკუთრების სავარაუდო ექსპროპრიაციას, არამედ სასამართლო განიხილავდა კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე საკუთრების უფლების მინიჭების კანონიერებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა მოსარჩელის არგუმენტი სარეკრეაციო ზონის სტატუსთან დაკავშირებით.

17. 2011 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი.

3. ბ-ნი თ. თავდგირიძის საჩივარი №29533/13

18. 2008 წლის 31 მარტს, მოსარჩელემ თ. თავდგირიძემ, ქობულეთის საკუთრების უფლების აღიარების კომისიისგან მოითხოვა მისი საკუთრების უფლების აღიარება სოფელ ჩაქვში მდებარე 1 566 კმ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომელსაც როგორც თავად ამტკიცებდა, იკავებდა 1985 წლიდან. 2008 წლის 7 აპრილს, კომისიამ მოსარჩელის მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების განხილვის შემდგომ, აღიარა მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე. 2008 წლის 15 აპრილს, საჯარო რეესტრმა, მოსარჩელის მოთხოვნისა და კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მონუმბის საფუძველზე, მოსარჩელის სახელზე დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთი.

19. 2011 წლის 17 ივნისს, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელის განცხადების გადახედვის შემდეგ, გააუქმა მოსარჩელის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ იგი კანონიერად ფლობდა მიწის ნაკვეთს ან უკანონოდ იკავებდა მას.

20. მოსარჩელემ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ამტკიცებდა, *inter alia*, რომ ზაკ-ის მე-60 (1) მუხლის თანახმად, მას ჰქონდა „კანონიერი ნდობა“ კომისიის მიერ გაცემული დოკუმენტის მიმართ და შესაბამისად, როგორც უფლების მიმნიჭებელი კანონმდებლობის ნაწილი, არ შეიძლებოდა მისი ბათილად გამოცხადება.

21. 2011 წლის 8 დეკემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლო დაეთანხმა საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელისთვის მიკუთვნილი მიწის ნაკვეთი არასდროს ყოფილა მოსარჩელის მფლობელობაში, ვინაიდან თავად ნაკვეთი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს. უფრო მეტიც, ეს ნაკვეთი გამოყოფილი სარეკრეაციო ზონის ნაწილი იყო, ცნობილი როგორც ევკალიპტის ხეივანი. შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება თავიდანვე მცდარი იყო. თავის დასკვნაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის მე-60 (1) §1 მუხლზე, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლო თავის დასკვნაში არ შეეხო მოსარჩელის არგუმენტს, „უფლების მიმნიჭებელი სამართლებრივი აქტის“ მიმართ „კანონიერი ნდობის“ საკითხთან დაკავშირებით.

22. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლების პირველადი აღიარება მოხდა საკუთრების უფ-

ლების აღიარების კომისიის მიერ ყველა რელევანტური გარემოების სრული გამოკვლევის გარეშე, რაც წარმოადგენს ზაკ-ის მე-60 (1) მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, თუმცა, სასამართლომ უგულებელყო მოსარჩელის არგუმენტი ამ მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით.

23. 2012 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი.

4. ბ-ნი შ. ანანიძის საჩივარი №73699/13

24. დაუდგენელი თარიღით, მოსარჩელემ შ. ანანიძემ, მიმართა ქობულეთის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას სოფელ ჩაქვში მდებარე 3 792 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. იგი ამტკიცებდა, რომ 1998 წლიდან მოყოლებული იჯარით იკავებდა და ეწეოდა მეურნეობას მიწის ამ ნაკვეთზე, რომელიც სახელმწიფოს საკუთრება იყო. 2006 წელს იჯარა შეწყდა, მაგრამ მოსარჩელეს კვლავ ეკავა მიწა და აგრძელებდა მის გამოყენებას, თუმცა უკანონოდ.

25. 2008 წლის 5 მაისს, კომისიამ აღიარა მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე, დაადგინა, რომ მიწის ნაკვეთი თვითნებურად ეკავათ. მოსარჩელეს გადასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრმა მოსარჩელის სახელზე დაარეგისტრირა ეს ნაკვეთი, 2008 წლის 20 მაისს.

26. 2012 წელს მოსარჩელემ გაიგო, რომ მისი საკუთრების უფლება გაუქმდა. მოსარჩელის გამოკითხვის პასუხად კომისიამ მიუთითა, რომ მისი საკუთრების უფლება 2009 წლის 30 სექტემბერს გაუქმდა. შეხვედრის ოქმიდან ამონარიდის თანახმად, კომისიამ დაადგინა შემდეგი:

„აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, საკუთრების უფლება აღიარებულ იქნა მიწის იმ ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელიც უკანონო მფლობელობაში იმყოფებოდა. თუმცა, გადანყვეტილების მიღების დროს, გადანყვეტილების მომზადებისა და გაცემის წესების შესახებ კანონში გათვალისწინებული მოთხოვნები არსებითად დაირღვა (არ იქნა დადგენილი მიწის სავარაუდო უკანონო მფლობელობის ფაქტი).“

27. მოსარჩელემ გადანყვეტილება გაასაჩივრა. იგი დავობდა, *inter alia*, რომ მას არ შეატყობინეს მისი უფლების გაუქმების პროცედურის შესახებ და შესაბამისად, მას არ მიეცა რელევანტურ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობისა და საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა. იგი არსებითად ინარჩუნებდა საკუთარ პოზიციას, რომ საკუთრების უფლებათა აღიარების აქტის მიზნებისთვის, იგი უკანონოდ ფლობდა სადავო ნაკვეთს (შემდგომში საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით). 2012 წლის 25 მაისს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი და სრულად გაიზიარა კომისიის გადანყვეტილება. სასამართლომ დაასკვნა, რომ 1998 წლიდან სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩელის კანონიერ მფლობელობაში იმყოფებოდა ქვეიჯარის ხელშეკრულებით, ფაქტი რომელმაც თავისთავად გამოიწვია სადავო მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარება, 2007 წლის აღიარების აქტის საფუძველზე. სასამართლომ დამატებით უარყო მოსარჩელის მტკიცება კომისიის მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით.

28. მოსარჩელემ გადანყვეტილება გაასაჩივრა, იგი ამტკიცებდა რომ ქვეიჯარის ხელშეკრულებამ ძალა 2006 წლის 16 ივნისს დაკარგა და შემდგომში იგი ამ მიწას უკანონოდ ფლობდა. 2012 წლის 27 სექტემბრის გადანყვეტილებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება. მან გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომელიც ეხებოდა ქვეიჯარის ხელშეკრულების ძალის დაკარგვას 2006 წლის 16 ივნისს. თუმცა, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მიწის ნაკვეთის უკანონო მფლობელობაში არსებობის ფაქტი ვერ დადგინდება და დადასტურდება მხოლოდ მონმეთა განცხადებების საფუძველზე, დამატებით დამაჯერებელი მტკიცებულებები იყო საჭირო. შესაბამისად დადგინდა, რომ მოსარჩელემ ვერ აჩვენა მის მიერ სადავო ნაკვეთის აღიარების აქტის ძალაში შესვლამდე, თუნდაც უკანონო ფლობა.
29. 2013 წლის 11 თებერვალს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი. სასამართლოს განჩინება მოსარჩელეს 2013 წლის 26 აპრილს გადაეცა.

სამართალი

I. საჩივართა გაერთიანება

35. სხვადასხვა საქმეში მსგავსი გარემოებების არსებობის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საჩივართა ერთობლივად განხილვა.

II. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

36. მოსარჩელე დავობდა, რომ მისი საკუთრების უფლების ჩამორთმევა არღვევდა 1-ლი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონებით მშვიდად სარგებლობის უფლება. არ შეიძლება ვინმეს ჩამოერთვას მისი ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია საჯარო ინტერესით, გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.

წინარე დებულებები ხელს არ შეუშლის სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი ზომები, როგორცაა იგი საჭიროდ თვლის საკუთრების გამოყენების ისეთი კონტროლისთვის, როგორც შესაბამისობაშია საერთო ინტერესთან ან გადასახადების გადახდასთან, ან სხვა შენატანებთან და ჯარიმებთან.“

ა. დასაშვებობა

37. მთავრობის განცხადებით, მომჩივანს არ ამოუნურავს ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში წარუმატებლობის შემდეგ, მთავრობის თქმით, მომჩივანს უნდა დაეწყო საქმისწარმოება კომპენსაციასთან დაკავშირებით იმ ზიანისთვის, რომელიც მას ადმინისტრაციული ორგანოს კერძოდ, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ქმედების შედეგად მიადგა. მთავრობამ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის რელევანტურ დებულებებზე, რომლებითაც გათვალისწინებულია სახელმწიფოს ან თვითმმართველი ორგანოს მიერ მიყენებული ნებისმიერი უკანონო, განზრახი ან დაუდევრობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პროცედურები. მთავრობის განცხადებით, ხსენებული საშუალება იყო ადეკვატური და ეფექტიანი, რაც ევროპულმა სასა-

მართლომ უკვე დაადგინა საქმეში, სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №18768/05, §§94-96, 2010 წლის 27 მაისი).

38. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათ საკუთარი საკუთრების უფლების აღსადგენად ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი ამოწურეს. მათ მიუთითეს, რომ კომპენსაციასთან დაკავშირებით პროცესების წამოწყება უშედეგო იქნებოდა, ვინაიდან ადგილობრივი სასამართლოების დასკვნით, მათი საკუთრების უფლების დამადასტურებელი აქტების აღიარება თავიდანვე უკანონო იყო. მომჩივანთა თქმით, შიდა სასამართლოების რელევანტურ გადაწყვეტილებათა დასაბუთება მთელ პასუხისმგებლობას მათ აკისრებდა და გამორიცხავდა რელევანტურ თვითმმართველ ორგანოთა შესაძლო პასუხისმგებლობას.
39. 2021 წლის 26 ოქტომბრის წერილში საქართველოს მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ მომჩივნებს სხვა ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებაც გააჩნდათ ადმინისტრაციული სამართალწარმოების სახით, რომლითაც მათ არ უსარგებლიათ. შესაბამისად, მათ არ გამოიყენეს (გარდა პირველი მომჩივნისა, რომლის საჩივარიც ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო) შესაძლებლობა, მიემართათ ახალი საკუთრების უფლების აღიარების კომისიისთვის, მათი საქმეების გადახედვის მიზნით.
40. პირველი არგუმენტის საპასუხოდ სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მომჩივანმა უნდა გამოიყენოს ის ადგილობრივი ხელმისაწვდომი საშუალებები, რომლებიც საკმარისია სავარაუდო დარღვევის გამოსასწორებლად. განსახილველ ადგილობრივ საშუალებათა არსებობა საკმარისად ნათელი და გასარკვევი უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკაშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ იქნება საკმარისად ეფექტიანი და ხელმისაწვდომი (იხილეთ ვუჩკოვიჩი და სხვები სერბეთის წინააღმდეგ საქმე №17153/11 და 29 სხვა, §71, 2014 წლის 25 მარტი).
41. მოცემულ საქმეში მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ მათ დაკარგეს მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება თვითნებური ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შედეგად. საკუთრების უფლების აღიარების კომისიათა რელევანტური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ერთადერთ ხელმისაწვდომ პირდაპირ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებას წარმოადგენდა მათი კანონიერების გასაჩივრება ეროვნულ სასამართლოებში, რომელიც მომჩივნებმა გამოიყენეს. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, კომპენსაციის მოთხოვნა ცალკე სამართალწარმოების გზით, მომჩივანებს გარკვეულწილად, გადაჭარბებულ ტვირთად დააწვებოდა (იხ.: არზამაზოვა მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, საქმე №38639/14, §35, 2020 წლის 4 აგვისტო და ბოგდელი ლიეტუვას წინააღმდეგ, საქმე №41248/06, §52, 2013 წლის 26 ნოემბერი; ასევე იხილეთ, მუტატის მუტანდის, ბისტროვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, საქმე №25774/05, §28, 2007 წლის 31 მაისი; ასევე, იხილეთ სასამართლოს დასაბუთება ქვემოთ, მე-60 პარაგრაფში).
42. ევროპული სასამართლო კმაყოფილია მომჩივანთა მიერ ხელისუფლებისთვის იმ შესაძლებლობის მიცემით, რომელსაც კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს, კერძოდ, გამოესწორებინათ ის სავარაუდო დარღვევები, რომლებსაც მას აბრალებდნენ. შესაბამისად, მოსარჩელეთა საჩივრები ვერ ჩაითვლება დაუშვებლად იმ მიზეზით, რომ მათ არ ამოწურეს ყველა შიდასახელმწიფოებრი-

ვი დაცვის საშუალება კომპენსაციასთან დაკავშირებით და შესაბამისად, მთავრობის შესაბამისი პროტესტიც უარყოფილ უნდა იქნეს.

43. რაც შეეხება მთავრობის 2021 წლის 26 ოქტომბრის წერილს, სასამართლო გაიმეორებს, რომ სტრასბურგის სასამართლოს რეგლამენტის 55-ე მუხლის თანახმად, დაუშვებლობასთან დაკავშირებით ნებისმიერი შუამდგომლობა უნდა დაყენებულიყო მოპასუხე ხელშემკვრელი მხარის მიერ, იმდენად, რამდენადაც წინააღმდეგობის ბუნება და გარემოებები ამის შესაძლებლობას იძლეოდა – მის ზეპირ ან წერილობით მოსაზრებებში, საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით (იხ. N.C. იტალიის წინააღმდეგ, საქმე №24952.94, §44, ECHR 2002-X; მარკუსი ლატვიის წინააღმდეგ, საქმე №17483/10, §50, 2020 წლის 11 ივნისი, და სკუდაიევა რუსეთის წინააღმდეგ, საქმე №24014/07, §27, 2019 წლის 5 მარტი) და წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ჩათვლის, რომ ხელისუფლებას არ აქვს საკუთარი საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირების უფლება (იქვე). ხელისუფლებას დასაშვებობასთან დაკავშირებით და საქმის არსებით მხარეზე მისი მოსაზრებების წარმოდგენისას, არ დაუფიქსირებია მისი წინააღმდეგობა ახალი ადმინისტრაციული საშუალების არამონურვასთან დაკავშირებით. თუმცა, 2018 წლის 28 დეკემბრის წერილში მათ სასამართლოს აცნობეს, რომ მის მიერ განსახილველ რამდენიმე დაკავშირებულ საქმეში დაცვის საშუალება ეფექტიანი იყო და მომჩივანთა საკუთრების უფლება ადმინისტრაციულ წარმოებათა ახალი რაუნდის შემდეგ აღდგა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: დიასამიძე საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №67857/11, 2018 წლის 3 ივლისი; ავალიანი საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №7220/11, 2019 წლის 12 დეკემბერი, შავაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №31315/12, 2020 წლის 13 ოქტომბერი), მოცემულ საქმეებში მათ არ გამოუხატავთ აშკარა წინააღმდეგობა კონკრეტული საშუალების სრულად გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ წარმოუდგენია განმარტება დაგვიანებასთან დაკავშირებით და ვერ ხედავს რაიმე განსაკუთრებულ გარემოებას, რომელიც მათ გაათავისუფლებდა თავიანთი ვალდებულებისგან, დროულად გამოეხატათ წინააღმდეგობა დასაშვებობასთან დაკავშირებით (იხილეთ ხლაიფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ, საქმე №16483/12, §52, ECHR 2016 (ამონარიდები)). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მთავრობას ჩამოერთვა საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირების უფლება.

44. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის შინაარსის მნიშვნელობით, საჩივრები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი და დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძვლით. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა მოიცხადდეს დასაშვებად.

ბ. არსებითი ნაწილი

1. მხარეთა პოზიციები

45. მომჩივნები ადასტურებდნენ, რომ მათი საკუთრების უფლების გაუქმება იყო უკანონო. მომჩივნები №29385/11 და №19372/12 სარჩელებში (ე. მიქელაძე, ზემოთ იხილეთ 7-11 პარაგრაფები და ნ. ჯინჭარაძე, ზემოთ იხილეთ 12-15 პარაგრაფები) მიუთითებდნენ საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ეროვნული სასამართლოების არგუმენტთა შეუსაბამობაზე. შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ გააუქმა მინის ნაკვეთებზე მათი უფლებების პირველადი აღიარება იმ მიზეზით, რომ ეს ნაკვეთები კვეთდნენ გზებსა და პარკებს (საჩივ-

რი №29385/11 და №19372/12). სასამართლოებმა უბრალოდ დაადგინეს, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს მათი უფლებების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა. მათ ასევე, დაადგინეს, რომ შესაბამისი მინის ნაკვეთები წარმოადგენდნენ საკურორტო ზონის ნაწილს, რაც საკუთრების უფლების აღიარების კომისიებს მთლიანად გამორჩათ მხედველობიდან. მომჩივნებმა №29533/13 და №73699/13 საჩივრებში დამატებით აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებები მათი უფლებების გაუქმებასთან დაკავშირებით, იყო დაუსაბუთებელი.

46. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მომჩივანთა საკუთრების უფლების გაუქმება იყო კანონიერი და შესაბამისობაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის, 1-ელი და მე-3 მუხლებით გათვალისწინებულ პროცედურებთან. უფლებათა გაუქმების მიზეზად ისინი ასახელებდნენ შემდეგ მიზეზებს: ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოთა ზოგიერთი შეცდომის გამოსწორებას; სახელმწიფოსგან მინის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში შეცდომით გადაცემის პრევენციას; და კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობისთვის ხელის შეწყობას. გამოყენებული საშუალების პროპორციულობის გამოკვლევის კონტექსტში, მათ ყურადღება გაამახვილეს საერთო მიზანზე, რასაც მწირი საჯარო რესურსის შესაბამისი განაწილების პრევენცია წარმოადგენდა. შესაბამისი საჯარო ინტერესის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელისუფლება მიუთითებდა, რომ მიღწეულ იქნა სამართლიანი ბალანსი მომჩივანთა უფლებებსა და საჯარო ინტერესს შორის. მათ ასევე აღნიშნეს, რომ დამატებითი კონკრეტიკის გარეშე, მომჩივანთა საკუთრების უფლების გაუქმებას მათზე გადაჭარბებული ტვირთი არ დაუკისრებია.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

47. შესაბამისი პრინციპები წარმოდგენილია საქმეებში, ვესტინსი და პერეპიოლკინსი ლატვიის წინააღმდეგ (საქმე №71243/01, § 93, §§ 95-99 და §§ 108-14, 2012 წლის 25 ოქტომბერი) და ჰუთენ-ქზაპსკა პოლონეთის წინააღმდეგ (საქმე №35014/97, §§163-68, ECHR 2006 VIII). კერძოდ, კერძო საკუთრებით სარგებლობაში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს კანონიერი. თუმცა, კანონიერების პრინციპის დასაცავად, მხოლოდ ჩარევის კანონმდებლობაში კანონიერი საფუძველის არსებობა არ კმარა. დამატებით საჭიროა საკუთრების ჩამორთმევის საფუძველად გამოყენებული სამართლებრივი პრინციპების საკმარისად ხელმისაწვდომობა, მათ გამოყენებაში სიზუსტე და განჭვრეტადობა (იხილეთ ამ პარაგრაფში ციტირებული საქმეების შესაბამისი პარაგრაფები, ვესტინსი და პერეპიოლკინსი ლატვიის წინააღმდეგ, §96-96 და ჰუთენ-ქზაპსკა პოლონეთის წინააღმდეგ, § 163). გაურკვეველობა – იქნება ეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, თუ პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ქცევის შეფასებისას წარმოადგენენ გასათვალისწინებელ ფაქტორებს.

48. 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი დამატებით მოთხოვნას აყენებს, რომ ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს მიზნის პროპორციული. შესაბამისად, ნებისმიერმა ჩარევამ უნდა მიაღწიოს „სამართლიან ბალანსს“ საზოგადოების ზოგად ინტერესსა და ცალკეულ პირთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის საჭიროებებს შორის. საჭირო სამართლიანი ბალანსი ვერ იქნება მიღწეული, თუ პირს ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი დაეკისრება (იხ.: ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, საქმე n. 28342/95, § 78, ECHR 1999 VII).

49. „კარგი მმართველობის“ პრინციპი საჭიროებს, რომ როდესაც სასწორზე საჯარო ინტერესთან დაკავშირებული საკითხი დგას, კერძოდ მაშინ, როდესაც ეს ეხება ადამიანის ისეთ ფუნდამენტალურ უფლებებს, როგორცაა საკუთრების უფლება, საჯარო ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, იმოქმედოს დროულად, სათანადო წესითა და მაქსიმალური თანმიმდევრულობით (იხ.: *Beyeler v. Italy* [GC], no. 33202/96, § 120, ECHR 2000 I; იხ.: ასევე, *Rysovskyy v. Ukraine*, no. 29979/04, § 70, 20 October 2011, with further references). კარგი მმართველობის პრინციპმა, როგორც ზოგადად წესმა, ხელისუფლებას არ უნდა შეუშალოს ხელი შემთხვევითი შეცდომების გამოსწორებაში, მათ შორის, იმ შეცდომების, რომლებიც მათი დაუდევრობის შედეგია. თუმცა, ძველი „შეცდომის“ გამოსწორების საჭიროების საფუძვლით არ უნდა მოხდეს არაპროპორციული ჩარევა იმ ახალ უფლებაში, რომელიც პირის მიერ კეთილსინდისიერად არის მოპოვებული საჯარო ხელისუფლების ქმედების კანონიერების ნდობით (იხ.: *mutatis mutandis*, *Pincová and Pinc v. the Czech Republic*, no. 36548/97, § 58, ECHR 2002 VIII). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ვერ დაადგენენ ან ვერ შეძლებენ საკუთარი დადგენილი პროცედურების დაცვას, არ უნდა მიეცეთ საშუალება ისარგებლონ თავიანთი არასწორი ქმედებებით ან გაექცნენ თავიანთ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას (იხ.: *Lelas v. Croatia*, no. 55555/08, § 74, 20 May 2010). სახელმწიფო ორგანოს მიერ დაშვებულ შეცდომაზე პასუხი თავად სახელმწიფომ უნდა აგოს და ეს შეცდომები არ უნდა გამოსწორდეს დაინტერესებულ პირთა ხარჯზე (იხ.: *Vukusic v. Croatia*, no. 69735/11, § 64, 31 May 2016, სხვა მითითებებთან ერთად).

50. შეცდომით მინიჭებული საკუთრების უფლების გაუქმების კონტექსტში, „კარგი მმართველობის“ პრინციპმა შეიძლება ხელისუფლებას დააკისროს არა მხოლოდ საკუთარი შეცდომების გამოსწორებლად სასწრაფოდ მოქმედების ვალდებულება (იხ.: მაგ., *Moskal v. Poland*, no. 10373/05, § 69, 15 September 2009), არამედ შეიძლება საჭირო გახადოს ადეკვატური კომპენსაციის გადახდა ან სხვა სახის სათანადო რეპარაცია წინა კეთილსინდისიერი მესაკუთრისთვის (იხ.: *Belova v. Russia*, no. 33955/08, § 37, 15 September 2020; იხ. ასევე, *Bogdel*, § 66, and *Rysovskyy*, § 71, ორივე ციტირებული ზემოთ).

(ბ) კონვენციის პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

(i) ჰქონდა თუ არა ადგილი მომჩივნის საკუთრების უფლებაში ჩარევას

51. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ განუცხადებია, რომ არცერთ მომჩივნას არ ჰქონდა საკუთრება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო დამატებით მიუთითებს მომჩივანთა საკუთრების უფლებებზე, რომლებიც სათანადოდ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში (იხ.: *Belova v. Russia*, no. 33955/08, § 32, 15 September 2020; contrast *Meladze v. Georgia* (dec.), no. 30635/09, § 39, 2 October 2018). შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებს ჰქონდათ „საკუთრება“ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული მნიშვნელობის შესაბამისად.

52. ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიათა გადაწყვეტილებები მოსარჩელეთა საკუთრების უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს მათ საკუთრებაში ჩარევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ.: *Belova*, § 33, *Bogdel*, § 55, ორივე ციტირებული ზემოთ; შედარებისთვის, *Tchitchinadze v. Georgia*, no. 18156/05,

§54, 27 May 2010). სტრასბურგის სასამართლო შეაფასებს, იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული, მიზნად ისახავდა თუ არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და იყო თუ არა გონივრული ურთიერთმიმართება გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის (იხ.: შესაბამისი ზოგადი პრინციპები პარაგრაფებში 47-50).

(ii) იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ და წარმოადგენდა თუ არა იგი საჯარო ინტერესს

53. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საკუთრების უფლების გაუქმება ეფუძნებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის 1-ელ და მე-3 ნაწილებს, რომლებიც უშვებდნენ, *inter alia, proprio motu* (საკუთარი ინიციატივით) ადმინისტრაციული სამართალწარმოების საბოლოო გადაწყვეტილების განხილვას. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი ძალა ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის განხილვასთან დაკავშირებით, შეზღუდულია (იხ.: Rysovsky, ციტირებული ზემოთ, §72), სასამართლომ აღიარებს, რომ მომჩივანთა საქმეებზე საქმისწარმოება განახლდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მომჩივანთა საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების თავდაპირველი შეფასებისას დაშვებული შეცდომის სავარაუდო აღმოჩენის საფუძველზე (იხ.: *Turex Ltd v. Georgia (dec.) [Committee]*, no. 22398/10, § 33, 26 February 2019).

54. ჩარევის დანიშნულებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ წარმოადგინა შემდეგი მიზნები: ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომათა გამოსწორება; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კერძო პირებისთვის შეცდომით გადაცემის პრევენცია; სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობის დაცვა; კარგი მმართველობისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების ხელშეწყობა. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების ფონზე, სასამართლო მზად არის აღიაროს, რომ მომჩივანთა საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენდა „საჯარო ინტერესს“ და ემსახურებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომის გამოსწორების ლეგიტიმურ მიზანს (იხ.: *Paplauskiene v. Lithuania*, no. 31102/06, §40, 14 October 2014; იხ.: ასევე, *Turex Ltd*, §34; *Moskal*, § 61; and *Pincová and Pinc*, §§ 47-48, ორივე ციტირებული ზემოთ).

55. ამგვარად, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა იყო კანონიერი და ემსახურებოდა საჯარო ინტერესს.

(iii) ჩარევის პროპორციულობა

56. გასარკვევია, იყო თუ არა ჩარევა ზემოხსენებული საჯარო ინტერესის პროპორციული და ხომ არ მოხდა მომჩივანთათვის გადაჭარბებული ინდივიდუალური ტვირთის დაკისრება.

57. დასაწყისისთვის, სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ მომჩივანთა მიმართ საჯარო ხელისუფლების მოპყრობა იყო არათანმიმდევრული. კერძოდ, საკუთრების უფლების აღიარების კომისიებმა გააუქმეს მომჩივანთა საკუთრების უფლება მათი მიწის ნაკვეთების მიერ სხვადასხვა ე.წ. „დაცული ზონების“ ან სხვათა საკუთრების კვეთის გამო. ეროვნულმა სასამართლოებმა, უფლებათა გაუქმებაზე გადაწყვეტილებების დამტკიცებისას, უბრალოდ დაასკვნეს, რომ მომჩივანებმა ვერ შეძლეს მათი საკუთრების უფლების აღიარების პირველადი მოთხოვნის დასაბუთება (იხ.: მაგალითისთვის საჩივრები nos. 29385/11 და 19372/12).

ეროვნული სასამართლოების ასეთი დასაბუთება აშკარად ეწინააღმდეგება კომისიების შესაბამის გადამხილვებებსა და სასამართლო სამართალწარმოების პროცესში საჯარო ხელისუფლების პოზიციას. ამ საკმარის კონფლიქტური მიდგომების ფონზე, საჯარო ხელისუფლებისთვის მიკუთვნებული სხვა დეფექტების გათვალისწინებით, ბოლომდე ნათელი არ არის, გამოიჩინეს თუ არა მომჩივნებმა საკმარისი მონდომება და სიბეჯითე მათი საკუთრების უფლების თავდაპირველი მოთხოვნისას.

58. დამატებით, ეროვნულმა სასამართლოებმა ადეკვატურად ვერ დაასაბუთეს საკუთარი დასკვნები, ვინაიდან მათ არ დააზუსტეს, თუ რა მხრივ იყო მომჩივანთა თავდაპირველი მოთხოვნები საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელი. №73699/13 საჩივარში, საკუთრების უფლების მინიჭების გადამხილვების გაუქმება არ იყო დაფუძნებული ახალ მტკიცებულებებზე, არამედ მხოლოდ იგივე მტკიცებულებების ხელახალ შეფასებაზე, რომელიც მომჩივნის საკუთრების უფლების თავდაპირველი აღიარებისას იყო წარმოდგენილი (იხ. ზემოთ 24-28 პარაგრაფები). მეტიც, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, მომჩივნის საკუთრების უფლების აღიარება უკანონო იყო, ვინაიდან მომჩივანი ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე კანონიერად ფლობდა სადავო მიწის ნაკვეთს, სააპელაციო სასამართლომ პირიქით დაადგინა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო დაედგინებინა მის მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებური დაკავება (იქვე). №19372/12 საჩივარში, მომჩივნის საკუთრების უფლების საქმის ხელახალი განხილვა გამონეუული იყო *post factum* – მომჩივნის მიწის ნაკვეთის ნაწილის მესამე პირზე რეგისტრაცია. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ უბრალოდ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა ნაკლოვანი იყო, ხოლო სხვა დოკუმენტები არ იყო წარმოდგენილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანმა საჯარო არქივის მიერ გაცემული მონომობის ასლიც წარადგინა, თუმცა ეროვნულმა სასამართლომ იგი უბრალოდ უგულებელყო.
59. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საკუთრების უფლება აღიარებული იყო სპეციალურად საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნათა განხილვისთვის, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში შექმნილი კომისიების მიერ (იხ.: ზემოთ მე-5 პარაგრაფი). მომჩივანთა საკუთრების უფლება დამატებით დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. შესაბამისად, მომჩივანთა საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებული პროცედურები ოფიციალური ორგანოების მიერ იყო წარმოებული, რომლებიც სახელმწიფოს უფლებამოსილებას ახორციელებდნენ და მომჩივნებს ჰქონდათ ძალიან მწირი შესაძლებლობები, თუ საერთოდ ჰქონდათ, გავლენა ჰქონოდათ უფლებათა აღიარების პირობებზე, ვინაიდან ეს სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენდა (შედარებისთვის *Paplauskiene*, § 45, and *Arzamazova*, § 51, და, *mutatis mutandis*, *Gladysheva*, § 79, ყველა ციტირებული ზემოთ). ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლება არ დავობდა, რომ მომჩივნები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ მათი უფლებების აღიარების თავდაპირველი მოთხოვნისას. ხელისუფლების თქმით, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა უბრალოდ შეცდომა დაუშვეს მომჩივანთა საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციის დროს. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ორგანოთა შეცდომები დაინტერესებულ პირთა ინტერესების სასარგებლოდ უნდა იქნეს გამოყენებული და სახელმწიფო ორგანოთა ნებისმიერი შეცდომის რისკზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს (იხ.: პარაგრაფი 49 ზემოთ; იხ.: ასევე, *Gashi v. Croatia*, no. 32457/05, §40, 13 December 2007; *Arzamazova*, ციტირებული

ზემოთ, §51; და Tomina and Others v. Russia, nos. 20578/08 and 19 others, §39, 1 December 2016). ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო მიუთითებს ზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტზე, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს, რომ „უფლებების მიმნიჭებელი“ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ვერ იქნება ბათილად ცნობილი, თუ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა კანონიერი ნდობა ასეთი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამან არსებითად დაარღვია სახელმწიფოს საჯარო ან სხვათა უფლებები ან წინააღმდეგობაში მოვიდა მათ ინტერესებთან. ეროვნული სასამართლოები არ ჩაუღრმავდნენ ზემოხსენებულ დებულებებს (მაგალითისთვის, საჩივარი №29533/13) და ბათილად ცნეს „უფლების მიმნიჭებელი“/ალმჭურველი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, „კანონიერი ნდობის“ საკითხის განხილვის გარეშე. ამის შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიღო საბოლოო დასკვნამდე.

60. მოცემულ საქმეში მომჩივნებს ჩამოერთვათ საკუთრების უფლება კომპენსაციის ან რეპარაციის სხვა ალტერნატიული ფორმის გარეშე. შესაბამისი პროცედურა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას გააუქმოს შეცდომით მინიჭებული საკუთრების უფლებები, აშკარად ითვალისწინებს კომპენსაციის ან სხვა ფორმით რეპარაციის გადაცემის შესაძლებლობას ნებისმიერი ზიანისთვის (ზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის მე-6 პუნქტი). სასწორზე მყოფ არცერთ საქმეზე ეროვნულ სასამართლოს არ შეუფასებია მომჩივანთა მიერ სავარაუდოდ მიღებული ზიანი, რაც მათი საკუთრების უფლების გაუქმებას მოჰყვა და ამ საფუძვლით რაიმე სახის რეპარაციის საჭიროება (იხ.: Arzamazova, ციტირებული ზემოთ, §52; შედარებისთვის Bogdel, ციტირებული ზემოთ, §67). მათ არ გაითვალისწინეს სხვა შესაძლებლობა, როგორცაა ალტერნატიული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება ან ნაკვეთების ხელახალი გაზომვა და ნაკვეთების საზღვრების შესწორება. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო მიწის ნაკვეთები მომჩივნებს თავდაპირველად ფულადი ანაზღაურების გარეშე გადაეცათ – ფაქტი, რომელმაც მათი საქმე შეასუსტა. თუმცა, ზიანის საკითხთან დაკავშირებით რაიმე მითითების არარსებობა ეროვნულ სასამართლოთა დასაბუთებაში, ოთხივე საქმეში რთულად თუ გაუძლებს საპროცესო სამართლიანობის ტესტს, რომელიც 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანდაყოლილია. ევროპულმა სასამართლომ ადრე უკვე დაადგინა, რომ ქონების მიღება მის ღირებულებასთან გონივრულად დაკავშირებული თანხის გადახდის გარეშე, ჩვეულებრივ, არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს და რომ კომპენსაციის არარსებობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამართლდეს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე (იხ.: პარაგრაფი 50 ზემოთ; იხ.: ასევე, Paplauskiene ციტირებული ზემოთ, § 49, სხვა მითითებებთან ერთად).

61. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლოსთვის დაასკვნას, რომ არსებობდა სერიოზული ხარვეზები ეროვნულ ხელისუფლებასა და სასამართლოების ქცევაში, რის შედეგადაც მომჩივნების საკუთრების უფლებების გაუქმებით, საერთო ინტერესის ლეგიტიმური მიზნის განხორციელებისას, მომჩივნებისთვის დაანესა გადაჭარბებული ინდივიდუალური ტვირთი.

62. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

63. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

1. მხარეთა წარდგინებები

64. №29385/11 საჩივრით, ყოველგვარი დოკუმენტის წარდგენის გარეშე, მომჩივანი ითხოვდა 250 000 ევროს ოდენობით კომპენსაციას დაკარგული საკუთრებისთვის, ხოლო 50 000 ევროს კი, არამატერიალური ზიანისთვის. მას არ გაუკეთებია რაიმე განცხადება სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მთავრობის განცხადების საპასუხოდ, საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას.
65. №19372/12 საჩივრით, მომჩივანი ყოველგვარი მტკიცებულების წარდგენის გარეშე ითხოვდა 150 000 ევროს მატერიალური ზიანისთვის, რომელიც მას სავარაუდოდ მიაღდა მისი საკუთრების უფლების გაუქმების შედეგად. იგი დამატებით ითხოვდა 4000 ევროს ყოველ წელზე, დაკარგული შემოსავლის საფუძველით. მას არამატერიალური ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია.
66. №29533/13 საჩივრით, მომჩივანი ითხოვდა მისი საკუთრების უფლების აღდგენას სადავო მიწის ნაკვეთზე ან ალტერნატიულ დამაყოფილებას, კომპენსაციის სახით 140 325 ლარის მიღებით (დაახლოებით 54 000 ევრო). მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია.
67. რაც შეეხება №73699/12 საჩივარს, მომჩივანი ითხოვდა 26 000 ევროს არამატერიალური ზიანისთვის. მას არ ჰქონია მოთხოვნა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით. მან თავის შემდგომ განცხადებებში მხოლოდ თავდაპირველ მოთხოვნაზე მიუთითა და დამატებითი დეტალები არ წარუდგენია.
68. ხელისუფლება ინარჩუნებდა პოზიციას, რომლის მიხედვითაც, საჩივრები იყო დაუშვებელი. მათ დამატებით მიუთითეს, რომ №29385/11 და №73699/13 საჩივრებთან დაკავშირებით, მომჩივნებმა არ დააყენეს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა სტრასბურგის სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის შესაბამისად. ხოლო №19372/12 და №29533/13 საჩივრებთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ სადავო გახადა კომპენსაციის მოთხოვნა, მათი თქმით, მოთხოვნის რაოდენობა არაგონივრული და დაუსაბუთებელი იყო სადავო მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასთან შედარებით. ამასთან, მომჩივნებს არ დაუყენებიათ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

2. სასამართლოს შეფასება

69. №29385/11 და №73699/13 საჩივრებთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი წესდების მე-60 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, მოსარჩელემ დეტალურად უნდა წარადგინოს საკუთარი მოთხოვნა, სხვა ყველა რელევანტურ დოკუმენტთან ერთად იმ ვადაში, რომელიც საქმესთან დაკავშირებით მოსარჩელის არსებითი მოსაზრებების წარსადგენად არის დადგენილი. თუ მომჩივანი ამ წესს ვერ დაიცავს, სასამართლომ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოს მისი მოთხოვნა (მე-60 მუხლის მე-3 ნაწილი და 71-ე მუხლი). 2016

წლის 2 დეკემბრისა და 23 ნოემბრის წერილებში, სტრასბურგის სასამართლომ მომჩივანთა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ეს წესი ვრცელდებოდა მაშინაც, თუ მომჩივნებმა მიუთითეს საკუთარ სურვილებზე სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე.

70. სტრასბურგის სასამართლო ორ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მომჩივნებმა არ წარმოადგინეს და არ დააკონკრეტეს მათი სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა დანესებულ ვადაში. შესაბამისად, ევროპული სასამართლო, საკუთარი წესდების მე-60 მუხლის შესაბამისად, არ მიაკუთვნებს ანაზღაურებას კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე (მაგალითისთვის, Schatschaschwili v. Germany [GC], no. 9154/10, §§ 169-70, ECHR 2015).
71. №19372/12 და №29533/13 საჩივრებთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნებმა არ დააყენეს რაიმე მოთხოვნა არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით კი, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან დადგინდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა, კონკრეტულად კი, შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო სამართალწარმოებების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, სასამართლოს არ შეუძლია შეაფასოს მომჩივნის მოთხოვნა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს სამართალწარმოებათა განახლების შესაძლებლობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (იხ.: ხიზანიშვილი და კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №25601/12, §63, 2019 წლის 17 დეკემბერი). შესაბამისად, ადამიანის უფლებათა სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებათა განახლება და საკითხთა ამ გადაწყვეტილებაში წარმოჩენილი პრინციპების გათვალისწინებით განხილვა, იქნება ყველაზე შესაბამისი საშუალება მომჩივანთათვის რეპარაციის მისაკუთვნებლად (იხ.: ბისტროვიჩი ციტირებული ზემოთ, §58; ვულახი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, საქმე №33468/03, §54, 2012 წლის 10 იანვარი; და გუტა ტუდორ თეოდორესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, საქმე №33751/05, § 57, 2016 წლის 5 აპრილი). შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ბ. ხარჯები

1. მხარეთა წარდგინებები

72. საკუთარ თავდაპირველ განცხადებაში (№29385/11), პირველი მომჩივანი ყოველგვარი ფინანსური თუ სხვა მტკიცებულების გარეშე ითხოვდა 10 000 ევროს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის. მთავრობამ აღნიშნა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ვინაიდან მომჩივნებმა დადგინდეს ვადაში არ წარმოადგინეს მათი მოთხოვნა, შესაბამისად, მოთხოვნა ნებისმიერ შემთხვევაში იყო დაუსაბუთებელი.
73. №19372/12 სარჩელით, მომჩივანი არ ითხოვდა ხარჯების ანაზღაურებას.
74. №29533/13 სარჩელით, მესამე მოსარჩელე ითხოვდა 1 732 ლარის (დაახლოებით, 650 ევროს) ანაზღაურებას სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის გამო, მათ შორის, თარგმნისა და საფოსტო სერვისებისთვის, რომელიც მან გასწია ეროვნულ სასამართლოებსა და სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. მოთხოვნის გასამყარებლად მან წარმოადგინა შესაბამის ქვითრე-

ბის ასლი. მთავრობამ მიუთითა, რომ ხარჯების ნაწილი იყო დაუსაბუთებელი.

75. №73699/13 სარჩელით, მეოთხე მომჩივანი ითხოვდა სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც მას მიაღდა შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების დროს, 9 900 ლარის ოდენობით და ხარჯების, რომელიც მას მიაღდა სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოებისთვის – 4500 ევროს ოდენობით. მთავრობამ გაიმეორე თავისი არგუმენტი, რომ მომჩივანმა არ დააყენა მოთხოვნა ხარჯებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს წესდების მე-60 მუხლის შესაბამისად.

2. სასამართლოს შეფასება

76. №29385/11 და №73699/13 საჩივრებით მომჩივნებმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დადგინდეს ვადაში არ წარმოადგინეს მათი მოთხოვნა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლომ შესაბამისად, არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

77. №19372/12 სარჩელით, მომჩივანს არ მოუთხოვია რაიმე სამართლებრივი ხარჯის ანაზღაურება, ხოლო №29533/13 სარჩელთან დაკავშირებით, მომჩივანმა წარმოადგინა რელევანტური დოკუმენტები და ზემოხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლომ მიაკუთვნა მას მოთხოვნილ ხარჯთა სრული ანაზღაურება 650 ევროს ოდენობით.

გ. ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი

78. სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს, რომ ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დაეფუძნოს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ საკრედიტო განაკვეთს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ზემოსხენებული მიზეზების საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლო, ერთხმად:

1. იღებს გადაწყვეტილებას საქმეთა გაერთიანების შესახებ.
2. საჩივრებს ცნობს დასაშვებად.
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი;
4. ადგენს
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მესამე მომჩივანს (საჩივარი №29533/13), სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 650 ევრო განეული ხარჯების ასანაზღაურებლად, ამას დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს.
 - (ბ) ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლიდან ანგარიშსწორებამდე, აღნიშნულ თანხებზე გადასახდელი იქნება მარტივი საპროცენტო განაკვეთი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საკრედიტო განაკვეთის გადაუხდელობის პერიოდში, პლუს სამი პროცენტი;
5. არ აკმაყოფილებს დანარჩენ მოსარჩელეთა მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

**ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
საქართველოს წინააღმდეგ**

WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA

საჩივრები nos. 73204/13 და 74959/13

გადაწყვეტილება

16 დეკემბერი, 2021 წელი

ფაქტები

2. წინამდებარე საქმეში ოცდათხუთმეტი მომჩივანი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო ორი მომჩივანი ასოციაცია დარეგისტრირებულია საქართველოში.
3. მომჩივანი ასოციაციები (მომჩივნები nos. 1 და 17) ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებია (NGOs), რომელთა მიზანს წარმოადგენს საქართველოში ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ (LGBT) პირთა ხელშეწყობა და მათი უფლებების დაცვა. მომჩივანი ფიზიკური პირები როგორც მომჩივან ასოციაციათა თანამშრომლები ასევე, მათი წევრები და LGBT საზოგადოების მხარდამჭერები არიან.
4. საჩივარში №73204/13 არსებულ 16 მომჩივანს, წარმოადგენდა 3 ქართველი (ქ-ნი თ. აბაშიძე, ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე და ქ-ნი ც. რატიანი) და 3 ბრიტანელი ადვოკატი (ბ-ნი ფ. ლიჩი, ქ-ნი ჯ. ევანსი და ქ-ნი ჯ. გავრონი).
5. საჩივარში №74959/13 არსებულ 21 მომჩივანს, წარმოადგენდა 4 ქართველი ადვოკატი (ბ-ნი ლ. ასათიანი, ბ-ნი ნ. ბოლქვაძე, ქ-ნი თ. აბაზაძე და ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე).
6. მთავრობას წარმოადგენდა საქართველოს იურისტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ბ-ნი ლ. მესხორაძე.
7. მხარეთა მიერ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები შესაძლოა შეჯამდეს შემდეგნაირად:

I. 2013 წლის 17 მაისის მშვიდობიანი დემონსტრაცია

ა. წინასწარი ღონისძიებები

8. 2013 წლის 24 აპრილსა და 1 მაისს, ორმა მომჩივანმა ასოციაციამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სურდათ 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაემართათ მშვიდობიანი საჯარო მსვლელობა თბილისის ცენტრში. დაგეგმილ ღონისძიებას ექნებოდა 20-წუთიანი მდუმარე ფლემ-მობის ფორმა (the IDAHO event). ორგანიზატორებმა მიუთითეს, რომ ღონისძიება ყოფილი პარლამენტის შენობის წინ გაიმართებოდა და მასში დაახლოებით, ორმოცდაათი ადამიანი მიიღებდა მონაწილეობას. იმის გათვალისწინებით, რომ გასულ წელს მსგავსმა ღონისძიებამ რადიკალური ჯგუფების მიერ ძალადობის ფონზე ჩაიარა (იხ. *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, §§ 10-19, 12 May 2015), მომჩივანმა ასოციაციებმა სამინისტროს ეფექტური გეგმის შემუშავებისთვის მეტი დროისა და ენერჯის ჩადება სთხოვეს, რომ საზოგადოებრივი აქცია დაცული ყოფილიყო შესაძლო ძალადობისგან.
9. 2013 წლის 9 მაისს, მომჩივანმა ასოციაციებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინეს სხვადასხვა იდენტიფიცირებულ პირთა მიერ ინტერნეტში სერიოზუ-

ლი საფრთხის შემცველი პოსტების განთავსების თაობაზე. მუქარები, მომჩივან ასოციაციათა თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა ორგანიზატორების გადარწმუნებას, არ ჩაეტარებინათ აღნიშნული ღონისძიება.

10. 2013 წლის 13 მაისს, სხვადასხვა მედია საშუალებების მიერ გამოქვეყნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ გარკვეული ულტრა-კონსერვატიული არასამთავრობო ორგანიზაციები და სამღვდლოება გეგმავდა საპასუხო დემონსტრაციის გამართვას „სექსუალური უმცირესობების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის“ აკრძალვის მოთხოვნით. საპასუხო დემონსტრაციის ორგანიზატორი ძირითადად, სამი იდენტიფიცირებული პირი იყო – გ. გ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ნევრი; ე. მ. „საქართველოს სახალხო ფრონტის პრეზიდენტი,“ და მამა ჯ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გამოჩენილი სასულიერო პირი.
11. იმავე დღეს, გ.გ-მ ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა თბილისის მერიას საორგანიზაციო კომიტეტის განზრახვის შესახებ, რომ რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის შენობასთან (იგივე ადგილმდებარეობა, რომელიც მანამდე მომჩივანი ასოციაციების მიერ იქნება შერჩეული IDAHO-ს ღონისძიების ჩასატარებლად, იხ. მერვე პარაგრაფი) „მომლოცველთა შეკრების“ ჩატარების შესახებ. შეტყობინების თანახმად, „მომლოცველთა შეკრებაში“ თბილისის სხვადასხვა ეკლესიის მრევლი და მღვდლები მიიღებდნენ მონაწილეობას.
12. ამას გარდა, სხვადასხვა ეროვნულ გაზეთებში გამოქვეყნდა ცალკეული ინტერვიუები მღვდლებთან, სადაც სამღვდლოება, მამა ჯ-ის ჩათვლით ღიად და არაერთგზის აცხადებდნენ, რომ „მომლოცველთა შეკრების“ მიზანი IDAHO-ს ღონისძიების ჩატარების ჩაშლა იყო. დამატებით, სხვა აშკარად იდენტიფიცირებად პირთა გარკვეულმა ნაწილმა მოახლოებული საპასუხო მსვლელობის ფონზე სოციალურ მედიაში გააძლიერეს სიძულვილის ენის კამპანია, რომელიც მიმართული იყო მომჩივან ასოციაციათა თანამშრომლების მიმართ. იმ დროს სოციალურ მედიასა და გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ათასობით ადამიანი აპირებდა შეერთებოდა „მომლოცველთა შეკრებას.“
13. 2013 წლის 13 და 15 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა შეხვედრა გამართეს ორ მომჩივან ასოციაციასთან, რომლებიც ორგანიზებას უნებდნენ IDAHO-ს ღონისძიებას. შეხვედრის დროს, ორგანიზატორების წუხილს იმის შესახებ, რომ არსებობდა დემონსტრანტებზე თავდასხმის მაღალი რისკი საპასუხო მსვლელობის მონაწილეთა, უფრო კონკრეტულად, „მომლოცველთა შეკრების“ მიერ, რასთან დაკავშირებითაც, სამინისტროს თანამდებობის პირებმა გასცეს ოფიციალური დაპირება, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ძველი თბილისის პოლიციის მე-7 დანაყოფს დაევალა უსაფრთხოების ზომების მიღება. სამინისტრომ დამატებით განაცხადა, რომ დაზვერვის სამსახურის მიერ მონოღებული ბოლო ცნობების თანახმად, 10 000 ადამიანზე მეტი გეგმავდა საპასუხო მსვლელობაში მონაწილეობას. შესაბამისად, სამინისტრომ მომჩივან ასოციაციებს შესთავაზა IDAHO-ს ღონისძიება პარლამენტის ყოფილი შენობიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, პუშკინის სკვერთან გადაეტანათ, რათა თავიდან აერიდებინათ პირდაპირი კონფრონტაცია საპასუხო მსვლელობის მონაწილეებთან. სამინისტრო მათ დაპირდა შემთხვევის ადგილზე საჭირო ადამიანური რესურსის გამოყენებას, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ძლიერი საპოლიციო კორდონის შესაქმნელად. ორი მომ-

ჩივანი ასოციაცია დათანხმა სამინისტროს შემოთავაზებას.

14. IDAHO-ს ღონისძიების დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2000-მდე პოლიციელის მობილიზება მოახდინა, რომელთაც დაევეალათ პუშკინის სკვერი, სადაც მომჩივნები იკრიბებოდნენ, კორდონის მეშვეობით გამოეყოთ ყველა იმ ქუჩისგან, რომელიც მოსაზღვრე რუსთაველის გამზირს უკავშირდებოდა, სადაც „მომლოცველთა შეკრება“ უნდა ჩატარებულიყო (ქვემოთ იხილეთ, პარ. 16).

ბ. პუშკინის სკვერის ინციდენტი

15. 2013 წლის 16 მაისს, სამღველოებას, მათ მრევლსა და „მომლოცველთა შეკრების“ სხვა მონაწილეებს უკვე დაეწყოთ შეკრება პარლამენტის ყოფილ შენობასთან. 2013 წლის 17 მაისის საღამოს, 35 000-40 000 დემონსტრანტამდე უკვე იქ იმყოფებოდა.
16. 2013 წლის 17 მაისს, დაახლოებით შუადღის 12 საათისთვის, IDAHO-ს მონაწილეებმა პუშკინის სკვერთან დაიწყეს შეკრება. კონტრდემონსტრანტთა უზარმაზარი და აგრესიული ბრბოს დანახვამ, რომელთაგან მათ მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრი, გადასატანი მეტალის ბარიკადები და შეუიარაღებელი და მოუმზადებელი საპატრულო პოლიციის თხელი კორდონები ამორებდათ, მომსვლელ დემონსტრანტებს სერიოზული ეჭვი გაუჩინა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კონტრდემონსტრანტები ჰომოფობიური შინაარსისა და ფიზიკური საფრთხის შემცველ სიტყვებს ყვიტოდნენ, ხოლო სპეცრაზმი არ ჩანდა.
17. მომჩივნებმა №15, 19, 21-23, 25, 29, 31-33, 35 და 37 (შემდგომში „თორმეტ ფიზიკურ პირ მომჩივანთა ჯგუფი“), რომლებიც შუადღის 12 საათზე პირველები მივიდნენ პუშკინის სკვერთან, გადაწყვიტეს სხვა ყველა მონაწილისთვის 12:45 საათამდე დაეცადათ, რათა ფლეშმობის დაწყებამდე ისინიც შემოერთებოდნენ მათ. დანარჩენი ოცდასამი მომჩივანი, იმ დროისთვის პოლიციის კორდონების მიღმა კონტრდემონსტრანტებს შორის ან სადმე სხვაგან იმყოფებოდნენ.
18. რაღაც მომენტში, შუადღის 12:30 და 12:40 სთ. შუალედში, სამღველოების ჯგუფი პოლიციის კორდონების მიღმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, მათ შორის მინისტრის მოადგილე გ.ზ-სთან შესახვედრად გაეშურა. ისინი ყველანი პუშკინის სკვერში ზემოთ ხსენებულ თორმეტ ფიზიკურ პირ მომჩივანთა ჯგუფის ახლოს იდგნენ. როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებულ მოლაპარაკებების ამსახველ ვიდეომასალაზე ჩანს, რომელიც თანამდებობის პირებსა და სამღველოებას შორის მიმდინარეობს, ეს უკანასკნელი „მომლოცველთა შეკრების“ სახელით არწმუნებდა მათ, რომ პოლიციას არ დაეშვა IDAHO-ს ღონისძიების ჩატარება, რამდენადაც ეს გამოიწვევდა კონტრდემონსტრანტებთან შეტაკებებს. ზოგიერთი მღველი იმეორებდა, რომ „შესაძლოა ხალხი დაიღუპოს“ და მღველი, რომელიც მომჩივნების მიერ იდენტიფიცირდა როგორც მამა ე., მინისტრის მოადგილე გ.ზ.-ს ეუბნებოდა, რომ თუ პოლიცია IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა დაცვას შეეცდებოდა, სამღველოება სამოქალაქო დამოურჩილებლობას დაიწყებდა და მოუწოდებდა საქართველოს არმიას მათ გვერდით დამდგარიყვნენ.
19. დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებულ სხვა ვიდეომასალაში ჩანს თუ როგორ უბრუნდება სამღველოება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრის შემდეგ პოლიციის კორდონების მიღმა მყოფ კონტრდემონსტრანტთა რიგებს. ჩანანერი გრძელდება კადრებით, სადაც ჩანს

თუ როგორ არღვევენ იგივე სასულიერო პირები პოლიციის კორდონებს, პოლიციის მხრიდან წინააღმდეგობის განხილვის გარეშე. IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა მიერ (რომლებიც ჯერ კიდევ პუშკინის სკვერში იმყოფებოდნენ) გადაღებული კადრებიდან ჩანს, თუ როგორ დაინწყეს სასულიერო პირებმა და კონტრდემონსტრანტებმა პოლიციის კორდონებში გავლა.

20. ჟურნალისტების მიერ გადაღებული კიდევ ერთ ვიდეოჩანაწერი ასახავს, თუ როგორ შლიან პოლიციელები კორდონებს და იღებენ მეტალის ბარიკადებს, რომელიც დამონტაჟებული იყო LGBT დემონსტრანტების კონტროლდემონსტრანტებისგან დასაცავად (ზემოთ იხ. პარ. 16). ასევე, ისმის ჟურნალისტის ხმა, რომელიც ეკითხება პოლიციელებს – „რატომ აძლევთ შემოსვლის უფლებას?“ ეს ვიდეომასალა ასევე, შეიცავს სცენებს, სადაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები განიხილავენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ბრძანებას – შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც იმ დროს გ.ზ-ს პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა – მოეცილებინათ მეტალის ბარიკადები, რომელიც IDAHO-ს ღონისძიებისთვის დაცულ ტერიტორიას, პუშკინის სკვერს – რუსთაველის გამზირისგან გამოყოფდა, სადაც კონტრდემონსტრანტები იყვნენ შეკრებილი. ამას გარდა, ვიდეომასალაში ნაჩვენებია საპატრულო პოლიციის კონკრეტული ოფიცრები, რომლებსაც კორდონებში დგომით კონტრდემონსტრანტები უნდა შეეკავებინათ, თუ როგორ ათავისუფლებენ გასასვლელ ადგილებს კონტრდემონსტრანტებისთვის და გასვლისას ამბობენ მსგავს ფრაზებს, როგორცაა, „მიდი!“ და „სათითაოდ გაიარეთ!“
21. კიდევ ერთ ვიდეოჩანაწერზე ასახულია ჟურნალისტი, რომელიც პუშკინის სკვერის მოსაზღვრე ტერიტორიაზე დგას და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ეკითხება „[კონტრდემონსტრანტებმა] გაარღვიეს კორდონი თუ [პოლიციამ] გახსნა ის?“ რაზედაც ოფიცრები პასუხობენ, რომ „ის მათ გახსნენ.“
22. მოვლენათა დამატებითი ვიდეომასალა აჩვენებს, რომ დასასრულს, ასობით კონტრდემონსტრანტმა გაარღვია პოლიციის კორდონები და სასულიერო პირთა ხელმძღვანელობით დაიძრა თორმეტი მომჩივანის და IDAHO-ს ღონისძიების სხვა მონაწილეთა მიმართულებით, რომლებიც პუშკინის სკვერში იყვნენ შეკრებილი. რაც უფრო უახლოვდებოდნენ კონტრდემონსტრანტები IDAHO-ს ღონისძიების ადგილს, მით უფრო აგრესიული ხდებოდა მათი ქმედებები. ამგვარად, თავდაპირველი მარშის ტემპი სირბილად იქცევა; ყვირიან შეურაცხმყოფელ ფრაზებს, ინყევლებიან და იქნევენ ხის ჯოხებსა და რკინის ხელკეტებს; ზოგიერთი კონტრდემონსტრანტი გზად მძიმე ქვებს კრეფდა.
23. მოახლოებული ბრბოს პირისპირ, თორმეტ მომჩივან პირთა ჯგუფმა პუშკინის სკვერიდან უკან დახევა ორი ავტობუსით დაინყო, რომელიც როგორც ჩანს, პოლიციამ წინასწარ უზრუნველყო გაყვანის მიზნით. არც ერთმა მომჩივანმა არ იცოდა გაყვანის გეგმის შესახებ და მათი მცდელობა მიეღწიათ ავტობუსებამდე იყო ქაოტური, მიუხედავად პოლიციის მიერ უზრუნველყოფილი მითითებისა. ზოგიერთ მომჩივანს ესმოდა თუ როგორ ამბობდნენ ჩოჩქოლის დროს, თავად ეს პოლიციელები ჰომოფობიურ ხუმრობებსა და შეურაცხმყოფელ განცხადებებს, რომლებსაც მათი შემთხვევის ადგილიდან გაყვანის კოორდინაცია ევალებოდათ.
24. ასევე დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული მოვლენებების კიდევ ერთი ვიდეოჩანაწერი ასახავს რამდენიმე სასულიერო პირს, რომლებიც პუშკინის სკვერის გავლით, ზემოთ ხსენებული ორი ავტობუსის მიმართულებით მიე-

მართებიან და შეურაცხყოფელ ფრაზებს გამოთქვავენ. ერთ-ერთი მათგანი ხელში დაჭერილ ტაბურეტს მრისხანედ იქნევს და IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა მოკვლით იმუქრება. ვიდეოჩანაწერი დამატებით ასახავს კადრებს გამაგებულმა კონტრდემონსტრანტებმა თუ როგორ შემოარტყეს წრე და მოახდინეს ავტობუსების ბლოკირება, არყევდნენ სატრანსპორტო საშუალებებს, უშენდნენ ქვებს, ხის ჯოხებსა და ტაბურეტებს საქარე მინაზე, რომელშიც ზემოთ ხსენებული თორმეტ მომჩივანთა ჯგუფი და სხვა LGBT დემონსტრანტები იმყოფებოდნენ. მას შემდეგაც კი, როდესაც ავტობუსებმა ხალხში გზა გაიკვლიეს, რამდენიმე კონტრდემონსტრანტი მანქანებში ჩასხდნენ და მომჩივნებს ქალაქში აედევნენ. მომჩივანთა გადმოცემის მიხედვით, რომლებიც ავტობუსში იმყოფებოდნენ, მგზავრობის დროს ისინი პოლიციას არ გაუცხადებია და მათ არ იცოდნენ თუ რა მიმართულებით მიჰყავდა მძღოლს ისინი. ჟურნალისტების მიერ გადაღებული მომჩივანთა შეშინებული სახის ფოტოები, რომლებიც ავტობუსში იმყოფებოდნენ, რამდენიმე საათის შემდეგ რამდენიმე ადგილობრივი სატელევიზიო არხის ეთერში იქნა გაშუქებული.

გ. ვაჩნაძის ქუჩის ინციდენტი

25. 2013 წლის 17 მაისის დაახლოებით, 12:30 საათზე, მომჩივნები nos. 2-14, 16 და 36 (შემდგომში „თხუთმეტ მომჩივანთა ჯგუფი“) რომლებიც პუშკინის სკვერში გამართულ IDAHO-ს ღონისძიებაზე ვაჩნაძის ვიწრო ქუჩით ცდილობდნენ მოხვედრას, „მომლოცველთა შეკრების“ მონაწილეთა დიდი რაოდენობა გარს შემოეხვია. კონტრდემონსტრანტებმა ამოიცნეს რა, LGBT თემის წევრები, დაიწყეს ჰომოფობიური შეურაცხყოფებისა და მუქარის შემცველი განცხადებების გაკეთება. მომჩივანთა მიხედვით, შემთხვევის ადგილზე მყოფი შეუიარაღებელი და მოუმზადებელი პოლიციელების რაოდენობა ბრბოსთან შედარებით უმინიმუმ ეყოფო, ხოლო საწყის ეტაპზე პოლიცია არც იჩენდა დახმარების სურვილს.
26. მხოლოდ თბილისში არსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლის აქტიური ჩარევის შემდეგ, საბოლოოდ მოხერხდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ვაჩნაძის ქუჩაზე განლაგება და თხუთმეტ მომჩივანთა ჯგუფის ამავე ქუჩაზე განთავსებულ სახლში ბრბოსგან შეუმჩნეველად შეფარება და კარების გამაგრება პოლიციის მიკრო ავტობუსის მოსვლამდე. თუმცა, როგორც კი მომწყვდეული აქტივისტები მიკროავტობუსში ჩასხდნენ, კონტრდემონსტრანტებმა შეჰყვირეს – „ყველანი ჩაქოლეთ“ და „დახოცეთ ყველა“, გარს შემოერთყნენ და აქტივისტების გარეთ გამოყვანის მიზნით, რკინის ხელკეტებისა და ქვების გამოყენებით მანქანის თითქმის ყველა ფანჯარა და წინა საქარე მინა ჩაამსხვრიეს. რამდენიმე წუთიანი ჩოჩქოლის შემდეგ, მიკროავტობუსის მძღოლმა შეძლო ბრბოსგან თავის დაღწევა.
27. როგორც მოგვიანებით სამედიცინო ჩანაწერებით დადასტურდა, ვაჩნაძის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმის შედეგად თხუთმეტივე მომჩივანმა ძლიერი სტრესი განიცადა, ამასთანვე მომჩივანმა no. 12 ბრბოს მიერ ნასროლი ქვისგან, რომელიც მას თავში მოხვდა, ტვინის შერყევა მიიღო. კონტრდემონსტრანტების აგრესიული ქმედებების შედეგადად, ასევე ფიზიკური დაზიანებები მიადგა პოლიციის რამდენიმე ოფიცერს, რომლებიც მომჩივანთა შემთხვევის ადგილიდან გაყვანაში იღებდნენ მონაწილეობას.

დ. რუსთაველის გამზირის ინციდენტი

28. 2013 წლის 17 მაისის გვიან ნაშუადღევს, მომჩივანი no. 23, ერთ-ერთი თორმეტ

მომჩივანთა შორის, რომელსაც მანამდე პუშკინის სკვერში თავს დაესხნენ და პოლიციამ შემთხვევის ადგილს გაარიდა, ქალაქის ცენტრში დაბრუნდა იმისთვის, რომ ზოგიერთი მისი დაკარგული მეგობრისა და კოლეგის ადგილსამყოფელი გაერკვია. იმედოვნებდა, რომ მისი როგორც LGBT აქტივისტის ამოცნობას ვერ შეძლებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს იმ ფაქტის გამო, რომ მისი ფოტოები, სხვათა მსგავსად, როდესაც ის პუშკინის სკვერიდან ავტობუსით გარბოდა, ჟურნალისტებს სხვადასხვა სატელევიზიო არხებით უკვე გაშუქებული ჰქონდათ, კონტრდემონსტრანტების თორმეტკაციანმა ჯგუფმა, რომლებიც კვლავ რუსთაველის გამზირზე, პუშკინის სკვერთან იმყოფებოდნენ, მოახერხეს ქუჩაში მისი ამოცნობა.

29. კონტრდემონსტრანტებმა მომჩივანი no. 23 შუა რუსთაველის გამზირზე წრეში მოიმწყვდიეს და მუშტები და ნიხლები დაუშინეს. საბოლოოდ მან მოახერხა თავდამსხმელებს ხელიდან დასხლტომოდა და თავი იმავე ქუჩაზე სუპერმარკეტს შეაფარა. თავდამსხმელები მას სუპერმარკეტში შეჰყვნენ თუმცა, მისი პოვნა ვეღარ მოახერხეს. შემდგომში, მათ გადაწყვიტეს მალაზიის ყველა გასასვლის ბლოკირება, იმ იმედით, რომ მას შეიპყრობდნენ. რალაც დროისა და სავარაუდოდ, სუპერმარკეტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ზარის შემდეგ, დაახლოებით, პოლიციის ათი თანამშრომელი მოვიდა. მას შემდეგ რაც მათ მომჩივანი სარდაფში აღმოაჩინეს, უთხრეს, რომ იმ აგრესიული ხალხის გამო, რომლებსაც მალაზიისთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, მათ მისი უსაფრთხოები უზრუნველყოფა არ შეეძლოთ. სანაცვლოდ, მათ შესთავაზეს, რომ ნვერი გაეპარსა, პოლიციის უნიფორმა ჩაეცვა და ამ გზით, გადაცმულს დაეტოვებინა ტერიტორია, რაზედაც ის დათანხმდა.

30. ოფიცრებმა დაიწყეს მომჩივნისთვის წვერის გაპარსვა, თუმცა, ამას ერთ საათზე მეტი დასჭირდა. პროცესის დროს, რომელსაც ისინი მობილური ტელეფონებით იღებდნენ, ოფიცრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ჰომობიურ შენიშვნებსა და ისეთი კითხვების დასმას როგორცაა „იყო თუ არა ის გეი“ და „ჰქონია თუ არა ოდესმე ქალთან სექსი.“ საბოლოოდ, მას შემდეგ რაც წვერი გაპარსეს და საპატრულო პოლიციის ფორმა ჩაიცვა, მომჩივანმა no. 23 ბოლოს და ბოლოს, შეძლო სუპერმარკეტის დატოვება.

ე. დანარჩენ მომჩივნებთან დაკავშირებით

31. მომჩივნებმა nos. 18, 20, 24, 26-28, 30 და 34 (შემდგომში „რვა მომჩივანთა ჯგუფი“), რომლებიც საპოლიციო კორდონის მიღმა კონტრდემონსტრანტების მხარეს რჩებოდნენ, სანამ ჩოჩქოლი ატყდებოდა (ზემოთ იხ. პარაგრაფი 17), მოახერხეს კონტრდემონსტრანტებს შერეოდნენ და შემთხვევის ადგილიდან თავად დაეღწიათ თავი.

32. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ კონტრდემონსტრანტების მიერ მათი, როგორც IDAHO-ს ლონისძიების მონაწილეთა ამოცნობა არ მომხდარა და არ არსებობდა მოხსენების ჩანაწერი მათ მიმართ რაიმე სახის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე.

II. შემდგომი გამოძიება

33. 2013 წლის 17 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი ნებით დაიწყო საყოველთაო გამოძიება იმ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც IDAHO-ს ლონისძიებისა და „მომლოცველთა შეკრების“ მონაწილეთა შორის დაპირისპირებისას იქნა ჩადენილი. ძველი თბილისის პოლიციის მე-7 დანაყოფს და-

ევალა გამოძიების ჩატარება, რომელიც დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლის პირველი ნაწილით – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა ძალადობის გამოყენებით.

34. 2013 წლის 9 ივლისს, ზემოთ ხსენებული საყოველთაო ხასიათის გამოძიება ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სისხლის სამართლის გამოძიებებად გაიყო, რომელთაგან ერთ-ერთი 2015 წლის 23 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენით დასრულდა (ქვემოთ, იხ.: პარაგრაფი 42).
35. 2013 წლის 25 ივლისსა და 20 სექტემბერს ორმა მომჩივანმა ასოციაციამ და ოცდაცამეტმა მომჩივანმა (გარდა მომჩივნებისა 20 და 24), მოსთხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოეხდინა IDAHO-ს ლონისძიებისას მათ მიმართ ძალადობის ჩადენაზე პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. მომჩივნებმა, რომელთაც ზემოთ ხსენებული პუშკინის სკვერში მომხდარი ინიციდენტების ამსახველი ვიდეომასალა ზედ დაურთეს მოთხოვნას (ზემოთ, იხ.: პარაგრაფები 18-24), ასევე ითხოვედნენ დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყებას შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, რომლებიც კონტრდემონსტრანების საპოლიციო კორდონების მიღმა შემოშვებისა და ამ უკანასკნელთა სხვა უკანონო ქმედებების ჩადენაში ხელშეწყობისთვის იყვნენ პასუხისმგებელი. სამინისტროს მოთხოვნაზე პასუხი არ გაუცია.
36. 2013 წლის ოქტომბერში, დაუდგენელ დროს, ძველი თბილისის no. 7 საპოლიციო დანაყოფის გამომძიებელთა მიერ რუსთაველის გამზირისა და შესაბამისად, ვაჩნაძის ქუჩის ინიციდენტთან დაკავშირებით გამოიკითხა მომჩივნები nos. 23 და 36. 2013 წლის 6 ნოემბერს, ორმა მომჩივანმა კითხვით მიმართა სამინისტროს იყო თუ არა რაიმე წინსვლა გამოძიებაში და მიენიჭათ თუ არა მათ დაზარალებულის სტატუსი.
37. 2013 წლის 6 ნოემბერს, მომჩივანმა no. 23 კიდევ ერთი საჩივარი შეიტანა ძველი თბილისის პოლიციის მე-7 დანაყოფში, სადაც მან რუსთაველის გამზირზე მის წინააღმდეგ მომხდარ თავდასხმაში სავარაუდო მონაწილე ერთ-ერთი პირის სახელი დააკონკრეტა (ზემოთ, იხ.: პარაგრაფები 28-30) და გამომძიებლებს ფოტოსურათები და სხვა საკონტაქტო დეტალები წარმოუდგინა. დამატებით, მომჩივანმა მოითხოვა პოლიციის ოფიცრების იდენტიფიცირება, რომლებიც მან დამამცირებელ მოპყრობაში დაადანაშაულა და წარმოადგინა შეურაცხყოფის ყველა დეტალი, რომელიც მას სავარაუდოდ მიაყენეს – წვერის პარსვის ინიციდენტისას. თუმცა, სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, რომ მომჩივნის მიერ მოწოდებული დეტალები პოლიციას არ დაუზუსტებია.
38. იმავე დღეს, ორივე მომჩივანმა ასოციაციამ და ყველა მომჩივანმა პირმა კითხვით მიმართეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას გამოძიების წინსვლასთან დაკავშირებით და მიენიჭათ თუ არა მათ დაზარალებულის სტატუსი. 2013 წლის 27 დეკემბერს, პროკურატურამ მათ უპასუხა, რომ პოლიციის ქმედებაში არანაირი უკანონობის ნიშნები არ იკვეთებოდა, პირიქით, დემონსტრაციის დროს პოლიციამ ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა იმ მიმართე შედეგების პრევენციით, რომელიც კონტრდემონსტრანტების არაპროპორციულად მაღალი რიცხვის გამო შესაძლოა დამდგარიყო. ამას გარდა, პროკურატურამ მომჩივნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 17 მაისის საყოველთაო გამოძიების განვითარების განახლებული ინფორმაცია მიაწოდა.

39. ამგვარად, პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბრის პასუხისა და საქმეში არსებული სხვა მასალების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საყოველთაო გამოძიების შემდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე – საზოგადოებრივი წესრიგის მცირე დარღვევა – ოთხი კონტრდემონსტრანტი, თითოეული 100 ლარის (დაახლოებით 45 ევრო) ოდენობით დაჯარიმდა. გარდა ამისა, მომჩივნებისთვის ოფიციალური პასუხიდან გამომჩნდა, რომ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის საფუძველზე – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების უკანონო ხელყოფა ძალადობის გამოყენებით, ასეთის მუქარით ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენებით – 2013 წლის დეკემბრისთვის, სასამართლოში ოთხი კონტრდემონსტრანტის წინააღმდეგ მიმდინარეობდა.
40. ყველა მომჩივანი გარდა no. 23 და 36 (ზემოთ იხ. პარაგრაფი 36), ძველი თბილისის პოლიციის მე-7 დანაყოფის გამომძიებლთა მიერ პირველად, როგორც მონმეები 2013 წლის 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით, 2014 წლის აპრილში დაიკითხნენ.
41. 2015 წლის ოქტომბერში, ძველი თბილისის პოლიციის მე-7 დანაყოფის გამომძიებლებმა, ცხრა ოფიცერი, რომლებიც პირადად იყვნენ ჩართულნი 2013 წლის 17 მაისის IDAHO-ს ღონისძიების უსაფრთხოების ღონისძიებებში, მოწმის სახით დაკითხეს.
42. 2015 წლის 23 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ოთხი ბრალდებული, რომლებსაც ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის მიხედვით ედებოდათ (ზემოთ იხ. პარაგრაფი 34). საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ გამოძიებამ ვერ შეძლო მტკიცებულების მოპოვება, რომლითაც უტყუარად დადგინდებოდა კავშირი IDAHO-ს ღონისძიების ძალადობრივ დაშლასა და ბრალდებულთა იმ დღეს ჩადენილ ქმედებებს შორის. სასამართლომ გამოძიებაში დამატებით ისეთი ჩავარდნები გამოავლინა როგორცაა, გამომძიებელთა მხრიდან დარბევის ამსახველი შესაბამისი ვიდეომასალის სათანადოდ არშესწავლა (ზემოთ, იხ.: პარაგრაფები 18-24), რომელიც სასამართლოს აზრით, წარმოადგენდა მნიშვნელოვან მტკიცებულებას, რამდენადაც იგი ძალადობრივი თავდასხმის სულ მცირე, დაახლოებით, ოთხი მონაწილის სათანადო იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლეოდა – ასევე იმ ავტობუსებზე სასამართლო ექსპერტიზის არჩატარება, რომელიც ბრბოს მიერ დაზიანდა დარბევის პროცესში.
43. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არსებული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ IDAHO-ს ღონისძიების დროს ძალადობრივ შეტაკებებთან დაკავშირებით (ზემოთ, იხ.: პარაგრაფი 34) სისხლის სამართლის საქმის წარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. არც ერთ მომჩივანს, გარდა მომჩივანი no. 23-ისა, დაზარალებულის სტატუსი არ მინიჭებია და უცნობია არის თუ არა რაიმე სხვა წინსვლა საქმის წარმოებაში.

III. სიძულვილის დანაშაულის ზრდა 2013 წლის 17 მაისის შემდგომ

44. მომჩივანი no. 17-ის თანახმად, მომჩივან ასოციაციათაგან ერთ-ერთი, რომელმაც მსგავსი ინციდენტები დააფიქსირა როგორც მათი საქმიანობის ნაწილი, 2013 წლის 17 მაისის შემდგომ ფიზიკური აგრესიისა და სიძულვილის ენის თორმეტი და ჩვიდმეტი შემთხვევა აღირიცხა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც არ იყვნენ კავ-

შირში IDAHO-ს ღონისძიებასთან, მხოლოდ რეალური ან აღქმული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. დაზარალებულებმა გადაწყვიტეს არ შეეტანათ საჩივარი სამართალდამცავ ორგანოებში სისტემისადმი ნდობის ნაკლებობის, საჯაროობისა და რეპრესიების შიშის გამო.

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკა

45. საქართველოში LGBT თემის მდგომარეობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო მასალა სრულყოფილად არის შეჯამებული სასამართლოს გადაწყვეტილების 29-39 პარაგრაფებში საქმეზე, „იდენტობა და სხვები“ (ციტირებულია ზემოთ).

სამართალი

I. გაერთიანებული საჩივარი

46. საჩივრების მსგავსი დავის საგნის გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მათ ერთობლივად განხილვას ერთიანი გადაწყვეტილების სახით.

II. კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

47. ოცდაშვიდმა მომჩივანი (nos. 2-16, 19, 21-23, 25, 29, 31-33 და 35-37 – ზემოთ იხ.: პარაგრაფები 17, 23 და 25) დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, როგორც ცალკე ასევე, მე-14 მუხლთან მიმართებით, რომ 2017 წლის 13 მაისს, კონტრდემონსტრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულები მიენერებოდა მოპასუხე სახელმწიფოს რომელმაც გარდა ამისა, ვერ შეძლო ინციდენტის ეფექტურად გამოძიება, კერძოდ კი, თავდამსხმელთა დისკრიმინაციული მოტივების დადგენა. შესაბამისი დებულებები იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 3

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 14

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.

ა. დასაშვებობა

48. მთავრობას არ გამოუთქვამს არანაირი პროტესტი შესაბამის მომჩივანთა საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებით, მე-3 და მე-14 მუხლების შესაბამისად.

49. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საჩივრები არც აშკარად დაუსაბუთებელია და არც დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლში განერილი საფუძვლების მიხედვით. ამიტომ ისინი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. გარემოებები

1. მხარეთა წარდგინებები

(ა) მომჩივნები

50. შესაბამისი 27 ინდივიდუალური მომჩივანი (ზემოთ, იხ.: პარაგრაფი 47) ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მათი უფლებები კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლებით, რადგან, პირველ ყოვლისა, პოლიციამ ვერ შეძლო მათი დაცვა ბრბოსგან; მეორე, გამოიკვეთა აშკარა მინიშნებები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან IDAHO-ს ღონისძიებისადმი მტრულად განწყობილი კონტრდემონსტრანტების ნებაზე მიშვების; და მესამე, ინციდენტთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა. პირველ ასპექტთან დაკავშირებით, მათ განაცხადეს, რომ IDAHO-ს წინა წლის ღონისძიების (დამატებითი დეტალებისთვის იხ.: საქმე იდენტიფიკაცია და სხვები no. 73235/12, §§10-19, 12 მაისი 2015), ისევე როგორც გარკვეული სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული ორგანოებისთვის მარტივად განჭვრეტადი იყო, რომ 2013 წლის IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეებისთვის საჭირო იქნებოდა გაძლიერებული დაცვა კერძო პირთა თავდასხმებისგან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ვერ გაითვალისწინა უკიდურესი ჰომოფობია, რომელიც გავრცელებულია სახელმწიფოში, წინმსწრებად არ ჩათვალა საკმარისი მოსამზადებელი სამუშაოები და არ გაატარა ადეკვატური ღონისძიებები აგრესიული ბრბოს მიერ კანონდარღვევის პრევენციისთვის.
51. რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან კონტრდემონსტრანტების ნებაზე მიშვებას, შესაბამისმა ცალკეულმა მომჩივნებმა ყურადღება გაამახვილეს საქმის მასალებში არსებულ ვიდეოჩანანერებზე, რომელიც ნათლად ასახავს მოლაპარაკებებს სასულიერო პირებთან, რომლებიც კონტრდემონსტრაციის თანაორგანიზატორები იყვნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს შორის, რასაც ქრონოლოგიურად მიჰყვება სცენებები, სადაც ჩანს, რომ კონტრდემონსტრანტები პოლიციის კორდონში არა მხოლოდ წინააღმდეგობის გარეშე გადიან, არამედ პოლიციის დახმარებით. მომჩივნებმა ასევე მიუთითეს რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტზე, რომელიც იმ ფაქტის ილუსტრაცია იყო, რომ პოლიციის ოფიცრები რომლებიც იქ განლაგებული იყვნენ IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილისგან დასაცავად, სინამდვილეში, იზარებდნენ იგივე დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს. პოლიციამ დაუშვა ჰომოფობიური სიძულვილით მოტივირებული ძალადობა.
52. დასასრულს, რაც შეეხება გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობას, შესაბამისმა ოცდაშვიდმა ცალკეულმა მომჩივანმა განაცხადა, რომ გამოძიება არ ყოფილა არც დაჩქარებული და არც დამოუკიდებელი და რომ შესაბამისმა ორგანოებმა არ გადადგეს ყველა გონივრული ნაბიჯი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეროვნულმა სასამართლომ თავის გადამწყვეტილებაში აღიარა ერთ-ერთი სისხლის სამართლის გამოძიების არაადეკვატურობა, რომელიც ჩატარდა IDAHO-ს ღონისძიების დროს განხორციელებულ ძალადობაზე (ზემოთ, იხ. პარაგრაფი 42). შესაბამისმა მომჩივნებმა ასევე აღნიშნეს, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, საგამოძიებო ორგანოების მიერ არასდროს განხილულა როგორც სიძულვილით მოტივირებული და დამამძიმებელი გარემოება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ შესაბამის მოთხოვნას (საქმე, იდენტიფიკაცია და სხვები, §77, ციტირებულია ზემოთ).

(ბ) მთავრობა

53. მთავრობამ აღნიშნა, რომ პოლიციამ სრული ძალისხმევა გამოიყენა IDAHO-ს ღონისძიების

ნისძიების მონაწილეების კონტრდემონსტრანტებისგან, მათ შორის, ოცდაშვიდი ინდივიდუალური მომჩივნის (ზემოთ იხ. პარაგრაფი 47) დასაცავად. კერძოდ, მთავრობამ არასათანდოდ აღჭურვილი და არასაკმარისი საპოლიციო ძალის არსებობა იმ ფაქტით გაამართლა, რომ საწყის ეტაპზე კონტრდემონსტრანტების ასეთი მაღალი აქტივობა არ იყო მოსალოდნელი. მათ ასევე განაცხადეს, რომ პოლიციამ კონტრდემონსტრანტებისგან მომდინარე საფრთხის წინაშე შედარებით პასიურად დარჩენა და საზოგადოებრივი წესრიგის აღსაკვეთად სპეციალური ღონისძიებების გატარებისგან თავის შეკავება როგორცაა, წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი იმ მიზეზით არჩია, რომ ეშინოდა ამას კიდევ უფრო მეტი ძალადობა არ გამოეწვია, რომელიც დიდი მსხვერპლით დასრულდებოდა. კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციამ გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გზა იქნებოდა IDAHO-ს მონაწილეთა დაშლა. მთავრობამ განაცხადა, რომ დაშლის გეგმა ზოგიერთ ორგანიზატორთან 2013 წლის 17 მაისამდე განიხილებოდა და, რომ ავტობუსებს, რომლებსაც გაქცეული მონაწილეები გადაჰყავდათ, მუდმივად თან ახლდა პოლიცია. მათ ასევე განაცხადეს, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომაც არც ერთ ინდივიდუალურ მომჩივანს შეჯახებების დროს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, იყო პოლიციის მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებები.

54. მთავრობამ დამატებით განაცხადა, რომ შესაბამის ცალკეულ მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ იმის მტკიცებულება, რომ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა და ჰომოფობიურ/ტრანსფობიური დისკრიმინაციის არსებობა პოლიციამ დაუშვა. მათ გააპროტესტეს მომჩივანთა მხრიდან იმის მტკიცება, რომ მოლაპარაკებები შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა და სასულიერო პირებს შორის შეიძლება განიმარტოს როგორც ხელისუფლების მიერ კონტრდემონსტრანტების შემდგომ ძალადობრივ ქმედებებზე ნებართვის გაცემა. პირიქით, აღნიშნული შეხვედრების დროს სამინისტროს წარმომადგენლები ცდილობდნენ სიტუაციის დეესკალაციას. მთავრობამ ასევე, უარყო საქმის მასალებში არსებული სხვადასხვა ვიდეორჩანაწერი იმ მოტივით, რომ მათი უმრავლესობა გადაღებული იყო მას შემდეგ, რაც IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეები უკვე გაქცეულები იყვნენ პუშკინის სკვერიდან ავტობუსებით. ჩანაწერებში მხოლოდ პოლიციის ის ოფიცრები იყო ნაჩვენები, რომელიც ნებას რთავდა კონტრდემონსტრაციის ორგანიზატორებს დაეტოვებინათ აქციის ადგილი, მას შემდეგ რაც შეტაკება უკვე მომხდარი იყო. ზოგადად, მთავრობამ სასამართლოს სთხოვა არ განეხილა ვიდეორჩანაწერები ფაქტების დადგენის მთავარ მტკიცებულებად, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა არასწორი ინტერპრეტაციის რისკი. რაც შეეხება მომჩივნის no. 23-ის მიმართ პოლიციის მიერ დამამცირებელ მოპყრობას, მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი აშკარად დაუსაბუთებელი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ეს საკითხი არც ერთი ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოს წინაშე არ წამოუჭრია.

55. მთავრობა დავობდა, რომ IDAHO-ს ღონისძიების დროს, კონტრდემონსტრანტების მიერ ჩადენილი ძალადობის გამოძიება ეფექტური იყო, რამდენადაც მას ოთხი ბრალდებულის იდენტიფიკაცია მოჰყვა. გამოძიების მსვლელობისას, ხელისუფლებამ ჩაატარა მთელი რიგი საგამოძიებო ღონისძიებები, როგორცაა ათობით მონმის დაკითხვა და სხვადასხვა დანაშაულის გამოსაძიებელი ექსპერტიზის ჩატარება. გარდა ამისა, კიდევ ოთხ პირს დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა (ზემოთ იხ. პარაგრაფი 39). მთლიანობაში, მთავრობამ განაცხადა, რომ არ არსებობდა საფუძველი მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისა, როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამის ეროვნულ ორგანოებს ძალ-

ლონე არ დაუშურებიათ პოზიტიური ვალდებულების შესრულებისგან შესაბამის მომჩივანთა სიძულვილით მოტივირებული ძალადობისგან დაცვითა და არსებითი გამოძიების ეტაპზე ინციდენტის ყველა გარემოების ცხადყოფით.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) შემონმების ფარგლები

56. თავდაპირველად, სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი მომჩივნების საჩივრების არსი მდგომარეობს მოპასუხე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში, როგორც მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილებით, ასევე კონვენციის მე-14 მუხლით, სიძულვილით მოტივირებული არასათანადო მოპყრობისთვის, როდესაც ზიანი მიყენება კერძო პირთა მიერ მოხდა. მე-3 მუხლის მატერიალურ ნაწილთან დაკავშირებით, წინამდებარე საქმეების განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით პუშკინის მოედანზე და ვაჩნაძის ქუჩის ინციდენტებთან დაკავშირებით (ზემოთ, იხ.: პარაგრაფები 15-27) სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ძირითადად, სახელმწიფოს პოზიტიური მატერიალურსამართლებრივი ვალდებულებებია, რომელიც უნდა შემონმდეს (იხ.: *As a recent authority, I.E. v. the Republic of Moldova, no. 45422/13, §40, 26 მაისი 2020, with further references therein*). თუმცა, რამდენდაც საქმე რუსთაველის გამზირის ინციდენტს და მომჩივანს no. 23 ეხება (იხ. პარაგრაფები 28-30), ასევე უნდა მოხდეს სახელმწიფოს ნეგატიური მატერიალურსამართლებრივი ვალდებულებების განხილვაც.

57. რაც შეეხება შესაბამისი მომჩივნების მიერ მოტანილი ორი დებულების ურთიერთქმედებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველაზე შესაფერისი გზა იქნება მომჩივანთა საჩივრების ერთდროული ორმაგი განხილვა მე-3 მუხლის შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებაში (იხ.: *Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia, no. 7224/11, §§35-36, 8 ოქტომბერი 2020, with further references cited therein*).

58. დაბოლოს, მხარეთა სამართლებრივი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მე-3 მუხლის (როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ვალდებულებების) და მე-14 მუხლის საფუძველზე, საჩივრების არსებითი განხილვისას, კანონის შემდეგი საკითხები განიხილება მითითებული წესით. პირველ ყოვლისა, უნდა შეფასდეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სიმძიმის ზღვარი. იმ შემთხვევაში, თუ ეს ზღვარი დაკმაყოფილებულია, სასამართლო შემდეგ, როგორც მეორე საფეხური, შეისწავლის სახელმწიფოს მიერ მის პროცედურულ ვალდებულებებს. დაბოლოს, გამოიძიებს სახელმწიფოს მიერ მისი მატერიალურსამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას.

(ბ) დასკვნები

(i) სიმძიმის ზღვარი

(ა) ზოგადი პრინციპები

59. ზოგადად, არასათანადო მოპყრობა, რომელიც აღწევს სიმძიმის მინიმალურ დონეს, ექცევა მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, ჩვეულებრივ, სხეულის ფაქტობრივ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას გულისხმობს. თუმცა, ამ ასპექტების არარსებობის შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპყრობა ამცირებს ან ღირსებას ულახავს ინდივიდს, როგორც სხვების, ისე მსხვერპლის თვალში, გამოხატავს პატივისცემის ნაკლებობას ან ლახავს მის ადამიანურ ღირსებას ან ინ-

ვევს შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების გრძნობას, რომელსაც შეუძლია შეარყიოს ინდივიდის მორალური და ფიზიკური მდგრადობა, ის შეიძლება დახასიათდეს როგორც პატივის შემლახველი და ასევე, მოექცეს მე-3 მუხლით დადგენილ აკრძალვაში (see, in the context of violence by private individuals, *Identoba and Others*, cited above, § 65, and, more generally, *Bouyid v. Belgium* [GC], no. 23380/09, §§ 86 and 87, ECHR 2015). გარდა ამისა, დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, პრინციპში შეიძლება უტოლდებოდეს ღირსების შემლახველ მოპყრობას მე-3 მუხლის მნიშვნელობით, სადაც ის აღწევს სიმძიმის ისეთ დონეს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ღირსების შელახვას. დისკრიმინაციული შენიშვნები და შეურაცხყოფა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ ფაქტორად მე-3 მუხლის გათვალისწინებით არასათანადო მოპყრობის მოცემული შემთხვევის განხილვისას. ეს განსაკუთრებით ეხება სიძულვილის ძალადობრივ დანაშაულს. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ მსხვერპლის მახასიათებლებზე დაფუძნებული ქმედებები შეიძლება კლასიფიცირდეს სიძულვილის დანაშაულებად. სასამართლოსთვის, მოძალადეებს შეიძლება ჰქონდეთ შერეული მოტივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სიტუაციური ფაქტორების თანაბრად ან უფრო ძლიერად, ვიდრე მათი წინასწარშექმნილი დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება. (იხ.: as a recent authority, *Sabalic v. Croatia*, no. 50231/13, §§ 65 and 66, 14 January 2021, with further authorities cited therein).

(β) ამ პრინციპების გარემოებებისამებრ გამოყენება

60. სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი ოცდაშვიდი ინდივიდუალური მომჩივანი კონტრდემონსტრანტებთან შეტაკების დროს გახდა საშინელი სიძულვილის ენისა და აგრესიული ქცევის სამიზნე, ფაქტები, რომლებიც მთავრობას სადავო არ გაუხდია. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნები გარშემორტყმული იყვნენ ბრბოსგან, რომელიც მათ რიცხოვნობით აღემატებოდა, სიკვდილით ემუქრებოდა და ფიზიკური თავდასხმის მოწოდებას ახდენდა, წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს და, რომ ამჟამად შესამჩნევ ჰომოფობიურ განწყობებს დამამძიმებელი ფაქტორის როლი ჰქონდა, სიტუაცია მხოლოდ შიშისა და შფოთვის გამომწვევი იყო (contrast *R.B. v. Hungary*, no. 64602/12, § 51, 12 April 2016). იმ ვითარებაში, როდესაც ბრბო თავს დაესხა ავტობუსებს, რომელთაც შესაბამისი მომჩივნები გადაჰყავდა და შეძლო ერთ-ერთი მათგანისთვის თავში ჩარტყმა (ზემოთ იხ. პარაგრაფები 24, 26 და 27), ამჟამად, რომ შესაბამისმა მომჩივანმა ფიზიკური ძალადობა ძალიან სერიოზულად აღიქვა. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ მე-3 მუხლით აკრძალული ქმედების საფრთხე, იმ შემთხვევაში თუ ის საკმარისად რეალური და იმნუთიერია, შეიძლება არღვევდეს ამ დებულებას (იხ.: მაგალითად, *Abu Zubaydah v. Lithuania*, no. 46454/11, §631, 31 მაისი 2018). სასამართლო ასევე შენიშნავს, რომ ამ სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის მიზანი ამჟამად იყო შესაბამისი მომჩივნების შეშინება, რათა მათ თავი შეეკავებინათ LGBT თემისადმი მხარდაჭერის საჯაროდ გამოხატვისგან. მომჩივნების ემოციური სტრესი კიდევ უფრო გამწვავებული უნდა ყოფილიყო იმ ფაქტით, რომ პოლიციის დაცვა, რომელიც დაპირებულ იქნა IDAHO-ს ღონისძიების დანყებამდე, არ იყო უზრუნველყოფილი დროულად ან ადეკვატურად (ზემოთ, იხ.: პარაგრაფი 13 და ქვემოთ პარაგრაფები 70-78 და შეადარეთ *Aghdgomelashvili and Japaridze*, ციტირებულია ზემოთ, §47; *Burlya and Others v. Ukraine*, no. 3289/10, §134, 6 November 2018; და *Identoba and Others*, ციტირებულია ზემოთ, §68). ასეთ ვითარებაში და მთავრობის არგუმენტის საპასუხოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი, მიიღეს თუ არა მომჩივნებმა გარკვეული სიმძიმის ფიზიკური დაზიანებები, არ აქვს გადაამწყვეტი მნიშვნელობა.

61. მთლიანობაში, სასამართლო ადგენს, რომ სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდნენ შესაბამისი ოცდაშვიდი ინდივიდუალური მომჩივანი კონტრდემონსტრანტებთან შეტაკების დროს, არ იყო თავსებადი მათი ადამიანური ღირსების პატივისცემასთან და მიაღწია სიმძიმის ზღვარს მე-3 მუხლის მნიშვნელობით, კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებაში.

(ii) პროცედურული ვალდებულებები

(ა) ზოგადი პრინციპები

62. კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ ეფექტური ოფიციალური გამოძიება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ უნდა ჩაატაროს მაშინაც კი, როდესაც ასეთი მოპყრობა განხორციელდა კერძო პირების მიერ (იხ.: T.M. and C.M. v. the Republic of Moldova, no. 26608/11, §38, 28 იანვარი 2014). იმისათვის, რომ გამოძიება ჩაითვალოს „ეფექტურად“, პრინციპში მას უნდა შეეძლოს საქმის ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში – დასჯა. ხელისუფლებამ უნდა გადადგას განოვრიულობის ფარგლებში ქმედითი ნაბიჯები, რათა მოახდინოს ინციდენტთან დაკავშირებით მტკიცებულებების უზრუნველყოფა, მათ შორის, თვითმხილველთა ჩვენება, სასამართლო ექსპერტიზა და ა.შ. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ასუსტებს მის უნარს, დაადგინოს დაზიანებების მიზეზი ან პასუხისმგებელი პირების ვინაობა, წარმოშობს ამ სტანდარტის დარღვევის რისკს, ხოლო ოპერატიულობისა და გონივრული სისწრაფის მოთხოვნა იგულისხმება ამ კონტექსტში (იხ. Bouyid, ციტირებულია ზემოთ, §§116 და 119 23, და Mocanu and Others v. Romania [GC], nos. 10865/09 და 2 სხვები, §323, ECHR 2014 (extracts)). არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებების გამოძიებისას, ხელისუფლების მხრიდან სწრაფი რეაგირება შეიძლება ზოგადად, ჩაითვალოს არსებითად მნიშვნელოვნად საზოგადოების ნდობის შენარჩუნების, კანონის უზენაესობის დაცვისა და უკანონო გარჩევების ან უკანონო ქმედებების მიმართ ტოლერანტულად გამოჩენის პრევენციის კუთხვით (იხ.: Members of the Gldani Congregation of Jehovah’s Witnesses and Others v. Georgia, no. 71156/01, § 97, 3 მაისი 2007).

63. ძალადობრივი ინციდენტების გამოძიებისას, როგორცაა არასათანადო მოპყრობა, სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი შესაძლო დისკრიმინაციული მოტივების გამოსავლენად. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება გამოიძიოს ძალადობრივი ქმედების შესაძლო დისკრიმინაციული მოტივები, არის ვალდებულება გამოიყენოს საუკეთესო ძალისხმევა და, შესაბამისად, არ არის აბსოლუტური. ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც გონივრულია მოცემულ ვითარებაში, რათა შეაგროვოს და უზრუნველყოს მტკიცებულებები, გამოიკვლიოს ქეშმარიტების აღმოჩენის ყველა პრაქტიკული საშუალება და მიიღოს სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადანყვებილებები, საეჭვო ფაქტების გამოტოვების გარეშე, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს მაგალითად, რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობით ან გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებულ ძალადობაზე. შესაბამისად, სადაც არსებობს ეჭვი, რომ დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი ქმედება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ენერგიულად და მიუკერძოებლად წარიმართოს, იმ საჭიროების გათვალისწინებით, რომ საზოგადოების მხრიდან განგრძობადად დასტურდებოდეს ასეთი ქმედებების დაგმობა და შენარჩუნდეს უმცირესობის ნდობა ხე-

ლისუფლების უნარში, დაიცვან ისინი დისკრიმინაციული ძალადობისგან. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან თანხვედრა მოითხოვს, რომ შიდასამართლებრივ სისტემას შეეძლოს იმის დემონსტრირება, რომ შესწევს უნარი აღასრულოს სისხლის სამართლის კანონი ასეთი ძალადობრივი ქმედებების ჩამდენი პირების მიმართ (იხ.: Sabalic, ზემოთ ციტირებული, §95). სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრი მიდგომისა და ტონალობის გარეშე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აუცილებლად განიხილება თანაბარი პირობებში ჩვეულებრივ საქმეებთან და შედეგად მიღებული გულგრილობა ტოლფასია ოფიციალური თანხმობის ან თუნდაც შეთანხმებისა სიძულვილის დანაშაულებებში (იხ. Identoba and Others, cited above, § 77, with further references).

(β) ამ პრინციპების გარემოებებისამებრ გამოყენება

სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიება IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმავე დანაყოფის მიერ, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად საპროტესტო აქციაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი ინდივიდუალურ მომჩივანთა სისხლის სამართლის საჩივრები შიდა დონეზე მოიცავდა საჩივრებს პოლიციის მხრიდან არასაკმარისი დაცვისა და ზოგიერთი სამართალდამცავი ოფიცრის თანხმობასაც კი კონტრდემონსტრანტთა მტრულ დამოკიდებულებაში (ზემოთ იხ. პარაგრაფები 13, 33, 36-37 და 40-41), სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დასაყენებლად (შეადარეთ Kukhalashvili and Others v. Georgia, nos. 8938/07 და 41891/07, § 132, 2 აპრილი 2020).

65. მაშინაც კი, თუ შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა 2013 წლის 17 მაისის ინციდენტის შემდგომ დაუყოვნებლივ აღძრეს სისხლის სამართლის ორი დამოუკიდებელი და განცალკევებული საქმე განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით, არც ერთ ამ შემთხვევაში არ იქნა მიღწეული ხელშესახები შედეგი. ამრიგად, ერთმა სისხლის სამართლის საქმემ გამოიწვია ოთხი პირის გამართლება, რომლებსაც თავდაპირველად ბრალად ედებოდათ IDAHO-ს ღონისძიების მონაწილეთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები და თავად შესაბამისმა ეროვნულმა სასამართლომ აღიარა, რომ საგამოძიებო ორგანომ აშკარად არასაკმარისი გამოძიება ჩაატარა (ზემოთ იხ. პარაგრაფი 42 და შეადარეთ Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia, no. 21571/05, § 108, 1 ივნისი 2017). რაც შეეხება მეორე სისხლის სამართლის საქმეს, სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით, ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლა არ მომხდარა, გამოძიება ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზე მიმდინარეობს. დამატებით, გარდა მომჩივნისა no. 23, არცერთ სხვა მომჩივანს არ მინიჭებია მსხვერპლის სტატუსი (ზემოთ იხ. პარაგრაფი 43, და შეადარეთ Begheluri and Others v. Georgia, no. 28490/02, §§134-36, 7 ოქტომბერი 2014). რაც შეეხება ამ უკანასკნელ მომჩივანს, სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ეროვნული ხელისუფლება არასოდეს მიჰყოლია მის მიერ მონოდებულ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით – ბრბოდან ერთ-ერთი სავარაუდო თავდამსხმელის სახელი, დამამცირებელი შემთხვევის დეტალური აღწერა. სუპერმარკეტში პოლიციის თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა (წვერის გაპარსვის ეპიზოდი), ასევე ამ მოპყრობაში მონაწილე პოლიციელების ფოტოები და საკონტაქტო ინფორმაცია (ზემოთ იხ. პარაგრაფი 37). ასეთი აკრძალული შეფერხება თავისთავად შეუთავსებელია კონვენციის მე-3 მუხლით გათვა-

ლისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებასთან – ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების ამოცანა სირთულეს არ წარმოადგენდა. სასამართლო თვლის, რომ გამოძიების მიერ შესაძლო თავდამსხმელთა რაოდენობის შემცირება ადვილად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ ერთი, ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო „მომლოცველთა შეკრების“ ორგანიზატორების ვინაობა და მეორეც, შეტაკებების ვიდეოჩანაწერები, რომლებიც შეიცავდა ყველაზე აგრესიულ თავდამსხმელთა სურათებს (შეადარეთ Members of the Gldani Congregation of Jehovah’s Witnesses and Others, ციტირებულია ზემოთ, § 118; ასევე იხ. Begheluri and Others, ციტირებულია ზემოთ, §§ 137-38). ხელისუფლების მცდელობის ერთადერთი ხელშესახები შედეგი იყო ოთხი კონტრდემონსტრანტის მიმართ ადმინისტრაციული სანქციის გამოყენება, რომლებიც დაისაჯნენ საზოგადოებრივი წესრიგის უმნიშვნელო დარღვევისთვის და დაჯარიმდნენ თითოეული 45 ევროთი (იხ. ზემოთ პარაგრაფი 39). თუმცა, განმცხადებლების მიმართ დაუსაბუთებელი ძალადობისა და აგრესიის დონის გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს საკმარისად ასეთ მსუბუქ ადმინისტრაციულ სანქციას, იმისთვის, რომ სახელმწიფო კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ვალდებულებებისგან გათავისუფლდეს (შეადარეთ Identoba and Others, ციტირებულია ზემოთ, §75).

66. რაც უფრო მნიშვნელოვანია, სასამართლო თვლის, რომ გამოძიების გაჭიანურებამ გამოავლინა ეროვნული ხელისუფლების ხანგრძლივი უუნარობა, რაც ასევე, შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სურვილის უქონლობა – გამოიკვლიონ შესაბამისი ოცდაშვიდი ინდივიდუალური მომჩივნის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის უკან მდგარი ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივები. ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოება (იხ. Identoba and Others, citirebulia ზემოთ, §§ 29 და 77). არსებობდა არსებითი გამოძიების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა, იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა დისკრიმინაცია მამოტივირებული ფაქტორი ყოფილიყო, იმ დროისთვის ქვეყანაში LGBT თემის მიმართ კარგად დოკუმენტირებული მტრობის გათვალისწინებით (იხ.: Aghdgomelashvili and Japaridze, ციტირებულია ზემოთ, §47).

67. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა სათანადო გამოძიება სიძულვილით მოტივირებული არასათანადო მოპყრობის შესახებ შესაბამისი ოცდაშვიდი ინდივიდუალური მომჩივნის მიმართ. შესაბამისად, დაირღვა მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი, კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

(iii) მატერიალური ვალდებულებები

(a) ზოგადი პრინციპები

68. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მსგავსად, მე-3 მუხლმა შეიძლება გარკვეულ პირობებში, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ოპერატიული ზომების მიღება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დასაცავად. ეს პოზიტიური ვალდებულება უნდა იქნას ინტერპრეტირებული ისე, რომ ხელისუფლებას არ დაეკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული

ტვირთი, ადამიანის ქცევის არაპროგნოზირებადობისა და ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების გათვალისწინებით. შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის ყველა რისკი შეიძლება მოიცავდეს ხელისუფლებისთვის კონვენციის მოთხოვნას, მიიღოს ზომები ამ რისკის რეალიზაციის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, საჭირო ღონისძიებები სულ მცირე, უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტურ დაცვას, განსაკუთრებით ბავშვებისა და სხვა მონყვლადი პირების მიმართ და უნდა მოიცავდეს გონივრულ ნაბიჯებს იმ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა. ამიტომ, პოზიტიური ვალდებულების წარმოშობისთვის, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ დროს, როდესაც იდენტიფიცირებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის რეალური და უშუალო რისკი არსებობს მესამე მხარის დანაშაულებრივი ქმედებებიდან და რომ მათ ვერ შეძლეს ზომების მიღება თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, რითაც გონივრული შეფასებით, შესაძლოა ამ რისკის თავიდან აცილება ყოფილიყო მოსალოდნელი (იხ.: *X and Others v. Bulgaria* [GC], no. 22457/16, §§ 181-83, 2 თებერვალი 2021).

69. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლების უმოქმედობამ ან თვალის დახუჭვამ კერძო პირების ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც არღვევს სხვა პირების კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს მისი იურისდიქციის ფარგლებში, ასევე შეიძლება წარმოშვას ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის შესაბამისად. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ სარჩელთან დაკავშირებით მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო იყენებს მტკიცების სტანდარტს „გონივრული ეჭვის მიღმა.“ მის ფარგლებში განხორციელებულ სამართალწარმოებაში, სასამართლო არ აწესებს პროცედურულ ბარიერებს მტკიცებულებების დასაშვებობაზე ან წინასწარ განსაზღვრულ ფორმულაზე მისი შეფასებისთვის. იგი იღებს დასკვნებს, რომლებიც მისი აზრით, მხარდაჭერილია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის ისეთი დასკვნებით, რომლებიც შეიძლება მომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეების არგუმენტებიდან. მისი დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მტკიცებულება შეიძლება მომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, მკაფიო და თანმიმდევრული დასკვნების ან ფაქტების მსგავსი უტყუარი ვარაუდების თანაარსებობიდან. უფრო მეტიც, დამაჯერებლობის დონე, რომელიც აუცილებელია კონკრეტული დასკვნის მისაღებად და, ამასთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთის განაწილება არსებითად არის დაკავშირებული ფაქტების სპეციფიკასთან, წარმოდგენილ ბრალდების ბუნებასთან და განსახილველ კონვენციურ უფლებასთან. როდესაც განსახილველი მოვლენები მთლიანად ან დიდწილად ექვემდებარება ხელისუფლების ექსკლუზიურ ცოდნას, მტკიცების ტვირთი ეკისრება მთავრობას, რათა უზრუნველყოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენით, რომლებიც ეჭვს ფანტავს მსხვერპლის მიერ მოყოლილ ამბავთან დაკავშირებით. ასეთი ახსნა-განმარტების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომელიც შეიძლება არასახარბიელო იყოს მთავრობისთვის (იხ. *Bouyid*, ციტირებულია ზემოთ, §83, and *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 და 43579/98, § 147, ECHR 2005-VII).

(B) ამ პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებთან მიმართებით

70. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პუშკი-

ნის მოედნისა და ვაჩნადის ქუჩის ინციდენტებთან და მხარეთა არგუმენტებთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც ხდება იმის შემომნება, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ მისი არსებითი ვალდებულებები, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე შემედგის მხედველობაში მიღებით: (ა) ოპერატიული პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის თანდაყოლილი ორი პრევენციული პოზიტიური ვალდებულებიდან ერთ-ერთად განიხილება (see, as a recent authority, *X and Others v. Bulgaria*, cited above §§ 176-78, with further references) და (ბ) კერძო პირების ქმედებებში არსებული ოფიციალური თანხმობის (ნებართვის) არსებობის ხარისხი.

71. იმ საკითხთან დაკავშირებით, იცოდნენ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ან უნდა სცოდნოდათ თუ არა იმ რისკების შესახებ, რომელიც ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი (IDAHO) მიძღვნილ ღონისძიებას ახლდა თან (იხ. 68-ე პარაგრაფში ციტირებული ზოგადი პრინციპები), სასამართლო განმარტავს, პირველ ყოვლისა, კონტრაქციის ორგანიზატორებმა ღიად და გასაგებად დააფიქსირეს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებამდე, რომ კონტრდემონსტრაციის მიზანს არამხოლოდ LGBT საზოგადოების ქმედებების მიმართ მათი პროტესტის საჯაროდ გამოხატვა წარმოადგენდა, არამედ სურდათ ხელი შეეშალათ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებაში (იხ.: მე-12 პარაგრაფი). შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ კონტრდემონსტრატორთა ნამდვილი მიზნის შესახებ, რომლებმაც საკუთარი ღონისძიება იმავე დღესა და ქალაქის იმავე ნაწილში გამართეს. მეორე, ხელისუფლების არგუმენტი, რომ კონტრდემონსტრატორთა მაღალი აქტივობა მოულოდნელი იყო, სასამართლოს არ მიაჩნია დამაჯერებლად, გამომდინარე 2013 წლის 13 და 15 აპრილის მოსამზადებელი შეხვედრებიდან, რომლებიც 1-ელ და მე-17 მომჩივანსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაიმართა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე იცოდნენ, რომ მოსალოდნელი იყო 10 000-ზე მეტი კონტრდემონსტრატორის მობილიზება. უფრო მეტიც, სხვადასხვა მედია საშუალებები საჯაროდ გადასცემდნენ ინფორმაციას, რომ მოსალოდნელი იყო კონტრდემონსტრაციას „ათასობით ადამიანი“ შეერთებოდა.

მეტიც, სოციალურ მედიაში ცირკულირებდა მრავალი სერიოზული მუქარა, რომელიც მიმართული იყო ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა სიცოცხლის მიმართ (იხ.: მე-12 პარაგრაფი) თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ მიაჩნეს მათ საკმარისი მნიშვნელობა. ნამდვილად, ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ნებისმიერი შესაძლო ზომა მაგალითად, ღონისძიებამდე წინასწარ განცხადებით, საჯარო მიმართვის გზით, რათა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის გაეწიათ ადვოკატირება, ყოველგვარი გაურკვევლობის გარეშე, ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციით და გაეფრთხილებინათ პოტენციური კანონდამრღვევები შესაძლო სანქციათა ბუნებასთან დაკავშირებით (*compare Identoba and Others*, cited above, § 99, and *Ouranio Toxo and Others v. Greece*, no. 74989/01, § 42, ECHR 2005 X (extracts)).

72. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ წინა წლის ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების არასწორი მართვიდან გამომდინარე (იხ. იდენტობა და სხვები, ციტირებული ზემოთ), სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებს უფრო ადვილად შეეძლოთ ყველა რელევანტური რისკის და-

ნახვა, რომელიც დაკავშირებულია „ლეგბიტების“ თემის სოციალურად სენსიტიურ ქმედებებთან დაკავშირებით, მასიური შეკრებებზე საპოლიციო ზედამხედველობის განწესებთან. ამასთან, არ შეიძლება სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვოს ის ფაქტი, რომ კონტრდემონსტრატორებმა რუსთაველის გამზირზე 2013 წლის 16 მაისის საღამოს დაიწყეს და 17 მაისის დილისთვის 20 000-ს გადააჭარბეს რაოდენობით. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ თუნდაც ხელისუფლებას არ ჰქონოდა კონტრდემონსტრატორთა ასეთი მაღალი რაოდენობის მოლოდინი, მათ ჰქონდათ საკმარისი დრო საჭიროებისამებრ შეეცვალათ უსაფრთხოების ზომები, მაგალითად სპეცრაზმის დანაყოფების საკმარისი რაოდენობით მობილიზება (see *Identoba and Others*, cited above, § 99, and contrast *Plattform „Arzte für das Leben“ v. Austria*, 21 June 1988, §§ 37 and 38, Series A no. 139).

73. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან ასოცირებული ყველა რისკი, წინასწარ სრულად იყო ცნობილი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის (see, in this connection, *Primov and Others v. Russia*, no. 17391/06, § 150, 12 June 2014) და შესაბამისად, მათ ჰქონდათ სახელმწიფოს მხრიდან გაძლიერებული დაცვის ვალდებულება (see *Aghdgomelashvili and Japaridze*, cited above, § 47). მიუხედავად ამ მომთხოვნი ვალდებულებისა და რისკების სრული ცოდნისა, ხელისუფლების პასუხი მდგომარეობის სიმძიმესთან დაკავშირებით იყო მხოლოდ შეუიარაღებელი და დაუცველი (აღჭურვილობით) საპატრულო პოლიციის ოფიცრების განლაგება, რომლებსაც თხელი ადამიანების კორდონის საშუალებით უნდა შეეკავებინათ ათიათასობით აგრესიული ადამიანი. თუმცა, სასამართლო ითვალისწინებს, რომ როდესაც როგორც მოცემულ საქმეში, ფართომასშტაბიანი არეულობა და ძალადობა წინასწარგანჭვრეტადია, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შეაფასონ ძალადობრივი შეტაკებების საფრთხის გასანეიტრალებლად საჭირო რესურსი, სხვა საშუალებებთან ერთად, სამართალდამცავების შესაბამისი აღჭურვილობით შემოსვა და ისე განლაგება, რათა მათ შეძლონ თავიანთი საპოლიციო ფუნქციების შესრულება (see, *mutatis mutandis*, *Faber v. Hungary*, no. 40721/08, § 40, 24 July 2012, with further references; *Guec v. Turkey*, no. 21593/93, § 71, 27 July 1998; and *Simsek and Others v. Turkey*, nos. 35072/97 and 37194/97, § 108, 26 July 2005).
74. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლება მიუთითებს შეკრების (კონტრდემონსტრატორთა) დარბევის გეგმის წინასწარ არსებობაზე, როგორც მათ მიერ ღონისძიების (IDAO – ღონისძიების) მონაწილეთა უასფრთხოების დასაცავად განუხლები საუკეთესო მცდელობების ხელშესახებ მტკიცებულებაზე (იხ. 53-ე პარაგრაფი). თუმცა, სულ რომ თავი დავანებოთ იმ ფაქტს, რომ დარბევის გეგმამ გამოიწვია ძალიან ქაოტური და მოუწესრიგებელი ქმედებები მისი პრაქტიკაში განხორციელებისას, სასამართლო მიიჩნევს რომ „ლეგბიტების“ დემონსტრაციის მონაწილეთა ისე დარბევა, რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა გაემართათ საჯარო აქცია, საქმის გარემოებების გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მისი არსებითი პოზიტიური ვალდებულების შესრულება, რომლის საფუძველზეც მან უნდა უზრუნველყოს ადეკვატური დაცვა სიძულვილით მოტივირებული თავდასხმების მიმართ (შეადარეთ, *mutatis mutandis*, იდენტობა და სხვები, ციტირებული ზემოთ, §73).
75. რაც შეეხება ზოგიერთი პოლიციის ოფიცრის თანხმობის საკითხს კონტრდემონსტრატორების ქმედებების მიმართ, სასამართლო განმარტავს, რომ საქმის მასალებში არსებული სურათები (იხ. პარაგრაფები 18-24) ასახავს კონტრდემონსტრა-

ტორთა მიერ პოლიციის კორდონში გასვლას მაშინ, როდესაც ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილენი ჯერ კიდევ, პუშკინის მოედანზე იმყოფებოდნენ. ასევე, არსებობს დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ფოტომასალა, რომელიც ასახავს პოლიციის ოფიცრების მიერ არამხოლოდ კონტრდემონსტრანტებისთვის კორდონის გარღვევაში ხელის არშეშლას, არამედ მათ ნახალისებასაც კი. უფრო მეტიც, სასამართლო განსაკუთრებით თვალშისაცემად მიიჩნევს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის პასიურობას მაშინ, როდესაც საფრთხეში იყო საზოგადოებრივი წესრიგი და კონსტიტუციური წეს-წყობილება, რომელიც კონტრდემონსტრაციული აქციის ორგანიზატორებმა დაუფარავად შესთავაზეს. შესაბამისად, ხელმისაწვდომ ვიდეო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ასევე 27-ვე მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ პოლიციამ ზოგიერთ ადგილას გახსნა კორდონი კონტრდემონსტრატორებისთვის და სხვა შემთხვევებში იყო პასიური, როდესაც კონტრდემონსტრატორებმა კორდონის გარღვევა დაიწყეს.

76. უფრო მეტიც, სასამართლო მის მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტებზე მითითებით, რომელიც ეხება ეფექტური გამოძიების ჩატარებლობის საკითხს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, კერძო პირების ქმედებათა გამომწვევი ცრურწმენაზე დაფუძნებული მოტივების გამოძიება, სასამართლო მიუთითებს, რომ ეს პროცედურული წარუმატებლობა ხელს უწყობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და ფაქტობრივად, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ქმედებების მიმართ თანხმობას „ქმნის“ (see, as a recent authority, *Beizaras and Levickas v. Lithuania*, no. 41288/15, § 155, 14 January 2020, and also the references cited in fine of paragraph 63 above). მართლაც, სასამართლოს არ შეუძლია გამორიცხოს 2013 წლის 17 მაისის ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა მიმართ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი, რომელსაც ნაწილობრივ მაინც ხელი შეუწყო ხელისუფლების წარუმატებლობამ LGBT თემზე შედარებით ნაკლებად ძალადობრივი თავდასხმების ჩამდენთა მიმართ დროული ობიექტური გამოძიების ჩატარებაში და დამნაშავეთა დასჯაში, წინა წლის ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა მიმართ, რომელიც 2012 წლის 17 მაისს ჩატარდა (see *Identoba and Others*, cited above, §§ 75-78). 2013 წლის 17 მაისს, ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების მიმართ ხელისუფლების პასიურობა, ითვლება როგორც მათ მიერ LGBT თემის მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ხელშეწყობა და შემდგომი გავრცელება, რომელიც კარგად არის დოკუმენტირებული (იხ. 44-ე პარაგრაფი).
77. რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტს, რომელიც 23-ე მომჩივანს უკავშირდება (იხ. 28-29 პარაგრაფები), სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ სადავო გახადა მომჩივნის ვერსია მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც წვერის გაპარსვის ეპიზოდს შეეხება (შესაჯამებლად იხ. 54-ე პარაგრაფი). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 23-ე მომჩივანი მუდმივად და თანმიმდევრულად აღწერდა მოვლენათა საკუთარ ვერსიას. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, ასევე სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, სასამართლო საქმეში არსებული მასალიდან და მხარეთა ქმედებებიდან გამომდინარე დასკვნების საფუძველზე, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენელთა წარუმატებლობა ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებით (იხ. 37-ე და 65-ე პარაგრაფები), ადგენს, რომ აღნიშნული მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქ-

ტები საკმარისად დამაჯერებელია და არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა (see, for instance, Aghdgomelashvili and Japaridze, cited above, §45). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრებმა დაამცირეს 23-ე მოსარჩელე, ნვერის გაპარსვის მომენტში შეურაცხმყოფელი შედახილებით, რომელიც ასევე გადაღებულია მობილური ტელეფონის საშუალებით და ღიად ასახავს ცრურწმენის გამოხატვას მომჩივნის მიმართ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ასოცირებულია LGBT საზოგადოებასთან. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლების ქცევა წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს არსებით ნეგატიურ ვალდებულებებთან.

78. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოპასუხე ხელისუფლების მიერ, ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა ძალადობრივი კონტრდემონსტრაციისგან დასაცავად, ოპერატიული პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის გათვალისწინებით, ასევე კერძო პირების ცრურწმენით მოტივირებული ქმედებების მიმართ თანხმობა-შეგუება და მათში აქტიური მონაწილეობაც კი, ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი მხარის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთად.

III კონვენციის მე-11 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

79. ორივე მოსარჩელეთა გაერთიანება (1-ლი და მე-17) და ყველა ინდივიდუალური მომჩივანი მიუთითებდა კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევაზე, ცალცალკე და მე-14 მუხლთან ერთად, ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ ვერ შეძლეს მშვიდობიანი საჯარო შეკრების გამართვა, მათზე სიძულვილით მოტივირებული თავდასხმებისა და პოლიციის უმოქმედობის გამო.

80. ხელისუფლებამ გაიმეორე საკუთარი არგუმენტი, რომ პოლიციამ მიიღო მის ხელთ არსებული საუკეთესო ზომები ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეთა კონტრდემონსტრანტთა აგრესიისგან და მათი მშვიდობიანი შეკრების უფლების დასაცავად. მომჩივნები არ დაეთანხმნენ, ისინი კვლავ მიუთითებდნენ პოლიციის ქმედებათა მათი აგრესიისგან დასაცავად არასაკმაროსობაზე, რომელიც გამონვეული იყო ჰომოფობიითა და ტრანსფობიით და ამის შედეგად, მშვიდობიანი დემონსტრაცია ჩაიშალა.

81. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ამ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, კონვენციის მე-11 მუხლი წარმოადგენს ლეს სპეციალის (სპეციალურ ნორმას) და არ არის საჭირო საჩივრის ცალკე, მე-10 მუხლით განხილვა. თუმცა, პირველის დებულებები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იქნეს განხილული მეორის საფუძველზე განვითარებული პრინციპების გათვალისწინებით (იხ.: იდენტობა და სხვები, ციტირებულია ზემოთ, 91-ე პარაგრაფი). უფრო მეტიც, მოსარჩელის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ მათი მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევას ჰქონდა დისკრიმინაციული ელფერი, სასამართლომ უნდა განიხილოს საჩივარი მე-11 მუხლით, მე-14 მუხლთან ერთად (იქვე, 92-ე პარაგრაფი).

82. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა საჩივრები სახელმწიფოს მიერ 2013 წლის 17 მაისს შეკრების მათი უფლების დაუცველობასთან დაკავშირებით და მათი სიძულვილით მოტივირებული ძალადობისგან დაუცველობის გამო, ემყარება იგივე ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სასამართლომ უკვე გამოიკვლია კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, მე-14 მუხლთან ერთად. შესაბამისად, მე-

11 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებული საჩივრები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი და არც კონვენციის 35-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებელი, შესაბამისად, ისინი დასაშვებად იქნენ ცნობილნი.

83. იმ ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება მე-11 და მე-14 მუხლების განსახილველი საქმის მსგავს გარემოებებში გამოყენებას (for a comprehensive summary of the relevant principles, see *Identoba and Others*, cited above, §§ 93-96) და ასევე, საფუძვლიან ფაქტობრივ და სამართლებრივ დასკვნებს მე-3 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც თანაბრად აქტუალურია შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული საჩივრისთვის, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციამ ვერ შეძლო მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულება და 2013 წლის 17 მაისის ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი ღონისძიების მშვიდობიან გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა (see *Plattform Ärzte für das Leben*, cited above, §§ 32 and 34). მართალია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვისუფალნი იყვნენ იმ საშუალებათა შერჩევაში, რომელიც ამ ღონისძიების არეულობის გარეშე ჩატარებას უზრუნველყოფდა, მაგრამ სასამართლო სამწუხაროდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ დაგეგმვის პროცესში არ მოხდა იმ საჭირო რესურსების შეფასება, რომლებიც საჭირო იყო LGBT დემონსტრანტების მიმართ არსებული სერიოზული საფრთხეების გასანეიტრალებლად. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ სრული წარმოდგენა რეალობასა და რისკების სიდიდეზე, პოლიციამ შეიმუშავა მხოლოდ დარბევის გეგმა იმის ნაცვლად, რომ გაეთვალისწინებინა ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც მოსარჩელებს მათი მშვიდობიანი ღონისძიების გამართვის საშუალებას მისცემდა (compare, *mutatis mutandis*, *Barankevich v. Russia*, no. 10519/03, § 33, 26 July 2007). ასეთი მიდგომა იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ხელისუფლების მიზანი არასდროს ყოფილა ისეთი ზომების მიღება, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ჰომოფობიასთან ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებას.

84. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან მისი კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევას მე-14 მუხლთან ერთად (იხ.: იდენტობა და სხვები, ციტირებული ზემოთ, პარაგრაფები 98-100).

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

85. კონვენციის 41-ე მუხლი:

ა. ზიანი

86. პირველ მომჩივანს არ წარუდგენია მოთხოვნა ამ თავის საფუძველზე. დანარჩენმა მომჩივნებმა, თითოეულმა განაცხადა, რომ განიცადეს სხვადასხვა ხარისხის ემოციური ზიანი და შფოთვა, მათი კონვენციით გარანტირებული სხვადასხვა უფლების 2013 წლის 17 მაისს დარღვევის გამო, ჰქონდათ შემდეგი მოთხოვნები:

- მე-12 მომჩივანი ითხოვდა 10 000 ევროს;
- 2-11-ე მომჩივანი და 13-16-ე მომჩივანი თითოეული ითხოვდა 7 000 ევროს;
- 23-ე და 36-ე მომჩივნები თითოეული ითხოვდა 6 000 ევროს;
- 19, 21-22, 25, 29, 31-33, 35 და 37 მომჩივნები ითხოვდნენ თითოეული 5 000 ევროს;

- მე-17 ითხოვდა 3 500 ევროს და

- ყველა დანარჩენი ინდივიდუალური მოსარჩელე (18, 20, 24, 26-28, 30 და 34) ითხოვდნენ 2 500 ევროს.

87. ხელისუფლებამ მიუთითა, რომ მოთხოვნები იყო აშკარად დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.
88. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მომჩივნებმა განიცადეს სტრესი და ფრუსტრაცია კონვენციის მე-3, მე-11 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლებების დარღვევის შედეგად და მე-17 მომჩივნის ლეგიტიმური ინტერესებიც შეილახა მე-11 და მე-14 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევით. დადგენილი არამატერიალური ზიანი ვერ იქნება ადეკვატურად კომპენსირებული, მხოლოდ ამ ზიანის დადგომის დადგენით. საქმის გარემოებებით გათვალისწინებით, *non ultra petita* (მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში დაკმაყოფილება) პრინციპის გათვალისწინებით, ასევე სხვადასხვა სამართლიანი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს შესაბამისი მოსარჩელების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, მათ სრულად მიაკუთვნებს მოთხოვნილ ოდენობას.

ბ. ხარჯები

89. მომჩივანი 16 პირი, რომელიც ითხოვდა 1.725 ფუნტს, (დაახლოებით 2000 ევრო) სტრასბურგის სასამართლოში მათ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის მათი ორი ბრიტანელი ადვოკატისთვის (იხ. მე-4 პარაგრაფი). არსებული რაოდენობა განისაზღვრა იმ საათების მიხედვით, რომელიც ადვოკატებმა საქმეზე დახარჯეს (11 საათი და 30 წუთი) და ადვოკატთა საათობრივი ანაზღაურება (150 ფუნტი) არ იყო წარდგენილი არც ერთი რელევანტური დოკუმენტი ამ მოთხოვნათა გასამყარებლად. თითოეული მომჩივანი (16-დან) ასევე ითხოვდნენ 75 ევროს საფოსტო ხარჯებისთვის, თარგმნისა და სხვა სახის ადმინისტრაციული ხარჯებისთვის, რომელიც ხსენებული ორი ბრიტანელი ადვოკატის მომსახურებასთანაა კავშირში.
90. დანარჩენ მომჩივნებს არ ჰქონიათ დამატებითი მოთხოვნები ხარჯებთან დაკავშირებით.
91. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხსენებული 16 მოსარჩელის მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.
92. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯები მაშინ არის განეული, როდესაც მომჩივანმა აანაზღაურა ან ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი ხარჯები (იხ. მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საქმე no. 72508/13, პარაგრაფი 371, 2017 წლის 28 ნოემბერი). აღნიშნულ საქმეში, მომჩივანმა არ წარადგინა რაიმე დოკუმენტი, რომელიც მის მიერ წარმომადგენლობისთვის ანაზღაურებას ან გადახდის სამართლებრივ ვალდებულებას დაადასტურებდა. ასეთი დოკუმენტების არარსებობის გამო, სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს დაადგინოს, რომ მოსარჩელემ ნამდვილად გასწია შესაბამისი ხარჯები (იქვე, პარაგრაფი 372, აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე, ციტირებული ზემოთ, პარაგრაფი 61; ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ, საქმე no. 50375/07, პარაგრაფები 105-108).
93. სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

გ. ნაგულისხმევი პროცენტი

94. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, სასამართლო ერთხმად ადგენს:

1. გააერთიანოს საჩივრები;
2. სარჩელებს ცნობს დასაშვებად;
3. ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის არსებითი და პროცედურული მხარეების დარღვევას, ორივე ერთად კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად;
4. არ არის სარჩელის მე-10 მუხლით განხილვის საფუძველი;
5. ადგილი ჰქონდა მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევას;
6. ადგენს:
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ საბოლოო განაჩენის დადგომიდან 4 თვის ვადაში გადაუხადოს მოსარჩელებს:
 - 10 000 ევრო მე-12 მომჩივანს;
 - 7 000 ევრო მე-2-11 და მე-13-16 მომჩივანს;
 - 6 000 ევრო 23-ე და 36-ე მომჩივანს;
 - 5 000 მე-19, 21-22-ე, 25-ე, 29-ე, 31-33-ე, 35-ე და 37-ე მომჩივნებს;
 - 3 500 მე-16 მომჩივანს;
 - 2 500 – no. 18, 20, 24, 26-28, 30 და 34-ე მომჩივნებს; (ყოველ შემთხვევაში, მოცემული თანხა თითოეულს, სრულად)
 - ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ზემოხსენებულს შეიძლება დაემატოს.
 - (ბ) 7. სასამართლო არ აკმაყოფილებს მომჩივანთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
მიერ 2022 წელს საქართველოს წინააღმდეგ
მიღებული საქმეები**

პერტაია საქართველოს წინააღმდეგ

Pertaia v Georgia

საჩივარი №44888/16

გადაწყვეტილება

13 იანვარი, 2022 წელი

ფაქტები

წინამდებარე საქმე ეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას და ხელისუფლების მიერ ამ კუთხით ეფექტური გამოძიების ჩატარების წარუმატებლობას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

მომჩივანი ასევე დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის §§1 და 3 (დ) პუნქტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცვის მხარის ახალი მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ.

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო

25. გამოძიების ჩატარებისა და მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა იხილეთ საქმეში გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ ([Committee], no. 40009/12, § 35, 27 June 2019).

26. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რაც შეეხება სააპელაციო განხილვის სტადიაზე მტკიცებულებების დაშვებას, არის შემდეგი:

მუხლი 239

„...“

2. აქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

...

5. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას, არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით შუამდგომლობა მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით...“

მუხლი 297

„სააპელაციო საჩივარი განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არ-

სებითი განხილვისას, მოქმედი ნორმების შესაბამისად, შემდეგი ცვლილებებით:..

- დ. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;
- ე. მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს...

სამართალი

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) პუნქტების სავარაუდო დარღვევა

42. მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა მისი შეჯიბრებითი საქმის განხილვისა და მხარეთა თანასწორობის უფლება, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა მონმის გამოძახებაზე. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტებს, რომლის თანახმადაც:

„1. ყოველი ადამიანი... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...

(დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მონმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მონმეები ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში;

ბ. საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა განცხადებები

46. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს უარით მის განცხადებაზე, რომ ტ.ქ. (დაცვის მხარის მონმე) ყოფილიყო დაკითხული, დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) პუნქტები. მან განაცხადა, რომ შედეგად მას ხელი შეეშალა დაემტკიცებინა საკუთარი უდანაშაულობა.

47. მთავრობამ განაცხადა, რომ დაცვის მხარის განცხადება ტ.ქ-ს დაკითხვის შესახებ არ იყო საკმარისად დასაბუთებული და ნებისმიერ შემთხვევაში, ტ.ქ-ს განცხადებას არ შეეძლო რაიმე გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა პროცესის შედეგზე. მთავრობა ამტკიცებდა, რომ არსებობდა უტყუარი მტკიცებულება, რომ მომჩივანმა ჩაიდინა შესაბამისი დანაშაული და ტ.ქ-ს განცხადება არ გამორიცხავდა მომჩივნის მონაწილეობას დანაშაულში. მთავრობა ასევე დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით გამორიცხული იყო ტ.ქ-ს დაკითხვა, რადგან იგი სცილდებოდა მისი საჩივრის ფარგლებს.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

48. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეში, *Murtazaliyeva v. Russia* ([GC], no. 36658/05, §§ 160-68, 18 December 2018; იხ.: ასევე, *Kartvelishvili v. Georgia*, no. 17716/08, §§ 59-61, 7 June 2018, სხვა მითითებებთან ერთად).

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებებში

49. მთავრობის პირველ არგუმენტთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად არ განიხილა მომჩივნის განცხადება ტ.ქ-ს დაკითხვასთან დაკავშირებით და დაცვის მხარისთვის ამ პოტენციური მტკიცებულების შესაბამისობისა და მნიშვნელობის განხილვის გარეშე, უარყო მხოლოდ პროცედურული საფუძვლებით. შესაბამისად, ევროპული სასამართლო საჭიროდ არ თვლის დეტალურად განიხილოს მთავრობის პირველი არგუმენტი, რომელიც წამოიჭრა მის წინაშე.

50. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც ბრალდებულის მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვის შესახებ არ არის უსაფუძვლო, საკმარისად დასაბუთებულია, დაკავშირებულია ბრალდების საგანთან და სავარაუდოდ, გააძლიერებს დაცვის მხარის პოზიციას ან თუნდაც გამოიწვევს ბრალდებულის გამართლებას, ადვილობრივმა ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მიზეზები ასეთი მოთხოვნის უარყოფისათვის (იხ.: სხვა საკითხებთან ერთად, *Topic v. Croatia*, no. 51355/10, § 42, 10 October 2013). წინამდებარე საქმეში, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის განცხადება ტ.ქ-ს დაკითხვის შესახებ პროცედურულ საფუძვლებზე, დაასკვნა, რომ ეს არის ახლად აღმოჩენილი მტკიცებულება, რომელიც სცილდება სააპელაციო ფარგლებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, და რომლის განხილვაც სასამართლოს სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე არ შეეძლო. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ თავიდანვე მომჩივნის დაცვის ხაზი იყო, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული დანაშაული. სწორედ ეს არგუმენტი წამოაყენა მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს თუ როგორ გასცდა მოწმის დაკითხვა (რომელმაც სავარაუდოდ, აღიარა იმავე დანაშაულის ჩადენა) „საჩივარში წამოჭრილი პუნქტების ფარგლებს.“ ევროპული სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: მომჩივანი ნასამართლევი იყო ქურდობისთვის; დაკავების მომენტიდან მოყოლებული, ის მუდმივად ამტკიცებდა, რომ ის არ იყო ადამიანი, რომელიც ქურდობას ჩაიდენდა; ეს იყო მისი დაცვის ერთადერთი ხაზი და მოითხოვდა მოწმის სასამართლოში დაკითხვას, რომელმაც აღიარა იგივე ქურდობა, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა სასამართლოში. ეჭვგარეშეა, რომ მისი განცხადება ამ მიზნით იყო საკმარისად დასაბუთებული, შეესაბამებოდა ბრალდების საგანს და შესაძლოა გამოეწვია მომჩივნის გამართლებაც კი (იხ. *Kartvelishvili*, cited above, § 61, სხვა მითითებებთან ერთად; იხ. ასევე *Bregvadze v. Georgia*, no. 49284/09, § 27, 17 January 2019, და შედარებისთვის *Dorokhov v. Russia*, no. 66802/01, § 74, 14 February 2008). რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტს იმის შესახებ, რომ მტკიცებულებები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის (დ) პუნქტის თანახმად, მხარის განცხადება, რომელიც ცდილობდა ახალი მტკიცებულებების შემოტანას სააპელაციო წარმოებაში, უნდა დაკმაყოფილდეს თუ მხა-

რეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ (i) მტკიცებულება იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მისი საქმის დასამტკიცებლად და (ii) შეუძლებელი იყო მტკიცებულებების წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივნის განცხადება, თუნდაც იგი შეზღუდულად ყოფილიყო დასაბუთებული, აკმაყოფილებდა ზემოთ მოცემულ ორ წინაპირობას. თავის მხრივ, უზენაესმა სასამართლომ უბრალოდ უგულებელყო ეს პროცედურული საკითხი და არ განიხილა იგი საკუთარ გადაწყვეტილებაში.

51. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მომჩივნის პროცედურული განცხადება მოწმის დაკითხვის შესახებ, განხილული იყო სამართლიანად. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მყარი დანაშაულებრივი მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომელთაც ემყარებოდა მომჩივნის ბრალდება, სასამართლოში მოწმის დაკითხვაზე უარს საზიანო გავლენა არ მოჰყოლია მთლიანად საქმისწარმოების სამართლიანობაზე. დამადანაშაულებრივი მტკიცებულებების შეფასების გარეშე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, თანასწორუფლებიანობის პრინციპის შესაბამისად წარედგინა მტკიცებულებები ეროვნული სასამართლოების წინაშე, რომელთაც შესაძლოა იგი გაემართლებინა. პროცედურული ხარვეზების გზით, ეროვნული სასამართლოები მომჩივანს პროკურატურასთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ.

შესაბამისად, წინამდებარე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) პუნქტები.

ედგვერადე საქართველოს წინააღმდეგ

Edzveradze v. Georgia

საჩივარი №59333/16

გადაწყვეტილება

20 იანვარი, 2022 წელი

ფაქტები

მომჩივანი, ზიზი ედგვერადე საქართველოს მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1982 წელს და ცხოვრობს თბილისში.

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის ქმრის (მ.მ-ს) თვითმკვლელობას პოლიციის მიერ მისი მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მისი ერთ-ერთი მეგობარი (გ.მ.) დაკავებული იქნა კანაფის სავარაუდო ფლობის ფაქტზე. თვითმკვლელობამდე იგი ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა იგი სცემეს, და მისი თქმით, აიძულეს, რომ მეგობრის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენციის) მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება) დაყრდნობით, მომჩივანი დავობს, რომ ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა მისი მეუღლის თვითმკვლელობა და რომ ამ ფაქტზე არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება.

სამართალი

I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

33. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა მისი ქმრის თვითმკვლელობა და რომ არ ჩატარებულა ქმედითი გამოძიება თვითმკვლელობაზე, რომელიც მოხდა მისი მეუღლის პოლიციაში მოწმის სახით დაკითხვის მომდევნო დღეს. კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა...“

ა. სავარაუდო არაეფექტური გამოძიება

1. დასაშვებობა

34. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი არც აშკარად დაუსაბუთებელია და არც დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლში არსებული საფუძვლებით. ამიტომ, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

2. საქმის გარემოებები

(ა) მხარეთა განცხადებები

35. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი მეუღლის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტური იყო კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის მნიშვნელობით. კერძოდ, სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანი აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის გამოძიების განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ (იგივე სამინისტრო,

რომელსაც ეკუთვნოდა პოლიცია), თუნდაც შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, არ იყო დამოუკიდებელი და რომ გამოძიებამ არ განიხილა საკითხი – დაკითხვის დროს, განხორციელდა თუ არა რაიმე ფსიქოლოგიური ზეწოლა მის მეუღლეზე.

36. მთავრობამ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება მ.მ-ს თითმკვლელობის შესახებ, იყო ეფექტური. კერძოდ, (ა) იგი დაიწყო დაუყოვნებლივ; (ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იერარქიულად და პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყო პოლიციისგან, რადგან ის მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა (მთავრობის თანახმად, 2013 წელს სამინისტროს რამდენიმე თანამდებობის პირი, მათ შორის, მინისტრის მოადგილე, ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიების საფუძველზე პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული); (გ) გამოძიებამ შეაფასა ყველა შესაბამისი მტკიცებულება ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა არსებობდეს კავშირი მ.მ-ს დაკითხვასა და მის შემდგომ თვითმკვლელობას შორის, არ აღმოაჩინა ასეთი კავშირის ნიშნები და შედეგად, დაასკვნა, რომ დანაშაული არ ყოფილა ჩადენილი.

(ბ) სასამართლოს შეფასება

37. შესაბამისი ზოგადი პრინციპები შეფასებულია საქმეებში, *Nicolae Virgiliu Tanase v. Romania* ([GC], no. 41720/13, §§ 157-71, 25 June 2019) და *Mustafa Tunç and Fecire Tunc v. Turkey* ([GC], no. 24014/05, §§ 169 82, 14 April 2015).

38. წინამდებარე საქმეში, მომჩივნის მეუღლემ თავი მოიკლა იმ გარემოებებში, როდესაც ის იმყოფებოდა შესაბამისი ორგანოების ზედამხედველობისა ან/და კონტროლის მიღმა (შედარებისთვის *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 99, ECHR 2000 VII, and *Keenan v. the United Kingdom*, no. 27229/95, § 91, ECHR 2001 III). თუმცა, ორ მოვლენას შორის სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებით – მისი მონმის სახით დაკითხვა პოლიციის განყოფილებაში და მომდევნო დღეს თვითმკვლელობა – ასევე, მომჩივნის საჩივრების გათვალისწინებით, ხელისუფლება ვალდებული იყო, რომ თვითმკვლელობა განეხილა როგორც საექვო გარემოებებში ჩადენილი (იხ.: *Mustafa Tunc and Fecire Tunc*, cited above, § 171, და *Vasilca v. the Republic of Moldova*, no. 69527/10, § 28, 11 February 2014). შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად წარმოიშვა ეფექტური გამოძიების ჩატარების პროცედურული ვალდებულება.

39. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ გამოძიება დაუყოვნებლივ და საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ასევე მართალია, რომ ჩატარდა არაერთი შესაბამისი და დროული საგამოძიებო ღონისძიება.

40. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო კავშირი მომჩივნის ქმრის თვითმკვლელობასა და ერთი დღით ადრე პოლიციაში მის დაკითხვას შორის აშკარა იყო, სულ მცირე, იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანმა ოფიციალური განცხადება გააკეთა გამოძიებელთან და მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის შესაბამისი ბრძანება ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ სავარაუდო ჩადენილი დანაშაულები პროკურატურას უნდა გამოეძიებინა – პროკურორმა გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაავალა (სამინისტრო, რომლის ფარგლებშიც შედიოდა პოლიცია). მხოლოდ ორი თვის შემდეგ გადაიბარა გამოძიება პროკურატურამ – როგორც ჩანს, მომჩივნის ადრინდელი განცხადების საფუძველზე, რომლითაც იგი მ.მ-ს დაკითხვასა და მის შემ-

დგომ თვითმკვლელობას ერთმანეთს უკავშირებდა. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მე-2 მუხლი არ მოითხოვს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები და ორგანოები სარგებლობდნენ აბსოლუტური დამოუკიდებლობით, არამედ ისინი საკმარისად დამოუკიდებელნი იყვნენ იმ პირებისა და სტრუქტურებისგან, რომელთაც სავარაუდოდ პასუხისმგებლობა ექნებათ დაკისრებული (იხ.: *Mustafa Tunc and Fecire Tunc*, cited above, § 223). ამავე დროს, იგი ასევე აღნიშნავს, რომ არაერთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიება, მათ შორის, პოლიციელების დაკითხვა, რომლებიც მონაწილეობდნენ გასაჩივრებულ მოვლენებში, განხორციელდა პოლიციასთან ინსტიტუციურად თუ იერარქიულად არა – დაკავშირებული ორგანოს გამომძიებლის მიერ.

41. გამოძიების დამოუკიდებლობის ხარისხის ადეკვატურობა ფასდება ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებლად სპეციფიკურია თითოეული შემთხვევისათვის (იხ.: *Mustafa Tunc and Fecire Tunc*, cited above, §§22-23). ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის განცხადებას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დამოუკიდებლობა გამოვლინდა იმით, რომ 2013 წლის მის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირების დევნა. გარდა ამისა, და ნებისმიერ შემთხვევაში, შემდგომში გამოძიება დაევალა პროკურატურას და ხელახლა ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებები, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სისხლის სამართლის გამოძიებაში სავარაუდო ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობებით (შედარებისთვის *Mikiashvili v. Georgia*, no. 18996/06, §§87-88, 9 October 2012). ამ გარემოებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო შეაფასებს, იყო თუ არა გამოძიება, რომელიც პროკურორის მიერ ჩატარდა, საკმარისად საგულდაგულო.
42. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიება დაიხურა იმ საფუძვლით, რომ გამოძიება არ იყო ჩადენილი. პროკურორმა აღნიშნა, რომ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებიდან არ ჩანდა, რომ მომჩივნის ქმარზე განხორციელებული იყო რაიმე ზეწოლა პოლიციაში მისი დაკითხვის დროს. ეს დასკვნა, სხვა ელემენტებთან ერთად, ეყრდნობოდა გ.მ-ს განცხადებებს, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ის პირადად არ შესწრებია მომჩივნის ქმრის მიმართ არასათანადო მოპყრობას. თუმცა, იმავე განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მომჩივანი ოთახიდან დაახლოებით ორმოცი წუთის განმავლობაში გაიყვანეს და გ.მ-მ არ იცოდა თუ რა მოხდა იმ დროის განმავლობაში (და დღემდე არ იცის). შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებლის მიერ მიღებული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები, რომელიც პროკურორმა მიიღო შესაბამისი პირების ხელახალი დაკითხვის გარეშე, ცალსახად არ ეხებოდა გ.მ-ს ანგარიშის ამ ელემენტს და ეს საკითხი არც შემდგომში განხილულა გენერალური ინსპექციის მიერ. გარდა ამისა, მომჩივნის მეზობლის მიერ პროკურორისთვის მიცემული განცხადება, რომ მ.მ-მ მას უთხრა, რომ მას (მ.მ-ს) აცნობეს ზოგიერთი ფარული ჩანაწერის შესახებ (რამაც აიძულა იგი მიეცა ჩვენება გ.მ-ს წინააღმდეგ), არ განხილულა. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს ხელისუფლების ვალდებულების შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა სერიოზული მცდელობა უნდა გამოიჩინოს, რათა გამოარკვიოს თუ რა მოხდა, მათ შორის, ყველა გონივრული ნაბიჯის გადადგმით, უზრუნველყოს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები (იხ.: ზემოთ ციტირებული საქმე § 174, და *Kulyk v. Ukraine*, no. 30760/06, §100, 23 June 2016).

43. ასეთ გარემოებებში, სისხლის სამართლის გამოძიებამ უპასუხოდ დატოვა პოტენციურად გადამწყვეტი კითხვები, კერძოდ, მართლა გადაიყვანეს თუ არა მ.მ. ცალკე ოთახში და თუ ასეა, რა მოხდა იქ. გარდა ამისა, გამოძიების ყველაზე შესამჩნევი ხარვეზი იყო ის ფაქტი, რომ მას არ შემოუთავაზებია რაიმე ჰიპოტეზა იმის თაობაზე, თუ რატომ მოიკლავდა პირი თავს პოლიციასთან შეხვედრის შემდეგ, რომელსაც არ ჰქონია წინასწარი სუიციდური განზრახვა, ფსიქოლოგიური პრობლემები ან რაიმე სხვა აშკარა პრობლემა (იხ.: *mutatis mutandis*, *Sergey Shevchenko v. Ukraine*, no. 32478/02, § 69, 4 April 2006).
44. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ მომჩივნის ქმრის თვითმკვლელობის გარემოებები არ გამოკვლეულა საფუძვლიანად, რამაც შეარყია სისხლის სამართლის გამოძიების საერთო ეფექტურობა.
45. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიება დაიწყო 2013 წლის 6 ივლისს და დაიხურა 2016 წლის 25 მარტს – ორ წელზე და რვა თვეზე ოდნავ მეტი პერიოდი. თუმცა, არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე. მთავრობას არ გაუკეთებია რაიმე განმარტება უმოქმედო პერიოდთან დაკავშირებით.
46. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ერთჯერადად მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა საგამოძიებო მასალას და იგი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ცალსახად არ დავობდა სამართალწარმოებაში ქმედითი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ, ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო, დაზარალებულის პროცედურული სტატუსის მინიჭების გამო, გაესაჩივრებინა პროკურატურის გადაწყვეტილება. შესაბამისად, გამოძიებამ საკმარისად ვერ უზრუნველყო მ.მ-ს უახლესი ნათესავის კანონიერი ინტერესის დაცვა (იხ.: *Mikayil Mammadov v. Azerbaijan*, no. 4762/05, 17 December 2009, § 132; შედარებისთვის *Mustafa Tunç and Fecire Tunç*, §§ 214-15, და *Nicolae Virgiliu Tanase*, § 181).
47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა ეფექტური გამოძიება მომჩივნის ქმრის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი.

კონვენციის 41-ე მუხლი

მომჩივანი არამატერიალური ზიანისთვის ითხოვდა 25 000 ევროს.

სტრასბურგის სასამართლომ, მომჩივანს არამატერიალური ზიანისთვის მიანიჭა 3 000 ევრო.

ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ

A AND B v. GEORGIA

საჩივარი №73975/16

გადაწყვეტილება

10 თებერვალი, 2022 წელი

ფაქტები

მომჩივნები არიან C-ს დედა და ვაჟიშვილი. C. მოკლული იქნა საკუთარი პარტნიორი D-ს მიერ, რომელიც იმ დროისთვის იყო პოლიციის თანამშრომელი. რამდენიმე წლის განმავლობაში, C-მ და მისმა ოჯახის წევრებმა რამდენჯერმე განაცხადეს ოჯახური ძალადობის მრავალრიცხოვანი ინციდენტების შესახებ, რომლებიც განხორციელდა D-ს მიერ. D. მსჯავრდებული იქნა მკვლელობისთვის. სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, მომჩივნებს მიენიჭათ დაახლოებით 7 000 ევრო არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით.

სამართალი

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, პირველი მომჩივანი, რომელიც მოქმედებდა მისი და მეორე მომჩივნის სახელით, კონვენციის მე-2, მე-3 და მე-14 მუხლების საფუძველზე დავობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა C. ოჯახში ძალადობისგან და არ ჩაატარა ეფექტური სისხლისსამართლებრივი გამოძიება მის სიკვდილში ხელშემწყობ გარემოებებთან დაკავშირებით.

კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

საკუთარი პრეცედენტული სამართლისა და მომჩივნის საჩივრების ბუნების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში წამოჭრილი საკითხები უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ასპექტების კუთხით, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (შედარებისთვის, იხ. Kurt v. Austria [GC], no. 62903/15, § 104, 15 June 2021).

სასამართლოს შეფასება

39. ეროვნული ხელისუფლების ორმაგი წარუმატებლობის შესახებ მომჩივნის ბრალდებების გათვალისწინებით (რომელიც უკავშირდებოდა მათი ახლობლის ოჯახური ძალადობისგან დაცვის ნაკლებობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტური გამოძიების არარსებობას) რომელიც წარმოიშვა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფენომენის არასაკმარისი აღიარებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ყველაზე მართებული გზა იქნება საჩივართა ერთდროული, ორმაგი შესწავლა კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. Tkhelidze v. Georgia, no. 33056/17, § 47, 8 July 2021, სხვა მითითებებთან ერთად). მეორე, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მსხვერპლის სტატუსის საკითხი შეუერთდა მათ საჩივარს კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილით, სტრასბურგის სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საჩივრის არსებით განხილვის დაწყებას ამ უკანასკნელი საჩივრით. მესამე, ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ წინამდებარე საქმე პირდაპირ არ ეხება D-ს ძალადობრივ ქმედებებს, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება C-ს სიკვდილის შემდეგ, არამედ ხელისუფლების საპასუხო ქმედებას ან მის ნაკლებობას, და C-ს და მისი ოჯახ-

ხის წევრების საჩივრებს მის მკვლელობამდე და მას შემდეგ. ის ფაქტი, რომ D. იყო პოლიციის თანამშრომელი და იცნობდა C-ს საჩივრების გამომძიებელ პირებს, შესაძლოა შეესაბამებოდეს სტრასბურგის სასამართლოს შეფასებას მე-2 მუხლის პროცედურულ და მატერიალურ ნაწილებთან მიმართებით და დაზარალებულის სტატუსის სავარაუდო დაკარგვას.

(ა) ზოგადი პრინციპები

40. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, პირველ რიგში, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება კონვენციის ნებისმიერი დარღვევის გამოსწორება. ამასთან დაკავშირებით, საკითხი – შეუძლია თუ არა მომჩივანს განაცხადოს, რომ არის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი, აქტუალურია კონვენციით გათვალისწინებული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. მომჩივნისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ან ღონისძიება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას ჩამოერთვას „მსხვერპლის“ სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეროვნულმა ორგანოებმა პირდაპირ ან არსებითად არ აღიარეს და შემდეგ გამოასწორეს კონვენციის დარღვევა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორივე პირობა დაკმაყოფილებულია, კონვენციის დამცავი მექანიზმის სუბსიდიარული ბუნება გამორიცხავს საჩივრის განხილვას (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2), no. 14305/17, § 218, 20 November 2018). სუბსიდიარობის პრინციპი არ ნიშნავს ეროვნული საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებულ შედეგზე ყოველგვარ ზედამხედველობაზე უარის თქმას, წინააღმდეგ შემთხვევაში კონვენციით გარანტირებული უფლებები მოკლებული იქნება რაიმე არსს (მაგ. იხ., *Nikolova and Velichkova v. Bulgaria*, no. 7888/03, § 49, 20 December 2007).
41. საქმეებში, რომლებიც ეხება სახელმწიფო მოხელეების შესაძლო პასუხისმგებლობას, მათი სავარაუდო დაუდევრობის შედეგად გამონვეული სიკვდილის გამო, ეფექტური სასამართლო სისტემის შექმნის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება სულაც არ მოითხოვს სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას ყველა შემთხვევაში. თუმცა, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი გარემოებები, როდესაც მხოლოდ ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიება შეძლებს დააკმაყოფილოს მე-2 მუხლით დაკისრებული საპროცესო პოზიტიური ვალდებულება. ასეთი გარემოებები შეიძლება არსებობდეს მაგალითად, როდესაც სახეზეა სიცოცხლის მოსპობა ან მისთვის საფრთხის შექმნა ხელისუფლების ქმედების გამო, რომელიც სცილდება გადანყვეტილებაში შეცდომას ან დაუდევრობას. როდესაც დადგინდა, რომ სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების დაუდევრობა სცილდება გადანყვეტილებაში შეცდომას ან დაუდევრობას, იმით, რომ მოცემულმა ხელისუფლებამ – სრულად გააცნობიერა მოსალოდნელი შედეგები და უგულვებელყო მათზე მინიჭებული უფლებამოსილება – არ მიიღო აუცილებელი და საკმარისი ზომები რისკების თავიდან ასაცილებლად. ის ფაქტი, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის წინაშე მყოფ პირებს არ წაუყენებიათ ბრალი ან არ დასჯილან, შეიძლება შეადგენდეს მე-2 მუხლის დარღვევას, განურჩევლად სხვა სახის საშუალებისა, რომელიც პირებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი ინიციატივით (იხ.: *Tkheldze*, ციტირებული ზემოთ, §59).
42. რაც შეეხება სახელმწიფოს შესაბამის არსებით პოზიტიურ ვალდებულებებს კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების შესაბამისად, ისინი სრულყოფილად იქნა შეჯამებული საქმეში, თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ, – პირველი საქმე, რომელიც ავლენს სახელმწიფოს წარუმატებლობას ოჯახში ძალადობისა და ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში (ციტირებული ზემოთ, §§ 48-

51). გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ სახელმწიფოს მიერ ქალების დაცვა ოჯახში ძალადობისგან არღვევს კანონის წინაშე მათი თანაბარი დაცვის უფლებას და რომ ეს წარუმატებლობა არ არის საჭირო, რომ იყოს განზრახი. ევროპულმა სასამართლომ ადრე უკვე დაადგინა, რომ „ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა [შექმნის] კლიმატს, ...რომელიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას,“ წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (იხ.: *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, §§ 191 et seq., ECHR 2009). ამგვარი დისკრიმინაციული მოპყრობა ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლების ქმედებები არ არის უბრალო წარუმატებლობა ან შეფერხება განსახილველ ძალადობასთან გამკლავებაში, არამედ წარმოადგენს ამგვარი ძალადობის განმეორებით პატიებას და ასახავს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მომჩივნის, როგორც ქალის მიმართ (იხ.: *Talpis v. Italy*, no. 41237/14, § 141, 2 March 2017). მართლაც, ოჯახში ძალადობის ბრალდებებზე საჭიროა ხელისუფლების დაუყოვნებლივი რეაგირება, რომლებმაც უნდა დადგინონ, არსებობს თუ არა ერთი ან მეტი რეალური და პირდაპირი საფრთხე ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებული მსხვერპლისათვის, დამოუკიდებელი, პროაქტიული და ყოვლისმომცველი რისკის შეფასების განხორციელების გზით (იხ.: *Kurt*, ციტირებული ზემოთ, §190).

(ბ) ზემოსხენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(i) პროცედურული ვალდებულებები და მსხვერპლის სტატუსი

43. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან საჩივრის არსი არის ის, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა და დაუდევრობა იყო ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, რის გამოც ოჯახში ძალადობა იქნა გამწვავებული, რაც საბოლოოდ C-ს მკვლევლობით დასრულდა, და იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მაღალი რისკის შესახებ, რომელსაც C. ნააანყდებოდა თუ არ შესრულდებოდა პოლიციის მოვალეობები (რადგან იგი უჩიოდა ასევე, პოლიციის თანამშრომელს, რომელსაც წვდომა ჰქონდა ცეცხლსასროლ იარაღზე) და, ამრიგად, შეეძლო დაედგინა, იყო თუ არა ის (კონკრეტული პოლიციის თანამშრომელი) წარსულში ჩართული მსგავს შემთხვევებში ან ჰქონდა თუ არა ძალადობისკენ მიდრეკილება – სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი უმოქმედობა და დაუდევრობა გასცდა უბრალო შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს. შესაბამისად, მომჩივნების მიერ ეროვნულ დონეზე გამოყენებულ დაცვის საშუალებებს შორის, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის ყველაზე აქტუალური იყო სისხლის სამართლის საქმისწარმოება, რომელიც აღძრული იყო პოლიციის თანამშრომლებისა და პროკურორების წინააღმდეგ (შედარებისთვის იხ. *Tkheldze*, ციტირებული ზემოთ, § 60).

44. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო შემფოთებით აღნიშნავს, რომ კომპეტენტური საგამოძიებო ორგანო არ ცდილობდა დაედგინა პასუხისმგებლობა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან C-ს მკვლევლობამდე მომხდარ გენდერული ძალადობის მრავალ ინციდენტზე სათანადო რეაგირების არქონის გამო და არც ჩათვალა საჭიროდ, რომ მომჩივნისთვის მიენიჭებინა მსხვერპლის სტატუსი. პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის შესახებ არც კი დაწყებულია დისციპლინური გამოძიება და არ გადადგმულა ნაბიჯები პოლიციელების მოსამზადებლად, თუ როგორ უნდა მოახდინონ სათანადო რეაგირება მომავალში ოჯახში ძალადობის ბრალდებებზე. რაც შეეხება მომჩივანთა საჩივრის იმ ნაწილს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროკურორის უმოქმედობას, ამასთან დაკავშირებით, მათ არანაირი პასუხი არ მიუღიათ (მომჩივნებმა არაერთხელ მოითხოვეს, მაგრამ ვერ მიი-

ღეს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოსგან მათი სისხლის სამართლის საჩივრის ამ ასპექტის შესახებ). თუმცა, საქმის შესაბამისი გარემოებების, კერძოდ, არსებული მაჩვენებლების არსებობის გათვალისწინებით (რომლებიც მიუთითებს შესაძლო გენდერულ დისკრიმინაციაზე, რადგან ნაწილობრივ მაინც ასახავს სამართალდამცავი ორგანოების პასუხს მომჩივნისთვის და საჩივარზე და ის ფაქტი, რომ მათ უფლება მისცეს სავარაუდო დამნაშავეს, რომ მონაწილეობა მიეღო მომჩივნისა და სავარაუდო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაკითხვაში), სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა, ჩაეტარებინათ არსებითი გამოძიება სამართალდამცავების რეაგირებაზე და მათ უმოქმედობაზე, რომელიც შესაძლოა მოტივირებული ყოფილიყო გენდერული დისკრიმინაციით, C-ს საჩივრებთან დაკავშირებით (შედარებისთვის იხ.: Tkhelidze, ციტირებული ზემოთ, §60). ის ფაქტი, რომ ძალადობის სავარაუდო ჩამდენი იყო თავად სამართალდამცავი ორგანოს წევრი და ის მუქარა, რომელსაც იგი იყენებდა მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების მიმართულებით და თვლიდა, რომ დაუსჯელი იყო, გამოძიებას ხდიდა მეტად საჭიროს.

45. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნას, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებები მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (იქვე, §558-60) ასევე, იგი აღნიშნავს სხვა ორი ეროვნული სამართალწარმოების არასაკმარისობაზე – დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი დევნა და მომჩივნების მიერ სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ აღძრული სამოქალაქო საქმისწარმოება. რაც შეეხება პირველს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ D-ს სასამართლო პროცესი და გამამტყუნებელი განაჩენი არ მოიცავდა რაიმე მოკვლევას დანაშაულის ჩადენაში გენდერული დისკრიმინაციის შესაძლო როლის შესახებ. რაც შეეხება უკანასკნელს, მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ დადებითი იყო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა აღიარეს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მიიღეს ზომები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის დასასრულებლად და C-ს სიცოცხლის დასაცავად. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ არ გააფართოვეს თავიანთი მოკვლევა იმ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ოფიციალური შემწყნარებლობა განპირობებული ყოფილიყო იმავე გენდერული მიკერძოებით. ეროვნულ სასამართლოებს ასევე, არ უპასუხიათ კითხვისთვის, იყო თუ არა მითითებები გაცემული შესაბამისი სამართალდამცავი თანამშრომლების მდუმარების ან თანხმობის შესახებ, მათი კოლეგა D-ს მიერ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობების შესახებ. ეროვნული სასამართლოების ეს ხარვეზები არ თავსდება მოპასუხე სახელმწიფოს მოვალეობასთან, გაუმკლავდნენ მოტივირებულ დანაშაულებს.

46. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებების და ფულადი კომპენსაციის ბუნებისა და ოდენობის გათვალისწინებით, მომჩივნები ინარჩუნებენ მსხვერპლის სტატუსს 34-ე მუხლის მნიშვნელობით და ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

(ii) არსებითი პოზიტიური ვალდებულებები

47. თხელიძის საქმის მსგავსად, წინამდებარე საჩივრის გარემოებები ადასტურებენ, რომ ამკარად არსებობდა ოჯახში ძალადობის ხანგრძლივი მდგომარეობა, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ იყო მსხვერპლისთვის პირდა-

პირი საშიშროება და პოლიციამ იცოდა ან აუცილებლად უნდა სცოდნოდა ამ სიტუაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ რისკების სერიოზულობის შესახებ, პოლიციამ ვერ გამოიჩინა საჭირო მონდომება და დაუშვა მნიშვნელოვანი ხარვეზები საკუთარ საქმიანობაში, როგორცაა არაზუსტი, არასრული ან თუნდაც შეცდომაში შემყვანი მტკიცებულებების შეგროვება და არ ცდლობდა ჩაეტარებინა სათანადო ანალიზი, თუ რა შეიძლება იყოს ძალადობის პოტენციური გამომწვევი ფაქტორები (შედარებისთვის იხ.: Tkhelidze, ციტირებული ზემოთ, § 53). ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ოჯახში ძალადობის ხსენებული ინციდენტის საპასუხოდ მტკიცებულებების შეგროვების ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს რეალურად ჩადენილი ძალადობის დონის არასაკმარისი შეფასება, შეიძლება ჰქონდეს მავნე გავლენა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე და თუნდაც ხელი შეუშალოს ოჯახურის ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც ხშირად უკვე საზოგადოების ზენოლის ქვეშ არიან, მომავალში შეატყობინონ მოძალადე ოჯახის წევრის შესახებ ხელისუფლებას (იქვე, §54).

48. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებდა დროებით შემაკავებელ სხვადასხვა ზომებს სავარაუდო მოძალადეების მიმართ (შედარებისთვის, იხ. Tkhelidze, ციტირებული ზემოთ, 55), შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები მათ საერთოდ არ მიმართავდნენ. პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი სხვადასხვა ანგარიშებიდან და ჩანაწერებიდან არ ჩანს, რომ მსხვერპლს პოლიციამ ოდესმე მიაწოდა ინფორმაცია მისი პროცედურული უფლებებისა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაცვის ზომების შესახებ. ევროპული სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა, როგორც ჩანს, უფრო შემამშფოთებელია იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ მოძალადე თავად იყო პოლიციელი. უფრო მეტიც, მაშინ, როცა სამართალდამცავმა ორგანოებმა კარგად იცოდნენ, რომ იგი იყენებდა თავისი ოფიციალური სამსახურებრივი პოზიციის სხვადასხვა ატრიბუტებს იმისათვის, რომ C-ზე ეძალადა (არაერთხელ შეაშინა სამსახურებრივი იარაღით, ემუქრებოდა ცრუ ბრალდებებით C-ს მამისა და ძმის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში თუ იგი პოლიციას შეატყობინებდა ძალადობის შესახებ და ა. შ.), პოლიციამ არა მხოლოდ არ დაასრულა საბოლოო დაუსჯელობისა და თვითნებობის დემონსტრაცია (იხ.: Ushakov and Ushakova v. Ukraine, no. 10705/12, §83, 18 June 2015), არამედ პირიქით, უფლება მისცა სავარაუდო მოძალადეს მონანიღეობა მიელო მისი მსხვერპლის დაკითხვაში და მალევე დანინაურდა პოლიციის უფრო მაღალი ნოდებით. ევროპული სასამართლო თვლის, რომ საქმის ეს ასპექტი განსაკუთრებით შემამშფოთებელია, რადგან იგი წევრი სახელმწიფოებისგან მოელის, რომ გამოიძიებისას უფრო მკაცრები იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში დასაჯონ სამართალდამცავები სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის, მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და ზოგადად, ქალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. ევროპული სასამართლო ასევე მოელის, რომ ამ უკანასკნელის შესრულებისას, სამართალდამცავები მეტად მკაცრები იყვნენ ჩვეულებრივ დამნაშავეებთან შედარებით, რადგან საქმე ეხება არა მხოლოდ მოძალადეების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, არამედ სახელმწიფოს მოვალეობას, შეებრძოლოს დამნაშავეების მიერ საკუთარი თანამდებობის გამო გაცდილი დაუსჯელობის გრძნობას და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი (იხ.: *mutatis mutandis*, Vazagashvili and

Shanava v. Georgia, no. 50375/07, § 92, 18 July 2019, და Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary, no. 17247/13, § 157, 26 May 2020).

49. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე საქმე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია სამართალდამცავი ორგანოების ზოგად და დისკრიმინაციულ პასიურობას ოჯახში ძალადობის შესახებ, შექმნას კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მსხვერპლთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემდგომ გავრცელებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. სხვადასხვა დამცავი ზომების უგულებელყოფით, რომლებიც პირდაპირ ხელმისაწვდომი იყო, ხელისუფლებამ არ აღკვეთა გენდერული ძალადობა მომჩივანთა ახლობლების მიმართ, რისი კულმინაციაც იყო სიკვდილი, და მათ ამ წარუმატებლობას შეუერთეს პასიურობა და თუნდაც შემგუებლობა სავარაუდო დამნაშავესთან დაკავშირებით, რომელიც მოგვიანებით გაასამართლეს მსხვერპლის მკვლელობის ბრალდებით.

შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია თავისი არსებითი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

სტრასბურგის სასამართლომ მომჩივნებს მიანიჭა 35 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

გლოველი საქართველოს წინააღმდეგ

GLOVELI v. GEORGIA

საჩივარი №18952/18

გადაწყვეტილება

7 აპრილი, 2022 წელი

ფაქტები

2. მომჩივანი დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს თბილისში. ის წარმოდგენილი იყო ქვემო შუხუთში მოღვაწე ადვოკატის, ლ. მუხაშავერიას მიერ.
3. ხელისუფლებას წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, ბ. ძამაშვილი.
4. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამებულ იქნას შემდეგნაირად:

I. გარემოებები

მომჩივანი არის პრაქტიკოსი ადვოკატი საქართველოში, ოც წელზე მეტი გამოცდილებით. ის ასევე მსახურობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ 1999 წლიდან 2005 წლამდე. შემდგომ მან მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსში ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა, ბოლოს 2017 წლის ოქტომბერში. ყველა მისი განაცხადი წარუმატებელი აღმოჩნდა. მოცემული საქმე ეხება მომჩივნის მიერ თანამდებობის დაკავების ბოლო მცდელობასთან დაკავშირებულ პროცესს (იხ.: პარაგრაფები 9-10 ქვემოთ).

II. სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

6. 2016 წლის 9 თებერვალს, მოსამართლეების შერჩევის ერთ-ერთი კონკურსის შემდეგ, მომჩივანმა და სხვა ორმა კანდიდატმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც ამტკიცებდნენ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის კანონის („სასამართლოების კანონი“) მუხლები 36(4), 49 (1) და 50 (4) არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის 29-ე და 42-ე მუხლს. ისინი აცხადებდნენ, *inter alia*, რომ ვერ ისარგებლეს სასამართლოს ხელმისაწვდომობით, რათა დაეცვათ თავიანთი კონსტიტუციური უფლება, სახელმწიფო სამსახურში მიღებისას სამართლიან პროცესზე, რადგან არც ერთ სასამართლოს არ ჰქონდა მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული დავების განხილვის იურისდიქცია.
7. 2017 წლის 10 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (The HCJ) გადაწყვეტილებები დაექვემდებარა უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას (იხ.: პარაგრაფები 18-20 ქვემოთ).
8. 2017 წლის 7 აპრილს, საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელი და დაასკვნა, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, ახალი სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნით, არსებითად გადაწყვიტა მოსარჩელებების მიერ წამოჭრილი პრობლემა (იხ.: პარაგრაფები 21-22 ქვემოთ). მან აღნიშნა, რომ კონკრეტული დავის კონტექსტში,

ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა უზრუნველყო მოსარჩელეთა სასამართლოს ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება მოსამართლეების დანიშვნის განმხილველი პალატის დაფუძნებით (საკვალიფიკაციო პალატა), რომელსაც ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა საჩივრები მოსამართლეთა დანიშვნებზე სავარაუდო თვითნებურ უართან დაკავშირებით.

III. განაცხადი მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე

9. 2017 წლის 18 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადდა მოსამართლეების შერჩევის ახალი კონკურსი. მომჩივანმა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შეიტანა განაცხადი. როგორც განცხადების ნაწილი, მან წარადგინა სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ მის პროფესიულ და აკადემიურ მიღწევებს (იხ.: შესაბამისი პროცედურისთვის პარაგრაფი 16 ქვემოთ). მომჩივნის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შემოწმების შემდეგ, 2017 წლის 25 ნოემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა, რომ მომჩივანი დაშვებულ იქნა კონკურსში მონაწილეობისთვის (იხ.: პარაგრაფი 16 ქვემოთ). ბიოგრაფიის შემოწმების შემდეგ, 2017 წლის 29 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები გაესაუბრნენ მას, ინდივიდუალურად გააკეთეს შეფასებები ქულების ცხრილის გამოყენებით.
10. 2018 წლის 20 იანვარს, მომჩივანს შეატყობინეს, რომ ვაკანსიაზე მისი განაცხადი უარყოფილ იქნა, რადგან მან ვერ დააკმაყოფილა მინიმალური კომპეტენციის ქულა. მოგვიანებით, მან მიიღო ქულების ცხრილის ასლები, რომლებიც შეესაბამებოდა იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ, რომლებიც მას გაესაუბრნენ და შეაფასეს.

IV. სამართალწარმოება უზენაეს სასამართლოში

11. 2018 წლის 2 თებერვალს, მომჩივანმა საკვალიფიკაციო პალატაში წარადგინა საჩივარი, რომლითაც ითხოვდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 354-ე (3) (ბ) მუხლის საფუძველზე. ის დავობდა, რომ გადაწყვეტილება იყო თვითნებური და დისკრიმინაციული. აღნიშნულის მხარდასაჭერად, მომჩივანმა მტკიცებულებად წარადგინა ნ.ჯ.-ს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, სატელევიზიო კომენტარი, სადაც აცხადებდა, რომ კონკურსის განმავლობაში რამდენიმე საბჭოს წევრს ჰყავდა თავისი „პროტეჟე“ კანდიდატები და მათ თვითნებურად დანიშნეს სხვა კანდიდატების შეფასების ქულები. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრის მიერ მისთვის მინიჭებული ძალიან დაბალი ქულები მიანიშნებდა აღნიშნულ მიკერძოებაზე.
12. 2018 წლის 6 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა იურისდიქციის არქონის გამო. უზენაესი სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში დადგენილი ძირითადი არგუმენტები იყო შემდეგი:

„...მოსამართლეობის კანდიდატმა ვერ შეძლო კომპეტენციის კომპონენტში (შეფასების) მინიმალური გამსვლელი ქულის აღება, რის შედეგადაც მისი კანდიდატურა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კენჭისყრისთვის არ დაყენებულა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 35-ე (12) მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა არ დაკმაყოფილებულა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნულ ორგანოს არ განუხილავს დანიშვნის შესახებ განაცხადი და ამ-

გვარად, არ გამოუტანია მომჩივნის დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებას... ამ მიზეზების გამო, საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს დაუშვებლად მიიჩნევს...”

13. საკვალიფიკაციო პალატამ ევროპული სასამართლოს მიერ *Beaumartin v. France*-ის (24 ნოემბერი 1994, § 38, seria A no. 296 B) და *Sigma Radio Television Ltd v. Cyprus*-ის (nos. 32181/04 და 35122/05, §§ 151-57, 21 ივლისი 2011) საქმეებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე მითითებით დაადგინა, რომ ის არ აკმაყოფილებდა „სრული იურისდიქციის“ სასამართლოს ან ტრიბუნალის მოთხოვნას, რათა განეხილა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და რომ მისი გადაწყვეტილება შეესაბამებოდა მის მიერ დადგენილ პრაქტიკას (საქმე სსპ-2-17). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, ის იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა.

30. მომჩივანი დავობდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაზე იმის გამო, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა, მოეთხოვა მის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ უარის სასამართლო წესით გადახედვა. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტს, რომლის შესაბამისი ნაწილიც შემდეგნაირად იკითხება:

„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების ... გამორკვევისას აღჭურვილია... მისი საქმის სამართლიანი... განხილვის უფლებით... სასამართლოს მიერ...”

ა. დასაშვებობა

1. მხარეთა წარდგინებები

31. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი წარმოდგენილი საქმის სამოქალაქო უფლებების ნაწილთან შეუსაბამო იყო. ისინი დავობდნენ, რომ (i) არ არსებობდა სადავო „უფლება“, რომელიც აღიარებული იყო ეროვნული სამართლით; (ii) თუ სასამართლო სხვაგვარად დაადგენდა, განსახილველი „უფლება“ სასამართლოს პრეცედენტული სამართლით არ იყო „სამოქალაქო“ ხასიათის; (iii) არ არსებობდა რეალური და მნიშვნელოვანი დავა „უფლებაზე“, რომელზეც მომჩივანს ეროვნული სამართლის მიხედვით შეეძლო პრეტენზიის წამოყენება; (iv) იუსტიციის საბჭოს წინაშე შესაბამისი საქმის წარმოების შედეგები არ იყო უშუალოდ გადამწყვეტი მომჩივნისთვის.
32. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობით არ არსებობდა ისეთი უფლება, როგორც იყო მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება და რომ პროცედურა იმის დასადგენად, იყო თუ არა მომჩივანი სასამართლო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად „საკმარისად კომპეტენტური“, არ იყო მისი „სამოქალაქო უფლებების“ განმსაზღვრელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხებოდა მხოლოდ მათ, ვინც აკმაყოფილებდა შესაბამის ნორმატიულ მოთხოვნებს და მხოლოდ მათთვის იყო აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადასტურებული უფლება საჯარო თანამდებობისთვის კონკურსში თანაბარი მონაწილეობის შესახებ. ხელისუფლებამ ასევე მიუთითა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2017 წლის 5 ივლისით დათარი-

ღებულის გადაწყვეტილება (საქმე no. სსპ-2-17), რომელიც წინ უსწრებდა მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც მან დაუშვებლად ცნო სხვა მოსამართლეობის წარუმატებელი კანდიდატის საქმე იურისდიქციის არარსებობის გამო. მან ასევე დაასკვნა, რომ ვინაიდან შესაბამისმა კანდიდატმა ვერ დააგროვა კომპეტენციის საჭირო ქულა, მისი კანდიდატურა არ იყო ჩასმული საბოლოო სიაში ფაქტობრივი კენჭისყრისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. შესაბამისად, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილება ამ კანდიდატის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, რაც შეიძლებოდა გასაჩივრებულის საკვალიფიკაციო პალატაში. ამ ფონზე, ხელისუფლება დავობდა, რომ განსხვავებით საქმეებისა, ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ ([დიდი პალატა], no. 20261/12, 23 ივნისი 2016) და იურჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (no. 58222/09, 26 ივლისი 2011), მომჩივნის ხელმისაწვდომობის უფლება სასამართლოზე აშკარად გამორიცხული იყო საერთო სასამართლოების შესახებ კანონით, რადგანაც სასამართლო წესით გასაჩივრებას მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, მხოლოდ უარის თქმის ოფიციალური საბოლოო გადაწყვეტილებები ექვემდებარებოდა.

33. მომჩივანმა გააპროტესტა ხელისუფლების არგუმენტები. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით, იგი დავობდა, რომ მისი „სამოქალაქო“ უფლება თანაბარი ხელმისაწვდომობის საჯარო სამსახურსა და დასაქმებაზე, მათ შორის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც მის დავას უკავშირდებოდა, აღიარებული იყო შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით. იგი დავობდა, რომ იუსტიციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება ფაქტობრივად განსაზღვრავდა მის სამოქალაქო უფლებას, თანაბარი საფუძვლით მონაწილეობა მიეღო სასამართლო კონკურსში და, შესაბამისად, მას უნდა ჰქონოდა ამ დადგენილების სამართლიანი განხილვის უფლება.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

34. სასამართლომ დავების კონტექსტში მოსამართლეთა დანიშვნასთან, კარიერასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი პრინციპები Baka-ს საქმეში შეაჯამა (ციტირებულია ზემოთ §§ 100-06) და ბოლოს საქმეში Grzeda v. Poland ([დიდი პალატა], 43572/18, 257-64, 15 მარტი 2022); იხ.: ასევე Dolinska-Ficek and Ozimek v. Poland, nos. 49868/19 და 57511/19, §§ 220-28, 8 ნოემბერი 2021; Gumenyuk and Others v. Ukraine, no. 11423/19, §§ 44-59, 22 ივლისი 2021; Eminadaodlu v. Turkey, no. 76521/12, §§ 59-63, 9 მარტი 2021, და Bilgen v. Turkey, no. 1571/07, §§ 47-52 და §§ 65-68, 9 მარტი 2021).

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

35. შესაბამისი ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, წინამდებარე საქმეში, მე-6 მუხლის გამოყენებადობის დასადგენად, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს (i) უფლების არსებობა; (ii) იყო თუ არა უფლებასთან დაკავშირებით დავა „რეალური“ და „მნიშვნელოვანი“ და (iii) იყო თუ არა აღნიშნული უფლება „სამოქალაქო“ ამ დებულების მნიშვნელობით.

(i) უფლების არსებობა

36. სასამართლომ ჯერ უნდა გააანალიზოს მომჩივნის საჩივრის რეალური ბუნება ში-

დასახელმწიფოებრივი ორგანოების წინაშე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ შიდა სამართალწარმოებისას, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უფლება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რათა შეფასდეს, არის თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოყენებადი (იხ.: ფონდი სრებრენიცას დედები და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (გადანწყვეტილება), no. 65542/12, § 120, ECHR 2013 (ამონარიდები)).

37. წინამდებარე საქმეში მომჩივანი, ყოფილი მოსამართლე, დავობდა, რომ გადანწყვეტილება მის კანდიდატურაზე უარის თქმის შესახებ იყო თვითნებური და დისკრიმინაციული (ზემოთ იხ. პარაგრაფი 11). უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში შეტანილ სააპელაციო საჩივრით იგი ითხოვდა თავის უფლებას კონკურსში სამართლიანი პროცედურის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოითხოვა სასამართლო სისტემაში ხელახლა მიღება. მისი საჩივრის მთავარი მიზეზი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი წევრის სავარაუდო მიკერძოება და ობიექტურობის ნაკლებობა. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის, რაც იყო შესაბამისი პროცესის საფუძველი, იყო არა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, არამედ ყოფილი მოსამართლის მიერ, მოსამართლის თანამდებობაზე განაცხადის განხილვისას სამართლიანი პროცედურის უფლების უზრუნველყოფა (იხ. *Regner v. the Czech Republic* [დიდი პალატა], no. 35289/11, §105, 19 სექტემბერი 2017; *Frezadou v. Greece*, no. 2683/12, §28, 8 ნოემბერი 2018, და *Juricic*, ციტირებულია ზემოთ, § 52, ამ მხრივ დამატებითი მითითებებით; იხ. ასევე, *Bilgen*, ციტირებულია ზემოთ, §57).
38. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას. ზემოაღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით, 2017 წლის 7 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა თანაბარი და სამართლიანი პროცედურებით მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და მასთან დაკავშირებული გადანწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნის პროცესი არ იყო პოლიტიკური გადანწყვეტილების ნაწილი, რადგან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები ითავსებდნენ წმინდა სამართლებრივ ფუნქციებს. შესაბამისად, კონსტიტუციის 29-ე მუხლში გათვალისწინებული ყველა გარანტია საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით, გამოყენებადი იყო სასამართლო კონკურსებზე. სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „უფლებით“ სარგებლობისთვის საკმარისია იმის ჩვენება, რომ მომჩივანს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სავარაუდოდ, შეუძლია მოითხოვოს ეს უფლება. როგორც საქმეში *Grzeda* აღინიშნა, იმის დადგენისას, არსებობდა თუ არა მომჩივნის მიერ მოთხოვნილი უფლების სამართლებრივი საფუძველი, სასამართლომ მხოლოდ უნდა დაადასტუროს, იყო თუ არა მომჩივნის არგუმენტები საკმარისად დასაბუთებული და არა ის, აუცილებლად წარმატებული იქნებოდა თუ არა კანდიდატი, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფილი რომ ყოფილიყო (იქვე. §268). ასეთ ვითარებაში, შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით, როგორც ეს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ქართული კანონმდებლობით სავარაუდოდ აღიარებული „უფლება“ მოსამართლეობის კონკურსში სამართლიანი პროცესის შესახებ, მათ შორის უფლება, იყო დაცული თვითნებური და დისკრიმინაციული უარისგან,

გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით (იხ.: Dolinska-Ficek and Ozimek, ციტირებულია ზემოთ, §§ 229-30; Tsanova-Gecheva v. Bulgaria, no. 43800/12, § 84, 15 სექტემბერი 2015; Juricic, ციტირებულია ზემოთ, § 52; Dzhidzheva-Trendafilova v. Bulgaria (dec.), no. 12628/09, §§ 48-49, 9 ოქტომბერი 2012; Kubler v. Germany, no. 32715/06, § 46, 13 January 2011; და Lombardi Vallauri v. Italy, no. 39128/05, § 62, 20 ოქტომბერი 2009).

39. წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლოს აზრით, უთანხმოების მთავარი მიზეზი არის ის პუნქტი, რომლითაც ეს უფლება ამოქმედდა. ხელისუფლების თქმით, აღნიშნული „უფლება“ არ იყო რელევანტური მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით, რადგან ის არ იყო შერჩეული კონკურსის ფაქტობრივი კენჭისყრის ეტაპზე მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. ამის მხარდასაჭერად ისინი ეყრდნობოდნენ კონსტიტუციის 29-ე მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლებას ყველა მოქალაქისთვის, რომელიც აკმაყოფილებს „შესაბამის ნორმატიულ მოთხოვნებს“. ისინი ასევე ეყრდნობოდნენ უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებას, რომელიც წინ უძღვოდა მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას (იხ. §32 ზემოთ). მომჩივანი, თავის მხრივ, დავობდა, რომ ფაქტობრივ კენჭისყრაში მისი საბოლოო სიაში არ შეყვანით, მას არ მიეცა შესაძლებლობა თანაბარ და სამართლიან პირობებში მონაწილეობა მიეღო მოსამართლეების შერჩევის კონკურსში.
40. სასამართლო ვერ მიიღებს ხელისუფლების არგუმენტს იმის შესახებ, რომ მომჩივანი არ აკმაყოფილებდა სასამართლო კონკურსში მონაწილეობის „შესაბამის ნორმატიულ მოთხოვნებს.“ მისი განაცხადი იუსტიციის საბჭომ შეიტანა სიაში სასამართლო კონკურსში მონაწილეობისთვის და იგი ოფიციალურად დარეგისტრირდა საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი. მომჩივანმა ასევე, გაიარა გამოცდა და გასაუბრება. საქართველოში მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის ევროპული სასამართლოს აღქმას, როგორც ეს ზემოთ იყო ასახული, ასევე მხარს უჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება. მასში ცალსახად იყო ნათქვამი, რომ იუსტიციის საბჭომ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა მოკლე ინფორმაცია მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ, რომელთა განცხადებებმაც დააკმაყოფილა კანონით გათვალისწინებული მოსამართლეთა კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნები (იხ.: გადაწყვეტილების 38-ე პუნქტი). მომჩივნის სახელი გამოქვეყნებულთა შორის იყო.
41. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დაკმაყოფილებულია, რომ კონსტიტუციის 29-ე მუხლის ტერმინების გათვალისწინებით, როგორც ეს არის განმარტებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ეროვნული კანონმდებლობით მოსამართლეობის თანამდებობაზე განაცხადების შემოწმებისას არსებობდა სამართლიანი პროცედურის „უფლება“, რომელიც მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა.

(ii) „რეალური“ და „მნიშვნელოვანი“ დავა

42. სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა იყო „რეალური“ და „მნიშვნელოვანი“, რადგან ეხებოდა მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების სამართლიანობას და შეიძლება გამოენვია სადავო გადაწყვეტილების გაუქმება და მომჩივნის განცხადების განხილვა (იხ.: Dolinska-Ficek and Ozimek, §232, Juricic, §52 და Tsanova-Gecheva, §84, ყველა ციტირებულია ზემოთ; იხ.: ასევე, Fiume v. Italy, no. 20774/05,

§35, 30 ივნისი 2009, და *Bara and Kola v. Albania*, nos. 43391/18 და 17766/19, §58, 12 ოქტომბერი 2021). უნდა დადგინდეს, იყო თუ არა განსახილველი უფლების ბუნება სამოქალაქო მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ავტონომიური მნიშვნელობით, საქმეში, ვილჰო ესკელინენი და სხვები შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით ([დიდი პალატა], no. 63235/00, ECHR 2007-II).

(iii) უფლების „სამოქალაქო“ ბუნება: ესკელინენის ტესტი

(ა) ესკელინენის ტესტი პირველი პირობა

43. რაც შეეხება ესკელინენის ტესტის პირველ პირობას, ანუ იმას, „აშკარად გამორიცხავდა“ თუ არა ეროვნული კანონმდებლობა სასამართლოს ხელმისაწვდომობას განსახილველი თანამდებობის ან კატეგორიის პერსონალისთვის (იხ.: ესკელინენი, ციტირებულია ზემოთ, §62), სასამართლო აღნიშნავს, რომ თავის ბოლო გადაწყვეტილება *Grzeda*-ში (ზემოთ ციტირებულია) საჭიროდ ჩათვალა ესკელინენის ტესტის პირველი პირობის შემდგომი შემუშავება და აღნიშნა შემდეგი:

„291. სასამართლო ახლა გამოიყენებს წინამდებარე საქმით შემოთავაზებულ შესაძლებლობას, რათა შემდგომ განავითაროს ესკელინენის ტესტის პირველი პირობა. იგი აღნიშნავს, რომ ეს პირობა შეგნებულად მკაცრია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ტესტის ნაწილი, რომელიც სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში უარყოფს მე-6 მუხლის გამოყენების პრეზუმციას ჩვეულებრივ შრომით დავებში, რომელშიც მონაწილეობენ საჯარო მოსამსახურეები (იხ. ვილჰო ესკელინენი და სხვები, ციტირებულია ზემოთ §62), რაც გამორიცხავს კონვენციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ მათ უფლებას, სასამართლოს უფლებას. ამ პირობის მკაცრ ბუნებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იგი იშვიათად კმაყოფილდებოდა (იხ.: ბილგენი, ციტირებულია ზემოთ, §70). მოპასუხე სახელმწიფოს მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეეძლო ეჩვენებინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა პირდაპირ იყო გამორიცხული მომჩივნისთვის (იხ.: ბაკა, ციტირებულია ზემოთ, §113 და მასში მოხსენიებული საქმეები). ვინაიდან ესკელინენის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული ორი პირობა არის კუმულაციური, სადაც პირველი არ არის დაკმაყოფილებული, მე-6 მუხლი გამოყენებადობის დასადგენად არ არსებობს ტესტის მეორე ნაწილის განხილვის საჭიროება (იხ. ბაკა, ზემოთ ციტირებული § 118).

292. სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი პირობის პირდაპირი გამოყენება არ იქნება სრულად მიზანშეწონილი ყველა სიტუაციაში. ამიტომ, მზადაა დაუშვას, რომ პირველი პირობა შესაძლოა შესრულებულად ჩაითვალოს, სადაც ამ მიზნის გამომხატველი დებულების გარეშე, ცხადად იყო ნაჩვენები, რომ მსგავსი ტიპის დავებთან დაკავშირებით, ეროვნული სამართალი გამორიცხავს სასამართლოს ხელმისაწვდომობას. ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, ეს პირობა დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა შეიცავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის აშკარა გამორიცხვას. მეორეც, იგივე პირობა შეიძლება დაკმაყოფილდეს, როდესაც განსახილველი გამორიცხვა არის იმპლიციტური ხასიათის, კერძოდ, როდესაც ის გამომდინარეობს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ან მთელი სამართლებრივი რეგულირების სისტემური ინტერპრეტაციიდან.“

44. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლება დავობდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა გამორიცხავდა სასამართლოს ხელმისაწვდომობას მოსამართლეობის კანდიდატისთვის, რომელიც არ იყო წინასწარ სიაში შეყვანილი სასამართლო კონ-

კურსის ფაქტობრივი ხმის მიცემის ეტაპისთვის (იხ.: §32 ზემოთ). საერთო სასამართლოების შესახებ კანონის შესაბამისი დებულებების მითითებით მათ განაცხადეს, რომ საკვალიფიკაციო პალატაში შეიძლებოდა მხოლოდ მოსამართლედ დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრება. მათი თქმით, იგივე მიდგომა საკვალიფიკაციო პალატის პრაქტიკიდან გამომდინარეობს. მომჩივანი დავობდა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ცალსახად არ გამორიცხავს სასამართლოს ხელმისაწვდომობას სასამართლო კონკურსის ადრეულ ეტაპებთან დაკავშირებულ საჩივრებზე.

45. წინამდებარე საქმეში, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის №191 (1), №354(1) და №365(1) შესწორებული მუხლები ითვალისწინებდა, რომ საკვალიფიკაციო პალატაში შეიძლებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომლითაც პირს მოსამართლის თანამდებობის დაკავებაზე ეთქვა უარი. საკვალიფიკაციო პალატამ ზემოაღნიშნული დებულებების მითითებით მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა მომჩივნის განცხადება, რადგან ეს არ ეხებოდა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუმცა, სასამართლოს სხვა არაფერი შეუძლია გარდა აღნიშვნისა, რომ 2017 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა სასამართლო სისტემაში თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება და განაცხადა, რომ პროცედურული სამართლიანობა კანდიდატის შერჩევის პროცესის ყველა ეტაპზე კონსტიტუციით იყო გარანტირებული. მან მკაფიოდ განაცხადა, რომ მოსამართლეობის კანდიდატის დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის კონტექსტში, „ადეკვატური მიზეზები მოყვანილი უნდა იქნეს კანდიდატის შერჩევის მთელი პროცესის განმავლობაში“ და „სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საჯარო ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილების (აქტის), რომლებიც არღვევს ადამიანის უფლებებს, სასამართლოში გასაჩივრებისა და განხილვის შესაძლებლობას. ამას გარდა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში მომჩივნის საკონსტიტუციო საჩივარი, რომელიც არსებითად იგივე არგუმენტებს ემყარებოდა, რაც სასამართლოსთვის იქნა წარდგენილი და დაადგინა, რომლის მიხედვითაც ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საკვალიფიკაციო პალატის დაარსებით განახორციელა მისი სასამართლოს ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება, რომელსაც უფლებამოსილება ჰქონდა განეხილა მოსამართლედ გამწესებაზე შესაძლო თვითნებური უარის თქმასთან დაკავშირებული საჩივრები. ამ ფონზე, ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის დებულებების განმარტება განსხვავებული იყო უზენაესი სასამართლოს განმარტებებისგან; ან სულ მცირე, მისი გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება ითქვას, რომ შექმნა ლეგიტიმური მოლოდინი მომჩივნისთვის, რომ სასამართლო კონკურსთან დაკავშირებული მისი საჩივრები განიხილებოდა საკვალიფიკაციო პალატის მიერ.

46. ასეთ ვითარებაში, სასამართლო კანონის შესაბამისი დებულებების ფორმულირებიდან და ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ახერხებს დაასკვნას, რომ ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისი სახის დავებზე შეიცავდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის აშკარა გამორიცხვას (განსხვავებით, *Ozpynar v. Turkey*, No. 20999/04, §30, 2010 წლის 19 ოქტომბერი; *Nedelcho Popov v. Bulgaria*, No. 61360/00, §38, 2007 წლის 22 ნოემბერი; და *Sukut v. Turkey*, (dec.), No.59773/00, 2007 წლის 11 სექტემბერი). რაც შეეხება გა-

მორიციხვის იმპლიციტურ ბუნებას, ინტერპრეტაციის გზით (ზემოთ იხ.: პარაგრაფი 43) სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: როგორც უკვე ბაკას გადაწყვეტილებაშია გაცხადებული, მან უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა სასამართლოს ხელმისაწვდომობა გამორიცხული ეროვნული კანონმდებლობით მანამდე და არა იმ დროს, როდესაც მომჩივნის მიმართ სადავო ღონისძიება იქნა გამოყენებული. სხვაგვარად დამტკიცება ნიშნავს, რომ თავად სადავო ღონისძიება, რომელიც წარმოადგენდა მომჩივნის „უფლებაში“ სავარაუდო ჩარევას, შეიძლება იმავდროულად იყოს მომჩივნისთვის მისი სარჩელის სასამართლოში შეტანის გამორიცხვის სამართლებრივი საფუძველი (იხ.: ბაკა, ციტირებული ზემოთ, § 116). წინამდებარე საქმეში არსებობდა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც წინ უძღოდა მომჩივნის საქმეს, რომელშიც მოსამართლე კანდიდატის საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ საკვალიფიკაციო პალატამ ასევე, არ დააკმაყოფილა იურისდიქციული საფუძვლებით (იხ. პარაგრაფი 32 ზემოთ). თუმცა, ეს გადაწყვეტილება მოკლებული იყო შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის „ყოვლისმომცველ და დეტალურ ანალიზს“ კონვენციის პრეცედენტული სამართლისა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების პრიზმაში (იქვე. § 117). რაც შეეხება მომჩივნის საქმეზე დაუშვებლად ცნობის გადაწყვეტილებას, საკვალიფიკაციო პალატამ ვერ შეათანხმა თავისი დასაბუთება საკონსტიტუციო სასამართლოსთან. შესაბამისი ეროვნული დებულებების ინტერპრეტაცია და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოვლისმომცველი ანალიზი არ იქნა გათვალისწინებული საკვალიფიკაციო პალატის მიერ.

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ამასთან ის, რომ მის ფუნქციაში არ შედის ეროვნული კანონმდებლობის განმარტებით გადაჭრას პრობლემა, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ ეროვნული კანონი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 8 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებების მიღებიდან, გამორიცხავდა სასამართლოს ხელმისაწვდომობას მომჩივნის საქმეში. თუმცა, მაშინაც კი, თუ ხელისუფლების არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეროვნული კანონმდებლობა პირდაპირ გამორიცხავს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, იქნება გაზიარებული, სასამართლო მაინც უნდა დარწმუნდეს, რომ გამორიცხვა გამართლებული იყო „სახელმწიფოს ინტერესების ობიექტური საფუძვლებით“ (იხ.: ვილჰო ესკელინენი, ციტირებული ზემოთ, §62). ამრიგად, იგი გააგრძელებს ტესტის მეორე პირობის შემოწმებას.

(β) ესკელინენის ტესტის მეორე პირობა

48. სასამართლო ახლა განიხილავს, შეიძლება თუ არა, წინამდებარე საქმეში, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გამორიცხვა გამართლებული იყოს სახელმწიფოს ინტერესების ობიექტური საფუძვლებით. იგი თავიდანვე აღნიშნავს, რომ მხარეებს ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი მოსაზრება არ გაუკეთებიათ.
49. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლის შესახებ; სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ ქვეყანაში ფუნდამენტური ღირებულების გარანტს; შესაბამისად, საკუთარი მოვალეობების წარმატებით განხორციელებისათვის იგი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით (იხ.: Baka, ციტირებულია ზემოთ, §164, დამატებითი მითითებებით; აგრეთვე, Eminadaodlu, §§76 და 78, და Bilgen, §58, ორივე ციტირებულია ზემოთ). იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ორგანოებს შორის სასამართლო იკავებს მნიშვნელოვან ად-

გილს (იხ.: Ramos Nunes de Carvalho e Sa v. Portugal [დიდი პალატა], nos. 55391/13 და 2 სხვა, §196, 2018 წლის 6 ნოემბერი, მასში დამატებითი მითითებებით), სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლო ხელისუფლების წევრების დაცვას იმ ზომებისგან, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ სტატუსსა და კარიერაზე, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ავტონომიას. სასამართლომ განაცხადა, რომ სასამართლო დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის წინაპირობა (იხ.: Gudmundur Andri Astradsson v. Iceland [დიდი პალატა], No.26374/18, §239, 1 დეკემბერი 2020 წ.). ამასთან დაკავშირებით, რაც შეეხება სასამართლოს დახასიათებას როგორც „დამოუკიდებელი“ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობით, მან ამასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი დანიშვნის წესი (იხ.: მაგალითად, Ramos Nunes de Carvalho e Sa, § 144, და Astradsson, §230, ორივე ციტირებულია ზემოთ). როგორც სასამართლომ Astradsson-ში განაცხადა, როგორც ჩანს, არსებობს მნიშვნელოვანი კონსენსუსი წევრ სახელმწიფოებს შორის, რომ „კანონით შექმნილი ტრიბუნალის“ მოთხოვნა მოიცავს მოსამართლის თანამდებობაზე პირველად დანიშვნის პროცესს (იქვე. § 228).

50. სასამართლომ უკვე განაცხადა, რომ მოსამართლეები უნდა შეირჩეს დამსახურებისა და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, არა მხოლოდ სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად, არამედ მოსამართლეთა პირადი დამოუკიდებლობის გარანტიის უზრუნველსაყოფადაც (იხ.: Bilgen, ციტირებულია ზემოთ, §63, დამატებითი მითითებებით). ამასთან დაკავშირებით, თავის წინა სასამართლო საქმეებში მან მიუთითა CCJE-ს მოსაზრება №1-ის 25-ე პუნქტზე (2001 წ.), რომელიც რეკომენდაციას უწევს, რომ „წევრ ქვეყნებში დანიშვნებისა და დანიშნულების თაობაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა ახლა უნდა შემოიღონ, გამოაქვეყნონ და შეასრულონ ობიექტური კრიტერიუმები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეების შერჩევა და კარიერა დაფუძნებული იყოს დამსახურებაზე, კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერების, უნარებისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით“ და ხაზი გაუსვა რიგითი მოსამართლეების დანიშვნის მკაცრი პროცესის მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე კვალიფიციური კანდიდატების, როგორც ტექნიკური კომპეტენციის, ისე მორალური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით – დანიშვნა მოსამართლის თანამდებობებზე (იხ.: Astradsson, ციტირებულია ზემოთ, §§221-22). სასამართლომ ასევე, განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს ჩამოყალიბებული ცხადად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა არ დაუშვას თვითნებური ჩარევა დანიშვნის პროცესში, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან (იქვე. §230). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს მკაფიო კავშირი მოსამართლის დანიშვნის პროცესის კეთილსინდისიერებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას შორის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით (იხ. Thiam v. France, No. 80018/12, §§ 81-82), 2018 წლის 18 ოქტომბერი).

51. ამის ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივნის – მოსამართლეობის კანდიდატის, რომელიც აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, მოსამართლეობის კონკურსიდან გარიცხვა, ამ გადაწყვეტილების ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც კანონის უზენაესობით მართული სახელმწიფოს ინტერესი. ეს ეხება რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც ასევე მიუთითებს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც

უკავშირდება მოსამართლეთა შერჩევასა და საქმიანობას, ან სულ მცირე, იმ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღება, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო განხილვას (იხ.: ზემოთ, პარაგრაფები 24-27). ამასთან ერთად, სასამართლო მიუთითებს, რომ მას არ მოეთხოვება გადახედოს მოსამართლეთა დანიშვნის სისტემას, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში. როგორც უკვე მის სასამართლო პრაქტიკაშია აღნიშნული, ევროპაში არსებობს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის სხვადასხვა სისტემა, თუმცა გადამწყვეტი, რაც არის, ის, რომ დანიშნული პირები თავისუფალი არიან გავლენისა და ზენოლისაგან სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას (იხ.: Astradsson, ციტირებულია ზემოთ, §207, დამატებითი მითითებებით). კითხვა ყოველთვის დაესმის იმას, დაკმაყოფილებულია თუ არა კონვენციის მოთხოვნები მოცემულ საქმეში (იხ. Kleyn and Others v. the Netherlands [დიდი პალატა], nos. 39343/98 და 3 სხვა, § 193, ECHR 2003 VI, და Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland, no. 23614/08, § 46, 30 ნოემბერი 2010)

52. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ესკელინენის ტესტის მეორე პირობა, კერძოდ ის, რომ მომჩივნისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამართლებული იყო ობიექტური საფუძვლებით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაკმაყოფილდა.

(iv) დასკვნა მე-6 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით

53. აქედან დგინდება, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოყენებადია. შესაბამისად ხელისუფლების წინასწარი პროტესტი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლო ასევე, აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არც აშკარად დაუსაბუთებელია და არც დაუშვებელია კონვენციის 35-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა საფუძვლებით. შესაბამისად იგი უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა განცხადებები

54. მომჩივანი, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაზე მითითებით, დავობდა, რომ მისი უფლება გაესაჩივრებინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სავარაუდო თვითნებური და დისკრიმინაციული გადაწყვეტილება სასამართლოში, დაირღვა. ის აცხადებდა, რომ მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესი მთლიანად სასამართლო სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო შემოწმებას.
55. პასუხად ხელისუფლება აცხადებდა, რომ მომჩივნის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ დარღვეულა. ისინი პირველ რიგში, ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საკვალიფიკაციო პალატის დაფუძნებით, ითვალისწინებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლო გადასინჯვას. მეორე რიგში, საკვალიფიკაციო პალატას ჰქონდა სრული იურისდიქცია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით, რათა გადაესინჯა მოსამართლეთა შერჩევასთან და დანიშვნასთან დაკავშირებული საბჭოს გადაწყვეტილებები. დაბოლოს, საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება მომჩივნის საქმეში შეესაბამებოდა ეროვნულ პრეცედენტულ სამართალს და ადგილი არ ჰქონია თვითნებობას საკვალიფიკა-

ციო პალატის მიერ რელევანტური ეროვნული დებულებების განმარტებისას.

1. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

56. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება როგორც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი განხილვის ასპექტი დადგენილ იქნა საქმეში, *Older v. the United Kingdom* (ციტირებულია ზემოთ, §§ 28-36). ამ საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების არსებით ასპექტს და მიუთითა კანონის უზენაესობისა და უფლებამოსილების თვითნებურად განხორციელების თავიდან აცილების პრინციპებზე, რომლებსაც კონვენციის დიდი ნაწილი ეფუძნება. ამგვარად მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ყველასთვის უზრუნველყოფს უფლებას წარადგინოს სასამართლოში მოთხოვნა მის სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით (იხ.: *Zubac v. Croatia* [დიდი პალატა], no. 40160/12, §76, 5 აპრილი 2018, დამატებითი მითითებებით).
57. კონვენციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აჩვენებდა, რომ როდესაც არ არსებობს წვდომა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, ყოველთვის წამოიჭრება საკითხი კანონის უზენაესობასთან შესაბამისობის შესახებ (იხ.: *Golder*, ციტირებულია ზემოთ, §34). თუმცა, ევროპულმა სასამართლო აღიარა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც არ კრძალავს ან ამცირებს ინდივიდისთვის დარჩენილ წვდომის უფლებას ისე ან იმდენად, რომ ამ უფლების არსი იქნას ხელყოფილი. შეზღუდვა არ იქნება მე-6 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისი, თუ ის არ გამოიყენება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის (იხ.: *Baka*, § 120, და *Zubac*, §78, ორივე ციტირებულია ზემოთ).

(ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებში

58. მოცემულ საქმეში, მომჩივნის საჩივარი მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად მისი კანდიდატურის უარყოფასთან დაკავშირებით, არსებითად არ განუხილავს საკვალიფიკაციო პალატას. ამ უკანასკნელმა მომჩივნის საჩივარი იურისდიქციის არარსებობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა (იხ.: პარაგრაფი 12 ზემოთ; განსხვავებისთვის *Dzhidzheva-Trendafilova*, ზემოთ ციტირებული, §§51-57). ამგვარად, საკვალიფიკაციო პალატამ დაასკვნა, რომ მას არ ჰქონდა იურისდიქცია, რათა განეხილა მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებული დავები თუ კონკურსის პროცესი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ხმის მიცემის ეტაპამდე არ მიაღწევდა. თუმცა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი განაცხადის ფორმის საფუძველზე მოხვდა კონკურსში და მან ასევე, გაიარა ბიოგრაფიის შემოწმების ეტაპი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მასთან ჩაატარეს გასაუბრება და ის შეფასებულ იქნა კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების საფუძველზე. ყველა ზემოთ აღნიშნული სასამართლო კონკურსის ეტაპები წარმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, რომელსაც საბოლოოდ ხმა უნდა მიეცა მომჩივნის კანდიდატურისთვის. ზემოთ აღნიშნული ეტაპების სასამართლო გადასინჯვისგან სრულად გამორიცხვით, საკვალიფიკა-

ციო პალატა არ ჩანდა, რომ სრულად ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ კონსტიტუციური უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე, გულისხმობდა, რომ უნდა არსებობდეს ადეკვატური დასაბუთება დანიშვნის მთელი პროცესის განმავლობაში და როდესაც მოსამართლეთა დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ითვალისწინებდა მოთხოვნას, რომ სახელმწიფო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება, რომელმაც დაარღვია ადამიანის უფლებები, გასაჩივრებული ყოფილიყო და მასზე გადაწყვეტილება მიღებულიყო სასამართლოში (იხ.: პარაგრაფები 21-22 ზემოთ).

59. თუმცა, მისი ზემოთ აღნიშნული დასკვნები გამოყენებადობის საკითხთან დაკავშირებით, არ ხელყოფს მის მსჯელობას შესაბამისობის საკითხზე (იხ.: ვილჰო ესკელენი და სხვები, §64, და ცანოვა-გაჩევა, § 87, ორივე ციტირებულია ზემოთ), ევროპული სასამართლო აღნიშნავს, იმ მნიშვნელობას, რომელსაც საერთაშორისო და ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები, ისევე როგორც საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართალი და სხვა საერთაშორისო ორგანოების პრაქტიკა, ანიჭებს პროცედურულ სამართლიანობას იმ საქმეებში, რომლებიც მოიცავს მოსამართლეთა შერჩევას, დანიშვნასა და კარიერას (იხ.: პარაგრაფები 49-51 ზემოთ; იხ.: ასევე Astradsson, §§207, 215, და 226-27, და Baka, §165, ორივე ციტირებულია ზემოთ). აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საკვალიფიკაციო პალატამ, საკუთარი თავისთვის იურისდიქციის ჩამორთმევით, რათა განეხილა მომჩივნის საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, ხელყო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არსებითი მხარე.

60. შესაბამისად, დაირღვა მომჩივნის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტით.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

61. კონვენციის 41-ე მუხლი განსაზღვრავს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

62. მომჩივანი მოითხოვდა 121 000 ევრო (EUR) ქონებრივი ზიანისთვის შემოსავლის დაკარგვისთვის და 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

63. სახელმწიფო შეეწინააღმდეგა ამ მოთხოვნებს.

64. ევროპული სასამართლო არ ადგენს რაიმე მიზეზობრივ კავშირს დადგენილ დარღვევასა და მოთხოვნილ ქონებრივ ზიანს შორის; ამგვარად ის არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას. მეორე მხრივ, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 3 600 ევროს არამატერიალური ზიანისთვის, ამასთან ნებისმიერ გადასახადს, რომელიც შეიძლება გადასახდელი იყოს.

ა. ხარჯები და დანახარჯები

65. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 3 660 ევრო სასამართლოს წინაშე განეული ხარჯებისთვის და 50 ევრო სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯისთვის.
66. სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივანმა ვერ აჩვენა, რომ ხარჯები ნამდვილად იქნა განეული და ისინი იყო აუცილებელი და გონივრული ოდენობასთან მიმართებით. ხელისუფლებამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივნის ადვოკატი არ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობის კრიტერიუმებს 36 §2 დებულების და სასამართლოს წესდების მე-4 (ა) დებულების მიხედვით, რადგან ის არ იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. შესაბამისად, მისი წარმომადგენლობისთვის განეული სასამართლო ხარჯები არ უნდა ანაზღაურდეს.
67. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მომჩივანს უფლება აქვს მიიღოს ხარჯების ანაზღაურება, მხოლოდ რამდენადაც ნაჩვენები იქნა, რომ ის ნამდვილად იქნა განეული და ამასთან აუცილებელი იყო და არის გონივრული ოდენობასთან მიმართებით. მოცემულ საქმეში, მის მფლობელობაში არსებული დოკუმენტებისა და ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, სასამართლომ უარყო ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნა მთლიანობაში.

ა. საურავი

68. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ერთხმად,

1. აცხადებს საჩივარს დასაშვებად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტი;
3. ადგენს:
 - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს უნდა გადაუხადოს, სამი თვის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც გადაწყვეტილება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით გახდება საბოლოო, 3 600 ევრო (სამი ათას ექვსასი ევრო), ამასთან ნებისმიერ გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს, არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით. თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში ანგარისნორების დღეს არსებული კურსით;
 - (ბ) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;
1. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Kvirikashvili v Georgia

საჩივარი №34720/16

გადაწყვეტილება

28 აპრილი, 2022 წელი

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ ის შეიძლება ექვემდებარებოდეს სარედაქციო გადასინჯვას.

საქმის გარემოებაჰი

1. საქმე ეხება, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობას და ამ კუთხით ჩატარებული გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობას.
2. 2014 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, მომჩივანი გააჩერა ორმა პოლიციელმა, გ.დ.-მ და ლ.ჯ.-მ საგზაო მოძრაობის წესების სავარაუდო დარღვევის გამო. მომჩივანმა გააპროტესტა დაჯარიმება, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა ის საკუთარ მანქანაზე მიაგდეს და გ.დ.-მ მას თავში მუშტი დაარტყა. ეს ეპიზოდი პოლიციის მანქანაზე დამაგრებულმა კამერამ დააფიქსირა. შემდგომში სიტყვიერი შელაპარაკება დაიწყო, რომელიც მომჩივნის თქმით, დასრულდა ორივე პოლიციელის მხრიდან მისი ფიზიკური შეურაცხყოფით. ეს ეპიზოდი არ აღბეჭდილა კამერაზე, თუმცა ახლომდებარე ბენზინგასამართ სადგურზე იყვნენ ადამიანები, რომლებიც მომჩივნის თქმით, შეესწრნენ შემთხვევას. ამის შემდეგ მომჩივანს ხელბორკილები დაადეს და დააკავეს. მისი ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგენილი ოქმის თანახმად, წინააღმდეგობის გამო პოლიციას მოუწია ფიზიკური ძალის გამოყენება, რის შედეგადაც მომჩივანმა თავი დაარტყა მინას და დაუზიანდა მარცხენა ლოყა და თავის ქალა, ხოლო პერანგი გაეხა.
3. მომჩივანი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მისი მდგომარეობის გაუარესების გამო გამოიძახეს ექიმი. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მას ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მომჩივანს აღენიშნება ქრილობები თავის ქალას, მარჯვენა წარბის, მარცხენა ლოყისა და ყურის მიდამოში. ასევე, მას ჰქონდა სისხლჩაქცევები ორივე მაჯაზე. როგორც ანგარიშში იყო აღნიშნული, იგი დავობდა, რომ ორმა პოლიციელმა, რომლებმაც იგი დააკავეს, მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.
4. 2014 წლის 1 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი გაასამართლა სამართალდამცავების კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობისთვის და დააკისრა ჯარიმა 600 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 30 სექტემბერს დაადასტურა.
5. 2014 წლის 2 სექტემბერს, მომჩივანმა, პროკურორთან გასაუბრებისას, გაიმეორა ბრალდებები ორივე პოლიციელის მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე. იმავე დღეს მას, მისივე მოთხოვნით, ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ მას ჰქონდა მრავალი სისხლჩაქცევები, ჰემატომები და დაზიანებები თავსა და სხეულზე. ის ასევე უჩიოდა ტკივილს გულ-

მკერდის მარჯვენა და მარჯვენა მკლავის არეებში, აღნიშნავდა, რომ ის ძლიერდებოდა სუნთქვისა და მოძრაობისას და ორივე წინამხრის დაბუყების გამო. 2014 წლის 10 სექტემბერს, რენტგენოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მისი მუხუთე და მეშვიდე ნეკნები მოტეხილი იყო. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2014 წლის 26 სექტემბერს გამოქვეყნებულ საბოლოო დასკვნაში ნათქვამია, რომ მრავლობითი დაზიანებები გამოწვეული იყო ბლავგი საგნით; ისინი ნაკლებად სერიოზული ხასიათის იყო და შესაძლოა ინციდენტის დღეს მომხდარიყო.

6. 2014 წლის 24 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციის დეპარტამენტმა (შსს), მომჩივნის 2014 წლის 4 სექტემბრის საჩივრის საფუძველზე, საყვედური გამოუცხადა ორივე პოლიციელს, სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის (ორივე თანამშრომლის) მიმართ და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის (გ.ბ.).
7. 2014 წლის 7 ნოემბერს დაიწყო გამოძიება მომჩივნის ბრალდებების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). 2014 წლის 11 ნოემბერს გამოკითხვისას, მომჩივანმა დეტალურად აღწერა მისი დაკავების გარემოებები და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა. მომჩივნის მოთხოვნა სავარაუდო ქმედებების არაადამინანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად გადაკვალიფიცირების შესახებ (სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე ტერცია მუხლი) უარყოფილი იქნა, ისევე როგორც მისი რამდენიმე სხვა საპროცესო მოთხოვნა. 2015 წლის 1 დეკემბერს მომჩივანს ეცნობა 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც მას მსხვერპლის სტატუსი მიენიჭა. მას ასევე აცნობეს, რომ გ.დ.-ს თავში მუშტის დარტყმის გამო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში წაუყენეს ბრალი და თუმცა, ორივე ოფიცრისთვის მის ცემასთან დაკავშირებით ბრალი არ წაუყენებიათ.
8. 2016 წლის 18 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივნისთვის თავში მუშტის დარტყმის ბრალდებით გ.დ. დამნაშავედ ცნო. მას ძირითადი სასჯელის სახით მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით სამსახურებრივი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ერთი წლითა და ექვსი თვით. 2016 წლის 28 დეკემბერს გ.დ-სა და პროკურატურას შორის დადებული საპროცესო შეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა და გ.დ.-ს თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობითი პატიმრობით ხუთი წლის ვადით.
9. 2015 წლის აგვისტოში მომჩივანმა შეიტანა სამოქალაქო სასამართლებრივი სარჩელი შსს-ს წინააღმდეგ, სადაც პოლიციის თანამშრომლები ჩართული იყვნენ როგორც მესამე პირები და მოითხოვა ანაზღაურება არამატერიალური ზიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გამო. 2018 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს ჯანმრთელობის დაზიანება მიადგა ადმინისტრაციული დაკავების დროს და მის სასარგებლოდ მოპასუხეს დააკისრა 2000 ლარი (დაახლოებით, 660 ევრო) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. პოლიციელების მიერ გამოყენებული ძალისა და მომჩივნის მოტეხილ ნეკნებს შორის რაიმე აშკარა კავშირზე დასკვნის გამოტანის გარეშე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგები დაგვიანებული იყო, 2014 წლის 2 სექტემბერს მომჩივანი უკვე უჩიოდა ტკივილს და სუნთქვის გაძნელებას. გარდა ამისა, იგი გულმოდგინედ მოქმედებდა, როდესაც გათავისუფლების შემდეგ პირველივე შესაძლებლობისთანავე მოითხოვა სრული სამედიცინო გამოკ-

ვლევა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შესაბამისად, 2019 წლის 16 აპრილს და 10 სექტემბერს დაადასტურეს.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

10. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცესუალური ნაწილის დარღვევაზე. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი დაუშვებელია, რამდენადაც მომჩივანმა დაკარგა მსხვერპლის სტატუსი ერთ-ერთი პოლიციელის ნასამართლობისა და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გამო. ისინი ასევე, ამტკიცებდნენ, რომ მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული ძალა აუცილებელი და პროპორციული იყო მისი დაპატიმრების მიზნით. მომჩივანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ მის ბრალდებებზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური, ამდენად, ვერ უზრუნველყო საკმარისი კომპენსაცია და არც მინიჭებული ფულადი ზიანი იყო ადეკვატური. ის ასევე, ამტკიცებდა, რომ ორივე პოლიციელმა სცემა, რის შედეგადაც მას მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის, ნეკნების მოტეხილობა აღენიშნებოდა.
11. მაშინაც კი, თუ იგი თანხმდება, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, გ.დ.-ს მსჯავრდებით, აღიარეს, რომ მომჩივანს პოლიცია არასათანადოდ მოექცა, სასამართლომ მაინც უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება საკმარისად ადეკვატური გამოძიების და კომპენსაციის სახით (იხ.: *Gafgen v. Germany* [GC], no. 22978/05, § 116, ECHR 2010). კითხვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მომჩივანს კვლავ დავობდეს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლია მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის გამო, ამ დებულებით მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი საჩივრის არსებით მხარესთან. ამრიგად, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ ეს საკითხი საქმის არსებით მხარეს მიაკუთვნოს.
12. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობით ან დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. ამიტომ ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.
13. შესაბამისი ზოგადი პრინციპები სასამართლოს მიერ შეჯამებულ იქნა საქმეში *Bouyid v. Belgium* ([GC], no. 23380/09, §§ 81-88, 100-01, და 114-23, ECHR 2015; იხ.: ასევე, *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, §§ 151-53 და 182-85, ECHR 2012, და *Mikiashvili v. Georgia*, no. 18996/06, §§69-72, 9 ოქტომბერი 2012; პრეცედენტული სამართლის უახლესი შეჯამებისთვის, რომელიც ეხება ხელისუფლების ვალდებულებას, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება არასათანადო მოპყრობის სერიოზულ ბრალდებებზე იხ.: *X and Others v. Bulgaria* [GC], no. 22457/16, §§184-91, 2 February 2021).
14. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი დავობდა ორივე პოლიციელის მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაკავების დღეს. იმ დროისთვის მას უკვე ჰქონდა რამდენიმე სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა მის ბრალდებებს (იხ.: ზემოთ პარაგრაფები 2-3). შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ (პოლიციაზე პასუხისმგებელი სამინისტრო), პოლიციელებთან გასაუბრების შემდეგ, ორივე მათგანზე გამოსცა საყვედური (იხ.: ზემოთ პარაგრაფი 6). თუმცა, სათანადო სის-

ხლის სამართლის გამოძიება, რომლის შედეგადაც მოხდა ერთი პოლიციელის იდენტიფიცირება და დასჯა მომჩივნისთვის თავში დარტყმის გამო, დაკავებამდე, მხოლოდ ორი თვის დაგვიანების შემდეგ მოხდა. ამას გარდა, დაკავებამდე არსებულ სიტუაციაზე დაკვირვებისას, ვერ იქნა განმარტებული, თუ როგორ გამოიყენეს ძალა მომჩივნის წინააღმდეგ ფაქტობრივი დაკავების დროს და იყო თუ არა ძალის გამოყენება მკაცრად აუცილებელი მოცემულ გარემოებებში (იხ.: *Boris Kostadinov v. Bulgaria*, no. 61701/11, §53, 21 იანვარი 2016, დამატებითი მითითებებით). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი თანმიმდევრული იყო თავის ბრალდებებში, კერძოდ, რომ იგი ორივე პოლიციელმა სცემა ფაქტიური დაკავების დროს. მის ბრალდებებს სამედიცინო მტკიცებულებებიც განამტკიცებდა (ზემოთ იხ. პარაგრაფები 2-3 და 5). მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის მოტეხილი ნეკნებზე რენტგენოლოგიური გამოკვლევები გადაიდო, ის უკვე უჩიოდა ტკივილს და სუნთქვის გაძნელებას 2014 წლის 2 სექტემბერს, ანუ სავარაუდო ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ, რაც ვერ შეამსუბუქებს შესაბამისი ორგანოების პასუხისმგებლობას, ყველა შესაძლო ნაბიჯი გადადგან სიმართლის დასადგენად. არც დისციპლინური გამოძიების და არც ფაქტობრივი სისხლის სამართლის გამოძიების დროს არ იყო დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მომჩივნის მოტეხილობის ნეკნების მიზეზისა და წარმოშობის დასადგენად (იხ.: *Mammadov and Others v. Azerbaijan*, no. 35432/07, §125, 21 თებერვალი 2019; იხ.: ასევე, *Pertaia v. Georgia [Committee]*, 44888/16, §38, 13 იანვარი 2022). მომჩივანმა აღიარა, რომ მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას დაკავებისას. თუმცა, მთავრობა არ დავობს, რომ დაკავებისას მას ნეკნების მოტეხილობა გამართლებული ძალის გამოყენების შედეგად მიაღება. მათ არ განუმარტეს ამ დაზიანების წარმოშობა, გამოძიება კი შემოიფარგლა მომჩივნის დაპატიმრებამდე მიყენებული ერთი დარტყმის გამოკვლევით (შეადარეთ *Shishkin and Others v. Russia [Committee]*, no. 30050/09, §§ 92-97, 1 სექტემბერი 2020; იხ. ასევე *Minin and Others v. Russia [Committee]*, no. 29120/06 და 8 სხვა, § 146, 27 ივლისი 2021; იხ.: ასევე, *Girgvliani v. Georgia*, no. 25091/07, §§ 256 და 266, 26 აპრილი 2011). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიება მისი ვიწრო ფარგლების, გაჭიანურებისა და დროულად ჩაუტარებელი სასამართლო ექსპერტიზის გათვალისწინებით, არ შეიძლება ითქვას, რომ იყო ადეკვატური და საკმარისი.

15. რაც შეეხება მომჩივნის სამოქალაქო სარჩელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიკვლია შესაძლო კავშირი პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებულ ძალასა და მომჩივნის მოტეხილ ნეკნებს შორის და მიანიჭა მას კომპენსაცია (იხ.: ზემოთ პარაგრაფი 9). თუმცა, განზრახ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, მე-3 მუხლის დარღვევა არ შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ დაზარალებულისთვის კომპენსაციის მინიჭებით (იხ.: *Gafgen*, ციტირებულია ზემოთ, §§116 და 119; იხ. ასევე, *Shestopalov v. Russia*, no. 46248/07, §56, 28 მარტი 2017).
16. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიება მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით და მომჩივანს შეუძლია კვლავ განაცხადოს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით წარმოადგენდა მისი უფლებების დარღვევის „მსხვერპლს,“ პოლიციის მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო (იხ.: *Barovovo v. Russia*, no. 9183/09, §§45-46, 15 ივნისი 2021). შესაბამისად, ის უარყოფს მთავრობის პრეტენზიას ამასთან დაკავშირებით. ამ დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო იმის შემონიშნება, იყო თუ არა მომჩივნისთვის მინიჭებული კომპენსაცია ეროვნული სასამართლოების მი-

ერ საკმარისი არასათანადო მოპყრობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის (იხ.: Shishkin and Others, ციტირებულია ზემოთ, §90).

17. სასამართლო ადგენს, რომ შესაბამისად ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მისი მატერიალური და პროცედურული ასპექტებით.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

18. მომჩივანმა მოითხოვა 5 000 ევრო (ევრო) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2 799.13 ფუნტი სტერლინგი და 416 აშშ დოლარი სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.
19. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს უკვე მიენიჭა დაახლოებით, 660 ევრო არამატერიალური ზიანის გამო ეროვნული სასამართლოების მიერ და მისი დამატებითი მოთხოვნა ამ კუთხით გაზვიადებულია. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ მომჩივანმა ვერ აჩვენა, რომ მან რეალურად გაიღო მოთხოვნილი იურიდიული ხარჯები. რაც შეეხება ადმინისტრაციული ხარჯებს - 416 აშშ დოლარს, ისინი აცხადებდნენ, რომ ეს გადაჭარბებული იყო.
20. ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივანისთვის მინიჭებული თანხის გათვალისწინებით, სასამართლო ანიჭებს მომჩივანს 3000 ევროს და დამატებით ნებისმიერი სახის გადასახადის ანაზღაურების უფლებას, რომელიც შეიძლება მას დაეკისროს.
21. მის ხელთ არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მომჩივანს გადაუხადოს 2 800 ევრო, რომელიც ფარავს სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების ხარჯებსა და დანახარჯებს, პლუს ნებისმიერი გადასახადს, რომელიც შეიძლება მას დაეკისროს.

ამ მიზეზთა გამო სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს საჩივარს დასაშვებად;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მისი მატერიალური და პროცედურული კუთხით;
3. ადგენს:
 - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს სამი თვის განმავლობაში შემდეგი თანხები, რომლებიც უნდა დაკონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში, გადახდის თარიღისთვის მოქმედი კურსით:
 - (i) 3000 ევრო (სამი ათასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს, მორალური ზიანის გამო;
 - (ii) 2800 ევრო (ორი ათას ორასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანის ხარჯებისა და დანახარჯების მიმართ;
 - (ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლიდან ანგარიშსწორებამდე ზემოაღნიშნულ თანხებზე გადასახდელი იქნება მარტივი საპროცენტო განაკვეთი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საკრედიტო განაკვეთის ტოლი დეფოლტის პერიოდში, პლუს სამი პროცენტული პუნქტი;
4. უარყოფს მომჩივანის დარჩენილ მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Rusishvili v Georgia

საჩივარი №15269/13

გადაწყვეტილება

30 ივნისი, 2022 წელი

შაქტაბი

მომჩივანი დავით რუსიშვილი არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1992 წელს, რომლის დაკავებაც მოხდა თბილისში (საქართველო). 2011 წლის 17 ოქტომბერს, თბილისის ცენტრში სასიკვდილო სროლის შემდეგ, ბ-ნი რუსიშვილი პოლიციის განყოფილებაში დაკითხვაზე გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც მას განუმარტეს მისი საპროცესო უფლებები, როგორც ჩანს, მან უარი თქვა ადვოკატის დახმარებაზე. ადვოკატი, რომელსაც მისი ოჯახი დაუკავშირდა, პოლიციის განყოფილებაში ცოტა ხნის შემდეგ მივიდა, თუმცა მისი ნახვის უფლება არ მისცეს. ბ-ნმა რუსიშვილმა მკვლელობა რამდენიმე საათის შემდეგ აღიარა. იგი ფორმალურად იყო მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებული.

მეორე დღით, ბ-ნმა რუსიშვილმა მონაწილეობა მიიღო მოვლენების რეკონსტრუქციაში და ვიდეოჩანაწერში, სადაც ის აღიარებდა მკვლელობას, დეტალურად იყო აღწერილი მოვლენები, ხოლო თანამზრახველები დასახელებული. ჩანაწერების მიხედვით, რეკონსტრუქცია მისი თანხმობით ჩატარდა. რეკონსტრუქციის ოქმს სათანადოდ მოაწერა ხელი ბატონმა რუსიშვილმა და გამომძიებლის მიერ მის წარმომადგენლად მონვეულმა ადვოკატმა.

2011 წლის 20 ოქტომბერს, ბ-ნი რუსიშვილს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის. დაკითხვისას, ამჯერად საკუთარი არჩეული ადვოკატის თანდასწრებით – თავი უდანაშაულოდ ცნო და გამოთქვა დუმილის უფლების გამოყენების სურვილი. მეორე დღეს მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ორი თვის შემდეგ, მან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას უჩივლა ადვოკატის ყოფაქცევისთვის, რომელიც გამომძიებლის მიერ ჰყავდა დანიშნული. შემდგომში ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ მან რეკონსტრუქციაში მონაწილეობა ბატონი რუსიშვილის ან მისი ოჯახის თანხმობის გარეშე მიიღო. იგი არ გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს და არ განიხილა მასთან პოტენციური თავდაცვის სტრატეგია. შედეგად, მას ლიცენზია 18 თვით შეუჩერდა. ამასობაში ორ თანამზრახველს, ი.გ-სა და ი.-ს ფორმალურად წაუყენეს ბრალი სხვადასხვა მკვლელობასთან დაკავშირებულ დანაშაულებში. გამომძიებთ დადგინდა, რომ ი.გ.-მ მკვლელობა შვილის სიკვდილის საპასუხოდ მოაწყო.

2012 წლის მაისში გამართულ წინასასამართლო სხდომაზე ბ-ნმა რუსიშვილმა, რომელიც იმ დროისთვის ოთხი ადვოკატის მიერ იყო წარმოდგენილი, თავი უდანაშაულოდ ცნო. ისინი ითხოვდნენ, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება დაუშვებლად ყოფილიყო ცნობილი და ამასთან, დაკავების პირველ საათებში მას არ მიეცა მის მიერ არჩეულ ადვოკატთან შეხვედრის შესაძლებლობა, ხოლო ადვოკატი, რომელიც მას ახლდა დანაშაულის რეკონსტრუქციისას, არც სახაზინო ადვოკატი იყო და არც მისი თანხმობით ყოფილა დანიშნული. მოსამართლემ მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა იგი.

მან ასევე, დაუშვებლად ცნო ორი ექსპერტის დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ

ექვმიტანილებს შორის, რომლებიც ვიდეოჩანანერზე იყვნენ დაფიქსირებული, ბატონი რუსიშვილი არ ფიგურირებდა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი 25 მოწმის სია, რომლებიც პროცესზე უნდა ყოფილიყვნენ გამოძახებული, არ იყო ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ და არ იყო დაფიქსირებული მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცვლის შესახებ არსებულ ჩანაწერებში. თუმცა, რამდენადაც სამი მათგანი დაშვებულ იქნა დაკითხვაზე, როგორც ბრალდების მხარის მოწმეები, მან დაცვის მხარესაც მისცა ნებართვა ჯვარედინი დაკითხვისას კითხვები დაესვა მათთვის, ხოლო მათი წერილობითი განცხადებები დაშვებულ იქნა მტკიცებულების სახით.

ბ-ნ რუსიშვილს აცნობეს, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათიდან გამომდინარე, მას ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ხოლო ნაფიც მსაჯულთა მიერ დანაშაულში დამნაშავედ ცნობილ პირს სამართლის საკითხებზე ასევე, ერთჯერადი გასაჩივრების უფლება. 2012 წლის ივნისში გამართულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე, თავმჯდომარე მოსამართლემ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ წამოყენებული რამდენიმე შუამდგომლობა, მათ შორის ი.გ-სთვის ჩვენების მიცემის შესაძლებლობა, იმის შესახებ, რომ ბატონი რუსიშვილი მკვლელობაში არ მონაწილეობდა და რომ დანაშაულის ადგილზე შედგენილი ერთ-ერთი ვიდეოჩანანერის შესახებ გაკეთებული ექსპერტის დასკვნა შესულიყო საქმეში. სასამართლო პროცესის დროს, ნაფიცმა მსაჯულებმა მოუსმინეს ბრალდების მხარის 19 მოწმეს, გაეცნენ სათვალთვალო კამერის კადრებსა და მედიის ანგარიშებს, მრავალი ექსპერტისა და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებს და საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ათობით საპროცესო დოკუმენტებს. 2012 წლის 15 ივნისს, ნაფიცმა მსაჯულებმა ცხრა ხმა სამის წინააღმდეგ უმრავლესობით, ბატონი რუსიშვილი დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობასა და იარაღის უკანონო ტარებისთვის. მოსამართლემ იხელმძღვანელა ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციების მიხედვით, რომ მას უფრო მკაცრი სასჯელი დაეკისრებოდა და მიუსაჯა 18 წლითა და ორი დღით თავისუფლების აღკვეთა.

2012 წლის ივლისში, ბ-ნმა რუსიშვილმა მსჯავრდება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა სადაც დავობდა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებები მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით იყო უკანონო, რომ მას აკრძალული ჰქონდა მის მიერ არჩეულ ადვოკატთან წვდომა დაკავების პირველივე საათებში და, რომ სახელმწიფოს მიერ მიჩენილი ადვოკატი უკანონოდ იყო დანიშნული. ის ასევე ჩიოდა, რომ მისი მსჯავრი ეფუძნებოდა ნაფიც მსაჯულთა განაჩენს, რომელიც შეიცავდა დასაბუთებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაუშვებლად ცნო მისი საჩივარი.

მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, მომჩივანი დავობდა, რომ მისი მსჯავრი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს ეფუძნებოდა, რომელიც არ შეიცავდა მიზეზებს და მისი სააპელაციო საჩივარი სამართლის საკითხებზე, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი, არ იყო დასაბუთებული. იგი ასევე დავობდა, რომ სახელმწიფოს მიერ მისთვის მიჩენილი ადვოკატის უკანონო დანიშვნით მას არ მიეცა შესაძლებლობა საკუთარი ნებით აერჩია ადვოკატი და მისი სასამართლო პროცესი იმის გათვალისწინებით, თუ როგორც მოხდა მტკიცებულებების ამოღება, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპთა დარღვევით განხორციელდა.

სამართალი

I. საქმის ფარგლები

33. თავის შენიშვნებში, რომელიც წარდგენილ იქნა მთავრობის შენიშვნების პასუ-

ხად, მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, საწყის ეტაპზე, მისი დაკავების საათებში, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ. გარდა ამისა, ის ამტკიცებდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიკერძოებული იყო და ამ კუთხით დაირღვა მისი უფლებები კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-13 მუხლით. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ზემოაღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ წარმოადგინა, რაც მთავრობას გადაეცა შეტყობინება საჩივრის შესახებ. ისინი არ შეიძლება განიხილოს როგორც მომჩივნის მხრიდან პირველი საჩივრის დაზუსტება. შესაბამისად, ისინი სცილდება წინამდებარე საჩივრის ფარგლებს (შეადარეთ, მაგალითად, *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, §§71 და 72, 27 მაისი 2010, დამატებითი მითითებებით).

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების (C) და (D) ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევა.

34. მომჩივანი დავობდა, რომ მისი გამამტყუნებელი განაჩენი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე, რომელიც არ შეიცავდა რაიმე საფუძველს და მის საჩივარს სამართლის საკითხებზე, დაუსაბუთებლად ეთქვა უარი სააპელაციო სასამართლოს მიერ. იგი ასევე აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მიერ მისთვის მიჩენილი ადვოკატის უკანონო დანიშვნით მას არ მიეცა შესაძლებლობა საკუთარი ნებით აერჩია ადვოკატი და მისი სასამართლო პროცესი იმის გათვალისწინებით, თუ როგორც მოხდა მტკიცებულებების ამოღება, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპთა დარღვევით განხორციელდა. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების (C) და (D) პუნქტებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივრები წმინდად მე-6 მუხლის შესაბამისად უნდა იქნეს განხილული, რომელიც რამდენადაც შესაბამისია, იკითხება შემდეგნაირად:

„1. ყოველი ადამიანი... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ალჭურვილია... მისი საქმის სამართლიანი... განხილვის უფლებით... სასამართლოს მიერ.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

(დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მონმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მონმეები, ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში;

ა. დასაშვებობა

35. მთავრობას საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს არანაირი პროტესტი. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი არც აშკარად დაუსაბუთებელია და არც დაუშვებელია კონვენციის 35-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა საფუძვლებით. ამიტომ უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

(ბ) არსებითი მხარე

36. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის მოთ-

ხოვნები განიხილება, როგორც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეული ასპექტები. შესაბამისად, იგი განიხილავს მომჩივნის თითოეულ საჩივარს ამ ორი დებულების შესაბამისად (იხ.: მათ შორის, SCHATSCHASCHWILI V. GERMANY [GC], NO. 9154/10, § 100, ECHR 2015, და IDALOV V. RUSSIA [GC], NO. 5826/03, § 169, 22 მაისი 2012).

1. ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების სავარაუდო შეზღუდვები

(ა) მხარეთა წარდგინებები

37. მომჩივანი დავობდა, რომ მას არ მიეცა კერძო ადვოკატის ნახვის უფლება, რომელიც მისმა ოჯახმა 2011 წლის 18 ოქტომბერს სალამოს 9 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე უზრუნველყო. იგი ამტკიცებდა, რომ ამ დროის განმავლობაში ადვოკატმა რამდენჯერმე დაურეკა გამომძიებელს მომჩივანთან წვდომის უზრუნველყოფის თხოვნით, თუმცა ამოდ. მისი არგუმენტის გასამყარებლად, მან წარადგინა აუდიოჩანაწერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადვოკატსა და გამომძიებელს შორის შედგა სატელეფონო საუბარი. მან განაცხადა, რომ ამ გარემოებებმა განაპირობა მისი თავდაპირველი დაკითხვის დროს დანაშაულის საკუთარ თავზე დაბრალების შესახებ ჩვენების მიცემა. რაც შეეხება ხელახალ საგამომძიებო მოქმედებებს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადვოკატი ხ.ვ.-მ, რომელიც მონაწილეობდა დანაშაულის ადგილის რეკონსტრუქციაში, მისი ან მისი ოჯახის თანხმობის გარეშე იყო დანიშნული. ის არ ყოფილა იურიდიული დახმარების ადვოკატთა ოფიციალურ სიაში. იგი დანიშნა გამომძიებელმა, რომელიც ხელმძღვანელობდა მის სისხლის სამართლის საქმეს, ამგვარად იყო არამართლზომიერი და არღვევდა დაცვის მხარის უფლებებს. მომჩივანმა თავისი არგუმენტის გასამყარებლად მიუთითა სსბ-ს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ხ.ვ.-მ თავისი ქმედებით დაარღვია მომჩივნის დაცვის უფლებები, რის შემდგომაც, მას ადვოკატის ლიცენზია შეჩერებული ჰქონდა თვრამეტი თვით.

38. მთავრობა დავობდა, მომჩივნის 2011 წლის 18 ოქტომბრის დაკითხვის ჩანაწერსა და 2019 წლის 19 ოქტომბრის დაკავების ოქმზე მითითებით, რომ მომჩივანი ჯეროვნად იქნა ინფორმირებული იურდიული დახმარების უფლების შესახებ – უფლება, რომელზეც მან უარი თქვა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ განაცხადა, რომ ადვოკატის დაუსწრებლად დანაშაულის საკუთარ თავზე დაბრალების განცხადება საქმეში, როგორც მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი. ისინი ასევე დავობდნენ, რომ მომჩივანმა ვერ დაამტკიცა, რომ მის კერძო ადვოკატს ნამდვილად ეთქვა მასთან კონტაქტის დამყარებაზე უარი დაკავების საწყის საათებში. რაც შეეხება ხ.ვ.-ს შემდგომ დანიშვნას, მთავრობამ აღნიშნა, რომ იგი დანიშნა 2011 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე.

(ბ) სასამართლოს შეფასება

(I) ზოგადი პრინციპები

39. შესაბამისი ზოგადი პრინციპების ადვოკატის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი, საკუთარი სურვილით არჩეული ადვოკატის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ შეჯამებულია საქმეში IBRAHIM AND OTHERS V. THE UNITED KINGDOM ([GC], NOS. 50541/08 AND 3 OTHERS, §§ 255-74, 13 სექტემბერი 2016) და DVORSKI V. CROATIA ([GC], NO. 25703/11, § 76-82, ECHR 2015) შესაბამისად (შედარებით ახალი მითითებებით იხ.: ასევე, SIMEONOV V. BULGARIA [GC], NO. 21980/04, §§ 112-20, 12 მაისი 2017, და BEUZE

V. BELGIUM [GC], NO. 71409/10, §§ 114-50, 9 ნოემბერი 2018).

(II) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებში

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში მომჩივანი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს 2011 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, სადაც მისი ბინის ჩხრეკის შემდეგ, მოწმის სახით დაკითხეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფორმალურად იყო დაკავებული და ბრალიც მხოლოდ 2011 წლის 19 ოქტომბერს დილის 1:30 წუთზე წარედგინა, ერთი მხრივ, იმ მიზეზების გათვალისწინებით, რომლის გამოც პოლიცია მის სახლში მივიდა და შეეცადა ცხელ კვალზე მტკიცებულების აღმოჩენას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი პოლიციის მიერ განყოფილებაში იქნა გადაყვანილი, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2011 წლის 18 ოქტომბრის საღამოს 8 საათი იყო ის საბოლოო მომენტი, როდესაც მის მიმართ არსებული ეჭვის საფუძველზე, მომჩივანს ხელისუფლების მოქმედებების შედეგად რეალური ზიანი მიადგა (იხ.: SIMEONOV, ციტირებულია ზემოთ, §110; განსხვავებისთვის BANDALETOV V. UKRAINE, NO. 23180/06, §62, 31 ოქტომბერი 2013). შესაბამისად, ეს არის მომენტი, რომელიც აღებული უნდა იქნას როგორც საწყისი წერტილი კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენებისთვის, მათ შორის იურდიული დახმარების მიღების უფლება, რომელიც მე-6 მუხლის მე-3 (C) პარაგრაფითაა გათვალისწინებული (იხ.: და შეადარეთ BRUSCO V. FRANCE, NO. 1466/07, §47, 14 ოქტომბერი 2010; SCHMIDLAFFER V. SWITZERLAND, NO. 41269/08, §§ 29-31, 16 ივნისი 2015; TURBYLEV V. RUSSIA, NO. 4722/09, §94, 6 ოქტომბერი, 2015; TRUTEN V. UKRAINE, NO. 18041/08, §§ 66 და 70, 23 ივნისი, 2016; KRIVOSHEY V. UKRAINE, NO. 7433/05, §§ 78-80, 23 ივნისი 2016; DUBOIS V. FRANCE, NO. 52833/19, §§ 45-46, 28 აპრილი 2022 და WANG V. FRANCE, NO. 83700/17, § 42, 28 აპრილი 2022 [ორივე მათგანი ჯერ დაუსრულებელია]).
41. მთავრობამ განაცხადა, რომ იმ მომენტში მომჩივანმა ცალსახად უარი თქვა იურიდიულ დახმარების უფლებაზე. მომჩივანი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ მას არ მიეცა საშუალება ენახა მისი ოჯახის მიერ დანიშნული კერძო ადვოკატი. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ხელი მოაწერა ორ საპროცესო დოკუმენტს, რომლებიც აცნობდნენ მის უფლებაზე იურიდიული დახმარების შეახებ და მან ორივე დოკუმენტში აღნიშნა, რომ პროცესის ამ ეტაპზე არ მოითხოვდა ადვოკატს. მომჩივანს ამ ხელმოწერების ნამდვილობა სადავო არ გაუხდია. მთავრობის შენიშვნების საპასუხოდ, მან განაცხადა, რომ იგი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა მისი დაკავების საწყის საათებში. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას საკმარისად დეტალურად და დასაბუთებულად არასდროს გაუხმოვანებია ეს ბრალდებები ეროვნული ხელისუფლებისა თუ სასამართლოების წინაშე. მართალია, რომ მომჩივნის თქმით, როდესაც მან ხელი მოაწერა უარს კერძო ადვოკატის ყოლის უფლებაზე, მან არ იცოდა, რომ ოჯახის მიერ უზრუნველყოფილი ადვოკატი მზად იყო საქმეში ჩარეულიყო. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ფაილებში არსებული *PRIMA FACIE* მტკიცებულება ადასტურებს მომჩივნის ბრალდებებს. ასეთი გარემოებების გათვალისწინებით, სრულად ნათელი არაა, გააკეთა თუ არა მომჩივანმა ინფორმირებული არჩევანი, როდესაც უარი თქვა იურისტის დახმარებაზე. (იხ.: Dvorski, რომლის მიმართაც სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანმა ფორმალურად აირჩია ერთი ადვოკატი, რომელიც წარმოადგენდა მას პოლიციის დაკითხვის დროს, ეს არჩევანი არ იყო ინფორმირებული, რადგან მომჩივანმა არ იცოდა იმის შესახებ, რომ მეორე ადვოკატი, რომელიც მისმა

ოჯახმა აიყვანა, მივიდა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა არ მიეცა მისი ნახვის უფლება). ამავდროულად, სასამართლოს არ აქვს ეროვნული სასამართლოების მიერ შემოაღნიშნული ბრალდების შეფასების შესაძლებლობა, რადგან ის სასამართლოებს არასოდეს განუხილავთ (ზემოთ იხ. პარაგრაფები 14 და 20). ნებისმიერ შემთხვევაში, მისი უპირველესი საზრუნავი, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, საჩივრის განხილვისას, არის სისხლის სამართლის პროცესის საერთო სამართლიანობის შეფასება (იხ.: BEUZE, ციტირებულია ზემოთ, §120, დამატებითი მითითებებით). საერთო სამართლიანობის შეფასებისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ თავდაპირველი თვითინკრინინაციული ჩვენება, რომელიც მომჩივანმა მისცა ადვოკატის არყოფნისას (იხ.: ზემოთ პუნქტი 6) არ იყო წარმოდგენილი როგორც მის სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულება და არ იყო წარდგენილი ნაფიც მსაჯულთა წინაშე (იხ.: ზემოთ პარაგრაფი 14).

42. რაც შეეხება 2011 წლის 19 ოქტომბრის ხელახალ საგამოძიებო მოქმედებას, მთავრობამ გამოძიების ხელახალი მოქმედების ჩატარებისას ვერ მოჰფინა შუქი ხ.ვ.-ის როგორც მომჩივნის ადვოკატად დანიშვნის ფაქტებს. საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად, მთავრობის მიერ წარდგენილი შესაბამისი მინდობილობის ასლი არ არის ხელმოწერილი მომჩივნის მიერ. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ხ.ვ. გამოძიებლის მიერ დაინიშნა იურდიული დახმარებისთვის, დადგენილი პროცედურული სტანდარტების გვერდის ავლით. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კომისიამ დაასკვნა, რომ იგი დანიშნული იყო მომჩივნის თანხმობის გარეშე და არ წარმოადგენდა მის ინტერესებს და მის მონაწილეობას საგამოძიებო მოქმედებებში უბრალოდ „ფორმალური“ მნიშვნელობა ჰქონდა (იხ.: ზემოთ პარაგრაფი 12). ამ ფონზე და *PRIMA FACIE* მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც მისი ოჯახის მიერ დაქირავებული კერძო ადვოკატს მომჩივნის ნახვის საშუალება არ მისცეს (იხ.: პარაგრაფები 8 და 37 ზემოთ), სასამართლო ადგენს, რომ ხ.ვ.-ს დანიშვნამ გამოიწვია მომჩივნის ადვოკატის არჩევის უფლების შეზღუდვა. მთავრობას არ უდავია, იმის შესახებ არსებობდა თუ არა რაიმე მიზეზი რაც გაამართლებდა ამ შეზღუდვას სამართალწარმოების იმ ეტაპზე. ამგვარად, „მნიშვნელოვანი და საკმარისი“ საფუძვლის არარსებობა, რომელიც გადანონიდა მომჩივნის სურვილს იურდიულ წარმომადგენლობაზე თავად მიელო გადანყვეტილება, სასამართლომ უნდა გააგრძელოს იმ ეფექტის შეფასება რომელიც მას ჰქონდა სისხლის სამართლის სამართალწარმოების საერთო სამართლიანობაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც DVORSKI-ის საქმეშია დადგენილი (ციტირებულია ზემოთ, პარაგრაფები 81-82 და 111).
43. იგი იწყება იმაზე მითითებით, რომ როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდან ჩანს, თავმჯდომარე მოსამართლემ უარი თქვა ნაფიც მსაჯულებისთვის სსსკ-ის 247-ე მუხლის საფუძველზე გამოძიების ხელახალი დანყების შესახებ დასკვნის წარდგენაზე, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს არ შეუძლია ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულის თანხმობის გარეშე გაუმყლავნოს წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოპოვებული მტკიცებულება, თუ ის შეიცავს დაცვის მხარის გაკეთებულ თვითინკრინინაციის განცხადებას (შესაბამისი დებულება იხ.: 28-ე პარაგრაფში). ამდენად, როგორც ჩანს, არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს (იხ.: პარაგრაფი 14) და არც თავმჯდომარეს არ გაუკეთებიათ რაიმე სახის შეფასება მომჩივნის მიერ გაცხადებული ბრალდებების შესახებ, რომ დაირღვა მისი უფლება საკუთარი ნებით არჩეული ადვოკატის ხელმისაწვდომობის შესახებ და არც ერთ მათგანს არ შეუსწავლია ის გავლენა, რომელიც შესაძლოა ამას ჰქონოდა პროცესის საერთო სამართლიანობაზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სასა-

მართლობის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ სამართალწარმოების არსებითად მნიშვნელოვან ეტაპზე ადვოკატის არყოფნით გამოწვეული შედეგების საჭირო ანალიზში (იხ.: BEUZE, ციტირებულია ზემოთ, §174; იხ.: ასევე, DVORSKI, ციტირებულია ზემოთ, §§109-110). იგი მხედველობაში მიიღებს, რომ ვერ მოხერხდა მომჩივნის საჩივრის შემოწმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით (ქვემოთ იხ.: პარაგრაფები 76-80).

44. რაც შეეხება წინამდებარე საჩივარს და საკითხს, ჰქონდა თუ არა შეზღუდვას მომჩივნის მიერ ადვოკატის ინფორმირებული არჩევანის გამოყენების უფლებაზე უარყოფითი გავლენა პროცესის სამართლიანობაზე მთლიანობაში, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ხელახალი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დასკვნა არ იყო გამოყენებული მომჩივნის მსჯავრდებისთვის, მისი საერთო შეფასებისას.

სასამართლო პროცესის სამართლიანობის შესახებ სასამართლო ხელმძღვანელობს იმ კრიტერიუმებით, რომლებიც მითითებულია საქმეში IBRAHIM AND OTHERS (ციტირებულია ზემოთ, §274; იხ.: ასევე, BEUZE, ციტირებულია ზემოთ, §150). მომჩივანი წინამდებარე საქმეში არ იყო განსაკუთრებულად მოწყვლადი, მაგალითად, მისი ასაკის ან გონებრივი შესაძლებლობების გამო; მისივე არჩეული ადვოკატის არყოფნისას მოპოვებული მტკიცებულებები არ იყო წარდგენილი ნაფიც მსაჯულთა წინაშე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ 2011 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით (როდესაც მას ოფიციალური ბრალი წაუყენეს) და წინასასამართლო და ფაქტობრივი სასამართლო პროცესის განმავლობაში, მომჩივანი იყო წარმოდგენილი თავდაპირველად ორი, შემდეგ კი მის მიერ არჩეული ოთხი ადვოკატის მიერ. მათ ჰქონდათ სრული და დაუბრკოლებელი წვდომა ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე, რაც მათ ეფექტურად გაასაჩივრეს სასამართლოში. მომჩივანმა უარყო თავისი თავდაპირველი განცხადება, წარმოადგინა მოვლენების განსხვავებული ვერსია და მისმა ადვოკატებმა მოიპოვეს და წარადგინეს გამამართლებელი მტკიცებულებები.

45. შესაბამისად, მთლიანი სამართალწარმოების განვითარების მხედველობაში მიღებით, სასამართლო ადგენს, სისხლის სამართალწარმოების საერთო სამართლიანობას, მომჩივნის დაკავების პირველ საათებში მის მიერ არჩეული ადვოკატის არარსებობა, შეუქცევად ზიანს არ აყენებდა მას.
46. შესაბამისად არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1 და 3 (C) პარაგრაფები.

2. სავარაუდო უკანონო და თვითნებური უარი დაცვის მტკიცებულებების მიღებაზე

(ა) მხარეთა წარდგინებები

47. მომჩივანი დავობდა, რომ წინასასამართლო სხდომის დროს სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის გადაწყვეტილება, რომ მოწმეთა სია არ დაეშვა პროცესზე, იყო უკანონო. ამასთან დაკავშირებით, იგი აცხადებდა, რომ სია სათანადოდ იყო გავლილი პროკურორთან, სსსკ-ის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის) 83-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. მან ასევე, დაგმო მოსამართლის უარი ი.გ-ის დაკითხვასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ დაცვის მოწმეების არყოფნის შემთხვევაში მას ჩამოერთვა უდანაშაულობის დამტკიცების შესაძლებლობა. გარდა ამისა, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ექსპერტთა ჩვენებები უკანონოდ იქნა უარყოფილი.

48. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია ბრალდების მხარის დაცვის მოწმეების სია, მათ შორის ექსპერტების დასკვნები, რითაც დაირღვა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა. მათ განაცხადეს, რომ მოსამართლის მსჯელობა მის გადანყვეტილებაში სიის დაუშვებლად ცნობის შესახებ, ადვოკატების არგუმენტების საპასუხოდ, დეტალური და ამომწურავი იყო. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ოცდაოთხი მოწმედან ექვსი დაკითხული იყო სასამართლოში და რომ დაცვის მხარემ ისინი ჯვარედინად დაკითხა. რაც შეეხება ი.გ-ს, მთავრობამ მოიხსენია სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის დასკვნა სსსკ-ს 239-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც შესაბამისი მოთხოვნის დაყოვნების დასაბუთების აუცილებლობა.

(ბ) სასამართლოს შეფასება

49. შესაბამისი დასკვნები შეჯამებულია საქმეებში *Murtazaliyeva v. Russia* ([GC], no. 36658/05, §§ 139, 144-49 და 158-68, 18 December 2018; ასევე, იხ.: *Kikabidze v. Georgia*, no. 57642/12, §§ 51-55, 16 November 2021).

50. წინამდებარე საქმეში მომჩივნის განცხადება დაცვის მხარის სახელით გამოსაცხადებელი მოწმეების სიის მტკიცებულებად დაშვების თაობაზე, პროცედურული საფუძვლებით არ დაკმაყოფილდა. წინასასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ დაასკვნა, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 პუნქტის მითითებით, სია არ იყო გაზიარებული პროკურატურასთან წინასასამართლო სხდომაზე ხუთი დღით ადრე (იხ. იქვე). მოსამართლის დასკვნებისა და მის ხელთ არსებული შესაბამისი მასალის გათვალისწინებით, ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მოსამართლის ზემოაღნიშნული გადანყვეტილება თავისთავად თვითნებური იყო (შედარებისთვის იხ. *Kikabidze*, §56, ციტირებული ზემოთ, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადებინა საკუთარი დაცვა, რის შედეგადაც მან დროულად ვერ წარმოადგინა მოწმეთა სია). ამასთან დაკავშირებით, ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ შესაბამის დროს სსსკ, კერძოდ, 84-ე მუხლი ითვალისწინებდა დაგვიანებული მტკიცებულებების დაშვების შესაძლებლობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დაცვის მხარის განხორციელებისათვის, მაშინაც კი, თუ ინფორმაცია ამ მტკიცებულებების შესახებ არ იყო მიმოცვლილი პროკურატურასა და სასამართლოს შორის, სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის შესაბამისად (იხ.: *Kikabidze*, ციტირებული ზემოთ, §§58-59). თუმცა, მომჩივანმა არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით (შედარებისთვის იქვე). დაცვის მხარის გუნდის მხრიდან ასეთი უმოქმედობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპების ბუნებიდან გამომდინარე, ბოლომდე ცხადი არ იყო, პროცედურული თვალსაზრისით, შეეძლო თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს გაეუქმებინა წინასასამართლო სხდომის თავმჯდომარის გადანყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით.

51. რაც შეეხება ი.გ-ს ელექტრონული ფორმით დაკითხვაზე უარს, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მკაცრია, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის შესაბამისი საპროცესო წესის ინტერპრეტაცია არ შეიძლება ითქვას, რომ თვითნებური იყო. სსსკ-ის 239-ე მუხლი ცალსახად ავალდებულებდა შესაბამის მხარეს განემარტა თავისი მიზეზები ასეთი მტკიცებულებების ადრე არწარმოდგენის შესახებ, მაგრამ დაცვის მხარემ ეს ვერ გააკეთა.

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 (დ) პუნქტები.

3. ნაფიც მსაჯულთა განაჩენში დასაბუთების არარსებობა

(ა) მხარეთა წარდგინებები

53. მომჩივანი დავობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა განაჩენში რაიმე დასაბუთების არარსებობის გამო, მას არ შეეძლო გაეგო, რატომ ცნეს ნაფიც მსაჯულებმა იგი დამნაშავედ.

54. მთავრობამ განაცხადა, Taxquet-ის საქმეში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე საქმეში ნაფიც მსაჯულთა განაჩენში დასაბუთების არარსებობა დაბალანსებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფდნენ მომჩივნის სასამართლო საქმისწარმოების სასამართლიანობას. მათ აღნიშვნა დაიწყო 2021 წლის 24 მაისს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაწყებამდე, დაცვისა და ბრალდების მხარეებს გადაეცათ თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულებისთვის მომზადებული ინსტრუქციების ასლი, სსკ-ის 231-ე მუხლის შესაბამისად. ინსტრუქციები, შესაბამისი სასამართლო ოქმის მიხედვით, მოიცავდა განმარტებებს სსკ-ის 109-ე და 236-ე მუხლებში ჩამოთვლილი დანაშაულების იურიდიულ ხასიათთან დაკავშირებით. მხარეებს 2012 წლის 27 მაისამდე მიეცათ ვადა კომენტარის გასაკეთებლად ან ინსტრუქციებში რაიმე ცვლილების მოთხოვნისათვის; მათ არ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. შესაბამისად, 2012 წლის 4 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველ სხდომაზე, ნაფიც მსაჯულებს ზეპირად მიეწოდათ ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, ზემოაღნიშნული ინსტრუქციების შესაბამისად.

55. სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს ასევე, წაუკითხა საბრალდებო დასკვნა, განმარტა ბრალდებები და მათი სამართლებრივი საფუძველი. ნაფიც მსაჯულებს ასევე, მიეცათ ინსტრუქტაჟი მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი პროცედურისა და მიდგომის შესახებ, მათ შორის იმისა, რომ განაჩენი არ შეიძლება დაფუძნებულიყო ვარაუდებზე ან დაუშვებელ მტკიცებულებებზე.

56. მთავრობამ ასევე, მიუთითა ინსტრუქციებზე, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს მიეცათ, ვიდრე განაჩენის გამოსატანად გავიდოდნენ. მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ დაცვის მხარეს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია ამ მითითებების შინაარსთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა დამაბალანსებელ ფაქტორებს, ისინი ასევე მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ მომჩივანს წარმოადგენდა მის მიერ არჩეული ოთხი ადვოკატი; რომ ცხრამეტი მოწმე იყო დაკითხული სასამართლო პროცესის დროს და დაცვის მხარეს ჰქონდა ყველა მათგანის ჯვარედინი დაკითხვის დაუბრკოლებელი შესაძლებლობა; რომ ამ მოწმეების ჩვენებები, საქმის სხვა მტკიცებულებებთან ერთად, საკმარისზე მეტი იყო მომჩივნის დანაშაულის დასამტკიცებლად; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჩატარდა მხოლოდ მომჩივანთან მიმართებით და რომ სასამართლო პროცესი ორ კვირაზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა; ნაფიც მსაჯულებს უნდა ეპასუხათ მხოლოდ ერთ კითხვაზე თითოეულ ბრალდებასთან დაკავშირებით – დამნაშავე იყო თუ უდანაშაულო.

57. მათი არგუმენტების მხარდასაჭერად, მთავრობამ წარმოადგინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის ჩანაწერის ასლი; იგი შედგებოდა 257 გვერდისგან და

დეტალურად იყო აღწერილი მთლიანად სამართალწარმოება, ნაფიც მსაჯულე-ბისთვის მიცემული მითითებები და მოწმეთა ჩვენებები.

(ბ) სასამართლოს შეფასება

(i) ზოგადი პრინციპები

58. კონვენცია არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულეებს თავიანთი გადაწყვეტილების დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ გამორიცხავს ბრალდებულის გასამართლებას ნაფიც მსაჯულთა მიერ მიშინაც კი, როდესაც არ არის მოტანილი განაჩენის საფუძვლები (იხ.: *Taxquet v. Belgium* [GC], no. 926/05, § 90, ECHR 2010). განაჩენში დასაბუთების არარსებობა, იმის გამო, რომ მომჩივნის დანაშაული დადგინდა ნაფიც მსაჯულეების მიერ, თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციას (იხ.: *Lhermitte v. Belgium* [GC], no. 34238/09, § 66, 29 November 2016).
59. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და საზოგადოებას, უნდა შეეძლოს გაიგოს მიღებული განაჩენი; ეს არის სასიცოცხლო გარანტია თვითნებობის საწინააღმდეგოდ. როგორც ევროპული სასამართლო ხშირად აღნიშნავს, კანონის უზენაესობა და თვითნებური უფლებამოსილების თავიდან აცილება არის პრინციპები, რომლებიც ემყარება კონვენციას (იხ.: *Taxquet*, ციტირებული ზემოთ, § 90). სასამართლო სფეროში, ეს პრინციპები ემსახურება საზოგადოების ნდობას ობიექტური და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს (იხ.: *Suominen v. Finland*, no. 37801/97, § 37, 1 July 2003; *Tatishvili v. Russia*, no. 1509/02, § 58, ECHR 2007-I; *Taxquet*, ციტირებული ზემოთ; და *Lhermitte*, ციტირებული ზემოთ, §67).
60. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ასიზების სასამართლოს დროს, სადაც მონაწილეობენ ნაფიც მსაჯულეები, ნებისმიერი სპეციალური პროცედურული მახასიათებელი უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ნაფიც მსაჯულეებს როგორც წესი, არ მოეთხოვებათ ან არ ეძლევათ უფლება წარმოადგინონ დასაბუთება პირად მოსაზრებებზე (იხ.: *Taxquet*, ციტირებული ზემოთ, §92). ასეთ გარემოებებში, მე-6 მუხლი მოითხოვს იმის შეფასებას არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები თვითნებობის რისკის თავიდან ასაცილებლად და ბრალდებულის შესაძლებლობას, გაიგოს მისი მსჯავრდების საფუძვლები. ასეთი პროცედურული გარანტიები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულეებისთვის წარმოშობილ სამართლებრივ საკითხებზე ან მოცემულ მტკიცებულებებზე მითითებებს და მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმულ ზუსტ, ცალსახა კითხვებს, რომლებიც ქმნიან ვერდიქტის ჩარჩოს და საკმარისად აკომპენსირებს იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა დასკვნაზე არ იქნა წარმოდგენილი დასაბუთება. დაბოლოს, გასათვალისწინებელია ბრალდებულისათვის გასაჩივრების ნებისმიერი საშუალება (იხ.: *Lhermitte*, ციტირებული ზემოთ, §68, სხვა მითითებებთან ერთად).
61. იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს მთლიანი პროცესის საფუძველზე და შესაბამისი სამართლებრივი სისტემის კონკრეტულ კონტექსტში, ევროპული სასამართლოს ამოცანაა დასაბუთებული ვერდიქტის არარსებობის განხილვისას დაადგინოს, საქმის ყველა გარემოების ფონზე სამართალწარმოებამ უზრუნველყო თუ არა საკმარისი გარანტიები თვითნებობის თავიდან ასაცილებლად და მისცა თუ არა ბრალდებულს შესაძლებლობა, გაეგო თუ რატომ ცნეს იგი დამნაშავედ (იხ.: *Taxquet*,

ციტირებული ზემოთ, §93).

62. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბრალდებო დასკვნის და ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვების კომბინირებული განხილვით, შესაძლებელი უნდა იყოს იმის გარკვევა, საბოლოოდ თუ რომელმა მტკიცებულებამ და ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალდებულთან დაკავშირებულ კითხვებზე დადებითი პასუხის გაცემა, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო: თანაბრადებულთა განსხვავება; იმის გაგება, თუ რატომ იქნა წარმოდგენილი ერთი კონკრეტული ბრალდება და არა მეორე; იმის დადგენა, თუ რატომ დაასკვნეს ნაფიც მსაჯულებმა, რომ ზოგიერთ თანაბრადებულს ეკისრებოდა ნაკლები პასუხისმგებლობა და შესაბამისად, დაეკისრათ ნაკლები სასჯელი; და გაერკვიათ თუ რატომ იქნა გათვალისწინებული დამამძიმებელი ფაქტორები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვები უნდა იყოს ზუსტი და თითოეული პირისკენ მიმართული (იხ.: Lhermitte, ციტირებული ზემოთ, §§ 69-72, სხვა მითითებებთან ერთად).

(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

63. ისევე როგორც ყველა ბრალდებულს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმისწარმოება მკვლევლობის ბრალდებით, წინამდებარე საქმეში მომჩივანსაც მიენოდა დეტალური ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობისა და შედეგების შესახებ, მათ შორის, განაჩენის ხასიათი და სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა. ამ გადმოსახედიდან, წინამდებარე საქმე განსხვავდება სხვა შესაძარებელი საქმეებისგან, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ განიხილა სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორცაა მაგალითად, საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია და იტალია, სადაც ბრალდებულების გადასაწყვეტი არ იყო, ჩატარებულიყო თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლო თვლის, რომ მომჩივნის გადწყვეტილება, რომ არჩევანი გაკეთებული იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, არ შეიძლება გაგებული იყოს როგორც მომჩივნის უარის თქმა უფლებაზე, რომ გაიგოს რატომ ცნეს იგი დამნაშავეს, რადგან ეს წარმოადგენს სასიცოცხლო გარანტიას თვითნებობისგან (იხ.: შესაბამისი ზოგადი პრინციპები პარაგრაფებში 59-61 ზემოთ; ასევე, იხ.: *mutatis mutandis*, *Maestri and Others v. Italy*, nos. 20903/15 and 3 others, §§ 56-58, 8 July, 2021, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლებაზე უარის თქმა არ შეიძლება თავისთავად გულისხმობდეს საქმის განხილვის უფლებაზე უარის თქმას). როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულს და საერთოდ საზოგადოებას უნდა შეეძლოს გაიგოს გამოტანილი ვერდიქტი (იქვე). ზემოაღნიშნულს, ევროპული სასამართლო მიჰყავს შემდეგ საკითხამდე.

64. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, (იხ.: *Twomey, Cameron and Guthrie v. the United Kingdom (dec.)*, nos. 67318/09 and 22226/12, § 30, 28 May 2013). გარდა ამისა, კონვენცია არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს თავიანთი გადაწყვეტილებების დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ გამოიწვევს ბრალდებულის გასამართლებას ნაფიც მსაჯულთა მიერ, მაშინაც კი, როდესაც განაჩენი საფუძვლები არ არის მოტანილი (იხ.: *Saric v. Denmark (dec.)*, no. 31913/96, 2 February 1999, და *Taxquet*, ციტირებული ზემოთ, §89). საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა ბრალდებულებს კანონით გათვალის-

წინებულ გარემოებებში სთავაზობს არჩევანს, სურს თუ არა მის საქმეზე იმსჯელონ ნაფიცმა მსაჯულებმა თუ პროფესიონალმა მოსამართლემ. ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი არჩევანის შესაძლებლობა წარმოადგენს პროცედურულ გარანტიას, რომელიც საფუძვლად უდევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთელ სისტემას საქართველოში.

65. საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სისტემის კონკრეტულ მახასიათებლებთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება სრულად წაიკითხა თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის გახსნით ნაწილში; შემდგომში, ყველა მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება, შეჯიბრებითი კამათის ნაწილი იყო და თითოეული მტკიცებულება განიხილებოდა დაცვის მხარის თანდასწრებითა და მონაწილეობით. ნაფიცი მსაჯულები ზეპირი მოსმენის დასრულებისთანავე გავიდნენ სათათბიროდ, საქმის მასალებზე წვდომის გარეშე. შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლო პროცესზე მხარეების მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებებზე იქნებოდა დამყარებული.
66. ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობა, Taxquet-ის საქმის ციტირებით, ეყრდნობოდა საბრალდებო დასკვნას, რომელიც მათი თქმით, დეტალიზირებული იყო და რომელიც ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმულ კითხვებთან ერთად, ხელს უწყობდა მომჩივნისთვის თავისი განაჩენის გაგებას. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში არ არსებობს საბრალდებო დასკვნის ზუსტი ეკვივალენტი, რადგან არ არსებობს გამოძიების დეტალურად შეჯამებული პროცედურული დოკუმენტი, რომელიც შემდეგ წაიკითხება ნაფიც მსაჯულთა წინაშე (შედარებისთვის იხ.: Lhermitte, ციტირებული ზემოთ, § 77; იხ.: ასევე, Taxquet, ციტირებული ზემოთ, § 95, და Magy v. Belgium, no. 43137/09, § 38, 24 February 2015). ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა Lhermitte-ის საქმეში, მე-6 მუხლის დებულებები მოითხოვს არა იმ მიზეზების გააზრებას, რამაც აიძულა საგამოძიებო ორგანოები გაეგზავნათ საქმე სასამართლო წარმოებისთვის, არამედ იმ მიზეზების, რომლებმაც დაარწმუნეს ნაფიც მსაჯულთა წევრები სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ, მიეღოთ გადაწყვეტილება ბრალთან დაკავშირებით (იხ.: Lhermitte, ციტირებული ზემოთ, §77; იხ.: ასევე, Agnelet v. France, no. 61198/08, §§ 65-66, 10 January 2013).
67. რაც შეეხება მითითებებს, ნაფიც მსაჯულებს იგი ორჯერ მიეცა – სასამართლოს გახსნით ნაწილში და სათათბირო ოთახში გასვლამდე. მათ ინსტრუქციები მიეცათ არა მხოლოდ ზეპირად, არამედ წერილობითაც. ორივე შემთხვევაში, სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაცვის მხარე ესწრებოდა იმისათვის, რომ მოეთხოვათ ინსტრუქციებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა, მაგრამ მათ ამ შესაძლებლობით არ უსარგებლიათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმავე დებულების თანახმად, „თუ მხარეები ვერ ისარგებლებენ ამ უფლებით ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, მათ საშუალება არ მიეცემათ გამოთქვან პრეტენზია ინსტრუქციათა სამართლიანობაზე და კანონიერებაზე, ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.“ ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურული გარანტია ხელმისაწვდომი იყო მომჩივნისთვის, მან შეგნებულად არ ისარგებლა ამით. იმავე შენიშვნაში, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესის დასაწყისში მითითებების მიცემა ნაფიც მსაჯულებს საშუალებას აძლევდა გაეგოთ სასამართლო პროცესის სტრუქტურა; მაშინ, როდესაც სასამართლო პროცესის ბოლოს მითითებები უზრუნველყოფდა, რომ ნაფიც

მსაჯულები დარჩენილიყვენ ფოკუსირებული თავიანთ საქმეზე და სასამართლო-ში მოსმენილ მტკიცებულებებზე.

68. რაც შეეხება კითხვებს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი იყო ერთადერთი ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში და მას ბრალი ედებოდა ოთხ კონკრეტულ დანაშაულზე (იხ.: *Legillon v. France*, no. 53406/10, § 60, 10 January 2013; შედარებისთვის *Taxquet*, ციტირებული ზემოთ, სადაც მომჩივანი გამოცხადდა ასიზების სასამართლოზე შვიდ თანაბრალდებულთან ერთად; ასევე, შედარებისთვის იხ.: *Ramda v. France*, no. 78477/11, 19 December 2017, რომელიც ეხებოდა მომჩივნის მსჯავრდებას სამ ცალკეულ ტერორისტულ შეტევაზე). მომჩივანს არ ნამოუყენებია რაიმე „თავდაცვითი“ არგუმენტი; მისი ძირითადი მსჯელობა იყო უბრალოდ ფაქტობრივი – რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. მაშინ, როცა კითხვები ზოგადად იყო ჩამოყალიბებული, იყო კონკრეტული კითხვებიც დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით (შედარებისთვის, *Goktepe v. Belgique* (dec.), no. 50372/99, § 28, 2 June 2005).
69. გასარკვევია, იყო თუ არა ბრალდებულებისთვის გასაჩივრების გზები (იხ.: *Taxquet*, ციტირებული ზემოთ, §92 და 98). სტრასბურგის სასამართლო ამასთან დაკავშირებით იმეორებს, რომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაფიც მსაჯულთა იმ განაჩენების გასაჩივრების გზებს, რომლებიც არ არის დასაბუთებული (იქვე. §92 და 99; იხ.: ასევე *Lhermitte*, ციტირებული ზემოთ, § 68).
70. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა განაჩენი ნინამდებარე საქმეში არ ექვემდებარებოდა სტანდარტულ გასაჩივრებას (შედარებისთვის იხ.: *Agnelet*, ციტირებული ზემოთ, §63), ვინაიდან მომჩივანი დანაშაუვად იქნა ცნობილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, მან შეიტანა სააპელაციო საჩივარი სსსკ-ის 266-ე მუხლის საფუძველზე. ამ ტიპის გასაჩივრება, რომელიც გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გამოტანილ ვერდიქტთან მიმართებაში, როგორც სასამართლომ უკვე განიხილა საქმეში *Kikabidze*, განსხვავდება სტანდარტული საკასაციო პროცედურისგან და შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა, თუ დადგინდება, რომ სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 (ა)-(ე) პუნქტებში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძველი არსებობს (იხ.: იქვე, § 63). სსსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო სარგებლობს განხილვის ფართო უფლებამოსილებით და შეუძლია გააუქმეს ნებისმიერი ნასამართლეობა, თუ *inter alia*, იგი დაადგენს, რომ სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ ან დაუშვა არსებითი შეცდომა ნაფიც მსაჯულთათვის ინსტრუქციის მიცემისას ან თუ სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე მოქმედებდა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით (იხ.: და შეადარეთ *Shala*, §36). საკუთარ გადაწყვეტილებაში *Taxquet v. Belgium*, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულთა დასაბუთების არარსებობა შეიძლება დაბალანსებული იყოს, სხვებთან ერთად, გასაჩივრების ხელმისაწვდომობით. სსსკ-ის 266-ე მუხლით გათვალისწინებული განხილვის ბუნებისა და ფარგლების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ეთანხმება, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლებებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაცვის საშუალებები ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ნებისმიერი არასათანადო განაჩენზე. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სავარაუდო დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე, იგი წარმოადგენს მომჩივნის ცალკე საჩივარს და შესაბამისად, ცალკე სასამართლომ განიხილა (იხ.: პარაგრაფები 76-80 ქვემოთ).

71. დასკვნის სახით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მოცემული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ მომჩივანს არჩევანის გაკეთების უფლება ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა ან პროფესიონალ მოსამართლეს შორის, კონკრეტულ პროცედურულ გარანტიებთან ერთად, რაც მას აძლევდა მთელი პროცესის განმავლობაში, საკმარისი იყო ნაფიც მსაჯულთა განაჩენის არარსებობის დასაბალანსებლად. აქედან გამომდინარეობს, რომ არ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ნაფიც მსაჯულთა განაჩენში დასაბუთების არარსებობის გამო.

4. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მომჩივნის საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

(ა) მხარეთა წარდგინებები

72. მომჩივანი აგრძელებდა საჩივარს მის მიერ არჩეულ ადვოკატთან ნედომის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და მტკიცებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი სერიოზული პროცედურული დარღვევებით მიმდინარეობდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი საჩივრის დაუკმაყოფილების შესახებ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, იყო თვითნებური.

73. მთავრობამ საპასუხოდ განაცხადა, რომ მომჩივნის საჩივარი არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 266-ე და 303-ე მუხლებით გათვალისწინებულ დასაშვებობის კრიტერიუმებს და შესაბამისად, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

(ბ) სასამართლოს შეფასება

(i) ზოგადი პრინციპები

74. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენების წესი გასაჩივრების შემდეგ სამართალწარმოებაზე დამოკიდებულია პროცესის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საპროცესო სისტემა მთლიანობაში, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში და კონკრეტული სასამართლოს როლი მასში (იხ.: *inter alia*, *Botten v. Norway*, 19 February 1996, §39, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-I, და *Lazu v. the Republic of Moldova*, no. 46182/08, § 33, 5 July 2016).

75. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ავალდებულებს სასამართლოებს დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები, ეს არ შეიძლება იქნას გაგებულნი, როგორც ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის მოთხოვნა. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს საჩივრის უარყოფისას, პრინციპი, შეუძლია უბრალოდ დაამტკიცოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლები (იხ.: *García Ruiz v. Spain [GC]*, no. 30544/96, § 26, ECHR 1999 I; *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, § 30, 27 September 2001; და *Stepanyan v. Armenia*, no. 45081/04, §35, 27 October 2009).

(ii) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

76. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კონტექსტში გასაჩივრების გზების არსებობას (იხ.: ზემოთ ციტირებული საქმეები *Taxquet*, §§ 92 and 99, and *Lhermitte*, §68). ნაფიც მსაჯულთა განაჩენებში დასაბუთების არარსებობის გათვალისწინებით, იგი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს როლი გადამწყვე-

ტია, რადგან მასზეა დამოკიდებული გამოიკვლიოს, ფუნქციონირებდა თუ არა სხვადასხვა პროცედურული გარანტიები ეფექტურად და სწორად და მოჰყვა თუ არა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს-თვის გადაცემას, უსამართლობა (მაგ., *C.G. v. the United Kingdom*, no. 43373/98, § 36, 19 December 2001; *Ahmed v. the United Kingdom (dec.)*, no. 57645/14, § 61, 6 September 2016; and *Rogers v. the United Kingdom (dec.) [Committee]*, no.42425/19, § 29, 15 September 2020).

77. გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kikabidze აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოვალეობა, რომ დეტალურად დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, როდესაც ეროვნულმა ხელისუფლებამ გამართა პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესები საქართველოში სისხლის სამართლის პროცედურების კარდინალური რეფორმის განხორციელების შემდეგ და იმ მომენტში, როდესაც არ არსებობდა შესაბამისი პრეცედენტული სამართალი, რომელიც ხელმძღვანელობდა მხარეებს და საქმის განმხილველ მოსამართლეებს.
78. წინამდებარე საქმეში, მომჩივანმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, სადაც დავობდა, მისი დაცვის უფლებების დარღვევასთან და კონკრეტული ფაქტების საფუძველზე მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევასთან და მათ შორის, დაკავების საწყის საათებში მის მიერ არჩეულ ადვოკატთან წვდომის არქონასთან დაკავშირებით. მომჩივნის მიერ თავის საჩივარში წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები ეხებოდა 266-ე მუხლის მე-2 პუნქტების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებს, რათა დაშვებულიყო საკასაციო საჩივარი. ეროვნული კანონმდებლობის სწორ ინტერპრეტაციაზე რაიმე პოზიციის დაფიქსირების გარეშე, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ მომჩივნის მიერ სააპელაციო სასამართლოს წინაშე წამოჭრილი საკითხები იყო იურიდიულად მნიშვნელოვანი და აქტუალური და მაშინვე არ გამოჩენილა, რომ აშკარად მოკლებული იყო რაიმე ხარისხს.
79. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის ან თავმჯდომარე მოსამართლის პოზიციის არარსებობის შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევის შედეგების შესახებ სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე, სააპელაციო სასამართლოს მოვალეობა იყო საფუძვლიანად შეესწავლა მომჩივნის ბრალდებების მართებულობა და ბუნება და ზოგადად, შეეფასებინა თუ როგორ იქნა გამოყენებული შესაბამისი პროცედურული გარანტიები მომჩივნის მიმართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, რათა უზრუნველყოფილიყო სასამართლო პროცესის სამართლიანობა (იხ.: *Kikabidze*, ციტირებული ზემოთ, §64). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სააპელაციო სასამართლომ ჩაატარა ასეთი შემოწმება, მის გადაწყვეტილებაში არ იყო განმარტებული, თუ რატომ მიიჩნია მომჩივნის ბრალდებები დაუსაბუთებლად და გასაჩივრება არ უნდა დაშვებულიყო. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს სიტუაცია განსაკუთრებით პრობლემურია, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის სასამართლო პროცესი, ისევე როგორც საქმეში *Kikabidze*, იყო ერთ-ერთი პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეფორმის შემდეგ (იქვე. §65).
80. რომ შევაჯამოთ, მიმდინარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, მომჩივნის მიერ წამოჭრილი პროცედურული საკითხების ხასიათი და ის, რომ წინასასამართლო სხდომის დროს და სხდომის თავმჯდომარის მარცხი, განეხილათ ისინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფარგლებში და იმის გათვალისწინებით,

თუ რა იდგა მომჩივნისთვის საფრთხის წინაშე –მომჩივნის მიერ წამოჭრილი არგუმენტები საჩივარში იმსახურებდა საფუძვლიანად და დეტალურად განხილვას თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. ასეთი განხილვის არქონას სტრასბურგის სასამართლო მიჰყავს დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას მომჩივნის საჩივრის დაუსაბუთებლად გამოცხადების გამო.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

1. ადგენს, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 (გ) პუნქტები, მისივე არჩეულ ადვოკატთან წვდომის უფლების სავარაუდო შეზღუდვის გამო;
2. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 (დ) პუნქტის დარღვევას თავდაცვის მტკიცებულებების მიღებაზე სავარაუდო თვითნებური უარის გამო;
3. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას ნაფიც მსაჯულთა განაჩენში დასაბუთების არარსებობის გამო;
4. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას მომჩივნის საკასაციო საჩივრის დაუსაბუთებლად გამოცხადების უსაფუძვლო გადაწყვეტილების გამო.

მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA

საჩივარი nos. 23158/20, 31365/20, 32525/20

გადაწყვეტილება

1 სექტემბერი, 2022 წელი

ფაქტები

2. მომჩივნები არიან სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, რომლებსაც წარმოადგენდა ბ-ნი ე. მარიკაშვილი, ადვოკატი თბილისიდან. დეტალები მომჩივნებთან დაკავშირებით მოცემულია თანდართულ ცხრილში.
3. მთავრობას წარმოადგენდა ბ-ნი ბ. ძამაშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.
4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებელია შემდეგნაერად შეჯამდეს.
5. 2019 წლის 24 ივნისს, პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარემ, რომელიც იმ დროს აბსოლუტური უმრავლესობით იყო პარლამენტში წარმოდგენილი, გასულ დღეებში გამართული საჯარო აქციის საპასუხოდ განაცხადა, დაგეგმილი საარჩევნო სისტემის ცვლილება, რაც ითვალისწინებდა „შერეული“ სისტემიდან პროპორციულზე გადასვლას, თარიღი 2024 წლიდან 2020 წელს გადმოინევდა. მისი თქმით, დაჩქარებული რეფორმის გამო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება მხოლოდ პროპორციული სისტემის საფუძველზე.
6. 2019 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ხელშეწყობას, პარლამენტში ვერ დააგროვა საკმარისი ხმა (როგორც ჩანს, იმიტომ რომ მმართველი პარტიის ზოგიერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი) და შესაბამისად, არ იქნა მიღებული. როგორც ეს ჩანს მოვლენათა მედია გაშუქებიდან, იმავე დღეს პარლამენტის შენობის წინ აქცია გაიმართა.
7. პარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მიუღებლობის გამო, პროტესტის ნიშნად, 2019 წლის 17 ნოემბერს, პარლამენტის შენობასთან მორიგი აქცია გაიმართა. მოვლენების მედიით გაშუქებამ აჩვენა, რომ ამ პროცესში დაახლოებით, 5500 ადამიანი მონაწილეობდა. ამ რიცხვში შედიოდნენ პოლიტიკოსები ოპოზიციიდან, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები და რიგითი მოქალაქეები. აქციის მონაწილეთა მოთხოვნები იყო მთავრობის გადადგომა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება; მათ განაცხადეს, რომ გააგრძელებდნენ პარლამენტის ფუნქციონირების ხელშეშლას, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა პარლამენტის ერთ-ერთ შესასვლელს ბოქლომები დაადეს. ისინი სამართალდამცავებმა იმავე დღეს გაიყვანეს ამ კონკრეტული ტერიტორიიდან. საღამოს, აქციის მონაწილეებმა ქვიშის ტომრები და კარვები მიიტანეს და პარლამენტის შენობის ერთ-ერთი შესასვლელის მიმდებარედ განათავსეს. აქციის მონაწილეების ნაწილმა, მათ შორის, სამმა მომჩივანმა, ღამე შენობასთან გაათენა. აქციის მონაწილეებმა გათბობის საშუალებად ხის დროებითი საცეცხლურები დაამონტაჟეს. პოლიციის თანამშრომლები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდნენ. არანაირი ინციდენტი არ დაფიქსირებულა, გარდა ზოგიერთი პოლიციის ოფიცრის

აშკარად უშედეგო მცდელობისა, ხელი შეეშალათ აქციის მონაწილეებისთვის სა-
ცეცხლურისთვის შეშის მიტანაში.

8. იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და აქციის მონაწილეები გააფრთხილა საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელის გადაკეცვისა და მის საქმიანობაში ჩარევის უკანონობის შესახებ. მან მოუწოდა ორგანიზატორებს და აქციის მონაწილეებს დაეცვათ საპროტესტო აქციის ჩატარების წესები (მათ შორის, ადმინისტრაციულ შენობებთან მისასვლელის გადაკეცვის აკრძალვის წესი) და დამორჩილებოდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

II . 2019 წლის 18 ნოემბრის მოვლენები და მომჩივნების დაკავება

9. 2019 წლის 18 ნოემბერს, დილით საპროტესტო აქცია განახლდა. ზოგიერთმა ორგანიზატორმა მათ შორის, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, მოუწოდეს მონაწილეებს გაეგრძელებინათ პარლამენტის საქმიანობისთვის ხელის შეშლა, ვიდრე მათი მოთხოვნები, მათ შორის, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება არ დაკმაყოფილდებოდა.
10. პარლამენტის წევრებს, რომლებიც ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შესვლას, აქციის მონაწილეებმა მათ ამის შესაძლებლობა არ მისცეს, ისინი აგრძელებდნენ პარლამენტის შენობის ყველა შესასვლელის გადაკეცვას.
11. დაახლოებით 2 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და მოუწოდა საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს და მათ მონაწილეებს დამორჩილებოდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს. სამინისტრომ აღნიშნა, რომ პოლიციამ მოქალაქეებს შეუქმნა შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრების უფლებით 2019 წლის 17 ნოემბრის აქციის დროს, მაგრამ აქცია შემდეგ გახდა უკანონო. კერძოდ, მასში აღნიშნული იყო, რომ პარლამენტის შესასვლელის გადაკეცვა ეწინააღმდეგებოდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-9 ნაწილს. სამინისტრომ მოუწოდა საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს და მის მონაწილეებს შეეწყვიტათ პარლამენტის შენობის შესასვლელის გადაკეცვა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პოლიცია „კანონის შესაბამისად იმოქმედებდა.“
12. 4:14 წუთსა და 4:52 წუთზე, პოლიციელებმა აწარმოეს მოლაპარაკებები ორგანიზატორებთან აქციის ადგილას, როგორც ეს ნაჩვენებია მედიის მიერ გაშუქებულ ვიდეომასალაში. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა – ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ა.ე.-მ განაცხადა, რომ აქციის მონაწილეები „ორჯერ იყვნენ“ გაფრთხილებულნი პოლიციის მიერ. აქციაზე პოლიციის მიერ ორგანიზატორების და მონაწილეების მიმართ გაკეთებული განცხადებები მოიცავდა შემდეგს:

„ჩვენი მიზანია მოლაპარაკებები ვაწარმოოთ თქვენთან, იმისათვის, რომ განვმუხტოთ სიტუაცია. ბარიკადები (პარლამენტის შესასვლელთან) უნდა იქნეს აღებული. გზა უნდა გაიხსნას. თუ ეს არ მოხდება, შესაბამისი ღონისძიებები გატარდება. ერთი მიზეზია გზის გადაკეცვა, მეორე საქართველოს პარლამენტის, ადმინისტრაციული შენობის გადაკეცვა. დაირღვა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი.... გთხოვთ, პატივი სცეთ კანონს...“

ჩვენი მოთხოვნა თქვენდამი არის გზის გახსნა და პარლამენტის შენობის შესასვლელის გათავისუფლება.... ეს კი ჩემი მეორე მოთხოვნაა, მე მოგიწოდებთ დაემორჩილოთ კანონს.“

13. რადგან მათ წინარე მოთხოვნას პასუხი არ მოჰყოლია, 5 სთ-ზე პოლიციამ დაიწყო პარლამენტის შესასვლელის და მასკენ მიმავალი გზის გახსნა. როგორც ჩანს, ამ მიზნით გამოყენებულ იქნა წყლის ჭავლი. დემონსტრაციის მონაწილეების და პოლიციელების ზუსტი რაოდენობა უცნობია, მაგრამ როგორც საქმის მასალების ვიზუალურ მასალაში ჩანს, რამდენიმე ასეული აქციის მონაწილე, რამდენიმე ასეული პოლიციელი და რამდენიმე პოლიციის მანქანა უნდა ყოფილიყო ადგილზე.
14. პირველი მომჩივანი 5-ის 20 ნუთზე დააკავეს, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღნიშნული იყო, რომ ის დააკავეს 9 აპრილის ქუჩაზე „პარლამენტის შენობის გვერდით მდებარე ტერიტორიაზე, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.“ ოქმში აღნიშნული იყო, რომ პირველმა მომჩივანმა „გადაკეტა პარლამენტის შესასვლელი და ხელალებით იგინებოდა.“ პოლიციელი, რომელმაც შეადგინა ოქმი, აცხადებდა, რომ მან „მოუწოდა პირველ მომჩივანს დამშვიდებულიყო და დამორჩილებოდა კანონიერ მოთხოვნას, უხსნიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის ხასიათს,“ რამაც პირველი მომჩივანი „კიდევ უფრო აგრესიული გახადა.“ ოქმში აღნიშნული იყო, რომ პირველი მომჩივანის დაკავება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად (იხ.: პარაგრაფები 39-40 ქვემოთ). იდენტური ჩანაწერი იყო გაკეთებული 2019 წლის 19 ნოემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.
15. მეორე მომჩივანი დააკავეს 7:15 ნუთზე. ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღნიშნული იყო, რომ იგი დააკავეს „რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის გვერდით.“ ოქმში აღნიშნული იყო, რომ მეორე მომჩივანი „იგინებოდა.“ მასში ასევე აღნიშნული იყო, რომ „ის იყო აქციის მონაწილე და ბოროტი განზრახვით არ ემორჩილებოდა პოლიციელების განმეორებით კანონიერ მოთხოვნებს.“ მეორე მომჩივანის დაკავება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად. 2019 წლის 19 ნოემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში იდენტური ჩანაწერი იყო გაკეთებული.
16. მესამე მომჩივანი დააკავეს 5:20 ნუთზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღნიშნული იყო, რომ ის დააკავეს 9 აპრილის ქუჩაზე, „პარლამენტის შენობის გვერდით არსებულ ტერიტორიაზე, იქ სადაც აქცია იმართებოდა.“ ოქმში აღნიშნული იყო, რომ „დემონსტრაციის მონაწილეები მათ შორის, მესამე მომჩივანი არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, გაეხსნა პარლამენტის შესასვლელი (რომელიც მათ მიერ იყო გადაკეტილი) და დაიწყო გინება.“ მესამე მომჩივანი დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე. 2019 წლის 19 ნოემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღნიშნული იყო, რომ მესამე მომჩივანი იყო 9 აპრილის ქუჩის აქციის მონაწილე, დაარღვია საჯარო წესრიგი და არ დაემორჩილა პოლიციელების განმეორებულ კანონიერ მოთხოვნებს (მაგრამ ისე, რომ არ იყო მითითებული სამართალდარღვევის ზუსტი გარემოებები ან პოლიციელის მოთხოვნები დაკონკრეტებული, გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების მითითებისა).
17. საბოლოოდ, აქციის 37 მონაწილე, სამი მომჩივანის ჩათვლით, დააკავეს 2019 წლის 18 ნოემბრის მოვლენების დროს. ოთხი პროტესტანტი და ორი სამართალდამცავი დაშავდა. პარლამენტის ყველა შესასვლელი გათავისუფლდა. შემდეგ პოლიციამ პარლამენტის შენობის შესასვლელებთან აღმართა მეტალის კონსტრუქციები.

ციები იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მათი გადაკეტვა.

18. პარლამენტის წევრებმა სალამოს მოახერხეს შენობაში შესვლა და პარლამენტის ბიუროს სხდომა (მათ შორის, პასუხისმგებელი ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო პარლამენტის და მისი წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან), რომელიც დაგეგმილი იყო იმავე დღეს, სალამოს 3 საათზე, გაიმართა სალამოს 20:30-ზე.
19. საქმის მასალების შესაბამისად, მეორე და მესამე მომჩივანს დაკავების იზოლაცორში მოთავსებისას აღენიშნებოდათ დაზიანებები და სისხლისსამართლებრივი გამოძიება ხელისუფლების ორგანოებმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს. გამოძიების შედეგი უცნობია და განმცხადებლებს არ უხსენებიათ ეს საკითხი თავიანთ წარდგინებებში.

III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოება მომჩივნების წინააღმდეგ

20. 2019 წლის 19-20 ნოემბერს საქმის განხილვა გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში. პირველი და მეორე მომჩივნის საქმეები გაერთიანდა. მესამე მომჩივნის საქმე განცალკევებული ადმინისტრაციულსამართალდარღვევის წარმოების ფარგლებში გადაწყდა. მომჩივნებს მათ მიერ არჩეული ადვოკატები წარმოადგენდნენ. პოლიციელებმა, რომლებმაც დააკავეს მომჩივნები სასამართლოსგან მოითხოვდნენ მომჩივნების წვრილმან ხულიგნობაში და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობაში სამართალდარღვევად ცნობას. სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნების მოთხოვნა სასამართლო პროცესის გადადებასთან დაკავშირებით, რელევანტური საქმის მასალების გაცნობის მიზნით.
21. სასამართლო პროცესზე მხარეების მონაწილეობით შესწავლილ იქნა ვიდეომასალა, რომელშიც ასახული იყვნენ პირველი და მესამე მომჩივნები. სამივე მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა პოლიციელებისთვის, რომლებიც მოწმეებად იყვნენ დაბარებული, დაესვათ კითხვები. პირველი და მეორე მომჩივნის მოთხოვნა დამატებითი მოწმეების (რომლებიც არ იყვნენ პოლიციელები) დაკითხვის შესახებ დაკმაყოფილდა. მესამე მომჩივანს მსგავსი მოთხოვნა არ დაუყენებია. მოწმემ განაცხადა, რომ პირველ და მეორე მომჩივანს არ გადაუკეტავთ პარლამენტის შესასვლელი და არ გაუწევიათ წინააღმდეგობა პოლიციელისთვის. სასამართლო პროცესზე პოლიციელებმა მისცეს მოწმის ჩვენება და აღნიშნეს, რომ მომჩივნები იმ პროტესტანტებს შორის იყვნენ, რომლებმაც გადაკეტეს პარლამენტის შენობის შესასვლელი და შემდგომ ხელი შეუშალეს პოლიციელების შესვლას შესასვლელში, ყველა მისასვლელის გზის გადაკეტვით. პოლიციელებმა დამატებით აღნიშნეს, რომ პირველი მომჩივანი გადებოდა პოლიციელებს, რომლებიც ცდილობდნენ პარლამენტის შენობის შესასვლელამდე მიღწევას. მესამე მომჩივანი გზაზე დაჯდა და პოლიციელებისთვის პარლამენტის შენობის შესასვლელში შესვლის ხელშეშალელად, მეორე მომჩივანი ეცადა გადაეკეტა პარლამენტის წინა გამზირი. რაც შეეხება მომჩივნების წარდგინებებს, პირველმა მომჩივანმა ნაცვლად მოვლენების თავისი ვერსიის მოთხრობისა, იმდერა ეროვნული ჰიმნი. მეორე მომჩივანმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, განაცხადა, რომ მას სასამართლო მიაჩნდა მმართველი პარტიის „ტავერნად.“ მესამე მომჩივანს ვიდეომასალის ავთენტურობა, სადაც ის გზაზე ზის, სადავო არ გაუხდია პოლიციელების მიერ პარლამენტის შენობის მისადგომის გახსნა თუმცა, განაცხადა, რომ მას აღნიშნული მიაჩნდა აქციის თავისუფლების უფლებად. მომჩივნების წარმომადგენლებმა გა-

ნაცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფები მხოლოდ აპროტესტებდნენ პარლამენტის უარს, განეხორციელებინა დაპირებული საარჩევნო რეფორმა.

22. 2019 წლის 21 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა ორი გადაწყვეტილება: პირველი ეხებოდა პირველ და მეორე მომჩივანს, ხოლო მეორე – მესამე მომჩივანს. საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა თითოეულ გადაწყვეტილებაში უთითებდა, როგორც აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველად, საქმის მასალებს, მხარეთა წარდგინებებს ადმინისტრაციული დაკავების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (იხ.: ზემოთ პარაგრაფები 14-16).
23. პირველ და მეორე მომჩივანთან მიმართებით, მტკიცებულებების შეფასების მიდგომის მიზეზებზე მსჯელობისას სასამართლომ განაცხადა:

„...განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ინდივიდების (სამართალდარღვევის აღმკვეთი პირები) მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, რომლებმაც აღკვეთეს (მოცემული) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ (ეს ინფორმაცია) განსაკუთრებით გამოსადეგია და წარმოადგენს მტკიცებულების მნიშვნელოვან წყაროს. თვითმხილველების ამ ჯგუფის ყურადღება (განსაკუთრებით) ფოკუსირებულია, მათი პროფესიული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე და მათი საჯარო და სამოქალაქო ვალდებულებების გაგებიდან გამომდინარე. ამ მოწმეთა ჯგუფის მიერ ინფორმაციის მიღება (სამართალდარღვევასთან დაკავშირებით) დაკავშირებულია მათი პროფესიული ვალდებულებების შესრულებასთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, საგნებზე და ინდივიდებზე მიზანმიმართული ყურადღების გამახვილებით. ამ თვითმხილველების აღქმის და მათი ჩვენების სისრულე უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პასუხისმგებელმა პირმა წინასწარ იცის სიტუაციის ან გარემოების ნიშნები (რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას). ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინეს იმ პირებმა, რომლებმაც დაასრულეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ყოველთვის აქვთ საქმესთან პირდაპირი კავშირი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ და შეესაბამება მტკიცებულებების დასაშვებობის ვალდებულებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარო მოხელის მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს ნდობის მაღალი ხარისხი, რაც მნიშვნელოვანია მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებისთვის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის §1 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც საფუძველია კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზიუმირების (და) საწინააღმდეგოს მტკიცების ვალდებულება, შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე ეკისრება მონინააღმდეგე მხარეს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირების მიერ გაკეთებულ განმარტებას, აღნიშნული ვერ იქნება მიჩნეული როგორც უდავო მტკიცებულება საქმის გარემოებების დადგენისას, ვიდრე არ გამყარდება სხვა მტკიცებულებებით. პირთა მიერ გაკეთებული განმარტება, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ზოგადად, არ მიიჩნევა მაღალი ნდობის მქონედ, იმის გათვალისწინებით, რომ (ეს ინდივიდები) არიან დაინტერესებული მხარეები და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია სხვა მიზნებს შორის, მიზნად ისახავდეს სამართალდარღვევის დაფარვას (და) სანქციებისთვის თავის არიდებას. შესაბამისად, ამ ინდივიდების მიერ გაკეთებული გან-

ცხადებები ყოველთვის უნდა იქნეს განხილული საქმესთან დაკავშირებულ, მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

მოცემულ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოიცავს დოკუმენტებს, რომლებიც მომზადდა იმ ინდივიდების მიერ, რომლებმაც აღკვეთეს (მოცემული) სამართალდარღვევა – ადმინისტრაციული დაკავების და (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის) ოქმი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია იმ სადავო ქმედებებთან მიმართებით, რომლებიც მიენერებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ინდივიდებს. სასამართლომ ასევე, მიიღო მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები და ვიდეომასალა....

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალები და მხარეების მიერ გაკეთებული განმარტებები ადასტურებს, რომ პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა – წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცავების კანონიერ მოთხოვნას. აღნიშნული ექცევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის ფარგლებში და მტკიცებულება, რომელიც განსხვავებულ გადანყვებილებას მიაღებინებდა სასამართლოს, არ ყოფილა წარდგენილი.

მხარეების მიერ გაკეთებული განმარტების და საქმის მასალების შესაბამისად, დადგენილია, რომ გიორგი მაქარაშვილმა (პირველი მომჩივანი) ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კერძოდ, 2019 წლის 18 ნოემბერს (ის იმყოფებოდა 9 აპრილის ქუჩაზე) საქართველოს პარლამენტის გვერდით (და) არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას.

ირაკლი კაჭარავამ (მეორე მომჩივანი) ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კერძოდ, 2019 წლის 18 ნოემბერს ის იმყოფებოდა რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის გვერდით ტერიტორიაზე და ბოროტი განზრახვით არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას.

მას შემდეგ, რაც შეაფასა საქმის მასალები და მხარეთა განმარტებები, სასამართლომ დაადგინა, რომ (ბრალდებულს) არ ჩაუდენია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (მტკიცებულებების ნაკლებობის გამო ქმედების ჩადენის უდავოდ დასადასტურებლად). კერძოდ, (ვერ იქნა დადგენილი რომ ბრალდებული) იგინებოდა საჯარო შეკრების ადგილას და არღვევდა საჯარო წესრიგს.

24. სასამართლომ ციტირება მოახდინა პოლიციის შესახებ კანონის, რომელიც არეგულირებს პოლიციელების ქმედებას და გაიმეორა, რომ ივარაუდება, რომ პოლიციელები თავიანთი ვალდებულებების შესრულების დროს მოქმედებენ კეთილსინდისიერად, აქვთ ყველა რელევანტური ნიშან-თვისება და უნარები იმისათვის, რომ ადეკვატურად შეაფასონ სიტუაციის კონკრეტული გარემოებები. რაც შეეხება მათი ბრძანებების დაუმორჩილებლობას, კანონმდებლობა ითვალისწინებდა, სასამართლოს თანახმად, მრავალჯერადი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბრძანება იყო ზოგადი ხასიათის, თუ კონკრეტული ინდივიდის მიმართ იყო გაკეთებული.

25. ამის საწინააღმდეგოდ, პირველი და მეორე მომჩივნის ინდივიდუალურ გარემოებებთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„განსახილველ საქმეში დადგენილია, რომ 2019 წლის 18 ნოემბერს თბილისში,

რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. პოლიციელებმა უზრუნველყვეს აქციის მშვიდობიანი ჩატარება და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა. პოლიციელებმა უზრუნველყვეს აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვა და მოქალაქეთა რუსთაველის გამზირზე და მის შემოგარენ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების კონსტიტუციური უფლების დაცვა. აღნიშნული ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნას, რომ პოლიციელები იძულებულები იყვნენ წინმსწრებად ემოქმედათ და დაესრულებინათ კანონდარღვევა, განეხორციელებინათ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი მტკიცებულებები, მხარეთა განმარტებები, მონმეთა ჩვენებები და ვიდეორჩანანერები ადასტურებს პოლიციელების მოწოდებას და იმ ინდივიდთა დაუმორჩილებლობას, რომლებსაც ბრალად ედებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა სამართალდარღვევებისგან მოითხოვეს გზის დატოვება, იმისათვის, რომ მანქანებს თავისუფლად შეძლებოდათ გადაადგილება, მაგრამ ამ მოწოდებას არ დაემორჩილნენ. სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ სამართალდამცავებმა მოითხოვეს ბრძანებაზე დამორჩილება და ეს ბრძანება კანონს ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა ინდივიდების უსაფრთხოების და საჯარო წესრიგის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ყველა იმ პირმა, რომელმაც დაარღვია კანონი – არ დაემორჩილა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კანონიერ მოთხოვნებს. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მათ უნდა ჰქონოდათ მოლოდინი, რა შესაძლო რისკის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო პოლიციელების ბრძნებების შეუსრულებლობა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის 111 ნაწილის 1-ელი პარაგრაფი, რომლის შესაბამისად, მონაწილეების მხრიდან (დემონსტრაციის ან შეკრების დროს) კრების ან სატრანსპორტო გზის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაკეტვის დროს, ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს გაათავისუფლოს გზა და/ან აღადგინოს ტრანსპორტის მოძრაობა, თუ მონაწილეთა რაოდენობის მხედველობაში მიღებით, (მათთვის) შესაძლებელია შეკრების ან დემონსტრაციის გამართვა (სხვა საშუალებით). როდესაც ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო ვერ ან არ ახორციელებს იმ უფლებამოსილებას, რაც მას მინიჭებული აქვს ამ დებულებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. მეორე პარაგრაფის თანახმად, აღნიშნული არ არის ნებადართული თუ მონაწილეთა რაოდენობის საფუძველზე, შეუძლებელია შეკრების ან დემონსტრაციის (სხვა საშუალებით) ჩატარება და იმის გათვალისწინებით, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ყველა მუხლი არის დაცული. მითითებული დებულების მე-3 პარაგრაფის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების აღმასრულებელმა ორგანომ (და) საქართველოს მთავრობამ 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებული გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით და საჯარო ინტერესის და კანონის მე-2 ნაწილის მე-3 პარაგრაფის ნორმების შესაბამისად. დაუშვებელია გზის განზრახ გადაკეტვა თუ აღნიშნული არ არის აუცილებელი კრების ან დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე. ასევე, თანაბრად დაუშვებელია მანქანების გამოყენებით, სხვადასხვა საგნების ან/და ნივთების გამოყენებით გზის გადაკეტვა.

26. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მესამე მომჩივანთან მიმართებით შეიცავდა იდენტურ დასაბუთებას მტკიცებულებების შეფასების კუთხით (იხილეთ 23-ე პარაგრაფი ზემოთ). პირველ და მეორე მომჩივნის მსგავსად, მესამე მომჩივანი გამართლდა წერილმანი ხულიგნობის ნაწილში მტკიცებულებების ნაკლებობის გამო. რაც შეეხება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, პირველი და მეორე მომჩივნის გადაწყვეტილებაში ასახული დასაბუთების მსგავსი დასაბუთება იყო ასახული (იხილეთ 24-25 პარაგრაფები ზემოთ). სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ პოლიციას გაცემული ჰქონდა კანონიერი ბრძანება მოძრაობისთვის გზის გახსნის მიზნით და რომ მესამე მომჩივანი არ დაემორჩილა ამ ბრძანებას.
27. ამგვარად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამივე მომჩივანი ცნო დამნაშავედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე (იხილეთ პარაგრაფი 40 ქვემოთ) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე დაადგინა, რომ პირველი მომჩივნისთვის თავისუფლების აღკვეთა თორმეტი დღით, მეორე მომჩივნისთვის ოთხი დღით და მესამე მომჩივნისთვის შვიდი დღით (ჯარიმის დაკისრების საპირისპიროდ) იქნებოდა ყველაზე შესაფერისი სანქცია სასჯელის მიზნების მიღწევისათვის.
28. 2019 წლის 22 ნოემბერს, მომჩივნებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს. ისინი დავობდნენ, რომ ადმინისტრაციული დაკავების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ბუნდოვანი ტერმინოლოგიით იყო შედგენილი, რაც შეუძლებელს ხდიდა დაცვის მიზნით მომზადებას და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა საკმარის დასაბუთებას, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გასამართლებლად. მეტიც, მომჩივნის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით, პირველ მომჩივანთან მიმართებით, აღნიშნული იყო, რომ საქმეში არსებული ვიდეომასალა აჩვენებდა მხოლოდ მის ესკორტირებას პოლიციის მანქანით, მისი დაკავების გარემოებების ნაცვლად. რაც შეეხება მეორე მომჩივანს, აღნიშნული იყო, რომ არ არსებობდა ვიდეომასალა ან სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა პოლიციელების მონათხრობს და ადმინისტრაციული დაკავების და ადმინისტრაციული პატიმრობის ოქმების შინაარსს. მესამე მომჩივანმა აღნიშნა, რომ ერთ ვიდეოჩანაწერში, რომელიც შეფასდა საქმისწარმოების დროს, ჩანდა თუ როგორ იჯდა ის გზაზე, მაშინ როდესაც სხვამ აჩვენა, რომ ის პოლიციელების წინ იდგა საქართველოს დროშით მხარზე და უსტვენდა სასტვენით – ქვეყანაში არსებული ვითარების განზრახი არაძალადობრივი პროტესტის ნიშნად. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოება იყო „სისხლისსამართლებრივი“ თავისი ხასიათიდან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის გაგებით, რაც აუცილებელს ხდიდა სისხლის სამართლის პროცესის სტანდარტების გამოყენებას, მათ შორის იმ პრინციპის, რომ არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი მსჯავრდება უტოლდებოდა გადაკეტივისთვის აქციის მონაწილეების კოლექტიურად დასჯას – მხოლოდ რამდენიმე მონაწილის პარლამენტის შესასვლელში დემონსტრაციისთვის. ასევე, მათ განაცხადეს, რომ ისინი კანონიერად იყენებდნენ პროტესტის თავიანთ უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი საკითხებთან მიმართებით. სამივე მომჩივანი ზოგადი თვალსაზრისით, ასევე აცხადებდა, რომ პოლიციელებმა გამოიყენეს გადა-

ქარბებული ძალა დემონსტრაციის დაშლისას და მათი დაკავება და მსჯავრდებას საზიანო ეფექტი ექნებოდა მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე.

29. 2019 წლის 25 და 26 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, როგორც საბოლოო ინსტანციის სასამართლომ, წერილობითი საქმისწარმოების ფარგლებში, დაუშვებლად ცნო მომჩივნების სააპელაციო საჩივრები როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლომ მოკლედ აღნიშნა, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს წარმოეჩინათ რა, მნიშვნელოვანი საკითხები და მტკიცებულებები – ვერ იქნა საკმარისად შეფასებული ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ, კანონის რომელი მოთხოვნები იქნა დარღვეული ან/და რა შეცდომები დაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლომ მათი საქმეების განხილვისას. სააპელაციო სასამართლომ დაამატა, რომ რელევანტური გარემოებების შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში მიიღო მომჩივნების საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი ამგვარად, გაამართლა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით.

III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

2. სასამართლოს შეფასება

რელევანტური ზოგადი პრინციპები შეჯამდა საქმეებში – *Kress v. France* ([GC], no. 39594/98, § 72, ECHR 2001-VI); *Bykov v. Russia* ([GC], no. 4378/02, §§88 and 90, 10 March 2009); *Janosevic v. Sweden* (no. 34619/97, §§96-97 and 101, ECHR 2002-VII); *Navalnyy and Yashin v. Russia* (no. 76204/11, § 82, 4 December 2014); *Frumkin v. Russia*, no. 74568/12, §§159-62, 5 January 2016; and *Karelin* (cited above, §§51-57).

58. სასამართლო მხედველობაში იღებს მომჩივნების განცხადებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოებისას, ეროვნული კანონმდებლობის სავარაუდო არადაამაყყოფილებელი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, სასამართლოს ფუნქცია არ არის ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი შეფასება. სანაცვლოდ, სასამართლო უნდა შემოიფარგლოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი საკითხების შეფასებით, ისე რომ არ დაიკარგოს ზოგადი კონტექსტი. შესაბამისად, ის განსაზღვრავს, საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, მომჩივნების სასამართლო პროცესში ხომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები (იხ.: *Mikhaylova v. Russia*, no. 46998/08, §86, 19 November 2015).
59. მომჩივნების კონკრეტული საჩივრების შეფასებისას, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ პროკურორის არყოფნამ მომჩივნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოებისას, თავისთავად დაარღვია ობიექტური მიუკერძოებლობის ვალდებულება კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ავტორი, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არის სამართალწარმოების მხარე და უფლებამოსილია წარადგინოს ამ სამართალწარმოების ფარგლებში სააპელაციო საჩივარი ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებების წინააღმდეგ (იხ.: 42-43 პარაგრაფები ზემოთ, შეადარეთ და დაუპირისპირეთ *Karelin*, ციტირებულია ზემოთ, §79 and *Hasanov and Majidli v. Azerbaijan*, nos. 9626/14 and 9717/14, §39, 7 ოქტომბერი 2021).
60. ამავდროულად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით არსებობს ახლო კავშირი ერთი მხრივ, მომჩივნების მიმართ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოების დროს პროკურორის არყოფნასა და მეორე მხრივ, ეროვნული სასამართლოების პოზიციას შორის, ამ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთთან მიმართებით მათ შორის, პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებთან დაკავშირებით, გარკვეული ვარაუდების მიღებაში, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ბრალმძებლები.

61. მოცემულ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ განაცხადა, რომ პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულება, რომელთა ნაწილი მოქმედებდა როგორც პროკურატურის ორგანო, სარგებლობდა ნდობის მაღალი ხარისხით (იხილეთ 23-24 პარაგრაფები ზემოთ). სასამართლომ ეს შეფასება გაამართლა ტერმინით „კარგი მმართველობის ვარაუდი,“ პოლიციელებმა იციან მსგავსი სიტუაციები. დასაბუთებას ავსებდა განცხადება, რომ იმ პირთა ჩვენებები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სამართალდარღვევის ჩადენა, ვერ იქნებოდა სანდო, რადგან შესაძლოა მიზანი პასუხისმგებლობის თავიდან არიდება იყო, ვიდრე არ დადასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებით (იქვე). სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ეს შეფასება.
62. სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით, მსგავსი მიდგომა საკმაოდ სწორად იყო გაკრიტიკებული უზენაესი სასამართლოს მიერ, როგორც ზოგადი პრინციპი (იხ.: 44 პარაგრაფი ზემოთ). სასამართლო აღნიშნავს, რომ „მონმის“ ცნება კონვენციის სისტემაში ავტონომიური კონცეფციაა, ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში კლასიფიცირებისგან დამოუკიდებლად (იხ.: *Urek and Urek v. Turkey*, no. 74845/12, §50, 30 July 2019). სასამართლო შეაფასებს ეროვნული სასამართლოების მხრიდან პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებზე მიდგომის რეალურ გავლენას მომჩივნების საქმეზე. ამ კონტექსტში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სამივე მომჩივანს მათ მიერ არჩეული ადვოკატები წარმოადგენდნენ და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეკითხათ მონმეები მათ წინააღმდეგ, მათ შორის შესაბამისი პოლიციელები (შეადარეთ და განასხვავეთ *Navalnyy and Gunko v. Russia*, no. 75186/12, §66, 10 November 2020). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველმა და მეორე მომჩივანმა არჩიეს არ მიეცათ ჩვენება სასამართლოსთვის, მაშინ როცა მესამე მომჩივანმა აღიარა რომ იმყოფებოდა გზაზე, პოლიციელების მიერ გაცემული მითითების მიუხედავად (იხ.: პარაგრაფი 21 ზემოთ).
63. მნიშვნელოვანია, რომ მაშინ, როცა სასამართლომ ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ პოლიციელების ჩვენებები პრინციპში, საკმარისი იქნებოდა მტკიცების ტვირთის მომჩივნებზე გადასატანად, სასამართლოს მხედველობიდან არ რჩება ფაქტი, რომ მაგალითად, პოლიციელების განცხადება, რომ მომჩივნები იგინებოდნენ, არ იქნა საკმარისად მიჩნეული, თავისთავად მტკიცების ტვირთის მომჩივნებზე გადასატანად. კერძოდ, სასამართლომ ის დაუსაბუთებლად მიიჩნია და სამივე მომჩივანი წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. რაც შეეხება მომჩივნების მსჯავრდებულებას, პარლამენტთან მიმავალი გზის გადაკეტვის ნაწილში, მაშინ როდესაც პირველი და მესამე მომჩივნის მსჯავრი ნამდვილად დიდწილად ეფუძნებოდა პოლიციელების მონათხრობს, ის ასევე იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით როგორცაა, სადავო მოვლენების ამსახველი ვიდეომასალა. ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილება იყო შეეფასებინა მსგავსი მასალის რელევანტურობა და საკმარისობა პირველი და მესამე მომჩივნის მსჯავრდებულებასთან მიმართებით. ამ გარემოებებში და იმის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოს არ

აქვს ეროვნული სასამართლოების წინაშე არსებული საქმის სრული მასალების იდენტიური ასლი, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მსჯელობამ მტკიცებულებების შეფასებისას, პრაქტიკაში გავლენა იქონია პირველ და მესამე მომჩივანზე, მათ მსჯავრდებასთან მიმართებით. შესაბამისად, პირველ და მესამე მომჩივანებთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

64. ამის საპირისპიროდ, მეორე მომჩივნის მსჯავრდებასთან მიმართებით, პოლიციელების მიერ მის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებები არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით გარდა პოლიციელების მონათხრობისა, რაც არ გამხდარა სადავო (იხ. ჯპარ. 76 ზემოთ). ამ გარემოებაში, მეორე მომჩივანი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება, პოლიციელების ბრალდებების გარშემო, ბრალდების მხარის მონათხრობის გარდა, არანაირი სხვა მტკიცებულებების არსებობისა. მაშინ როცა მეორე მომჩივანი უთითებდა უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპზე, ობიექტურ მიუკერძოებლობაზე და თანასწორუფლებიანობაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ პოლიციელების მიერ წარდგენილი ჩვენებების შეფასებამ, მოცემული საქმის გარემოებებით, მთლიანობაში შეასუსტა მეორე მომჩივნის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა. სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილებაში არ არის მითითება, რომ მან საკმარისად იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომაზე. მსჯელობა, რომელიც აუცილებელი იყო პოლიციელების მტკიცებულებებთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მხედველობაში მიღებით (იხილეთ პარაგრაფი 44 ზემოთ) და საქმეში სხვა დამატებითი მტკიცებულების არარსებობის გამო. შესაბამისად, მეორე მომჩივანთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის (1) ნაწილი.

IV. კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

78. შეკრების თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და გამოხატვის თავისუფლების მსგავსად, მსგავსი საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარად, ის შეზღუდულად არ უნდა განიმარტოს (იხ.: Kudrevicius and Others, cited above, §91, and Navalnyy v. Russia [GC], nos. 29580/12 and 4 others, § 98, 15 November 2018).
79. კონვენციის მე-11 მუხლი იცავს მხოლოდ „მშვიდობიანი შეკრების“ უფლებას, ცნებას, რომელიც არ მოიცავს საპროტესტო აქციას, სადაც ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვა აქვთ. შესაბამისად, მე-11 მუხლის გარანტიები ვრცელდება ყველა შეკრებაზე გარდა იმ შეკრებებისა, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ მსგავსი განზრახვები, ძალადობის წახალისება ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს (იხ.: Kudrevicius and Others, ციტირებულია ზემოთ §92).
80. მაშინაც კი, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე რომ ადგილი ექნება არეულობას, ორგანიზატორების კონტროლს მიღმა განვითარებული მოვლენების გამო, მსგავსი საპროტესტო აქცია როგორც ასეთი, არ ამოვარდება მე-11 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებიდან და ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაწესდება, უნდა იყოს დებულების მეორე პარაგრაფის პირობებთან შესაბამისობაში (იქვე, §94).

81. იმის დასადგენად, შეუძლია თუ არა მომჩივანს მოითხოვოს მე-11 მუხლის საფუძველზე დაცვა, სასამართლო მხედველობაში იღებს (i) არსებობდა თუ არა მშვიდობიანი შეკრების განზრახვა, თუ ორგანიზატორებს ძალადობრივი განზრახვა ჰქონდათ; (ii) გამოამჟღავნა თუ არა მომჩივანმა ძალადობრივი განზრახვა, როდესაც შეუერთდა შეკრებას და (iii) მიაყენა თუ არა მომჩივანმა ვინმეს ფიზიკური დაზიანება (იხ.: *Shmorgunov and Others v. Ukraine*, nos. 15367/14 and 13 others, § 491, 21 January 2021). სასამართლო აღნიშნავს, რომ იქ, სადაც ორივე მხარე – აქციის მონაწილეები და პოლიციელები ჩართულნი იყვნენ ძალადობრივ ქმედებებში, ზოგჯერ აუცილებელია შემონმდეს, ვინ დაიწყო ძალადობა (იხილეთ *Primov and Others v. Russia*, no. 17391/06, § 157, 12 June 2014).
82. ზემოაღნიშნული კრიტერიუმის საფუძველზე თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი დაცული იყო მე-11 მუხლით, ის გაანალიზებს ჩარევის პროპორციულობას დაკისრებული სანქციის ფარგლებში. სასამართლოს მიაჩნია, რომ როცა ინდივიდები ჩართულნი არიან ძალადობრივ ქმედებებში, სახელმწიფო ხელისუფლება სარგებლობს შეფასების ფართო თავისუფლების ფარგლებით, შეკრების უფლებაში ჩარევის საჭიროების განსაზღვრისას და სანქციის დაკისრება მსგავსი დასაძრახი ქმედების ჩადენისას, შესაძლოა მიჩნეულ იქნას კონვენციის მე-11 მუხლის გარანტიებთან შესაბამისად. და მაინც, ხანგრძლივი პატიმრობა პოლიციელებთან შეუიარაღებელი დაპირისპირებისას ან მათთვის ქვების ან ნებისმიერი საგნის სროლა ისე, რომ ამას არ გამოუწვევია სერიოზული ფიზიკური დაზიანება, ზოგიერთ შემთხვევებში მიჩნეულ იქნა არაპროპორციულად (იხ.: *Shmorgunov and Others*, cited above, §492).
83. ორგანიზატორების ძალადობრივი განზრახვის მტკიცების ტვირთი ხელისუფლებას აწევს (იხ.: *Christian Democratic People’s Party v. Moldova* (no. 2), no. 25196/04, § 23, 2 February 2010).
84. სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში შეკრების თავისუფლების გამოყენების უფლების კონტექტში არ არის იშვიათი მოვლენა ფიზიკური ქმედება განზრახ შეფერხდეს მოძრაობა და ჩვეულებრივი ცხოვრება, იმისათვის, რომ სერიოზულად შეეშალოს ხელი სხვების საქმიანობას, აღნიშნული არ წარმოადგენს უფლების ბირთვს, როგორც ის დაცულია კონვენციის მე-11 მუხლით. ამ მდგომარეობას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული გავლენა „საჭიროების“ შესაფასებლად, რომელიც უნდა განხორციელდეს მე-11 მუხლის მეორე პარაგრაფის საფუძველზე (იხ.: *Kudrevious and Others*, cited above, § 97).
85. საჯარო ადგილას ნებისმიერმა საპროტესტო აქციამ შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეული რიტმის გარკვეულ დონეზე შეზღუდვა. ეს ფაქტი იმთავითვე არ ამართლებს შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა აჩვენონ ტოლერანტობის გარკვეული დონე. შესაფერისი „ტოლერანტობის დონე“ ვერ იქნება აბსტრაქტულად განსაზღვრული: სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს „ჩვეულებრივი ცხოვრების შეზღუდვის“ მოცულობა. ამგვარად, მნიშვნელოვანია გაერთიანებებმა და სხვებმა, რომლებიც ორგანიზებას უწევენ დემონსტრაციებს, როგორც დემოკრატიული პროცესების აქტორები, დაემორჩილონ პროცესის მარეგულირებელ ნორმებს მოქმედი რეგულაციების შესრულების კუთხით (იქვე. §155).
86. ორგანიზატორების მიერ წესების განზრახ შეუსრულებლობა და დემონსტრაცი-

ის ან მისი ნაწილის იმგვარად ორგანიზება, რომ გამოიწვიოს ჩვეულებრივი ცხოვრების შეფერხება და სხვა საქმიანობები, რომლებიც აჭარბებს იმას, რაც გარდაუვალია მსგავს გარემოებებში, წარმოადგენს ქმედებას, რომელიც კონვენციის საფუძველზე ვერ ისარგებლებს დაცვის იმავე პრივილეგიით, როგორც საჯარო ინტერესის საკითხებზე პოლიტიკური გამოსვლა ან დებატები ან მსგავს საკითხებზე აზრის მშვიდობიანი გამოხატვა. საპირისპიროდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებით, მსგავსი ქმედების შეზღუდვის მიზნით, საჭირო ღონისძიებების განხორციელების შეფასებისას (იქვე. §156).

87. აქციის მონაწილეების მხრიდან ჩვეულებრივი ცხოვრების ან სხვების მიერ კანონიერად განხორციელებული საქმიანობის განზრახვი სერიოზული შეფერხება, იქ სადაც აღნიშნული შეფერხება იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საჯარო ადგილას შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობა, შესაძლებელია მიჩნეულ იქნას „დასაგმობ ქმედებად“ კონვენციის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. მსგავსმა ქმედებამ შესაძლებელია გაამართლოს ჯარიმების დაკისრება, მათ შორის სისხლისსამართლებრივი ხასიათის (იქვე. §173).

88. როდესაც სასამართლო აფასებს, მისი ფუნქცია არ არის ჩანაცვლოს რელევანტური ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებები თავისი მოსაზრებებით, არამედ მისი ფუნქციაა მე-11 მუხლის საფუძველზე შეამოწმოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია შემოიფარგლოს იმის დადგენით, სახელმწიფომ გამოიყენა თუ არა თავისი დისკრეცია გონივრულად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად, მან უნდა შეაფასოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის მხედველობაში მიღებით და განსაზღვროს, მისდევდა თუ არა ის „ლეგიტიმურ მიზანს,“ პასუხობდა თუ არა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და კონკრეტულად, იყო თუ არა მიზნის პროპორციული და იყო თუ არა მის გასამართლებლად ეროვნული ხელისუფლების მიერ მოტანილი მიზეზები „რელევანტური და საკმარისი“ (იქვე. §143). სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შესაბამისობაშია მე-11 მუხლში ასახულ პრინციპებთან და მეტიც, მათ თავიანთი გადაწყვეტილებები რელევანტური ფაქტების მისაღებ შეფასებას დაუქვემდებარეს (იქვე).

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

(i) 11-ე მუხლის გამოყენება და ჩარევის არსებობა

89. დასაწყისში, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის საპროტესტო აქცია, როგორც მომჩივნებმა აღიარეს, მიზნად ისახავდა პარლამენტის საქმიანობისთვის ხელის შეშლას. ამ მიზნით, ორგანიზატორებმა და ზოგიერთმა მონაწილემ გადაკეტეს შენობის ყველა შესასვლელი. მომჩივნების თანახმად, ამ სახის პროტესტი განხორციელდა პარლამენტის უარის საპასუხოდ, წინათ დაგეგმილი საარჩევნო რეფორმის შეუსრულებლობის გამო, რომლის მიზანიც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესება იყო. ამის საპირისპიროდ, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში მთავარი საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელის გადაკეტვა და დემოკრატიული ფუნქციების პარალიზება თავისთავად მოდიოდა წინააღმდეგობაში დემოკრატიული საზოგადოების საფუძველბთან და ამდენად წარმოადგენდა დასაგმობ ქმედებას, რამაც აქციას და მის მონაწილეებს შეუზღუდა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა.

90. ამის საპირისპიროდ, სასამართლო ხელმეორედ აღნიშნავს, რომ მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება ყველა შეკრებაზე გარდა ისეთი შეკრებებისა, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ ძალადობრივი მიზნები, ახალისებენ ძალადობას, ან სხვა მხრივ უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს (იხ.: 79-ე პარაგრაფი ზემოთ). ამ მხრივ, მთავრობამ ვერ წარმოაჩინა, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის საპროტესტო აქციას ჰქონდა ძალადობრივი მიზანი, ძალადობას ახალისებდა ან ძალადობრივი გახდა მაშინ, როდესაც მიღებულ იქნა მომჩივნების დაკავების შესახებ გადანყვებილება. არც ეროვნული სასამართლოების დასაბუთებაში ყოფილა ამაზე საუბარი (იხ.: პარაგრაფები 20-29 ზემოთ).
91. რაც შეეხება საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ აქციამ სხვაგვარად შეარყია დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლები, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ მოცემულ საქმეში პროტესტის დამაბრკოლებელი ხასიათი, მისი შეუსაბამობა მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან (იხ.: პარაგრაფები 32-35 ზემოთ) და ის რომ მას შეეძლო პარლამენტის საკანონმდებლო პროცესის შემაფერხებელი ყოფილიყო (იხ.: პარაგრაფი 7, 10 და 18 ზემოთ), ვერ იქნება მნიშვნელობის მიღმა დატოვებული. თუმცა, სასამართლო ხელმეორედ აღნიშნავს, რომ საკითხი იმასთან დაკავშირებით, თავსდება თუ არა შეკრება მე-11 მუხლის 1-ელი პარაგრაფის „მშვიდობიანი შეკრების“ ავტონომიურ ცნებაში, დამოუკიდებელია იმ საკითხისგან, იყო თუ არა შეკრება ეროვნული კანონმდებლობის პროცედურულ ნაწილთან შესაბამისობაში, აღნიშნული საკითხი მხოლოდ მას შემდეგ ხდება რელევანტური, რაც სასამართლო დაასკვნის, რომ შეკრება თავსდება განხილული დებულების დაცვის სფეროში (იხ.: Navalnyy, ციტირებულია ზემოთ, §99).
92. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარლამენტის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა დემოკრატიული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებისაა (იხილეთ *Selahattin Demirtas v. Turkey* (no. 2) [GC], no. 14305/17, § 383, 22 დეკემბერი 2020). მოცემულ საქმეში, მაშინ როდესაც სადავო შეკრების საფუძველზე გადაიკეტა პარლამენტის შენობა და მისი მიზანი საკანონმდებლო პროცესისთვის ხელის შეშლა იყო, როგორც პროტესტის ფორმა, ის გულისხმობდა პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვას –კერძოდ, ეწინააღმდეგებოდა მმართველი პარტიის უარს, შეესრულებინა თავისი ვალდებულება, განეხორციელებინა საარჩევნო სისტემის რეფორმა 2024 წლის არჩევნების 2020 წელს ჩატარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ახლო კავშირი მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეკრების თავისუფლებასა და მე-10 მუხლით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას შორის (იქვე. §101) სასამართლო მზად არის მოცემული საქმის გარემოებების საფუძველზე გაიზიაროს, რომ პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების და ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ საკანონმდებლო რეფორმის გაპროტესტება მიზნად ისახავდა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებას, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის დამაბრკოლებელი ფორმა იქნა გამოყენებული, აღნიშნული არ უნდა იქნეს მიჩნეული დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების უარყოფად.
93. შესაბამისად, იმის ნაცვლად, რომ მოცემულ საქმეში სრულად გამოირიცხოს კონვენციის მე-11 მუხლის გამოყენება (იხ.: პარაგრაფი 78 ზემოთ), ამ განზრახვი ქმედების მიზანი იყო ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმისთვის ხელის შეშლა იმისათვის, რომ სერიოზულად შეეფერხებინა პარლამენტის საქმიანობა, რასაც გავლე-

ნა ექნება „საჭიროების“ შეფასებისას, რომელიც ხორციელდება მე-11 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე (გადაკეტვის როგორც პროტესტის ფორმასთან მიმართებით სასამართლოს მსგავსი მიდგომა სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ: Kudrevicius and Others, cited above, §97, with further references therein, and Donat and Fassnacht-Albers v. Germany (dec.), nos. 6315/09 and 12134/09, § 67, 11 February 2014; see also G. v. Germany, no. 13079/87, Commission decision of 6 March 1989, Decisions and Reports 60, p. 263).

94. სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნებს უფლება აქვთ ისარგებლონ მე-11 მუხლის გარანტიებით, რომელიც გამოყენებადია მოცემულ საქმეში. მომჩივნების დაკავება და მათი მსჯავრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას.

(ii) იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული

95. დემონსტრაციის ჩატარების წესები ნათლად იყო ასახული შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში და ითვალისწინებდა ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების გადაკეტვის და დემონსტრაციის დროს მოძრაობის განზრახ შეფერხების აკრძალვას (იხილეთ პარაგრაფები პარ. 32-35 ზემოთ). იმ პერიოდში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში (იხ.: პარაგრაფები 36-37 და 40-41 ზემოთ). ის ფაქტი, რომ მომჩივნების მსჯავრდება დაეფუძნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის უფრო ზოგად და არა სპეციალურ დებულებას (შეადარეთ პარაგრაფები 40 და 41 ზემოთ) გავლენას არ ახდენს ჩარევის კანონიერებაზე, რადგან ეს დებულებები არ არიან ურთიერთგამომრიცხავი და ითვალისწინებდნენ იდენტურ საპატიმრო სანქციას.

96. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ღონისძიებებს ჰქონდა საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში.

(iii) მისდევდა თუ არა ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს

97. სასამართლო იზიარებს, რომ მომჩივნების დაკავება და შემდგომი გასამართლება კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის მისდევდა უწესრიგობის თავიდან აცილების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

(iv) იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

(ა) პირველი და მესამე მომჩივანი

98. მომჩივნების მიმართ განხორციელებული ღონისძიებების აუცილებლობის და პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის აქცია იყო განზრახ სტრუქტურირებული იმგვარად, რომ ხელი შეეშალა საზოგადოების ჩვეულებრივი ცხოვრებისთვის დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის შეფერხებით, მანამ მათი გარკვეული მოთხოვნები არ შესრულდებოდა, რელევანტური წესებისა და რეგულაციების ამკარა დარღვევით (იხ.: პარაგრაფები 9-10, 32-35, 41 და 74 ზემოთ). მეტიც, სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი და მესამე მომჩივნების თითქოს ურთიერთგა-

მომრიცხავ წარდგინებებს და საქმისწარმოების ფარგლებში გაკეთებულ განცხადებებს, მათ მიერ პროტესტის დამაბრკოლებელი ფორმის არჩევასთან დაკავშირებით (თავდაპირველად პარლამენტის შენობის შესასვლელის გადაკეტვასთან მიმართებით და შემდგომ გზაზე ჯდომასთან დაკავშირებით, რომელიც მიდიოდა შესასვლელისკენ – როგორც ჩანს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ პოლიციელების მცდელობისთვის გაეხსნათ პარლამენტის შენობის შესასვლელი, იხ.: 74-ე პარაგრაფი ზემოთ), უგულვებელყოფილ იქნა დემოკრატიულ საზოგადოებაში პარლამენტის საქმიანობის მნიშვნელობა (მაგალითად, Selahattin Demirtaş, ციტირებულია ზემოთ §383). გზის მსგავსი გადაკეტვა ყველა მიზნითა და განზრახვით გამოიწვევდა ისეთ შეფერხებას, რაც გასცდებოდა ჩვეულებრივი არეულობის დონეს (ასევე, Kudrevicius and Others, ციტირებულია ზემოთ, §§155-56; შეადარეთ Navalnyy, ციტირებულია ზემოთ, §143).

99. ამასთან კავშირში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მესამე მომჩივანს არ ჩაუდენიათ ძალადობრივი ქმედებები, არავინ ნაუქეზებიათ მსგავსი ქმედებების ჩადენისკენ, პარლამენტის შენობის შესასვლელების სრულად გადაკეტვა და შემდეგ პოლიციელების მიერ შესასვლელების გახსნის შეფერხება, ეროვნული კანონმდებლობის აშკარა უგულვებელყოფა, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად და დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წევრების უფლებისა, შეესრულებინათ თვითნებური ფუნქციები, რაც აუცილებელია ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში, შესაძლებელია შეფასდეს როგორც „დასაგმობი“ ქმედება (მაგალითად, იხილეთ: Kudrevicius and Others, cited above, § 174; see also *Knezevic v. Montenegro* (dec.), no. 54228/18, §84, 2 February 2021, and *Ekrem Can and Others v. Turkey*, no. 10613/10, § 90, 8 March 2022 [ჯერ არ არის საბოლოო]). ამ ნაწილში, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ფარგლებით, აღნიშნული ქმედების შეზღუდვისთვის ღონისძიებების გატარების საჭიროების შეფასების მიზნით, ჯარიმების დაკისრების მათ შორის, სისხლისსამართლებრივი ხასიათის (შეადარეთ, სხვა წყაროებთან ერთად *Kudrevicius and Others*, ციტირებულია ზემოთ, §§156 and 171-73; *Chernega and Others v. Ukraine*, no. 74768/10, §264, 18 June 2019; and *Drieman and Others v. Norway* (dec.), no. 33678/96, 4 May 2000).

100. ამ კონტექსტში, მოპასუხე სახელმწიფოს უფლება ჰქონდა მიეჩნია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესები გადაწონიდა მომჩივნების ინტერესებს, გადაეკეტათ პარლამენტის შენობა, ვიდრე მთავრობასთან მოლაპარაკებები არ დასრულდებოდა (იხ.: პარაგრაფები 7,9 და 74 ზემოთ, ასევე, იხ.: *Kudrevicius and Others*, ციტირებულია ზემოთ, §175). ამ ნაწილში სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს პირველი და მესამე მომჩივნის სტატუსს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისა და ხელმეორედ უსვამს ხაზს, რომ ისინი ვინც ორგანიზებას უწევენ და მონაწილეობენ საპროტესტო აქციებში, როგორც დემოკრატიულ პროცესებში მოქმედმა პირებმა, პატივი უნდა სცენ პროცესის მარეგულირებელ წესებს, მოქმედი რეგულაციების შესრულებით (იხ.: *Balcik and Others v. Turkey*, no. 25/02, § 49, 29 ნოემბერი 2007). შესაბამისად, მაშინ როდესაც პირველ და მესამე მომჩივანთან მიმართებით ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ მოკლედ უთითებდა პარლამენტის შენობის შესასვლელის გადაკეტვაზე და სანაცვლოდ, ყურადღებას ამახვილებდა გზის გადაკეტვაზე, მომდევნო, მაგრამ დაკავშირებულ ეპიზოდთან, რომელიც უკავშირდება პოლიციის მცდელობას, გაეხსნა პარლამენტის შენობის შესასვლელი. ამ ორი ეპიზოდის (იხილეთ პარაგრაფები 12 და 21 ზემოთ) და ამ საკითხზე ორივე მომ-

ჩინის წარდგინებების საფუძველზე, სასამართლო ვერ მიიჩნევს, ხელისუფლებისთვის მინიჭებული შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების გადანყვეტილება შეეზღუდათ დასაგმობი ქმედება, ეროვნული ხელისუფლების გადანყვეტილება პარლამენტის შენობის მისადგომის გახსნის აუცილებლობის შესახებ და ამ პროცესში პირველი და მესამე მომჩივნების დაკავება იყო აშკარად თვითნებური ან არაგონივრული.

101. რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებას, პოლიციელებმა აწარმოეს მოლაპარაკებები პროტესტანტებთან, მათ შორის პირველ და მესამე მომჩივანთან, აცნობეს და გააფრთხილეს ისინი რელიგიური წესების და რეგულაციების შესახებ, რაც უკავშირდებოდა აქციის მონაწილეების მოქმედებას (განსაკუთრებით ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების გადაკეტვის აკრძალვას) იმ მიზნით, რომ აღედგინათ პარლამენტის შენობაში შესვლა, ნაცვლად დემონსტრაციის როგორც ასეთის დაშლისა (იხილეთ პარაგრაფები 10-12 ზემოთ). სადავო არ ყოფილა, რომ პოლიციელების ბრძანებები იყო ბუნდოვანი ან რთულად გასაგები (განასხვავეთ *Chernega and Others*, ციტირებულია ზემოთ, §250). არ ყოფილა ნაჩვენები, რომ წესები, რომლებიც კრძალავდნენ გზების და ადმინისტრაციული შენობების გადაკეტვას, იყო ფორმულირებული არასაკმარისი სიზუსტით ან ამ წესების გამოყენება არ იყო განჭვრეტადი (იხ.: *Knezevic*, ციტირებულია ზემოთ, §88). და მაინც, სამი შესასვლელიდან არც ერთი არ გათავისუფლებულა პოლიციელების მოთხოვნის შესრულების საპასუხოდ. მეტიც, პროტესტანტებმა პოლიციელებს არ მისცეს მოქმედების შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გადანყვიტა პარლამენტის შენობის შესასვლელის გახსნა. ამ კონტექსტში, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველი და მესამე მომჩივნები არ ყოფილან მსჯავრდებულები აქციაში მონაწილეობის გამო (იხ.: *Barraco v. France*, no. 31684/05, § 46, 5 March 2009, *da Budahazy v. Hungary*, no. 41479/10, § 43, 15 December 2015; *aseve ganasxvaveT Akgol and Göl v. Turkey*, nos. 28495/06 and 28516/06, § 43, 17 May 2011), არამედ სადავო მსჯავრდება და სანქციები უკავშირდებოდა პარლამენტის შენობის შესასვლელებისკენ მიმავალი გზის გახსნაზე უარის თქმას.
102. იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა პირველი და მესამე მომჩივნების დაკავება და დაკისრებული სანქციები პროპორციული, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი უარყოფითი პოზიცია პარლამენტის უარზე, მიეღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და გაეთვალისწინებინა მათი ნუხილი (დემონსტრაციის სხვა მონაწილეებთან ერთად), ნინასწარი შეტყობინების საჭიროების, აკრძალვის ან უარყოფითი გავლენის გარეშე (მათ შორის, პარლამენტის შენობის შესასვლელის გადაკეტვის ნაწილში) სულ მცირე, დღენახევრით (იხ.: პარაგრაფები 7-13 ზემოთ; განასხვავეთ *Akgol and Gol*, ციტირებულია ზემოთ §44). იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ პარლამენტის გადაკეტვა არ იყო დროში შეზღუდული და როგორც ჩანს, მიზანი განგრძობადი წესრიგის დამრღვევი პროტესტის ტაქტიკის გამოყენება იყო იმისათვის, რომ მთავრობის მიერ შესრულებულიყო აქციის მონაწილეთა მოთხოვნები (იხ.: პარაგრაფები 7, 9 და 74 ზემოთ), სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეკრების მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა (იხ.: *Eva Molnar v. Hungary*, no. 10346/05, §§ 42-43, 7 October 2008; შეადარეთ და განასხვავეთ *Oya Ataman v. Turkey*, no. 74552/01, § 41, ECHR 2006-XIV). ამასთან, პირველი და მესამე მომჩივნები რომ დამორჩილებოდნენ ბრძანებას პარლამენტისკენ მიმავალი გზის გახსნის შესახებ, არაფერი შეუზღუდავდა მათ პროტესტის გაგრძელებას (იხ.: *Chernega and Others*, ციტირებულია ზემოთ, §265).

103. პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო ყურადღებით აკვირდება საპატიმრო სანქციის უარყოფით გავლენას (სხვა წყაროებს შორის იხილეთ: *Nezevic*, §88 და *Ekrem Can and Others*, §§ 93-94, ორივე ციტირებულია ზემოთ, სხვა მითითებებთან ერთად). თუმცა, მოცემულ საქმეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ და მესამე მომჩივანს ადმინისტრაციული პატიმრობის სანქცია არ დაკისრებიან აქციის ორგანიზების ან/და მასში მონაწილეობისთვის, არამედ გზის გადაკეთვისთვის, როდესაც პოლიციელები ცდილობდნენ პარლამენტის შენობის შესასვლელის გახსნას. გზების და ადმინისტრაციული სამსახურების გადაკეტვა იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც ასახული იყო კანონმდებლობაში ნათლად და პროგნოზირებულად (იხ.: პარაგრაფი 101 ზემოთ). წინარე მსჯელობის გათვალისწინებით, (პარაგრაფები 98-102 ზემოთ) და პირველ და მესამე მომჩივანზე დაკისრებული ადმინისტრაციული საპატიმრო სანქციის მოკლე ხანგრძლივობის გათვალისწინებით (რაც როგორც ჩანს, ასევე განპირობებული იყო მათი წინარე ქმედებით – პარაგრაფები 27 და 77 ზემოთ, ასევე იხილეთ *Steel and Others v. the United Kingdom*, 23 September 1998, §107, Reports of Judgments and Decisions 1998-VII; *Chernega and Others*, ციტირებულია ზემოთ, §267; და *Knezevic*, cited above, §88; შეადარეთ და განასხვავეთ *Ekrem Can and Others*, ციტირებულია ზემოთ, §§93-94), სასამართლო ვერ დარწმუნდა მომჩივნების არგუმენტებით, მოცემული საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ ეროვნული ხელისუფლება გაცდა შეფასების ფარგლებს პოლიციელების კანონიერი მოთხოვნების დაუმორჩილებლობის გამო, მომჩივნების დაკავებით და მათი სანქცირებით.

შესაბამისად, პირველ და მესამე მომჩივანთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი.

(ბ) მეორე მომჩივანი

104. რაც შეეხება მეორე მომჩივანს, ხელმისაწვდომ ეროვნულ საქმის მასალებში არ ჩანდა, რომ ის საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ან მან პირადად გადაკეტა პარლამენტის შენობის შესასვლელი ან ხელი შეუშალა პოლიციელების მცდელობას გაეხსნათ ის. უფრო ზუსტად, მომჩივანი დააკავეს დაახლოებით ორი საათის შემდეგ, მას მერე რაც პოლიციამ დაიწყო პარლამენტის შენობის შესასვლელის ხელმეორედ გახსნა. ბუნდოვანია ეროვნულ დონეზე და სასამართლოში საქმისწარმოებისას, შეძლო თუ არა პოლიციამ იმ დროისთვის ნაწილობრივი წარმატებით მაინც შესასვლელის გახსნა. თუ მათ ეს მართლაც შეძლეს, მაშინ ამას გავლენა ექნებოდა მეორე მომჩივნის დაკავების და შემდგომი გასამართლების „აუცილებლობის“ და „თანაზომიერების“ შეფასებაზე.

105. შესაბამისი სასამართლო განხილვის ნაკლებობა, მთავრობის განცხადების საპირისპიროდ (იხილეთ 76-ე პარაგრაფი ზემოთ), მეორე მომჩივნის დაკავების გარემოებების არსებითად დასადგენად საკმარისი ვერ იქნებოდა მოვლენების მედიით გაშუქება. კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე განაცხადის შეფასებისას, მას შემდეგ რაც ამოწურულია სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, სასამართლოს არ შეუძლია ჩაანაცვლოს უფლებამოსილი ეროვნული ხელისუფლების ორგანოები და იმოქმედოს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ და გამოიკვლიოს დამატებითი მტკიცებულებები, რომელზეც მიუთითებს მოპასუხე სახელმწიფო და რომლებიც ეროვნულ სასამართლოებს არ გამოუყენებიათ (იხ.: *mutatis mutandis*, *Demopoulos and Others v. Turkey (dec.)* [GC], nos. 46113/99 and 7 others, § 69, ECHR 2010, and *Rubins v. Latvia*, no. 79040/12, § 74, 13 January 2015). მაშინაც თუ მივიჩნევთ, რომ მეორე მომჩივანი იყო იმათგან ერთ-

ერთი, რომელმაც პარლამენტის შენობის წინ საცალფეხო გზა დატოვა და გადავიდა ტრანსპორტის სავალ გზაზე, ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ ამ გზის გადაკეტვა იყო თუ არა განზრახი ქმედება ან შექმნილი გარემოებების შედეგი – აქციის მონაწილეების რაოდენობის და მასთან დაკავშირებული პოლიციელების მოთხოვნის „კანონერების“ (იხილეთ, მაგალითად *Annenkov and Others v. Russia*, no. 31475/10, § 138, 25 July 2017, and *Navalnyy and Gunko*, cited above, § 69, 10 November 2020).

106. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობამ ვერ შეძლო წარმოედგინა რეგულაციური და საკმარისი საფუძვლების არსებობა, იმ მიზნით, რომ გაემართლებინა მეორე მომჩივნის უფლებების კონტექსტში, კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე, მისი გასამართლების აუცილებლობის და პროპორციულობის საჭიროება და ოთხდღიანი საპატიმრო სასჯელის დაკისრება.

შესაბამისად, მეორე მომჩივანთან მიმართებით დაირღვა აღნიშნული დებულება.

ზემოაღნიშნული საფუძვლებით, სასამართლო ერთხმად ადგენს:

4. პირველ და მესამე მომჩივნებთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილი;
5. მეორე მომჩივანთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილი;
6. პირველ და მესამე მომჩივანთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი;
7. მეორე მომჩივანთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

ჩაკვეტაძე საქართველოს წინააღმდეგ

Chakvetadze v Georgia

საჩივარი №55949/10

გადაწყვეტილება

22 სექტემბერი, 2022

ფაქტები

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-6 მუხლის და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გაჭინაურებასთან დაკავშირებით.

- 2008 წლის 25 დეკემბერს, პოლიციის თანამშრომლებმა ქუჩაში გააჩერეს მომჩივანი და ჩაუტარეს სხეულის ჩხრეკა. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მომჩივანს ჩამოართვეს სუბოტექსის ტაბლეტი და ტყვია. იმავე დღეს, მომჩივნის ბინაში ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ აღმოაჩინა ჰეროინი, ტყვია და ნაღდი ფული 230,050 აშშ დოლარის ოდენობით. ნაღდი ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს და საქართველოს ეროვნულ ბანკს გადასცეს. მომჩივანს ბრალი წაუყენეს ნარკოტიკული ნივთიერებებისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების საფუძველზე.
- 2009 წლის 23 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა მომჩივანი ჰეროინის ფლობის ბრალდების ეპიზოდში და გაასამართლა იგი ნარკოტიკული ნივთიერებების და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვისთვის (სუბოტექსთან და ტყვიასთან მიმართებით). მას მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა ჯარიმა 352 000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 212 385 აშშ დოლარი). რაც შეეხება მისი სახლიდან ამოღებულ ნაღდ ფულს (230 050 აშშ დოლარი), სამართალწარმოების დროს, სხვადასხვა მოწმეებზე დაყრდნობით, მომჩივანმა განაცხადა, რომ ამ თანხის ნაწილი – 70 000 აშშ დოლარი მას გამოუგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა მეგობარმა შესანახად, ხოლო მეორე ნაწილი – 150 000 აშშ დოლარი მას მეგობარმა აჩუქა ბიზნესის წამოწყების მიზნით. დარჩენილი თანხა 10 050 აშშ დოლარი წარმოადგენდა მის პირად დანაზოგს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეს არგუმენტები და შესაბამისი მოწმეების ჩვენებები, თუმცა ამოღებული ნაღდი ფულის სავარაუდო საერთო საკუთრების საკითხზე დაწვრილების გარეშე, და აღნიშნა, რომ ნაღდი ფული არ იყო დაკავშირებული მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმესთან და გამოსცა მისი მომჩივნისთვის დაბრუნების ბრძანება, იმ შემთხვევაში, თუ მას არ სურდა მისი გამოყენება ზემოაღნიშნული ჯარიმის გადასახდელად.
- 2009 წლის 4 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ სასჯელი შესრულებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ პირველი ინსტანციის მიერ დაკისრებული სისხლის სამართლის ჯარიმა 352 000 ლარის შენარჩუნებით. უზენაესმა სასამართლომ 2010 წლის 12 მარტს არ დააკმაყოფილა მომჩივნის საჩივარი როგორც დაუშვებელი.
- 2010 წლის 14 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოსცა ორი სააღსრულებო ფურცელი. პირველი ეხებოდა მომჩივანზე დაკისრებულ სისხლის სამართლის ჯარიმას, ხოლო მეორე ეხებოდა პოლიციის მიერ მომჩივნის ბინის ჩხრე-

კისას ამოღებული ფულადი სახსრების დაბრუნებას. ეს უკანასკნელი სააღსრულებო ფურცელი გადაეგზავნა პოლიციის შესაბამის განყოფილებას. იმავე დღეს სააპელაციო სასამართლომ აცნობა მომჩივანს, რომ პოლიციას დაევალა აღსრულებინა გადაწყვეტილება ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

9. 2010 წლის 25 აპრილს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მომჩივანს შესთავაზა სისხლის სამართლის ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდა, აღსრულების საფასურთან ერთად, დაწესებული აღსასრულებელი თანხის უცვლელი განაკვეთის 7%-ის ოდენობით. ამრიგად, მომჩივანს უნდა გადაეხადა 24 640 ლარი (დაახლოებით, 14 867 აშშ დოლარი) სააღსრულებლო საფასურის სახით. 2010 წლის 30 აპრილს, მომჩივანმა ჯ.ხ-ს გადასცა მინდობილობა, რომელიც ამ უკანასკნელს ავალებს: ა) მიიღოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მომჩივანის ბინიდან ამოღებული თანხა; ბ) 220 000 აშშ დოლარის გადარიცხვა იმ პირთა საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც მომჩივანმა დაასახელა როგორც ამოღებული ნაღდი ფულის ნაწილის მფლობელები; და გ) გამოიყენოს დარჩენილი 10 050 აშშ დოლარი მომჩივანის მიმართ დაკისრებული სისხლის სამართლის სანქციის ნაწილობრივ დასაფარად. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ჯ.ხ-ს მოთხოვნა გამომძიებლისადმი, როგორც ჩანს უპასუხოდ დარჩა. 2010 წლის 3 მაისს, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ვერ გადაიხადა ჯარიმა ნებაყოფლობით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მას სთხოვა წარედგინა მთელი თავისი ქონების სია, რათა დაწყებულიყო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება. 2010 წლის 7 მაისს, მომჩივანმა მას უპასუხა და აღნიშნა, რომ მას ჯერ არ მიუღია ბინიდან ჩამორთმეული თანხა. გაიმეორა თავისი განცხადებები ნაღდი ფულის საერთო საკუთრებასთან დაკავშირებით, მიაწოდა დეტალები იმ პირთა საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებიც მისი თქმით, შესაბამისი თანხების მფლობელები იყვნენ და განაცხადა, რომ აღსრულების ბიუროს შეეძლო გაეგრძელებინა სისხლის სამართლის სანქციის ნაწილობრივი აღსრულება ამოღებული ნაღდი ფულის საკუთარ წილზე (10 050 აშშ დოლარი).
10. 2010 წლის მაისში მომჩივანმა რამდენჯერმე მიმართა პოლიციას, პირადად და წერილობით და მათგან ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესრულებას და ამოღებული ნაღდი ფულის ნაწილის დაბრუნებას. აღსრულების გაჭინაურების გამო მან თბილისის პროკურატურას მიმართა. როგორც ჩანს მომჩივანს არ მიუღია პასუხი რომელიმე მოთხოვნაზე.
11. 2011 წლის 30 ნოემბერს, პოლიციამ მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვა ამოღებული თანხის მიღება. აღნიშნული თანხა პოლიციას იმავე დღეს დაუბრუნდა. ამის შემდეგ, პოლიციამ სთხოვა მომჩივანს წასულიყო პოლიციის განყოფილებაში ნაღდი ფულის მისაღებად. მას შემდეგ, რაც მომჩივანმა ხელი მოაწერა ნაღდი ფულის დაბრუნების ოქმს, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი გამოცხადდა განყოფილებაში და ჩამოართვა ნაღდი ფული მთლიანი ოდენობით, სისხლის სამართლის ჯარიმის და მასთან დაკავშირებული აღსრულების საფასურის მიზნით. მომჩივანი სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების წინაშე ამტკიცებდა, რომ ფულადი სახსრები მას ფიზიკურად არასდროს დაუბრუნებია, აღმასრულებლის მიერ მის დაყადაღებამდე. 4 714 ლარი (დაახლოებით, 2 800 აშშ დოლარი), რომელიც დარჩენილი იყო ამ თანხების გადახდის შემდეგ, მომჩივანს დაუბრუნდა 2012 წლის 4 თებერვალს, მომჩივანის რამდენიმე მოთხოვნის შემდეგ. ნაღდი ფულის ნაწილის სავარაუდო მფლობელებს როგორც ჩანს, არ გა-

უსაჩივრებიათ ამოღებული ნაღდი ფულის გამოყენება სისხლისსამართლებრივი ჯარიმის და მასთან დაკავშირებული სააღსრულებო საფასურის გადასახდელად.

12. 2011 წლის 31 დეკემბერს, მომჩივანმა დაიწყო სამართალწარმოება აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ, სადაც ასაჩივრებდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ჯარიმის აღსრულებას. სხვა დანარჩენთან ერთად, მან განაცხადა, რომ მის სასარგებლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება თითქმის ორი წლით გაჭინაურდა. მიუხედავად იმისა, რომ ის საბოლოოდ აღსრულდა 2011 წლის 30 ნოემბერს, ეს იყო ფიქტიური შესრულება. კერძოდ, მაშინ, როცა მომჩივანს მიაჩნდა, რომ მას საბოლოოდ უბრუნდებოდა კუთვნილი თანხა, მას შემდეგ, რაც მან მოაწერა ხელი შესაბამის ანგარიშს, ამოღებული ნაღდი ფულის რეალურად აღებამდე, სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლები შეიჭრნენ და წაართვეს თანხა. პროტესტის ნიშნად მან უარი თქვა სისხლის სამართლის ჯარიმის იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით შესაბამის დასკვნაზე ხელისმონერაზე. მომჩივანმა განაცხადა, რომ მან ვერ შეძლო სისხლის სამართლის ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდა, მისთვის ჩამორთმეული ფულადი სახსრების დაბრუნების დაგვიანების გამო. ის ასევე ამტკიცებდა, რომ აღსრულების 7%-იანი საფასურის დანესება იყო უკანონო და უსამართლო, იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის შეუძლებლობა იყო პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ხელისუფლებამ დროულად ვერ დაუბრუნა მას სახლიდან ამოღებული ნაღდი ფული. 2012 წლის 27 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი როგორც დაუსაბუთებელი. ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ 1999 წლის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 38-ე მუხლის თანახმად, სადავო სააღსრულებო საფასურის გადახდა იყო საჭირო იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანს წარუდგინეს შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი 2010 წლის აპრილში. მაშასადამე, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი ამ გადასახადის გასაუქმებლად. მომჩივანმა ეს გაასაჩივრა და დამატებით ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის ჯარიმასთან დაკავშირებით გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით შესრულების ვადა უნდა დაწყებულიყო 2011 წლის 30 ნომბრიდან (თარიღიდან, როდესაც ჩამორთმეული ნაღდი ფული ოფიციალურად დაუბრუნდა მას). თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები და მომჩივნის არგუმენტები და 2012 წლის 4 ივლისს სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს. 2013 წლის 11 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნის საჩივარი.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

14. მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლებამ დაუსაბუთებლად გააჭინაურა მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება, რაც არღვევდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტირებული უფლებით, საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობასთან მიმართებით.

სასამართლოს შეფასება

17. რაც შეეხება მომჩივნის მსხვერპლის სტატუსს, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი

მუხლის მიხედვით, მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭინაურებასთან დაკავშირებით, ეროვნულ დონეზე მან მოითხოვა მხოლოდ ნაწილობრივი საკუთრება მისი სახლიდან ამოღებულ ნაღდ ფულზე და წარადგინა მტკიცებულება ამ განცხადების მხარდასაჭერად. თუმცა, უდავოა, რომ მომჩივანი სულ მცირე, ფლობდა ამოღებული ნაღდი ფულის ნაწილს. შესაბამისად, ამ თანხასთან მიმართებით მას აქვს უფლება წარადგინოს საჩივარი 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან მიმართებით (იხ.: *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 82, ECHR 2001-VIII, და *Karapetyan v. Georgia*, no. 61233/12, § 31, 15 October 2020).

18. ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს და თავისი ინიციატივით განიხილავს საკითხს (იხ.: *Buzadji v. the Republic of Moldova* [GC], no. 23755/07, §70, 5 July 2016), რომ მომჩივნის სასარგებლოდ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულება არ ართმევს მას „მსხვერპლის“ სტატუსს იმ პერიოდთან მიმართებაში, რომლის დროსაც მას აეკრძალა სადავო თანხის გამოყენება, რადგან ხელისუფლებამ არ აღიარა და არ გამოასწორა სავარაუდო დარღვევა (იხ.: *Scordino v. Italy* (no. 1) [GC], no. 36813/97, §181, 29 March 2006).
19. რაც შეეხება მთავრობის პროტესტს შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერსთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ის მჭიდრო კავშირშია საჩივრის არსთან. ამდენად, იგი უერთდება შესაბამისი საჩივრის უარყოფას მტკიცებულებების საპასუხოდ.
20. საბოლოოდ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არც აშკარად დაუსაბუთებელია და არც დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა საფუძვლებით. ამიტომ ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

საქმის არსებითი გარემოებები

მხარეთა წარდგინებები

21. მომჩივანმა გაიმეორა თავისი საჩივარი (იხ.: პარ. 14 ზემოთ).
22. მთავრობამ განაცხადა, რომ პოლიციისგან და არა აღსრულების ბიუროსგან სასამართლოს ბრძანების შესრულების მოთხოვნით, სწორედ მომჩივანმა ვერ გამოიჩინა საკმარისი მონდომება შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

სასამართლოს შეფასება

23. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის „პროცესის“ განუყოფელი ნაწილია (იხ.: *Burdov v. Russia*, no. 59498/00, § 34, ECHR 2002-III, და *Hornsby v. Greece*, 19 March 1997, §40, ანგარიშები გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე 1997-II). სავალდებულო გადაწყვეტილებების აღსრულების უსაფუძვლოდ ხანგრძლივმა დაგვიანებამ შეიძლება დაარღვიოს კონვენცია (იხ.: *Vladimirova v. Russia*, no. 21863/05, §56, 10 April 2018). გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხება გამოითვლება იმ დღიდან, როდესაც იგი გახდა სავალდებულო და აღსასრულებელი, იმ თარიღამდე, როდესაც გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება სრულად შესრულდა მოპასუხე ორგანოს მიერ (იხ.: *Gerasimov and Others v. Russia*, nos. 29920/05 and 10 others, §173, 1 July 2014).

24. პირი, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ მის საჩივართან დაკავშირებით, არ შეიძლება ელოდოს ცალკე სააღსრულებო წარმოებას (იხ.: *Musci v. Italy* [GC], no. 64699/01, § 90, ECHR 2006-V (ამონარიდები) და *Beshiri and Others v. Albania*, no. 7352/03, § 54, 22 August 2006; იხ.: ასევე, *Dadiani and Machabeli v. Georgia*, no. 8252/08, §§ 32-34, 12 June 2012, და *Eliauri and Others v. Georgia* (dec) [Committee], no. 74019/12, § 20, 22 April 2021). ასეთ საქმეებში, მოპასუხე სახელმწიფო ორგანოს სათანადოდ უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ და შესაბამისად, მიიღოს ყველა საჭირო ინიციატივა მის შესასრულებლად ან გადასცეს სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია აღსრულებაზე (იხ.: *Burdov v. Russia* (no. 2), no. 33509/04, § 68, ECHR 2009).
25. ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ წინამდებარე საქმე ეხება 2009 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების დაგვიანებულ აღსრულებას, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს – წინამდებარე საქმეში პოლიციას – დაუბრუნოს მომჩივანს მისი სახლიდან ამოღებული ნაღდი ფული, როგორც მტკიცებულება.
26. გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მომჩივნისთვის ნაღდი ფულის დაბრუნების ბრძანებას, აღსასრულებელი გახდა 2010 წლის 14 აპრილს. სააღსრულებო ფურცელი გამოიცა პოლიციის მიმართ და ის მათ გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. უფრო მეტიც, სააღსრულებო წარმოება არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ გამოწვევას. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების აღსასრულებლად არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა წელიწადი და შვიდ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პოლიციას სააპელაციო სასამართლომ დაავალა შეესრულებინა სააღსრულებო ფურცელი, რაც არღვევს კონვენციით გათვალისწინებულ ხელისუფლების ვალდებულებას, რომ მიიღოს დროული ზომები საკუთარი ინიციატივით, მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის პატივისცემის მიზნით (იხ.: *Akashv v. Russia*, no. 30616/05, §§ 21-23, 12 June 2008; *Stoycheva v. Bulgaria*, no. 43590/04, § 58, 19 July 2011; and *Dadiani and Machabeli*, cited above, § 45).
27. გარდა ამისა და რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა მომჩივანი ვალდებული 2011 წლის 30 ნოემბრის შემდეგ, აღეძრა ცალკე სასამართლო წარმოება (შედარებისთვის იხ.: *Eliauri and Others*, ციტირებული ზემოთ, §21), ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მის სასარგებლოდ საბოლოო გადაწყვეტილება იმ დღეს მხოლოდ ფორმალურად აღსრულდა. კერძოდ, მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვეტილების უბრალოდ აღსრულების ნაცვლად, პოლიცია და სააღსრულებო ბიურო, როგორც ჩანს, თანამშრომლობდნენ გაურკვეველ სამართლებრივ საფუძველებზე, რათა მომჩივანისთვის ჩამოერთვათ ფულადი სახსრები, სავარაუდოდ იქამდე, სანამ მას ის ფიზიკურად დაუბრუნდებოდა. მომჩივნის შესაბამისი პროტესტი იმის შესახებ, რომ სააღსრულებო პროცედურა არ დასრულებულა და მას არ მიუღია ფულადი სახსრები, არ იქნა განხილული ეროვნული სასამართლოების მიერ, მის მიერ დაწყებულ შემდგომ სამართალწარმოებაში. ამ კონტექსტში, და რაც შეეხება მომჩივნის მიერ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობას და გამოყენებას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების დაგვიანებული აღსრულების შემდეგ, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, რომელთა წინაშეც წარდგენილი იყო წინამდებარე საქმის ყველა ფაქტი, არსებითად, კანონიერად და ეფექტურად განიხილეს სააღსრულებო პროცედურა და დაადგინეს მომჩივნის მიერ რაიმე ზიანის არარსებობა დაგვიანებული აღსრულების გამო. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ

მომჩივანს, წინამდებარე საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში, მოეთხოვებოდა კიდევ ერთი საქმისწარმოების დაწყება (შედარებისთვის იხ.: *Eliauri and Others*, ციტირებული ზემოთ, § 21).

28. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუქტი და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი, ერთ წელზე და შვიდ თვეზე მეტი ხნით მომჩივნის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადანაცვლებების აღსრულების აუხსნელი დაგვიანების გამო.

1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა სისხლისსამართლებრივი ჯარიმის გამო, აღსრულების საფასურის დაკისრების თაობაზე

29. მომჩივანი დავობდა, რომ სისხლისსამართლებრივი ჯარიმის გადახდაზე სააღსრულებო საფასური 7%-ის დაწესება დაკავშირებული იყო მის სასარგებლოდ გადანაცვლებების დაგვიანებულ აღსრულებასთან და საფასური იყო გადაჭარბებული. იგი ეყრდნობოდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს.

30. მთავრობამ განაცხადა, რომ აღსრულების საფასური – 7% იყო სავალდებულო და გამოყენებული განურჩევლად იმისა, იყო თუ არა პროცედურა ნებაყოფლობითი. მაშასადამე, იმ ფაქტმა, რომ მომჩივნის სახლიდან ჩამორთმეული ნაღდი ფულის დაბრუნება დაგვიანებული იყო, არ გამოიწვია საფასურის დაწესება. არც ამ საფასურმა დააკისრა ზედმეტი ინდივიდუალური ტვირთი მომჩივანს.

31. რაც შეეხება მომჩივნის მტკიცებას იმის შესახებ, რომ მისი სახლიდან ამოღებული ნაღდი ფულის დაბრუნების დაგვიანებამ (იხ.: პუნქტები 25-26 ზემოთ) ხელი შეუშალა მას სისხლისსამართლებრივი ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდაში და შესაბამისად, გამოიწვია აღსრულების საფასურის დაკისრება ამ სანქციასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო არ მიჩნევს ამ არგუმენტს დასაბუთებულად. კერძოდ, მომჩივანმა მიუთითა, რომ არ აპირებდა ამოღებული სახსრების მთლიანად გამოყენებას სააღსრულებო ფურცლის შესასრულებლად და სისხლისსამართლებრივი ჯარიმის გადახდისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ მისი დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ორ სხვა პირს. ნებისმიერ შემთხვევაში, საფასურის გადახდა დამოუკიდებელი იყო სააღსრულებო წარმოების ბუნებისგან და არ აქვს მნიშვნელობა იყო თუ არა ის ნებაყოფლობითი. შესაბამისად, არ დადგინდა, რომ ამოღებული ნაღდი ფულის დაბრუნების დაგვიანების არარსებობა გამოიწვევდა სააღსრულებო საფასურის 7%-ის არდაკისრებას. აქედან გამომდინარე, ეს საჩივარი ამკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილი უნდა იყოს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

32. რაც შეეხება მომჩივნის უფრო ზოგად არგუმენტს, სისხლისსამართლებრივი ჯარიმის გამო მასზე დაკისრებული აღსრულების საფასურის სავარაუდო გადაჭარბებულ ხასიათთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ეროვნულ დონეზე არ იყო წამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ არ წარადგინა შიდასამართლებრივი საშუალებების არამონაწერის შესახებ საჩივარი, ხოლო ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით დაადგინოს, არის თუ არა ეს საჩივარი დაუშვებელი შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამონაწერის საფუძველზე (იხ.: *International Bank for Commerce and Development AD and Others v. Bulgaria*, no. 7031/05, § 131, 2 June 2016),

საკითხის ეროვნულ დონეზე განხილვა უზრუნველყოფდა უფრო მყარ ფაქტობრივ ელემენტებს ამ საჩივრის შესაფასებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ პრინციპში, მოვალისთვის საფასურის დანესება სამართლებრივი ჯარიმების ამოღების უზრუნველსაყოფად არ არის შეუთავსებელი ამ დებულებასთან (იხ.: *mutatis mutandis*, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, no. 14902/04, §655, 20 September 2011). რაც შეეხება საკითხს, დაეკისრა თუ არა მომჩივანს ზედმეტი ინდივიდუალური ტვირთი, ეს საკითხი შესაფასებელია საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. მიუხედავად ამისა, მომჩივანმა არ დააკონკრეტა, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით, რომ საფასური მისთვის იყო გადამეტებული ინდივიდუალური ტვირთი. ასეთ გარემოებებში, საჩივარი აღსრულების საფასურის სავარაუდო გადაჭარბებულ ხასიათთან დაკავშირებით დაუზუსტებელია და შესაბამისად, აშკარად დაუსაბუთებელი. შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილი უარყოფილი უნდა იყოს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი და 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი, მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვეტილების დაგვიანებით აღსრულების გამო.

ასევე, მომჩივნის სასარგებლოდ სახელმწიფო ვალდებულია აუნაზღაუროს მას 4 700 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
6, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110,
www.supremecourt.ge

